ანაიოლის ი. ბუქისი
ოუნის უნიეერსიტეტის პროფესორი

ეროინიკური საქართველო

პოლონი . თბილისი

პანაიოტის ი. ბუმისი

კანონიკური სამართალი

(მეორე გადამუშავებული გამოცემა)

თბილისი 2013

ΠΑΝΑΓΙΩΤΟΥ Ι. ΜΠΟΥΜΝ

ΚΑΘΗΓΗΤΟΥ ΤΟΥ ΠΑΝΕΠΙΣΤΗΜΙΟΥ ΑΘΗΝΩΝ

ΚΑΝΟΝΙΚΟΝ ΔΙΚΑΙΟΝ

(ΜΕΤΑΦΡΑΣΙΣ ΕΙΣ ΤΑ ΓΕΩΡΓΙΑΝΑ)

ΕΙΡΗΝΗ ΓΚΑΡΑΚΑΝΙΤΖΕ

ΤΥΦΛΙΣ - 2013

348 : 27-745
ს-72

პანაიოტის ი. ბუმისი

ათენის უნივერსიტეტის პროფესორი

კანონიკური სამართალი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
№ 62103

მთარგმნელი: ირინე გარაყანიძე

თბილისი 2013 წ.

UOC(უაკ)27-74+27-742-266+27-742-267+27-745
ბ-963

პანაიოტის ბუმისი, ათენის უნივერსიტეტის პროფესორი, კანონიკური სამართლის ცნობილი სპეციალისტია. მისი წიგნი - «კანონიკური სამართალი» ქართულ ენაზე პირველად იბეჭდება.

მისი გამოყენება შესაძლებელია დამსმარე სახელმძღვანელოდ სასულიერო სასწავლებლებში.

რედაქტორები:
ექვთიმე კოჭლამაზაშვილი — ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
დეკანოზი იოანე მამნიაშვილი.

იურიდიული კონსულტანტი — კონსტანტინე ჩოკორაია.
კომპიუტერული მომსახურება — გურანდა ბოგველი.
ყდის დიზაინი — ნიკოლოზ ისაკაძე.

რეცენზირებულია და ნებადართულია გამოსაცემად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ.
ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსი
სსამებრდ სრ
25.05.07 №: 1

© გამომცემლობა „ალილო“

ISBN 978-9941-0-2446-7

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

თანამედროვე საქართველოს საეკლესიო სამართლევბრივი აზროვნების სივრცეში, ცნობილი სამართალმცოდნისა და ღვთისმეტყველის პანაიოტის ბუმისის „კანონიკური სამართლის" თარგმანს დიდი მნიშვნელობა აქვს.

საზოგადოება, სასულიერო პირები და სასულიერო აკადემიის სტუდენტები დიდი ხანი ელოდნენ ამ სახელმძღვანელოს გამოცემას.

სასულიერო აკადემიაში საეკლესიო სამართლის კურსის კითხვის დროს აქტიურად ვიყენებდით ქალბატონ ირინა გარაყანიძის მიერ შესრულებული თარგმანის გამოუქვეყნებელ ვერსიებს.

პროფესორ ბუმისის „კანონიკური სამართალი" მართლმადიდებელი მოძღვრებისა და საეკლესიო კანონიკის საფუძველზე შექმნილი სერიოზული ნაშრომია და იგი მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ჩვენში სამართლებრივი ხედვისა და აზროვნების არეალს.

ავტორი ნაშრომში, მთლიანად, მსოფლიო და ადგილობრივი ეკლესიების მართლმადიდებელი სისავსის წიაღში ჩამოყალიბებულ კანონიკურ სწავლებას ეყრდნობა, და ამავე დროს, ფართოდ წარმოაჩენს კონსტანტინეპოლისა და განსაკუთრებით საბერძნეთის ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების კანონიკურ პრაქტიკაში (მაგ: ქორწინების სამართალი, სამონაზვნო და სამონასტრო ცხოვრების პრაქტიკა, ტრადიციები და სხვა.) არსებულ თავისებურებებს. მნიშვნელოვანია, რომ მკითხველმა ეს გარემოება გაითვალისწინოს.

ვფიქრობთ, საქართველოს საეკლესიო (და არამხოლოდ საეკლესიო) საზოგადოებას, რაც უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება გაეცნოს ადგილობრივი ეკლესიების წიაღში შექმნილ თანამედროვე სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ნაშრომებს, მით ურო ხელი შეეწყობა ჩვენში იგივე საღვთისმეტყველო მეცნიერების დარგების განვითარებას.

ბოლო პერიოდში, ეპისკოპოს ნიკოდიმ მილაშის მართლმადიდებელი ეკლესიის კანონთა განმარტებების I ტომის (თარგმანი ვ. ჩხიკვიშვილისა) გამოცემის შემდეგ, ეს უკვე მეორე და ძალზე მნიშვნელოვანი ნაშრომია საეკლესიო სამართლის სფეროში (რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდით ქალბატონ ირინე გარაყანიძეს). კეთილ სურვილებთან ერთად იზრდება პასუხისმგებლობაც მსგავსი ნაშრომების თარგმნის სამეცნიერო ღირებულე-ბების მიმართ.

უფლის შეწევნით დღეს ჩვენში საეკლესიო ცხოვრება აღმავლობის გზაე დგას, როგორც ნათქვამია „სამკალი ფრიად არს" — ვფიქრობთ საეკლესიო სამართლის სფეროშიც.

იღუმენი დოსითეოზი

ბრიუსელის წმიდა თამარ მეფის სახ. ეკლესიის წინამძღვარი

29. 03. 07. ბელგია

ავტორისგან

ჩემთვის დიდად სასიხარულო იყო ქ-ნ ი. გარაყანიძის წერილით მიღებული ცნობა იმის თაობაზე, რომ ითარგმნა ჩემი წიგნი „კანონიკური სამართალი", დაფუძნებული საღმრთო წერილსა და ეკლესიის წმიდა კანონებზე.

უკვე მესამე შემთხვევაა, როცა ითარგმნება ან გადმოიცემა ეკლესიის კანონიკური ტრადიცია იმ სახით, რა სახითაც იგი ფორმულირებულია ქრისტეს ეკლესიის კანონიკურ ტექსტებში. ეს სანდო ტექსტები გვკარნახობენ ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიისა და ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა ძირეულ პრინციპებს; ისინი ასევე განსაზღვრავენ წესებსა და საშუალებებს საეკლესიო სივრცეში, უფლის სასუფეველში შემოსვლისა, წინსვლისა და სრულყოფისათვის.

პირველად ჩემი ნაშრომი ითარგმნა გერმანულად. მე მთხოვეს, შემედგინა კანონიკური სამართლის´ მოკლე სახელმძღვანელო Handbuch der Ostkirchenkunde-სათვის (აღმოსავლეთ ეკლესიის სამართლ-წარმოება), (გამომცემლობა Patmos-I, Düesseldorf 1997); მეორედ „კანონიკური სამართლის" სრული ტექსტი ითარგმნა ჩეხოსლოვაკიაში (Presov 1997) ფილოლოგიის დოქტორ გ. კუნდურის მიერ უნივერსიტეტის სტუდენტთათვის.

გარდა დიდი მადლიერების გრძნობისა ქ-ნ ი. გარაყანიძისადმი, ქართულ ენაზე „კანონიკურ სამართლის" თარგმნის თავდებისათვის, დიდ მადლობას მოვახსენებ ასევე გამომცემლობა „მთაწმინდელის" გამგეობას და საკუთრივ ბ-ნ ბესიკ ბოგველს, იმისათვის, რომ მან ითავა „კანონიკური სამართლის" გამოცემისა და პოპულარიზაციის საქმე „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სავსებისათვის".

ვსარგებლობ წიგნის გამოცემის ბედნიერი შემთხვევით და გულით ვუსურვებ ღირსეულ მორწმუნე ქართველ ერს ყოველგვარ სიკეთეს, წარმატებას. დე, მარადის ყოველი მისი კეთილშობილი მისანი ეფუძნებოდეს უფლისმიერი მცნებებს და შეურყეველ კლდეს ჭეშმარიტი სარწმუნოებისა.

პანაიოტის ი. ბუმისი. ათენის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, ამაღლება, 2006 წელი.

მესამე ნაწილი

თავი პირველი

განსაზღვრებები და ტერმინოლოგია (ტერმინთა განმარტება)

1. რა არის სამართალი

„დასაბამი ადმსრდელობისა – ეს არის სახელთა გამოგონება," – ამბობდნენ ჩვენი წინაპრები. ჩვენც დავიწყებთ არსებითი სახელის „სამართალის" განსაზღვრებით.

ამქვეყნად მოღვაწე ადამიანები არიან საზოგადოების წევრები. არისტოტელე თავის „პოლიტიკაში" აღნიშნავდა, რომ ადამიანი არის საზოგადოებრივი ცხოველი, და ვინც არ ცხოვრობს საზოგადოების წიაღში ადამიანებთან ერთად, ან ცხოველია, ანდა ღმერთი. აქ „ცხოველად" იგულისხმება ველური კაცი. ხოლო ველური სხვასთან თანაარსებობით ვერც თვინიერდება და ვერც ვითარდება. საზოგადოების გარეშე, განდეგილად მცხოვრები ადამიანი არის წმინდანი, მართალი, სრულყოფილი, და მას არ ესაჭიროება დახმარება საზოგადოებისაგან, სხვა ადამიანებისაგან. მაგრამ დანარჩენი ადამიანებისათვის საზოგადოება არის მათი არსებობის აუცილებელი წინაპირობა.

ამ აუცილებელი წინაპირობის მისაღწევად საჭირო მშვიდობიანი თანაარსებობა. ხოლო მშვიდობიანი თანაარსებობისათვის კი – სიმშვიდე, სიწყნარე და წესრიგი, რაც არის შედეგი მართლმსაჯულებისა, ანუ შედეგი სამართლის სუფევისა. ცნობილია რომაული სამართლის აქსიომა, რომლის მიხედვითაც, სადაც არის საზოგადოება, იქვეა სამართალიც (Ubi societas, ibi ius). ეს შეიძლება სხვაგვარადაც ითქვას: ადამიანთა ჯგუფმა, საზოგადოებამ რომ იარსებოს, მასში უნდა არსებობდეს და სუფევდეს სამართალი ანუ მართლმსაჯულება, რომელიც ჩვენამდე არსებული ყველა საზოგადოების საფუძველია.

აქ იბადება მთავარი კითხვა – „რა არის სამართალი?" პასუხები, რომლებსაც დროთა განმავლობაში აყალიბებდნენ სპეციალისტები, მრავალგვარია. იმის თქმაც კი შეიძლება, რომ განსაზღვრებათა რაოდენობა ზუსტად შეესაბამება ცნება „სამართლის" განსაზღვრისათვის მოღვაწეთა რაოდენობას. მაგ. არისტოტელე ამბობდა: „სამართალი არის კანონიერი და თანაბარი". ცელსუსი აღნიშნავდა: „სამართალი არის სიკეთისა და თანაბარუფლებიანობის ხელოვნება" (Jus est ars boni et aequi). დღემდე არაა მიღწეული შეთანხმება, თუ რომელი განსაზღვრებაა მისაღები, და ამიტომ ცნობილი ფილოსოფოსი კანტი ირონიულად შენიშნავდა: „კანონის მეცნიერნი დღემდე ეძიებენ ცნება „სამართლის" განსაზღვრებასო".

ჩვენ არ ვაპირებთ ჩამოვთვალოთ, ვიკვლიოთ და შევაფასოთ ოდესმე გამოთქმული ყველა შესაბამისი განსაზღვრება. თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ

მხოლოდ ორ, ძირითად, არსებით მათგანზე, რომლებიც ყველაზე უკეთ უპასუხებენ ჩვენს ინტერესებს.

ერთი ამათგანი არის აღწერილობითი შინაარსისა: სამართალი არის ყოველ საერო და საეკლესიო კანონთა ერთობლიობა, რომელთა საფუძველზედაც ხორციელდება და წესრიგდება ამა თუ იმ საზოგადოების, როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირების[1] ცხოვრება.

სამართლის ამგვარი ფორმულირებით[2] ვლინდება იურიდიული პოზიტივიზმი, რომლითაც ბევრ შემთხვევაში კანონმდებლის სუბიექტური ნება – კანონები – გაიგივებულია სამართლის შინაარსთან.

მართებულია კი ასეთი რამ? არის კი ცხადი, რომ ყველა კანონი სამართლიანია, ხელს უწყობს მშვიდობიან თანაარსებობასა და წესრიგს? ან იქნებ, ისინი ბევრჯერ უსამართლობის, შფოთისა და უწესრიგობის წყაროა? მართლაც, ბევრ შემთხვევაში ასეთსაც აღმოვაჩენთ ხოლმე; იქ, სადაც კანონია, უეცრად გამოჩნდება ოპონენტი, რომელიც ასაბუთებს, რომ აღნიშნული კანონი მართებულად აწესრიგებს საქმეთა ვითარებას, რომ იგი უსამართლოა. ასე ბევრ შემთხვევაში გვიწევს საუბარი *უსამართლო კანონის ან კანონიერი უსამართლობის* თაობაზე. შეიძლება გავიხსენოთ შემთხვევები და ვითარებები კლასიკური მწერლობიდან (ანტიგონე) ან უახლესი ისტორიიდან (ჰიტლერი). ამიტომაც ზემოთ წარმოდგენილი აღწერილობითი ფორმულირება ხშირად დაშორებულია სამართლის შინაარსსა და არსისაგან.

ამის გამო მივმართავთ მეორე, უფრო ფართო შინაარსის მომცველ განსაზღვრებას, რომელიც პირველზე უფრო მოხერხებული ჩანს. იგი შეესაბამება სამართლის არსს და ითვლება უფრო მისაღებად, ან, სხვა თუ არაფერი, მისი ღირსება არ იწვევს ეჭვებს; *სამართალი* არის ის, რაც ყველა ვითარებისათვის არის მართებული. ასევე, უფრო კონკრეტულადაც შეიძლება ითქვას: *სამართალი* არის ის, რაც ადამიანთა ურთიერთობის ყველა შემთხვევაში მართებულია. იგია თანასწორობის მაჩვენებელი ყველა ადამიანური, პიროვნული ურთიერთობისათვის.

შენიშვნა: იუსტიციისათვის, ანუ სამართლის მეცნიერებისათვის, უფროზუსტია, ითქვას, რომ *სამართალი* არის აღმოჩენა თანასწორობისა

---

[1] სამოქალაქო იურისპრუდენციის მიხედვით, **იურიდიული პირი** ეწოდება ისეთს, რომელიც არსებობს კანონის საფუძველზე, ასეთია, მაგალითად, საზოგადოება, ფირმა, ფონდი და ა. შ. (არ არის აუცილებელი, იურიდიული პირი იყოს ფიზიკური პირიც). ხოლო ფიზიკურ პირებს, ანუ ადამიანებს, სამართალი განიხილავს და აღიქვამს, როგორც ორგანიზაციას გარკვეული პოზიციის მიხედვით, გარკვეული უფლებებითა და მოვალეობებით ამა თუ იმ სოციალურ მთლიანობაში და არა, უბრალოდ, როგორც კერძო არსებებს.

[2] თითოეული განსაზღვრება არის ამასთანავე ფორმულირებაც და აღწერაც.

ყველა ადამიანურ ურთიერთობაში; ის, რაც შეესაბამება მართებულ კანონსა და შეეფარდება სწორად გამოთქმულს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, — შედეგი მართებული მსჯელობისა, რომელიც აგებულია მართებული კანონის საფუძველზე.

მაგრამ აქ შეიძლება წამოიჭრას კითხვა: რა არის *მართებული* და ვის შეუძლია მასზე იმსჯელოს უცდომელად და დაადგინოს იგი? ანდა, როგორია უფლებამოსილება და ავტორიტეტი (ავთენტურობა) იმ პირისა, ვინც მსჯელობს და დაადგენს ამგვარ რაიმეს? ეს პრობლემა არცთუ ისე უმნიშვნელოა. მაშასადამე, ისმის კითხვა: არსებობს თუ არა ისეთი პირი, ან ორგანო, რომელსაც შეუძლია თავს იდვას მმართველობის მტკიცება ანუ მისი დადასტურება? თუ კვლავ კაცობრიობის ისტორიასა და გამოცდილებას გადავავლებთ თვალს, აღნიშნულ კითხვაზე ვერ მივიღებთ, თუნდაც სავარაუდოდ, დადებით პასუხს. პასუხი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი იქნება. აქ ჩვენ უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ თავდაპირველი ფორმულირებისათვის „მართებული", მისი განსაზღვრების ნებისმიერი შემთხვევისათვის, გულისხმობს არა კანონმდებლის სუბიექტურ აზრს, არამედ სამართლის დადგენილ პრინციპს. იგი ურყევად უკავშირდება დასაბამიერ ბუნებრივ სამართალს, რომელიც დაადგინა ღმერთმა, ყოველივეს შემოქმედმა. მაგრამ სამწუხაროდ, სამართლის პირველსაწყისის ეს დადგენილება (ბუნებრივი, თავდაპირველი, საწყისი სამართალი) განიცდის, როგორც კანონმდებლის სუბიქტური აზრისა თუ შეფასების, ასევე კანონმდებლობის სოციალური, სახელმწიფო, პარტიული და ა. შ. მიზანსწრაფვის, გავლენებს. აღარაფერს ვამბობთ იმის თაობაზე, რომ დასაბამიერი (პირველქმნილი) სამართლის განსაზღვრების სრულყოფილი და ზუსტი შინაარსის აღქმაც დიდად გართულდა ადამიანის ცოდვით დაცემის შემდეგ.

უფრო კონკრეტულად: ადამიანის უძლურება, განსაზღვროს, რა არის მართებული, გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორით, რომელთაც გვასწავლის ღმრთისმეტყველება თუ ანთროპოლოგია, ბიოლოგია თუ ფსიქოლოგია და ა. შ. კაცი, უპირველეს ყოვლისა, არ არის ყოვლად ბრძენი, არც ყოვლის გამგები, იგი ვერ შეიმეცნებს მთელ ქმნილებას (არსებებსა თუ მოვლენებს). იგი ვერ იმეცნებს ყოველივეს, რადგან თავად არაა შემოქმედი, და შეუძლებელიცაა, იგი „ყოველგან იყოს". გარდა ამისა, ადამიანმა ცოდვით შერყვნა ღმრთის „ხატისებრ" ქმნილი თავისი გონება, აზრი, სურვილები, ნება. უფრო მეტიც, ადამიანზე ზეგავლენას ახდენს მისი სურვილები, გარემო, ურთიერთობები და სხვა. მხოლოდ ის, ვინც არის ყოველივეს შემოქმედი, ყოვლის მეცნიერი, რომელი „ყოველგან არს", რომელსაც აქვს სრული ცოდნა ზოგადისა, ყოვლისმომცველისა, ცოდნა წარსულისა, აწმყოსი და მომავლისა, მხოლოდ იგი არის უცვლელი, პირუთვნელი და ობიექტური; მხოლოდ მას ძალუძს, იყოს უცთომელი კანონმდებელი თუ მსაჯული.

სამწუხაროდ, ადამიანი ზემოხსენებული მიზეზის გამო ყოველთვის ვერ განსჯის ობიექტურად, მართებულად, სამართლიანად. ამიტომაცაა ადამიანთა კანონები ნაკლოვანი და არასრულფასოვანი; ამიტომაც იცვლებიან ისინი გამუდმებით, ამიტომაც ცდილობენ ადამიანები უფრო სრულყოფილი, უფრო მართებული კანონების აღმოჩენას, და რაკი არასრულყოფილია კანონები, ამიტომაცაა ისინი თავსმოხვეულნი სახელმწიფოს მიერ; სწორედ ამიტომ, ხშირად არ იწონებენ მათ ადამიანები, არ იღებენ მათ. არ იწონებენ, რადგან განსჯიან მათ თავიანთი ლოგიკით და არ მიიჩნევენ მართებულად და, შესაბამისად, არ მისდევენ და ეწინააღმდეგებიან მათ დანერგვას.

შენიშვნა: სამართლის სახეები შემდეგია:

დაწერილი სამართალი — ასეთი სამართალი განკუთვნილია ორგანიზებული საზოგადოებისათვის (კანონები).

დაუწერელი სამართალი — ორგანიზებული და საზოგადოებისათვის დადგენილი განაწესები (ადათები).

ბუნებითი სჯული (სამართალი) — თანდაყოლილი ყოველი ადამიანისათვის, კრებული (სიმრავლე) ზნეობრივი დადგენილებებისა, რომლებიც ლოგიკური სინდისისაგან (შეგნებისაგან) მომდინარეობენ. იგი წინ უსწრებს ყველა სხვა სამართალს. ოდნავ ბუნდოვანია და არ ექვემდებარება განსაზღვრებებს.

დადგენილი (პოზიტიური) სამართალი — ერთიანობა კანონებისა, რომლებიც განსაზღვრულია სახელმწიფოსა ან სხვა ორგანიზაციის მიერ და ფორმულირებულია კონკრეტულად.

ყველა შემთხვევაში, ზემოთწარმოდგენილი სქემის მიხედვით გასაგები ხდება, რატომაა შეუძლებელი, სხვადასხვა კანონი სრულყოფილად შეეფარდოს სამართლის პირველსაწყის დადგენილებასა და არსს, რისი ავთენტური გამოხატულება უნდა იყოს სხვადასხვა კანონმდებლობანი. უფრო მეტიც, აშკარა ხდება სირთულე სიტყვა „სამართლის", მისი არსის საყოველთაოდ მისაღები განმარტებისა.

2. კანონიკური (საეკლესიო) სამართლის განსაზღვრება — „კანონის" „სჯულის" ცნება

თუ ადამიანის სამართალთან (მაგ. სამოქალაქო ან სისხლის სამართალთან) დაკავშირებით ვითარება რთულია, ამას ვერ ვიტყვით კანონიკურ ანუ საეკლესიო სამართალზე. ეს იმიტომ, რომ კანონიკური სამართლის (სჯულის კანონის) წყარო არაა „დაცემული" კაცის ბუნებისა თუ ნების, შეზღუდული ადამიანური შემეცნების გამომხატველი, არამედ, იგი მოიცავს ქრისტეს მიერ განცხადებულ, საღმრთო ჭეშმარიტებას, რაც ავთენტურად (ავტორიტეტულად) დასტურდება სულიწმინდით ეკლესიის მიერ. თუკი ადამიანი, როგორც დავრწმუნდით, ვერაა მოწოდებული უცდომელი

კანონმდებლობისათვის, — რაკი იგი არ ფლობს აუცილებელ წინაპირობებს, — ამასვე ვერ ვიტყვით სამპიროვნულ ერთარს ღმერთზე. როცა კანონმდებლობს მამა-ღმერთი, მოდის ამქვეყნად და გვესაუბრება ძე-ღმერთი, და როცა სულიწმიდა დამკვიდრებულა ეკლესიაში და წინამძღოლობს (ზედამხედველობს) მას, მაშინ დანამდვილებით შეგვიძლია დავადასტუროთ სრულიად სწორი და მართებული პასუხი, უცდომელობა. ასე და ამგვარად:

ა) ცნობად გვეძლევა, რომ ღმერთი ესაუბრებოდა მოსეს; წინასწარმეტყველებისა და ძველი აღთქმის სხვა ღმრთივშთაგონებული ადამიანების მეშვეობით ბევრჯერ გადმოუცია მცნებები, კანონები, თავისი ნება. აქვე შეიძლება ერთად მოვიხსენოთ თავად ღმერთისგან მომდინარე აბრაამის პასუხი მდიდრისა და ღარიბი ლაზარეს იგავიდან: „ჰქონან მოსე და წინაჲსწარმეტყველ ნი, მათი ისმინედ“ (ლუკა 16,29). ამას ადასტურებს, რაკი თავად ღმერთის სიტყვა არის ჭეშმარიტი. „რამეთუ სიტყუაჲ შენი ჭეშმარიტ არს“ (იოანე 17,17), — ამბობს იესო ქრისტე, და ეს ჭეშმარიტება, ძველი აღთქმისაგან მომდინარე ეს საწინდარი, მემკვიდრეობით მიიღო და დაიცვა ქრისტიანულმა ეკლესიამ.

ბ) ცნობად გვეძლევა ასევე, რომ ამქვეყნად „ჩამოვიდა“ და მოგვევლინა თავად ღმრთის სიტყვა, იესო ქრისტე, რომელმაც „ხატი მონისაჲ მიიღო“ (ფილ. 2,7) და მოგვანიჭა ჭეშმარიტება, შევსებული და განახლებული, რაკი თავად იგია „გზაჲ... და ჭეშმარიტებაჲ... და ცხოვრებაჲ“ (იოანე 14,6). სწორედ ამის გამო, კაცობრივი ულოგიკობის ცხადყოფისათვის ამბობს მაცხოვარი: „ხოლო აწ მეძიებთ მე მოკლვად, კაცსა, რომელი ჭეშმარიტსა გეტყჳ თქუნ, რომელი მესმა ღმრთისაგან“ (იოანე 8,40). ეს ჭეშმარიტება გადმოეცათ მოციქულთ, მაცხოვრის მოწაფეთ, მის მემკვიდრეებს, ეპისკოპოსებს, ეკლესიას. ესაა სამოციქულო გადმოცემა, ტრადიცია.

გ) უფლის ამაღლების შემდეგაც ღმერთი ეკლესიაში აგზავნის ნუგეშინისმცემელს, რომელიცაა „სული ჭეშმარიტებისაჲ“ (იოანე 14,17 და 15,26), რათა უძღოდეს „ჭეშმარიტებასა ყოველსა“ (იოანე 16,13), მაშასადამე, ჭეშმარიტება არის ეკლესიის წიაღში, ამიტომაც არ არსებობს ეჭვი; ამიტომაც აღნიშნავს ღმრთივშთაგონებული მოციქული პავლე ეკლესიაზე საუბრის დროს, რომ იგია „სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ“ (I ტიმ. 3,15). ეს, სხვა მხრივ, ბუნებრივია. რადგან ეკლესია არის სხეული („გუამი“) იესო ქრისტესი (ეფეს. 5,23 და კოლ. 1,18). ეს ნიშნავს, რომ ეკლესიის სხეულს, ორგანიზმს („გუამს“) ჰყავს თავი — ქრისტე. და რაკი ქრისტე, როგორც ღმერთი, უცდომელია, უცდომელია ეკლესიაც თავისი ერთიანობის სახით.

მაშასადამე, კანონიკური, ანუ საეკლესიო სამართლის წყარო არის თავად ეკლესიის კანონები, რომლებიც ავტორიტეტულად, სულიწმინდით გამოხატავენ ეკლესიის სწავლებას ქრისტესმიერი გამოცხადების,

ჭეშმარიტებისა და ცხოვნების შინაარსიის მართებული განცდისათვის. ისინი ამავე დროს წინ უსწრებენ ან ასწორებენ კიდეც აღნიშნულის მცდარი გაგების ყველანაირ მისწრაფებას. მასასადამე, ამ შინაარსით კანონიკურ ანუ საეკლესიო სამართალს ეწოდება სამართალი, რომელიც ეყრდნობა ეკლესიის მიერ შემუშავებულ კანონებს, და ზედსართავიც — „კანონიკური", რომელიც განსაზღვრავს ამ შემთხვევაში სიტყვა „სამართალს", მომდინარეობს არსებითი სახელისაგან — „კანონი" (ძველ ქართულად — „სჯული").

ბერძნულ ენაზე სიტყვა *კანონი*, როგორც ცნობილია, თავდაპირველად აღნიშნავდა ხის ფიცარს, სახაზავს, რითაც ხელმძღვანელობდნენ სწორი ხაზის გასასმელად, ან ხაზის სისწორის შესამოწმებლად. გადატანითი მნიშვნელობით კანონი ეწოდება ყოველ განსაზღვრებას, ზოგადად ყველაფერს, რაც კი იყო პირველ ნიმუში ან სახელმძღვანელო რაიმე საქმის მართებული შესრულებისათვის, ან ასევე, კრიტერიუმი (ეტალონი) აღნიშნული საქმის მართებულობის შესამოწმებლდ. მაგ. გრამატიკის ესა თუ ის კანონი გამოიყენება სახელძღვანელოდ არსებითი სახელის ბრუნებისათვის, ანდა, შესამოწმებლად, სწორად თუ იბრუნვის ეს სახელი.

ამგვარადვე, და ამავე, ანდა უმალ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზის გამო კანონები ეწოდება იმ დადგენილებებს, რომლებიც ეკლესიამ შეიმუშავა და მიიღო, და მიმართულ ნი არიან მისი სწორად ორგანიზების, დაცვის, გავრცელებისა და მოქმედებისაკენ (ერთიანობის, სიწმიდის, მოციქულებრიობის და კათოლიკურობის პრინციპით) — ზოგადად, და ასევე ეკლესიის წევრთა (მორწმუნეთა) სწორი, ქრისტესმიერი მაგალითით ცხოვრებისათვის, ეკლესიის მეშვეობით.

3. წმიდა კანონთა ავტორიტეტი (ავთენტურობა)

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მართებულია შემდეგი არსებითი კითხვა: არის თუ არა ნამდვილად ავტორიტეტული ეკლესიის კანონები, ჭეშმარიტნი არიან თუ არა ისინი, და წარმოადგენენ თუ არა ჭეშმარიტი სამართლის წყაროს. აქვე შეიძლება დავძინოთ, რომ წმიდა კანონთა ავტორიტეტის მიმართ დღესდღეობით არსებულ ეჭვს განაპირობებს სწორედ ზემოთ აღნიშნული კითხვა-საკითხი წმიდა კანონთა ავტორიტეტის, ანუ სხვაგვარად, უფლებამოსილების თაობაზე[3]. ზოგიერთი აღიარებს წმიდა კანონთა მხოლოდ დროებით თუ შეფარდებით ავტორიტეტს, სხვებს კი სწამთ მათი მარადიული, აბსოლუტური ავტორიტეტი.

კითხვა და პასუხი წმიდა კანონების ავტორიტეტსა და აბსოლუტურ უფლებამოსილებაზე, რაც უშუალოდ მათ სისწორესაც, მათ მიერ გამოთქმულ ჭეშმარიტებას მიემართება, უკავშირდება წმიდა კანონთა წარმომავლობის საკითხს,[4] ანუ არის თუ არა ისინი საღმრთო ნების გამომხატველნი, თუ ადამიანთა მიერ არიან გამოგონილნი და შეთხზულნი.

აქ საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ: ეჭვგარეშეა, რომ ეკლესიის კანონები ნამდვილად ჭეშმარიტებას მეტყველებენ. ეს ხდება იმიტომ, რომ წმიდა კანონები ეყრდნობა საღმრთო წერილს და უცდომელ, ავტორიტეტულ სამოციქულო და საეკლესიო ტრადიციას, ანუ მამა-ღმერთის მიერ ძე-ღმერთის მეშვეობით სულიწმიდით განცხადებულ ჭეშმარიტებას, და ამასთანავე, ეს კანონები შემუშავებულია და მოწონებული ეკლესიის მიერ, უწინარეს ყოვლისა მსოფლიო საეკლესიო კრებათა მიერ, რომლებიც განასახიერებენ ეკლესიის უცდომელობას.

როგორც ამას ქვემოთ, საგანგებოდ მიძღვნილ ქვეთავში განვიხილავთ, მსოფლიო საეკლესიო კრებების ავტორიტეტიც წარმოადგენს აბსოლუტურ სიდიდეს (საზომს). რაკი ისინი წარმოადგენენ ეკლესიის ბაგეს, სიტყვიერი გამოხატვის ორგანოს კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიისა, რომელიცაა „სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ“ (I ტიმ. 3,15) და მსოფლიო საეკლესიო კრებათა მამები სულიწმიდით მართულნი, აყალიბებენ დადგენილებებს, რის გამოც არიან ეს დადგენილებანი უცდომელნი[5].

---

[3] ეს კითხვა უკავშირდება დღეისთვის მეტად აქტუალურ პრობლემას ავტორიტეტის რევიზიასთან დაკავშირებით, როგორც ზოგადად ადამიანთა, ასევე კონკრეტულად ქრისტიანთა რევიზიას. საკითხთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება მოგვეხსენებინა რუსი პროფესორის, დეკანოზი იოანე მაიენდორფის შემდეგი აზრი: „ვფიქრობთ, აბსოლუტურსა და შეფარდებითს შორის განსხვავება ყველაზე აქტუალურია იმ პრობლემათა შორის, რომლებიც დღეს მართლმადიდებელ ღმრთისმეტყველთა წინაშეა წამოჭრილი... მხოლოდ მაშინ, როდესაც საკმარისად შევიმეცნებთ აბსოლუტურს, მოვახერხებთ მოვძებნოთ სწორი გეზი (ორიენტაცია) და სწორად გავერკვეთ ადამიანთა უამრავ გადმოცემებსა და ჩვეებში; მხოლოდ მაშინ თუ შევძლებთ გავატაროთ აუცილებელი ზღვარი და აუცილებლობის შესაბამისად დავაზუსტოთ საძიებელი“ Ἰω. Μάγεντορφ, Παράδοσις τῆς Ἐκκλησίας καί παραδόσεις τῶν ἀνθρώπων, ἐν „Θεολογία - Ἀλήθεια καί Ζωή“, Ἀθῆναι 1962, σελ. 133.

[4] პროფ. ლ. ფილიპიდისი ამასთან დაკავშირებით წერს: „სწორია ჭეშმარიტი და ჭეშმარიტი არის რაც ღმერთს ნებავს... ის, რასაც ღმერთი აცხადებს, ჩვენს წინაშეა ერთგზის მოცემულიდან საუკუნოდ მადლმოსილი“ (Λεων. Φιλιππίδου, Ἡ ἀπό Παλαιᾶς καί Νέας Ρώμης κίνσις πρός ἐπανοδον του πληρώματος τῆς Ἐκκλησίας τοῦ Χριστοῦ, εἰς την ἀρχινην ἑνότητα, Αθῆναι 1970 σελ. 32.

[5] შდრ. Παν. Τρεμπελα, Δογματική τῆς Ὀρθοδόξου Καθολικῆς Ἐκνλησίας, τόμ. Β', Αθῆναι 1959, σελ. 402; Ανδρ, Θεοδώρου, Ἡ οὐσία τῆς Ὀρθοδοξίας, Ἐν Ἀθῆναις 1961, σελ. 238, καί Ιω. Καρμίρη, Ὀρθόδοξος Ἐκκλησιολογία, [Δογματικῆς Τμῆμα Ε'] Αθῆναι 1973, σελ. 638,685 ამიტომაცაა, მართებულად შენიშნავს ათანასე დიდი აფრიკის ეპისკოპოსთათვის მიწერილ ეპისტოლეში: „ხოლო უფლისმიერ თქმული ნიკეას თავმოყრილი მსოფლიო კრების მიერ დადგენილი – მარადიულია“. (P. G. 26,1032B), ათანასე დიდი († 373) იმოწმებს მხოლოდ I მსოფლიო კრებას, რადგან მაშინ სხვა კრებები ჯერ არ ყოფილა მოწვეული.

ამჯერად განვიხილოთ, თუ რას მეტყველებენ და გვაუწყებენ ჩვენთვის საყურადღებო საკითხთან დაკავშირებით წმიდა კანონები და საღმრთო სჯული. ეკლესიის ღმრთივშთაგონებული მამები, რომელთაც მსოფლიო კრებებზე შეიმუშავეს და აღიარეს კანონები: მეშვიდე მსოფლო კრების 1-ლი კანონი გვაუწყებს: „ვითარმედ ყოვლითურთ სათანადო არს დაცვაჲ *საღმრთოთა კანონთაჲ* ... ვინაჲთგან უკუე ესრეთ არიან და წამებულ არიან ჩვენდა ესენი, ვიხარებდეთ ამათ ზედა, ვითარცა ვინ პოვის ტყუე დიდძალი და მხიარულებით დავემტკიცებით საღმრთოთა კანონთა ზედა და ყოვლით კერძოჲთა შეურყეველობითა მტკიცე ვჰყოფთ განწესებასა მათსა, რაოდენი დასხმულ არიან *საყჳრთა მიერ სულისათა* ყოვლად ქებულთა მოციქულთა, რაოდენნი წმიდათა და მსოფლიო კრებათაგან და კუალად ადგილობითთაცა ესევითართავე განჩინებათა დასხმისათჳს შემოკრებულთაგან კრებათა და რაოდენნი წმიდათა მამათაგანისა თითოეულისაგან, რამეთუ მისივე და ერთისა სულისა მიერ განათლდეს ყოველნი და განსაზღვრნეს უმჯობესნი“.[6] ვიწყნარებთ *წმიდა კანონებს* და ურყევად ვიცავთ ყოველ მათ დადგენილებას, გადმოცემულს *სულიწმიდის წმიდათა საყვირთა*, წმიდათა მოციქულთა მიერ; და ექვსთა მსოფლიო კრებათა და ადგილობრივ შეკრებილთა — მათთა და წმიდათა მამათა ჩვენთა მცნებების გამოსაქვეყნებლად; ვინაიდან ისინი ყოველნი განისაზღვრა ერთსა და იმავე სულიწმიდის შთაგონებით...“]

ამას აცხადებს მეშვიდე მსოფლიო კრება, რომელმაც უაღრესად სადღესასწაულო სახოტბო წესით დაამკვიდრა ეკლესიის ცნობიერებაში საეკლესიო რწმენა ეკლესიის წმიდათა კანონთა, როგორც „სულიწმიდის ნაყოფთა თაობაზე“.[7] ანუ, წარმოდგენილი მოწმობის თანახმად, წმიდა კანონები საღმრთოა, რადგან შემუშავდნენ ღმრთის, *სულიწმიდის ზედამხედველობით.*

---

[6] აქ და ქვემოთ, ყველგან, სადაც კი წარმოვადგენთ საღმრთო კანონების ძველ ქართულ ენაზე თარგმანებს, ჩვენ ვხელმძღვანელობთ „დიდი სჯულის კანონის“ აკადემიური გამოცემის (თბილისი, 1975 წ.) ტექსტებით. სხვა შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის კანონი უშუალოდ „დიდი სჯულის კანონისა“ არ არის, (მაგ. „პიდალიონის“ კრებულიდან), წარმოვადგენთ თარგმანებს უშუალოდ ორიგინალიდან, ძველ საეკლესიო სლავურ თარგმანებთან შედარებით. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ძველ ქართულ ენაზე შეიძლება შეგვხვდეს დღეისათვის უკვე გაუგებარი ესა თუ ის სიტყვა, უშუალოდ ტექსტის ციტირების დროს ფრჩხილებში ბერძნული ორიგინალის მიხედვით მოგვყავს შესაბამისი თანამედროვე ქართული ეკვივალენტი. ხოლო, თუ ძველი ტექსტი დღეისთვის მეტისმეტად რთული აღმოჩნდა, პარალელურად სქოლიოში მივუთითებთ თარგმანს ახალ ქართულ ენაზე (მთარგმნელის შენიშვნა).

[7] Κ. Μουρατίδου, Οἱ ἱεροί κανόνες „στύλος καί ἑδραίωμα“ τῆς Ὀρθοδοξίας, Ἀθῆναι 1972, σελ. 9.

ამის გამო ეკლესიის კანონები წარმოადგენენ ავტორიტეტულ გამოხატულებას სულიწმიდის ქრისტესმიერი სულისკვეთებით გამოცხადებული ჭეშმარიტებისა და ქრისტესმიერ ნაქადაგევი, რეალობად ქცეული ცხოვნებისა. ამიტომაც ძლიერდება, „ძლავრდება" და ურყევადაა დაცული ყოველივე კანონთაგან დადგენილი განკარგულება, რაზედაც მეტყველებს ზემოთწარმოდგენილი კანონი, და ამიტომაც მათი შეცვლა ან გადასხვაფერება მოსაწონი არაა, და აკრძალულია, რაც ჩანს შემდეგი კანონიდანაც.

მართლაც, V-VI მსოფლიო საეკლესიო კრების[8] მე-2 კანონი, რომელიც წარმოადგენს ეკლესიის საღმრთო კანონთა კოდიფიცირების მნიშვნელოვან ნიმუშს[9], გვაუწყებს: „ხოლო სათნო-უჩნდა ესეცა წმიდასა ამას კრებასა ფრიად კეთილად და ყოვლად სასწარაფოდ, რაჲთა ეგნენ ამიერითგანცა *მტკიცედ* და *უცვალებელად* ნუგეშინისმცემელად სულთა და საკურნებელად ვნებათა უპირატესთა ჩუენთა წმიდათა და ნეტართა მამათა მიერ შეწყნარებულნი და დამტკიცებულნი და მოცემულნი ჩუენდა სახელითა წმიდათა და დიდებულთა მოციქულთაჲთა ოთხმეოცდახუთნი კანონნი ... ხოლო არავის ჴელ-ეწიფების პირველმოჴსენებულთა ამათ კანონთა მტყუვარ-ყოფად, ანუ უვარის-ყოფად, ანუ თჳნიერ წინამდებარეთა ამათსა სხუათა

---

[8] „მე-5/მე-6" — ზუსტი თარგმანი ბერძნული კომპოზიტისა „პენთექტი". „დიდი სჯულის კანონის" მიხედვით ამ კრების სრული დასახელება არის — „კონსტანტინოპოლის გუმბადსა (ახალი ქართ. „გუმბათი", ბერძნ. „ტრულოს") შინა სამეუფოსა პალატისასა შეკრებილთა წმიდათა მამათა... კრება." მსოფლიო კრების ავტორიტეტით მოსილი ეს საეკლესიო კრებაც, ისევე, როგორც მისი წინამორბედი კრებები, V (553 წ.) და VI (680 წ.) შედგა კონსტანტინოპოლში, გუმბათოვან სამეფო დარბაზში. აქედან მომდინარეობს ბერძნული ტრადიციით მე-5/მე-6 კრების დასახელების ვარიანტი — Πενθέκτη ἐν τροόλῳ. „ტრულოსს" (ძველ ქართ. -გუმბადსა შინა) შეკრებილთა V-VI... შდრ. საეკლესიო სლავურ ენაზე „პიდალიონის" („მესაჭე წიგნის") თარგმანთა მიხედვით — „Правила Святаго Вселенского Шестаго Константинопольского в Трулле Царских палат". V-VI კრებას ეწოდა იმის გამო, რომ მან შეავსო ორივე აღნიშნული კრების საქმე (ამიტომაცაა მსოფლიო კრებად აღიარებული); ანუ, რაკი არც V და არც VI საეკლესიო კრებაზე არ დადგენილა არც ერთი კანონი, „პენთექტი" მსოფლიო კრების სხდომები მთლიანად კანონიკურ მოღვაწეობას დაეთმო (მთარგმნელი).

[9] შდრ. Βαρθολομαίου Ἀρχοντώνη (Ἀρχιμ. καί νύν Μητροπολ. Φιλαδελφείας), Περί τῆν κωδικοποίησιν τῶν ἱερῶν κανόνων καί τῶν κανονικῶν διατάξεων ἐν τῇ Ὀρθοδόξῳ Ἐκκλησία, Θεσσαλονίκη 1970, σελ. 19. [ბართლომე არქონტონისი, 1993 წლიდან მსოფლიო პატრიარქი, დასახელებული ნაშრომი — „წმიდათა კანონთა კოდიფიცირებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური დაგენილებისათვის", თესალონიკი, 1970, — წარმოადგენს მის მონოგრაფიას, სადოქტორო დისერტაციას] (მთარგ.).

კანონთა შეწყნარებად, რომელნი სახელმტყუვარითა წარწერილითა შეწყობილ არიან ვიეთგანმე მტერთა სიმართლისა და ვაჭართა ჭეშმარიტებისათა."[10]

ხოლო ზემოთ მოხსენებულ კანონთა დამახინჯების ან უარყოფის ნება არავის აქვს. აკრძალულია სხვათაგან მომდინარე (სიმართლის მტრებისა და ჭეშმარიტების ვაჭრებისაგან) ცრუ სახელით წარწერილი კანონების შეწყნარება.

ხოლო თუ ვინმემ ზემოთჩამოთვლილ კანონთაგან რომელიმეს განწვალებასა და დარღვევას მიჰყოს ხელი, იგი უნდა დაისაჯოს კანონის განჩინების შესაბამისად და რაც განსაზღვრულია, ის სასჯელი მიიღოს, და მისგანვე მოიპოვოს მან კურნება იმისა, რაშიც ცდება.[11]

შენიშვნა: 1) ეს კანონი უნდა ვაღიაროთ წერილობით, როგორც საღმრთო კანონების შინაარსის სულისკვეთების გამომხატველი. დაუშვებელია მისი გაყალბება ან შეცვლა კანონის ტექსტის შენაცვლებით, რადგანაც იგი სულიწმიდის ავტორიტეტს განასახიერებს. „გაყალბებად" ვგულისხმობთ კანონის სიტყვათა (ლექსიკის) განზრახ შესწორებას, რომელიც მიზნად ისახავს სიტყვის შინაარსის გაყალბებას, და არა მის მართებულად განმარტებას ან ტექსტის შინაარსისა და მისი გადმოცემის ფორმას შორის შესაბამისობის დაზუსტებას.

2) ადვილი გასაგებია, რომ კანონის სულისკვეთება (და შინაარსი) შეიძლება ფორმულირებულ იყოს ახალი, ავტორიტეტული კანონიკური ფორმით. ასეთია კანონიკური დადგენილებები და განმარტებები. ასევე, თავისთავად ცხადია, რომ კანონიკური ტრადიციის ავტორიტეტული გაგრძელების თვალსაზრისით ახალი კანონების შემუშავებისათვის ეკლესია გამორიცხავს ყველანაირ წინააღმდეგობას წინამორბედ და მომდევნო კანონებს შორის. ეს ხდება (და უნდა მოხდეს კიდეც), რადგან საღმრთო კანონებით გამოიხატება *საკუთრივ* ეკლესიის ცნობიერება (სინიდისი), რასაც მართავს „მხოლოდ და მხოლოდ სულიწმიდა".

3) კანონთა შორის ვითომდა დაპირისპირებულობები და წინააღმდეგობები, რომლის აქცენტირებასაც ბევრ შემთხვევაში თავს გვახვევს ზოგიერთი ავტორი, მოჩვენებითია. ეს მათი ხაზგასმა იმის შედეგია, რომ სწორად არ განიხილება, არ წარმოებს საეკლესიო კანონთა და ადათთა (აკრიბიის, იკონომიის და ა.შ.) ჯეროვანი კვალიფიკაცია, გამორჩევა და განმარტება. მაშასადამე, საღმრთო კანონების შემოქცევის, შეცვლის, გაყალბების აკრძალვა

[10] Γ. Ράλλη - Μ. Ποτλῆ, Σύνταγμα τῶν θείων καί ἱερῶν κανόνων, τόμ. Β' Ἀθήνησι 1852, σελ.. 308 εξ.).

[11] Ράλλη-Ποτλῆ, τόμ. Β΄ დასახ. ნაშრომი σελ. 309-310. ეკლესიის წმიდა კანონთა ზემოხსენებულ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან კოდიფიცირებას საჭიროა დაერთოს VII მსოფლიო კრების კანონებიც, როგორც ავთენტურობით (ავტორიტეტულობით), თანაბარმნიშვნელოვანნი.

ცხადყოფს მათ უცდომელობას; იმას, რომ ისინი განაცხადებენ ჭეშმარიტებასა და მართებულობას; რომ მათ აქვთ აბსოლუტური ავტორიტეტი[12]. თუკი საღმრთო სჯული, საღმრთო კანონები არ წარმოგვიდგენენ სიმართლეს, არამედ მოიცავენ მცდარ დებულებას, მაშინ არც არსებობს მიზეზი, მომდევნო კანონებით რაიმე შესწორება იყოს შემოტანილი. ე.ი. საღმრთო კანონები წარმოგვიდგენენ მოწმობას, რომ ისინი ჭეშმარიტების შემცველნი არიან. და ეს იმიტომ, რომ ისინი დღეს თავისთავად მოწმობენ წმიდა მსოფლიო კრებების მიერ რომ არიან შემუშავებულნი სულიწმიდით, „სულიო ჭეშმარიტებისა"[13], ე.ი. მისი ზედამხედველობით, და მისითვე არიან განათლებულნი.

4. დოგმატურ ცნებათა და საღმრთო კანონთა განსხვავება (დოგმატიკისა და კანონიკური სამართლის ურთიერთმიმართება)

შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც ზემოთ აღინიშნა ძალმოსილების, ავტორიტეტისა და უცდომელობის თაობაზე, ვრცელდება მსოფლიო საეკლესიო კრებათა დოგმატურ დადგენილებებზე, ანუ დოგმატურ ცნებებზე, და არა მარტო კანონებზე. თითქოს ერთი და იგივე არ იყოს მისი წმიდა ეკლესიის დოგმატური ცნებები (ანუ სიმბოლოები) და საღმრთო კანონები, მაგრამ შეუძლებელია, ეს მართებულად ჩაითვალოს, რადგან სხვა მხრივ ვერ იქნებოდა მკვეთრად განსხვავებული ზემოაღნიშნული ორი მახასიათებელი. რაკი ბევრ შემთხვევაში „ცნება" ხასიათდება, როგორც „კანონი", და პირიქით. დიდი ბიზანტიელი კანონის მცოდნე ზონარა შენიშნავს: „ცნებას ეწოდება განსაზღვრება და კანონი"[14].

62/105

უახლესი თაობის მეცნიერთაგან დ. პეტრაკაკოსი აღნიშნავს: „ამაოდ მოვიძიებდით უპირატესობას „კანონსა" და „ცნებას", ასევე – „დოგმას" შორის პირველი ხუთი საუკუნის განმავლობაში".[15] და ეს ხდება იმიტომ, რომ ყველა კანონს აქვს დოგმატური შინაარსი (I მსოფლიო კრების მე-17, მე-18, IV მსოფლიო კრების მე-4, მე-10, მე-15, მე-20, 28-ე და სხვა),[16]

[12] ამ აკრძალვის თაობაზე პროფ. კ. მურატიდისი წერს: „უფრო ადრე შემუშავებული კანონებისადმი ამგვარი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მიდევნება, მათი შინაარსის ცვლილებების, შეცვლის, სიახლის შემოტანის ან გაუქმების აკრძალვა უზენაესი მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ ზუსტად შეესაბამება საეკლესიო შეგნებას, სულიწმიდით შთაგონებული საეკლესიო კანონების (საღმრთო სჯულის) შინაარსის მარადიული ავტორიტეტისა და უცვლელობის თაობაზე". (Κων. Μουρατίδου, Τό αἰώνιον κύρος τών ἱερῶν κανόνων, 'Αθῆναι 1972, σελ. 61-62).

[13] შდრ. იოანე 14,17; 15,26; 16,13.

[14] Ράλλη-Ποτλῆ, τόμ. Β' σελ. 159. შდრ. აგრეთვე Γ; σελ. 306,308.

[15] Δ. Πετρακάκου, Νομοκανονικαί ἐνασχολήσεις, 'Αθῆναι 1949, σελ. 33.

[16] შდრ. Ιω. Καρμίρη, 'Ορθόδοξος 'Εκκλησιολογία,... σελ. 697.

ეროვნული ბიბლიოთეკა
№ ——

თითქმის ყველა კანონი მჭიდროდაა დაკავშირებული ეკლესიის დოგმატურ სწავლებასთან, რის პრაქტიკულ გამოყენებასაც წარმოადგენენ კანონები. როგორც მართებულად აღნიშნავს ვ. ლოსკი, „კანონები, რომლებიც აწესრიგებენ ეკლესიის ცხოვრებას ამა სოფლის, ამასოფლიური თვალსაზრისით, განუყოფელნი არიან ქრისტიანული დოგმებისაგან. ისინი, ზოგადად რომ ვთქვათ, არცაა კანონები, არამედ — ესაა საქმეში გამოყენებული ეკლესიის დოგმები".[17]

ზემოხსენებულთან დაკავშირებით სერბიისა და კოზანის მიტროპოლიტი დიონისე მართებულად შენიშნავს: „ეკლესიისათვის არ არსებობს ერთმანეთისაგან განცალკევებული თეორიული და პრაქტიკული საკითხები, როგორც ეს ჩვეულებრივ ჩვენს თანამედროვე უახლოეს ხანაში ხდება. ეკლესიის პრობლემები არის პრობლემები ცხოვრებისა, რომელიც არ მიჯნავს თეორიასა და პრაქტიკას. ეკლესიის საკითხების გამიჯვნას ვითომდა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებად შედეგად მოსდევს საეკლესიო სხეულის დაყოფა და ანტინომია (წინააღმდეგობა) ცხოვრებაში... ეჭვგარეშეა, ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა, რაც ჩვენს დროს ეკლესიის შიგნითაა დაშვებული, ესაა ცხოვრების გამიჯვნა დოგმისაგან, სიყვარულისა — სარწმუნოებისაგან, ეკლესიისა — ღმრთისმეტყველებისაგან.[18]

ამჯერად შეიძლება შევნიშნოთ ასეთი წინააღმდეგობა: საპირისპიროდ ცნებებისა (ტერმინებისა), რომლებსაც ფართოდ ამცნებს და განაწესებს ეკლესიის სავსება, კანონებს იგი არ განაწესებს. რადგანაც ეკლესიის სავსება უშუალოდ არ იძენს კანონთა თაობაზე ცოდნას. მაგრამ აღნიშნული წინააღმდეგობა არ არის მნიშვნელოვანი, რაკი ესა თუ ის საეკლესიო კრება მსოფლიოდ თუ იქნა აღიარებული, ანუ, შესაბამისად, ის აღიარებულია უცდომელად,[19] ამის შედეგად ყველა მისი დადგენილება, განსაკუთრებით, კანონიკური (კანონები, სჯული) სწორია და უცდომელი; შეუძლებელია ზოგი მათგანი (დოგმატური დადგენილება) იყოს უცთომელი, ზოგიც (კანონიკური) — მცდარი. ასე ხომ საეკლესიო კრებაც ვერ იქნება უცდომელი, შესაბამისად, ვერც მართლმადიდებლური,[20] ვერც მსოფლიო.

ზემოხსენებულის შემდეგ აღარ ჩნდება ეჭვი წმიდა კანონთა აბსოლუტური ავტორიტეტისა და ძალმოსილების მიმართ. და სამართლიანადაც პასუხობდენ

---

[17] V. Lossky _ თარგმანი ბერძნულ ენაზე. Στ. Πλευράκη, 'Η μυστική θεολογία τῆς 'Ανατολικής Εκκλησίας, Θεσσαλονίκη 1964, σελ. 206. Πρβλ Κων Μουρατίδου, 'Η συνταγματική κατοχύρωσις τῶν. Κανόνων, იხ. „Κοινωνία„ τόμ. IZ. (1974), σελ. 150-151.

[18] Διονυσίου Ψαριανού. Μητροπολίτου Σερβίων καί Κοζάνης, Χαριστήριος 'Ωδή 'Εν 'Αθήναις 1969, σελ. 16-17.

[19] ᲘᲮ. 'Ιω. Καρμίρη, 'Ορθόδοξος, 'Εκκλησιολογία, σελ. 677: „'Η ἀποδοχή Συνόδου τινός ὡς οἰκουμενικῆς συνεπάγεται τήν ἀποδοχήν αὐτῆς καί ὡς ἀλαθήτου„

აღმოსავლეთის მართლმადიდებელი პატრიარქები წინააღმდეგობით დაპირისპირებულ ანგლიკანებს (1716/25), რომ „უწინ (მოციქულთა ხანიდან იმ დრომდე, ვიდრე კონსტანტინოპოლს განაგებდა მეფე ბასილი პორფიროგენეტი) შეკრებილ წმიდა და საღმრთო შვიდი მსოფლიო საეკლესიო და ადგილობრივი კრებების მიერ შემუშავებულ ადათებსა და კანონებს *ვაღიარებთ, როგორც თავად წმიდა საბარებს;* წმიდა მსოფლიო კრების მე-2 და „ნოველათა“ „ნეარონთა“ მე-2 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად: ხამს, *შვიდთა მსოფლიო კრებათა კანონებს და დოგმებს მივდიოთ, როგორც საღმრთო წერილს...* ცხადია, რომ საღმრთო წერილის თანაბრად ვაღიარებთ საღმრთო კანონებს, ესენი ხომ არის ღმრთისმოსავ კაცთა დადგენილებანი, რაც ღმერთმა ეკლესიას დაუწესა, ისევე, როგორც მოციქულებსა და წინასწარმეტყველებს, ასევე მოძღვრებსაც, როგორც გვასწავლის წმ. მოციქული პავლე (I კორ. 12,28). სწორედ საღმრთო შთაგონებით შეიმუშავეს და დაადგინეს ეს კანონები, რათა გვექმნას ისინი ბნელის მანათობელ ლამპრად (II პეტ. 1,19). ამას გვასწავლის საღმრთო წერილიც. ხოლო ის, რაც ითქვა მოციქულთა მიერ, სულიწმიდით წინასწარმეტყველთა მიერ, იგივე ითქვა ღმერთშემოსილ მამათა მიერ.[21]

უახლესი ხანის სამართის მცოდნეთა შორის უდიდესი, წმ. ნიკოდიმოს მთაწმიდელი[22] აღნიშნავს: „ეს წიგნი [ანუ, წმიდა კანონთა კრებული — „მესაჭეს წიგნი“ („პიდალიონი“)] არის საღმრთო წერილი საღმრთო წერილის შემდეგ, ძველი და ახალი აღთქმის კვალად თქმული აღთქმა, პირველი ღმრთივშთაგონებული სიტყვის შემდეგ — მეორე ღმრთივშთაგონებული სიტყვა. ეს არის მარადიული ცნებები, რომლებიც დაგვიდგინეს ჩვენმა წმიდა მამებმა და კანონები, უკუნისამდე არსებულნი..., რომლებიც

---

[20] საკითხს ნათელს ჰფენს არქიმ. პართენი პოლაკისის შენიშვნა ნაშრომში Παρθενίου Πολάκη (Ἡ Ἑλληνική Ἐκκλησία καί ὁ κόσμος τῶν βαρβάρων, Ἐπιστημονική Ἐπετηρίς τῆς θεολογικῆς Σχολῆς Πανεπιστημίου Θεσσαλονίκης", τόμ. Α΄ (1953), σελ. 478. შენიშვნა: 1; რომელსაც იმეორებს სარდეს მიტროპოლიტი მაქსიმე: „ასომპციონისტებიდან საკუთრივ M. Jugie (Le Schisme Byzantin. გვ. 11...) გმობს ამ კანონს (IV მსოფლიო კრების 28-ე), როგორც „მწვალებლურს“, მაგრამ, ცხადია, არ ავითარებს ლოგიკურ დასკვნას — ანუ იმას, რომ ქალკედონის საეკლესიო კრებამ რომელმაც შეიმუშავა ეს კანონი, „მწვალებლურია“ (მსოფლიო საპატრიარქო მართლმადიდებლურ ეკლესიაში. Ἱστορικοκανονική μελέτη, Θεσσαλονίκη 1972, σελ. 213.

[21] დამოწმებულია ნაშრომიდან: Ἰω. Καρμίρη. Τά δογματικά καί συμβολικά μνημεῖα τῆς Ὀρθοδόξου Καθολικῆς Ἐκκλησίας τόμ. Β΄, ἐκδ. Β΄, Craz Austria 1968, σελ. 808/(888).

[22] 1749-1809 წ. (რედაქცია).

სულიწმიდით შემუშავებულია ადგილობრივ და მსოფლიო საეკლესიო კრებებზე... იგი, ჭეშმარიტად შეესაბამება თავის სახელს — პიდალიონს, კათოლიკე ეკლესიის საჭეს, რომლის მეშვეობითაც იმართება იგი და უსაფრთხოდ წარგზავნის ზეციურ სასუფევლის ნავსაყუდელში ეკლესიის წიაღში მყოფ მეზღვაურებს და მგზავრებს, ე. ი. სასულიერო და საერო პირებს".[23] პროფ. იოანე კარმირისი წერს: „ამრიგად, საეკლესიო მოქალაქეობის განმამყარებელი საფუძველი — წმიდა კანონები, რომელთაც *შეიძინეს კათოლიკე და მარადიული* ხასიათი, არიან ეკლესიის განმსაზღვრელნიც; ისინი შეადგენენ მის პოზიტიურ სამართალს, აწესრიგებენ ურთიერთობას ეკლესიის წევრთა შორის, ისე, რომ „ყოველივე შუენიერად და წესიერად იქმნებოდენ" (I კორ. 14,40). და სწორედ ეკლესიასაც, ღმრთივ დაწესებულს, შეძენილი აქვს ღმრთიურის სადარი მოქალაქეობა, მომდინარე უშუალოდ იესო ქრისტესგან, ან მოციქულთაგან და მათ კანონიკურ მემკვიდრეთაგან, რომლებიც იყვნენ სულიწმიდით შთაგონებულნი; ეკლესია არაა დამოკიდებული ადამიანურ თვითნებობაზე, არამედ მას აქვს *აბსოლუტური ავტორიტეტი*[24]. ამავე მოსაზრებით გვმართებს ვაღიაროთ, რომ: 1) „დოგმატურ-საღმრთისმსახურო და ადმინისტრაციული შინაარსის მომცველ კანონთა გამოყოფა მართლმადიდებელი ეკლესიისათვის შეუძლებელია დადგინდეს და ძალმოსილებით გამორჩეულ იქნას; დოგმები და კანონები, განჭვრეტა და მოქმედება (თეორია და პრაქტიკა), რწმენა და სიყვარული, ცოდნა და სიცოცხლე ქრისტესმიერი ჭეშმარიტებისათვის არ განიყოფა. პირიქით, ისინი მოიცავენ და გულისხმობენ ურთიერთს, ურთიერთით განისაზღვრებიან, ურთიერთს მოიაზრებენ და ურთიერთ-თანაშემწეობენ. შდრ. „ჭეშმარიტ ვიყვნეთ სიყვარულსა ზედა" (ეფეს. 4,15), რაც ნიშნავს: ა) შეგვიძლია ჭეშმარიტნი ვიყოთ, როცა გვაქვს სიყვარული. ბ) სიყვარულით უნდა ვიყოთ ჭეშმარიტნი.

2) განსხვავების დადგენა ფუნდამენტურ და არაფუნდამენტურ კანონებს შორის შეუძლებელია. ვინ განასხვავებს ასე? ვის აქვს საამიოსო ავტორიტეტი? ვის აქვს უფლება და როგორ შეიძლება ამგვარი განსხვავება, როცა გვაუწყებს საღმრთო წერილი, „რომელმან ყოველი სჯული დაიმარხოს და სცთეს ერთითა, იქმნა იგი ყოვლისავე თანამდებ" (იაკ. 2,10).

3) ყოველივე ამის შედეგად, ვფიქრობთ, რომ კანონთა ზემოხსენებული დაყოფა და გამოცალკევება საღმრთისმეტყველო თვალსაზრისით (წმიდა

[23] Πηδάλιον, Ἐκδ. Παπαδημητρίου, Ἀθῆναι 1957, σελ. ამ შემთხვევაში, ცხადია, უნდა განვასხვაოთ „პიდალიონის" მთელი კრებული მასში წარმოდგენილი კანონებისაგან; რადგან კრებული საეკლესიო კანონების გარდა მოიცავს მათ განმარტებებსაც, სხვადასხვა შენიშვნებსა და დამატებით შენიშვნებს. წმიდა კანონთა კრებული, მართლაც, საღმრთო წერილთან, ძველსა და ახალ აღთქმასთან ერთადაა შექმნილი.

[24] Ἰω. Καρμίρη, Ὀρθόδοξος Ἐκκλησιολογία, σελ. 520.

წერილისმიერად) — უსაფუძვლოა, არც მეცნიერულადაცაა (ლოგიკურადაა) გამართლებული. ცხადია, იცვლება საქმის არსი, თუკი მოვისურვებთ, მოვიძიოთ, რომელი კანონია მართებული და რომელი არა, რომელი გვთავაზობს დანამდვილებით ჭეშმარიტებას და რომელი არა, რომელი კანონია უცდომელი და რომლის უცდომელობაში არა ვართ დანამდვილებით დარწმუნებულ ნი. შესაბამისად, მეცნიერთა კვლევა უნდა წარიმართოს ამ მიმართულებით; რითაც გამართლდება ადამიანთა იმედი და მოლოდინი.

4) ზემოთ დასმულ საკითხზე პასუხი დამოკიდებულია იმაზე და განპირობებულია იმით, თუ ვინ შეიმუშავა აღნიშნული კანონები და როგორია ამ საკანონმდებლო ორგანოს ავტორიტეტი. მართლმადიდებელი ეკლესი-ისათვის ამგვარი ავტორიტეტული ორგანო არის მსოფლიო კრება..."[25]

5. განსხვავება წმიდა კანონთა და კანონისტიკის დადგენილებებს შორის

წმიდა კანონთა აბსოლუტური ძალმოსილებისათვის თქმული მიემართება იმ კანონებს, რომლებიც შემუშავებულია მსოფლიო საეკლესიო კრებათა მიერ და, ამასთანავე იმათ, რომლებიც შეიმუშავეს ადგილობრივმა საეკლესიო კრებებმა ან ეკლესიის მამებმა და შემდგომში დაადასტურა ამა თუ იმ მსოფლიო კრებამ; ასევე პირიქითაც, — ზემოთთქმული მიემართება იმ კანონებს, დადგენილებებს, მრგვლივმოსავლელი ეპისტოლეებს (ცირკულარებს), რომლებიც უბრალოდ განსაზღვრა ამა თუ იმ ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ, მღვდელმთავარმა, ან ადგილობრივმა წმიდა მამამ, მაგრამ მათ არ ერგოთ წილად მსოფლიო აღიარება.

ამ უკანასკნელთა თაობაზე დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ უცდომელნი არიან, რადგან ვერ ვიტყვით, რომ უცდომელნი არიან ადგილობრივი საეკლესიო კრებები, თუ ცალკეული საეკლესიო მამები. პროფ. პან. ტრებელასი საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს: „თავად ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ისტორია უტყუარად მოწმობს, *რომ ეპისკოპოსთა მთელი სინოდიც ვერ* თავდებობს ჭეშმარიტებისათვის და იგი არაა ყოველგვარი ცდომისაგან დაზღვეული... ამასთან დაკავშირებით ავგუსტინესაც შეუნიშნავს, რომ ხშირად საეკლესიო კრებები შეუსწორებიათ მომდევნოებს."[26] შდრ. აგრეთვე Olivier Clement-ის აზრი: „ერთი ეპისკოპოსი, ან ეპისკოპოსთა ესა თუ ის სინოდი

---

[25] სამახსოვრო Παν. Μπούμη. Οἱ ἱεροί κανόνες καί ἡ συνταγματική τους κατοχύρωση, „Ἐκκλησία„ τόμ. ΞΔ΄ (1987), σελ. 376.

[26] Παν. Τρεμπέλα, Δογματική τῆς Ὀρθοδόξου Καθολικῆς Ἐκκλησίας, τόμ. Β΄; Ἀθῆναι (1959), σελ. 403-404.

შეიძლება შეცდეს. ისტორია ამის უამრავ მაგალითებს გვთავაზობს".[27] დასასრულ, შდრ. პროფ. ი. კარმირისის დაკვირვება: „ეკლესია უცდომელია... როგორც მთლიანობა, როგორც სხეული (კორპუსი), როგორც სავსება, მაგრამ არაა უცდომელი სხეულის ასონი... ადგილობრივი ეკლესიები".[28]

ამ აზრს საქმით გვიდასტურებს ის ფაქტი, რომ V-VI მსოფლიო კრების მე-6 კანონი ასწორებს ნეოკესარიის მე-15 კანონს, რომელიც მცდარად განმარტავდა მოციქულთა საქმეებს.[29]

დებულებას იმის თაობაზე, რომ ყოველთვის არაა უცდომელი კანონი, შემუშავებული ამა თუ იმ ადგილობრივი კრების ან ეკლესიის მამის მიერ, და არ მოწონებულა მსოფლიო კრების მიერ, ადასტურებს კონსტანტინოპოლის პატრიარქის იოანე მმარხველად ზედწოდებულის შემთხვევა. მის მიერ შემუშავებული კანონები, თუმცა ეს კანონები შედგენილი იყო V-VI მსოფლიო კრების მოწვევამდე 691 წ, ისინი არ იქნა ამ კრების მიერ მოწონებული; მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ წარმოვადგინეთ, კრებამ მოიწონა მრავალი სხვა კანონი. როგორც ჩანს, ეს ყოველივე უკავშირდება იმას, რომ იოანე მმარხველის კანონები მოიცავს დოგმატურ ცდომილებას. ასე, მაგალითად იოანე მარხველის პირველი კანონი[30] აღნიშნავს: „ხოლო თუ ხშირი მუხლმოდრეკითაც უპირატესობა ენიჭება ღმრთის კეთილგანწყობის მოხვეჭას"...[31] როგორც ვხედავთ, ამ კანონს შემოაქვს ცნება კეთილგანწყობის, წყალობის მოხვეჭისა და ადამიანისგან მომდინარე ღმერთის წყალობით განწყობისა, წყალობის მოძიებისა, რაც არ ეთანხმება მართლმადიდებლურ დოგმატურ სწავლებას.[32]

შენიშვნა: თუ ოდესმე მისაღები იქნება, რომ დიდი საეკლესიო მამების ყველა კანონი, ყველა აზრი და ყველა გადაწყვეტილება უცდომელია, მაშინ დაგვიდგება საფრთხე მივადგეთ რომაულ კათოლიციზმს; ან თუნდაც ჩვენდა უნებლიეთ რომის პაპის უცდომელობის დებულებას დავუჭიროთ მხარი. რადგან მაშინ შესაძლებელი იქნება და ფრიად ლოგიკურიც, შენიშნოს

---

[27] იხ. Σπ. Μπιλάλη (Ἀρχιμ.) Ὀρθοδοξία καί Παπισμός, τόμ. Α΄; Ἀθῆναι 1969, σελ 77.

[28] Ἰω. Καρμίρη, Ὀρθόδοξος Ἐκκλησιολογία, σελ. 333.

[29] შდრ. Ράλλη - Ποτλή, τόμ. Β΄; σελ. 339-340. ნეოკესარიის მე-15 კანონი აღნიშნავს: „დიაკონთა შუდთაჲ სათანადო არს ყოფაჲ კანონთაებრ, დაღათუ ფრიად დიდ იყოს ქალაქი იგი და ესე ირწმუნე წიგნისაგან საქმეთა მოციქულთაჲსა". საქმე მოც. 6,3-5.

[30] იოანე მმარხველის კანონები იხილე „მცირე სჯულის კანონში", გამოსცა ელგუჯა გიუნაშვილმა 1972 წელს. გვ. 100-117 (მთარგმნელის შენიშვნა).

[31] Ράλλη - Ποτλή, τόμ. Δ΄ σελ. 436.

[32] აღნიშნული ასპექტი, სავარაუდოა, უნდა მიეწეროს იოანე მმარხველის კანონთა გადამწერთ. დანარჩენისათვის იხ. „Πηδάλιον", σελ. 698-699, შენიშვნა 2, καί Παν. Μπούμη, Τό κύρος καί ἡ ἰσχύς τῶν Ἱ. κανόνων, Ἀθῆναι 1985, Ἐκδ. Γ΄ σελ. 16.

რომელიმე რომაელმა კათოლიკემ: რატომ ვაღიარებთ ცალკეულ მამათა აზრების უცდომელობას და არ ვაღიარებთ ამას რომის პაპის მიმართ; პაპი ხომ სხვაზე უფრო მეტად თანამდგომლობს ზოგიერთ საღმრთისმეტყველო კომიტეტს და შემწედ არის მოხმობილი მათ მიერ?

შესაბამისად, ზემოთ წარმოდგენილის საფუძველზე დავასკვნით, რომ მხოლოდ ამა თუ იმ მსოფლიო კრების მიერ შემუშავებული და მოწონებული კანონები დანამდვილებით ცხადყოფენ და წარმოადგენენ ჭეშმარიტებას, რაკი ისინი ეფუძნებიან ეკლესიის უცდომელობას. რასაკვირველია, ჩვენ ამით არ გვსურს დავიცვათ აზრი იმის თაობაზე, რომ ყველა სხვა კანონი არ შეიცავს ჭეშმარიტებას, რომ ისინი მცდარია, ან რომ ისინი უნდა უარვყოთ. *პირიქით*, შეიძლება იყოს სწორი და უცდომელი და შეიძლება, *ამა თუ იმ მომავალმა მსოფლიო კრებამ დაადასტუროს მრავალი მათგანი*, და ამგვარად, მათ შეიძინონ მსოფლიო და აბსოლუტური ავტორიტეტი. მაგრამ ჯერჯერობით დანამდვილებით ვერ ვადასტურებთ მათ უცდომელობასა და მართებულობას; განსხვავებით მსოფლიო კრების კანონთაგან.

ამის გამო თავისთავად კანონები (ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობით) ისინია, რომლებიც წარმოგვიდგენენ მართებულობას, სწორ ხაზს, და ასეთებია მხოლოდ მსოფლიო კრებების კანონები, რამდენადაც და რამდენიც აღიარებულ იქნა მათ მიერ, და მათ სამართლიანად ეწოდება საეკლესიო კანონები. ესენი მართლაც მთელი ეკლესიის კანონებია და ეს იმიტომ, რომ ისინი შემუშავდა და დადასტურდა მსოფლიო კრების მიერ, ხოლო მსოფლიო კრებები მთელ ეკლესიას წარმოადგენენ.

სხვა ყველა დადგენილება, წესდება, მრგვლივმოსავლელი ეპისტოლე და ა. შ., ყველაფერი, რასაც აქვს კანონიკური შინაარსი და გამოქვეყნებულია საეკლესიო ორგანოს (ადგილობრივი კრებების, ეპისკოპოსების, საეკლესიო პირების) მიერ, თუ არა აქვთ მსოფლიო აღიარება, ვერ იწოდებიან კანონებად, მით უმეტეს, ეკლესიის კანონებად. ვიდრე ისინი მოიხვეჭენ აღიარებას, მათ შეიძლება დაერქვას საწესდებო დადგენილებები, ან წესდებანი, ამა თუ იმ ადგილობრივი ეკლესიისა, ან ამა თუ იმ საეკლესიო მამისა, პატრიარქისა და ა. შ.

შესაბამისად, ეკლესიის მიერ დადგენილი და დადასტურებული პირის ეკლესიის ძალმოსილებით აღჭურვილი კანონები, უცდომელი მოწმობა და კრიტერიუმი — ესენი, შეიძლება ითქვას, ეკლესიის ტრადიციასაც წარმოადგენენ, ოფიციალურ, ძალმოსილ საეკლესიო ტრადიციას. ვიტყოდით კიდევაც, რომ ძირითადად ესაა საეკლესიო ტრადიცია და ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ ამას, რადგანაც ზემოთ დასახელებული ტრადიცია არის ეკლესიის ტრადიცია, მთლიანად ეკლესიისა და არა მისი ერთი რომელიმე ნაწილისა. ყველა სხვა ტრადიციას, რომლებიც, სავარაუდოა, მიმოიქცევიან ეკლესის

ფარგლებში, არ შეიძლება ეწოდოს საეკლესიო ტრადიცია. ყოველ შემთხვევაში, ვიდრე ისინი არ ეწევიან ეკლესიისაგან მოწონებასა და დასტურს. ამის გამო წმიდა კანონებს ეწოდება ღმრთიური კანონები, რადგან ისინი დაწერილია და შემოწმებული ღმრთის ზედამხედველობით, სულიწმიდის შთაგონებით. გარდა ამისა, ეკლესია, რომელსაც განეკუთვნება წმიდა კანონები, არის საღმრთო დაწესებულება; მისი თავი არის იესო ქრისტე, ძე და სიტყვა ღმრთისა, და მას (ეკლესიას) წარმართავს სულიწმიდა.

6. წმიდა კანონთა მიზანი და სულისკვეთება

იმ მსჯელობისა და ფორმულირებების შემდეგ, რაც წინა პარაგრაფებში ჩამოვაყალიბეთ, იქნებ გვეთქვა კიდევ წმიდა კანონთა სხვა რაიმე განსაზღვრული თავისებურებების თაობაზე; იმისათვის, რათა სრულ გვეყო მათი დახასიათება.

წმიდა კანონები, როგორც უკვე ითქვა, ცხადყოფენ ჩვენთვის, რაც არის მართებული. ისინი უკავშირდებიან ეკლესიის დოგმებს და მიგვითითებენ მათ შემდგომ გამოყენებას ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას მეტიც, კანონები წარმოადგენენ მართლმადიდებლური ზნეობის (წესრიგისა და საქმის) კონცენტრირებულ გამოხატულებას. და ეს იმიტომ, რომ სამართლისა და ზნეობის კანონები (და არა სამართალი და ზნეობა), სრულიად და აბსოლუტურად არაა ურთიერთგამიჯნული, რათა არ გაიმიჯნოს ურთიერთისაგან დოგმატური და ადმინისტრაციული (პრაქტიკული) კანონები.[33] პირიქით, ისინი წარმოადგენენ ერთიანობას, რომლითაც წესრიგდება საერთოდ მათი წყობა, და მათი მეშვეობით საზოგადოებაზე განვრცობა. წმიდა კანონები წარმოადგენენ ჭეშმარიტების სულისკვეთებისა და გულწრფელი ქრისტესმიერი სიყვარულის გამოხატულებას. შესაბამისად, ისინი გამოხატავენ და ცხადყოფენ ნამდვილ სარწმუნოებას და ამასთანავე, თავიანთი ძალმოსილებით წინასწარ იცავენ მას ყოველგვარი სუბიექტური გადახვევისაგან, თუნდაც მარჯვნივ, როგორიცაა მოჩვენებითი სარწმუნოება, თუნდაც მარცხნივ, როგორიცაა უსამართლობა და ცოდვა (შდრ. იგავთა 4,27). ასე წმიდა კანონები წარმოადგენენ ცნებებს ზნეობრივი და სულიერი წინსვლისათვის. ისინი უზრუნველყოფენ სულიერ ცხოვრებას მართლმადიდებლური დოგმისა და ეკლესიის ზნეობრიობის ფარგლებში. ისინი ცხადყოფენ ობიექტურს, ზოგადად მართებულს, იდეალურს და განარიდებენ კაცობრივ სუბიექტურობას.

წმიდა კანონები თითოეულ მორწმუნეს სთავაზობენ პროტოტიპს (ნიმუშს), რომლის საფუძველზეც თითოეულს ჰმართებს მოღვაწეობა და რომლისკენაც უნდა მიიმართებოდეს, ან რომლის საფუძველზედაც შეიძლება შემოწმდეს

---

[33] ამგვარად, წმიდა კანონები არის წყარო კანონიკური სამართლისა და ეთიკისათვის.

მისი აზრების, მისი სურვილების, მისი სიტყვებისა თუ საქმეების სისწორე. კანონები წარმოადგენენ საზომს, კრიტერიუმს, საფუძველს, რომლის მიხედვითაც ობიექტურად განისჯება მორწმუნეთა, მწყემსთა და სამწყსოს საქმეები. ეს თუ არ იქნა, თითოეული კაცი სუბიექტივიზმისა და უსამართლობისაკენ მიიქცევა „გონებითა მით ხორცთა მისთადთა" (კოლ. 2,18).

მაშასადამე, წმიდა კანონთა მიზანი მაცხოვნებელი (სოტერიოლოგიური) ხასიათისაა. მათი მეშვეობით უზრუნველიყოფა ეკლესიის საიდუმლოთა შეუვალობა და უკუიგდება ქრისტესმიერი ცხოვნებისათვის ნაუწყები სიტყვიდან ყოველგვარი გადახვევა, თუ მისი გაყალბება. ამიტომაც წმიდა კანონები მოტანილია საეკლესიო მოქალაქობით გამორჩეულ პიროვნებათა თავისთავადი, ურთიერთმემკვიდრეობის სახით და განაპირობებენ ინტერესს, ეკლესიის სხეულის ერთიანობის დაცვისათვის. ეკლესიის მეშვეობით კი ყოველი მორწმუნისათვის მიიღწევა იესო ქრისტესმიერი ცხოვნების გათავისება.

წმიდა კანონთა შემუშავების მაცხოვნებელ (სოტერიოლოგიურ) მიზანთან დაკავშირებულია მათი სამრევლო (ანდა აღმზრდელობითი) ხასიათი. ამიტომაც წმიდა კანონები გამუდმებით იკითხება ან სამწყსოს განმგებელთა საკრებულოში (ე. ი. სასულიერო პირებისათვის) ან სამწყსოში (მონაზონთა და საერო პირთათვის). განსაკუთრებით კი, აღნიშნულ მიზანთა განხორციელებას თავდებობს შესაბამისი პასუხისმგებელი საეკლესიო ორგანო, რომელიც შემწეობით უნდა ემსახუროს ეკლესიის წევრებს, თანახმად უფლის მიერ მათდამი დაკისრებული უფლებამოსილებისა: „აღსაშენებელად და არა დასარღუეველად" (II კორ. 13,10)

ცხადია, თუ როგორია პასუხისმგებელი საეკლესიო ორგანოები და რანაირად „ხერხდება" ეს ყოველივე, ამასაც წმიდა კანონები განსაზღვრავენ. შესაბამისად, წმიდა კანონები წინასწარ იცავენ ეკლესიის სხეულს, ასევე ყოველ მორწმუნე ქრისტიანს სახიფათო ეკლესიოლოგიური გადახვევებისაგან, მწვალებლობებისაგან, განხეთქილებისაგან (სქიზმათაგან), გარე კიდეშეკრებილობებისაგან და ა. შ.

მაშასადამე, წმიდა კანონები ითვალისწინებენ ეკლესიის წიაღში ქრისტიანის უზრუნველყოფილ შემოსვლას, მის იქ ყოფნას და სრულყოფას და ამასთანავე მასში წესრიგსა და ერთიანობას. საერთოდაც ესენი წარმოადგენენ უცილობელ წინაპირობას ჩვენს სამყაროში ეკლესიის დანიშნულების (მისიის) წარმატებისათვის.

კიდევ შეიძლება ითქვას, რომ წმიდა კანონები შეადგენენ ერთ კანონს, სრულყოფილების ერთ მანიშნებელს, და ვინც კი მისდევს, მოქმედებს, ცხოვრობს და მოღვაწეობს უპირეტესად მათი დაცვით, იგი შეიძლება ჩაითვალოს უფრო სრულყოფილად, წმიდად და მართლად.[34] ხოლო ვინც

პირიქითაა, დაშორებულია მათ წმიდა კანონთაგან. დაშორება არის დაშორება მართებულისაგან, მართლისაგან, წმიდისაგან.

აქ შეიძლება დაისვას შემდეგი შეკითხვა: თუ არ დავექვემდებარებით, ან, თუ ვერ ვექვემდებარებით წმიდა კანონებს, ამის გამო არ უნდა გვქონდეს იმედი ცხოვნებისა და განწმენდისა? შეიძლება თუ არა ასეთ შემთხვევაში გავექცეთ განკითხვასა და სასჯელს? — ცხადია, არა, და ეს იმიტომ, რომ დღეს უკვე აღარ ვართ „სჯულსა ქუეშე, არამედ მადლსა“ (რომ. 6.14-15) რადგან ახლა აღარა ვართ სჯულისადმი დაქვემდებარებულნი, არამედ განთავისუფლებულნი ვართ მისგან; აკი „ქრისტემან ჩუენ მოგუყიდნა წყევისა მისგან სჯულისა“ (გალ. 3,13) თავისი სისხლით. მაგრამ სჯული და კანონები საჭიროა, რათა შევიგნოთ ჩვენი შეცდომები, ჩვენი ცოდვა, ჩვენი დაცემა, რასაც დალუპვამდე მივყავართ, შდრ. რომ. 3,20: „რამეთუ სჯულისაგან არს გამოცნობაჲ ცოდვისაჲ“. შდრ. ასევე რომ. 7,7: „არამედ ცოდვაჲ არა ვიცოდი, გარნა სჯულისაგან“.

ასევე საეკლესიო სასჯელი, ეპიტიმია, რომელსაც ადგენენ კანონები, როგორც ამას დავინახავთ სათანადო ადგილას, არა აქვთ სასჯელის შინაარსი, არამედ ისინი აღმზრდელობითი, სჯულის — ანუ „*ნომოკანონის*“ (საერთო სასულიერო კანონის გაგებით) ხასიათისაა. ამიტომაც ეწოდება მათ „კანონი“. ეს იმას ნიშნავს, რომ მათი მიზანია, გაამახვილონ ცოდვილის ყურადღება ჩადენილი ცოდვის სიმძიმეზე და დაეხმარონ მას, აღარ გაიმეოროს ცოდვა.

შესაბამისად, თუ კაცი ბრმად და სავსებით არ მისდევს ქრისტეს მცნებებსა და ეკლესიის კანონებს, ამას ყოველთვის არ მოჰყვება მისი განსჯა და წარწყმედა. ამას, როგორც აუცილებელი და გარდაუვალი პირობა, საფუძვლად უდევს შემდეგი: არა უგულო დამოკიდებულება წმიდა კანონებისადმი, ანუ ჭეშმარიტებისადმი, არამედ შეცოდებისა და დაცემის მუდმივი შეგრძნება და გამოსწორებისადმი მისწრაფების განწყობა. ანუ, აღნიშნული შემთხვევისათვის წმიდა კანონები შემდეგისაკენ არის მიმართული ან გამიზნული: წმიდა კანონები ავლენენ გზას, რომლიდანაც ეკლესიის ამა თუ იმ წევრმა გადაუხვია, ან უმეცრების, ან უძლურების გამო, და ისინი შემწეობას უწევენ მას, შეიგნოს თვისი ცოდვილობა და უძლურება. ამას კი, მოჰყვება (უფრო სწორად, *ჰმართებს* რომ მოჰყვეს) — სიმდაბლე და სინანული.

---

[34] აქვე უნდა განვმარტოთ: სრულყოფილი და მართალი ისაა, ვინც თავად მისდევს და ეფარდება წმიდა კანონებს და არა ის, ვინც სხვისაგან ითხოვს მათ დაცვას და მათდამი დაქვემდებარებას. აღნიშნული ცხადყოფს, რომ საქმეთა ვითარება უმალ პირიქითაა, ანუ მართალი და სრული არის ის, ვინც მდაბალია სხვათა წინაშე. შდრ. მათე 1,19: „ხოლო იოსებ, ქმარი მისი, მართალი იყო და არა უნდა განმხილებაჲ მისი, იზრახა ფარულად განტევებაჲ მისი“. შდრ. ასევე ფილ. 4,5: „სიმდაბლე თქუენი ცხად იყავნ ყოველთა კაცთა“.

სინანულისა და სიმდაბლის სარგებელი და აუცილებლობა, ხაზგასმით აღნიშნული, განუწყვეტლივ გასდევს ქრისტიანულ ღმრთისმსახურებას. — 50-ე ფსალმუნი, რომელიც ყოველდღიურად იკითხება ეკლესიაში, გვასწავლის: „მსხუერპლ ღმრთისა არს სული შემუსვრილი, გული შემუსვრილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს“ (ფსალ. 50,17) ცნობილია, ამასთანავე ღმრთივშთაგონებული სიტყვა: „ამპარტავანთა შეჰმუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი“ (იაკ. 4,6. და I პეტ. 5,5). წმიდა იოანე ოქროპირიც მონანიებისათვის განაცხადებს: „ხოლო სინანული წამალია შეცოდებათაგან... განაღებს იგი ზეცას და სამოთხისაკენ მიგვიძღვის.[35]

მაშასადამე, წმიდა კანონებს აქვთ ასეთი დანიშნულება. როგორც „კანონები“, ისინი გვიჩვენებენ წრფელსა და სიმართლისაკენ მიმავალ გზას. ესენია ნათლის მომცველი ნიშანსვეტები, გზის მარადიული მანათობლები, რომლებიც მოქმედებენ ეკლესიის თვალსაწიერზე ზოგადად და კონკრეტულად ცალკეული იმ მიზნის გამოსავლენად, რომელსაც უნდა მისდევდეს მორწმუნე, რათა შეიგნოს მიზანი, რაც ჰმართებს. ხოლო თავად ეს მიზეზი არის ადამიანის სრულყოფა, მისი განწმენდა, მიღწევა ხატებისა „მსგავსებისამებრ“.

დასასრულ, ზოგადად შევაჯამოთ, რომ წმიდა კანონები ესაა ღერძი და ჩარჩო, როგორც *საეკლესიო ერთობისათვის, ასევე მართლმადიდებლური სულიერებისათვის.*

წმიდა კანონთა მიზანი და სულისკვეთება გამოიკვეთება მომდევნო პარაგრაფებშიც. მაგრამ ვიდრე დავასრულებდით აღნიშნულ პარაგრაფს, კიდევ შეიძლებოდა დავძინოთ შემდეგი: ღმერთის ყოველი მცნება და ეკლესიის ყოველი კანონი არის ღმრთის კურთხევა. აშკარაა მათი თანაფარდობა, მაგ: შემოქმედი მამა-ღმერთის მცნებისა — „იმრავლეთ და აღავსეთ ქვეყანა და მეუფებდეთ მასზე. განაგებდეთ მას“ (დაბ. 1,28). ასევე აშკარად ჩანს კავშირი მცნებისა და კურთხევისა, გამომდინარე იესო ქრისტეს ნათქვამიდან: „მიიღეთ და ჭამეთ... სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისაჲ მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა“. (მათე 26,26-28) შდრ. ასევე მოციქულთა 34-ე კანონი: „თითოეულისა ნათესავისა ეპისკოპოსთაჲ უჴმს კაცთა მის ნათესავისათა, რაჲთა პირველად და თავად მათდა შეერაცხოს ეპისკოპოსი თჳსი და არარას იქმოდინ ნამეტავსა თჳნიერ გაზრახვისა მისისა, არამედ მათ ხოლო იქმოდის კაცად-კაცადი, რაოდენნი სარგებელ ეყოფოდინ ეკლესიასა მისსა და მისქუეშეთა სოფელთა. არამედ ნუცაღა ეპისკოპოსი თჳნიერ განზრახვისა ყოველთაჲსა იქმს რასმე, რამეთუ ესრეთ ერთნებობაჲ აღესრულოს და იდიდოს ღმერთი უფლისა მიერ სულითა წმიდითა.“

---

[35] Ἰω. Χρυσοστόμου, Περὶ μετανοίας, Ὁμιλία Η΄ 1. P.G. 49,337A.

თავი მეორე

წყაროები და ნაშრომთა კრებულები კანონიკური სამართლისათვის

1. კანონიკური სამართლის ძირითადი წყაროები

ზემოთ წარმოდგენილი განსაზღვრებების შემდეგ შეგვიძლია, უფრო ანალიტიკურად განვიხილოთ კანონიკური სამართლის წყაროთა საკითხიც.

ადვილი გასაგებია, რომ კანონიკური სამართლის ძირითადი წყაროებია ის ტექსტები, რომლებიც გადმოგვცა ეკლესიამ მას შემდეგ, რაც მანამდე გაითავისა ისინი. ცხადია, კანონიკური სამართლის უპირველესი და ძირითადი წყარო, რაც ზემოთაც ცხადვყავით, არის ერთარსება სამება. იგი არის დასაბამი ყოველი ნამდვილი შემოქმედებისა, ტრადიციისა და ძალაუფლებისა ეკლესიის წიაღში.

ერთარსება სამება ღმერთმა მოციქულთა მეშვეობით ეკლესიას გადმოსცა თავისი საღმრთო ნება, რომელიც გაცხადდა წმიდა სამოციქულო და საეკლესიო ტრადიციის სახით. სამოციქულო ტრადიცია ეწოდება უფლისა და მისი მოციქულების მოძღვრებას, სწავლებას, რომელიც ეკლესიაში გადაეცემა თაობიდან თაობას. ეს მოძღვრება დაწერილებითაა აღნუსხული და დაუნჯებული საღმრთო წერილის, მსოფლიო და ადგილობრივი კრებების, ლიტურგიკული ტექსტების, ეკლესიის მამათა თხზულებებისა და მრავალრიცხოვან საეკლესიო გადმოცემათა სახით.

უკვე საღმრთო წერილი გვაუწყებს აღნიშნული ტრადიციის არსებობას და იმ ვალდებულებასაც, რაც ქრისტიანთ ეკისრებათ მისი შეურყვნელად დაცვისათვის: „მტკიცედ დეგით და შეიკრძალეთ მოძღურებაჲ ესე, რომელიცა გისწავიეს გინა სიტყჳთა, გინა წიგნითა ჩუენითა“, – (II თეს. 2,15 და 3,6) გვამცნებს მოციქული პავლე; იგი სხვაგანაც გვამცნებს: „ვითარცა-იგი მიგეც თქუენ მოძღურებაჲ, იგი შეიკრძალეთ“ (I კორ. 11,2).

ეკლესიის ეს გარდამოცემა წარმოადგენს ერთ მთლიანობას, ერთიანობას, იგი არ უნდა დაირღვეს. მისი ერთი ნაწილი ავსებს, განმარტავს და სრულჰყოფს მეორეს. ამიტომაც პროფესორი პან. ბრაციოტისი აღნიშნავს: „ეკლესია, საღმრთო წერილი და ტრადიცია არის და სუფევს მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთი ურღვევი ერთიანობის სახით“.[1]

დავიმოწმოთ, აგრეთვე, ბასილი დიდის 91-ე კანონის ნაწყვეტი, რომელიც აღნიშნულ ტრადიციას მიემართება: „ეკლესიაში დაცული დოგმები და ქადაგებები ზოგი წერილობითი სწავლების სახით გვაქვს მოცემული, ზოგიც მოციქულთაგან საიდუმლოდ გადმოგვეცა. მათგან ორივეს ძალა აქვს კეთილ-

[1] (Pan. Bratsiotis, Ein orthodoxer Beitrag. გვ. 22, შდრ. Nik. Nissiotis, Die Einheit von Schrift und Tradition, კრებულში Ökumenische Rundschau, ტ. 14 (1965) გვ. 271...)

მორწმუნეთათვის. ამას საკამათოდ არც არავინ მიიჩნევს, ვინც ოდნავ მაინც არის საეკლესიო განაწესით გამოცდილი. და თუ ხელს მივყოფთ დაუწერელ ადათთა, როგორც დიდი ძალმოსილების არმქონეთა უგულვებელყოფას, შევცდებით, სახარების გააზრებასაც ფრიად ვაზარალებთ და უმალ ლიტონი სახელით შემოვიფარგლებით ქადაგებაში. ასე, მაგალითად (უპირველესსა და უზოგადესს მოვიხსენებ): ჯვრის გადასახვა სახელითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა — ვინ გვასწავლა წერილობით? ვინ გვასწავლა ლოცვის დროს აღმოსავლეთისაკენ რომ მივაქციოთ პირი? ნაკურთხი ტარიგისა (არტოსისა) და ბარძიმში ღვინის, განცხადების დროს ვინ დაგვიტოვა გარდამოხმობის (ეპიკლესის) სიტყვების ჩანაწერი? და ჩვენ იმასაც არ ვჯერდებით, რაც მოციქულმა თუ სახარებამ მოიხსენია, არამედ მანამდეც და მათ შემდგომაც დაუწერელი მოძღვრებიდან ვიხსენიებთ კიდევ სხვას, როგორც საიდუმლოს მიმართ ძალმოსილს...“

ამის შემდეგ უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანონიკური სამართალის ძირითადი წყაროებია, უპირველეს ყოვლისა საღმრთო წერილი, შემდეგ კი საღმრთო სჯული.

2. *საღმრთო წერილი*

აქვე შევნიშნოთ, რომ ეკლესიამ გადმოგვცა საღმრთო სჯული; საღმრთოც და ღმრთივსულიერი (ძვ. ქართ.) ანუ, ღმრთივშთაგონებულიც.[2]

ეკლესიამ სწორედ სულიწმიდის წინამძღოლობით განასხვავა ღმრთივშთაგონებულ კაცთა წიგნები იმ წიგნებისაგან, რომელთაც დაფარულად ამა თუ იმ წინასწარმტყველსა თუ მოციქულს მიაკუთვნებდნენ. ეკლესიამ გამიჯნა ურთი-ერთისაგან ნამდვილი და გაყალბებული, ფსევდოეპიგრაფიკულად წოდებული წიგნები, კონკრეტულად, V-VI მსოფლიო კრების მე-2 კანონის საფუძველზე დადგინდა ნუსხა საღმრთო წერილის წიგნებისა, რომელიც შეადგინა თუ შეიმუშავა წმიდათა მოციქულთა 85-ე, კართაგენის 24/32,

[2] საღმრთო, ზოგადად, ეწოდება ისეთ წიგნებს, რომლებიც უცთომელია, რადგანაც ისინი უფლის მეთვალყურეობითაა დაწერილი. შესაძლებელია, ისინი დაწერილიყო ოდენ ლოგიკური აზროვნების ან თანდაყოლილი ზნეობრივი კანონის, ან არსებული ინფორმაციების საფუძველზე, მაგრამ ეს წიგნები მაინც უშუალოდ იწერებოდა სულიწმიდის მეთვალყურეობით და ეხმარებოდა შემოქმედს, არ დაეშვა ცდომილებები. ღმრთივსულიერი, ანუ ღმრთივშთაგონებული კი ეწოდება ისეთ წიგნებს, რომლებიც მოიცავენ ღმრთის სიტყვას, ჭეშმარიტებებს; ის, რაც გამოუცხადა ღმერთმა თავის რჩეულთ სულიწმიდის დამოძღვრებით (ზედამხედველობით). (შდრ. II პეტ. 1,21: „წუეფითა სულისა წმიდისათა იტყოდეს წმიდანი ღმრთისა კაცნი'') ბუნებრივია, სხვა ჭეშმარიტების ჩაწერის დროსაც თვალყურს ადევნებს სულიწმიდა, რომ არ იყოს დაშვებული შეცდომები. უფრო მეტიც, ეს ჭეშმარიტებანი (საღმრთო წერილი) უფრო მეტად უნდა შთაავონებდეს კაცს ჭეშმარიტებათა შემდგომ შემეცნებას და განცდას შდრ. II ტიმ. 3,16).

ლაოდიკიის მე-60 კანონებმა, ასევე ათანასე დიდის, გრიგოლ ღმრთისმეტყველისა და ამფილოქე იკონიელის კანონებმა.[3]

საღმრთო წერილი შედგება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებისაგან. თავად „აღთქმის" ცნება კანონის შინაარსსაც შეიცავს. იგი გამოხატავს ამა თუ იმ პირის ნებას, დანაბარებს, ანდერძს (კანონს) (შდრ. გალ. 3,15... და ებრ. 9,15...)

ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო (ს) და ღმრთივსულიერი (ღს), ანუ ღმრთივშთაგონებული წიგნებია:

ძველი აღთქმის წიგნი:

1) დაბადება (ს) (ღს)
2) გამოსვლათა (ს) (ღს)
3) ლევიტელთა (ს) (ღს)
4) რიცხვთა (ს) (ღს)
5) მეორე სჯულთა (ს) (ღს)
6) იესო ნავესი (ს) (ღს)
7) მსაჯულთა (ს) (ღს)
8) რუთი (ს) (ღს)
9) მეფეთა ა (ს) (ღს)
10) მეფეთა ბ (ს) (ღს)
11) მეფეთა გ (ს) (ღს)
12) მეფეთა დ (ს) (ღს)
13) ნეშტთა ა (ს) (ღს)
14) ნეშტთა ბ (ს) (ღს)
15) ეზრა ა (ს) (ღს)
16) ეზრა ბ (ს) (ღს)
17) ნეემია (ს) (ღს)
18) ესთერი (ღს)
19) იუდითი (ღს)
20) ტობია (ღს)
21) ფსალმუნი (ს) (ღს)
22) იობი (ს) (ღს)
23) იგავთა (ს) (ღს)
24) ეკლესიასტე (ს) (ღს)
25) ქება ქებათა (ს) (ღს)
26) სიბრძნე სოლომონისა (ღს)
27) ოსია (ს) (ღს)
28) ამოსი (ს) (ღს)
29) მიქეა (ს) (ღს)
30) იოველი (ს) (ღს)
31) აბდია (ს) (ღს)
32) იონა (ს) (ღს)
33) ნაუმი (ს) (ღს)
34) აბაკუმი (ს) (ღს)
35) სოფონია (ს) (ღს)
36) ანგია (ს) (ღს)
37) ზაქარია (ს) (ღს)
38) მალაქია (ს) (ღს)
39) ესაია (ს) (ღს)
40) იერემია (ს) (ღს)
41) ბარუქი (ს) (ღს)
42) გოდება იერემიასი (ს) (ღს)
43) ეპისტოლე იერემიასი (ს) (ღს)
44) ეზეკიელი (ს) (ღს)
45) დანიელი (ს) (ღს)

ახალი აღთქმის წიგნი:

1. სახარება მათესი (ს) (ღს)
2. სახარება მარკოზისა (ს) (ღს)
3. სახარება ლუკასი (ს) (ღს)
4. სახარება იოანესი (ს) (ღს)
5. საქმე მოციქულთა (ს) (ღს)
6. რომაელთა (ს) (ღს)
7. I კორინთელთა (ს) (ღს)
8. II კორინთელთა (ს) (ღს)
9. გალატელთა (ს) (ღს)
10. ეფესელთა (ს) (ღს)
11. ფილიპელთა (ს) (ღს)
12. კოლასელთა (ს) (ღს)
13. I თესალონიკელთა (ს) (ღს)
14. II თესალონიკელთა (ს) (ღს)
15. I ტიმოთე (ს) (ღს)
16. II ტიმოთე (ს) (ღს)
17. ტიტე (ს) (ღს)
18. ფილიმონი (ს) (ღს)
19. ებრაელთა (ს) (ღს)
20. იაკობისა (ს) (ღს)
21. I პეტრესი (ს) (ღს)
22. II პეტრესი (ს) (ღს)
23. I იოანესი (ს) (ღს)
24. II იოანესი (ს) (ღს)
25. III იოანესი (ს) (ღს)
26. იუდასი (ს) (ღს)
27. გამოცხადება იოანესი (ს) (ღს)

შენიშვნა: ამ საღმრთო და ღმრთივსულიერი ანუ ღმრთივშთაგონებული წიგნების გარდა არსებობს ძველი აღთქმის ისეთი აპოკრიფებიც: სიბრძნე ისუ ზირაქისა და მაკაბელთა სამი წიგნი, რომლებიც მიჩნეულია წმინდა ანუ კრძალულებით გამორჩეულ საკითხავებად.

კანონიკური სამართლის ინტერესთა სფეროში ორ აღთქმათაგან უფრო მეტად ახალი აღთქმა გამოირჩევა. ეს არ არის მხოლოდ ისტორიული და დოგმატური წიგნი, არამედ იგი მოიცავს სამართლის ფუძემდებლურ კანონებსაც. ქრისტეს მცნებები და მისგან გამომდინარე ისეთი საკითხები, რომლებიც, როგორც ცნობილია, სიყვარულის ძირეული მცნებიდან მომდინარეობენ, შეადგენენ საწყისებს, რომლებზედაც დაფუძნდა ეკლესიის მთელი კანონიკური ტრადიცია. ასეთია მცნებები, მაგ. რომლებიც მიემართება მოციქულთა და ეპისკოპოსთა უფლება-მსახურებას, (მათე 18,18, იოანე 20,23), ნათლისღებასა და საღმრთო ევქარისტიას (მათე 28,19, მარკ. 14,22-24 და სხვ.), ქრიატიანთა ურთიერთობებს სახელმწიფოსთან (მათე 2,17-22, ლუკა 20,22-26) და ა. შ.

კანონიკური სამართალი ეყრდნობა ძველ აღთქმასაც, თუმცა მასში ასახული კანონიკური დადგენილებები ძალმოსილია მხოლოდ ახალი აღთქმისმიერი ინტერპრეტაციით და მხოლოდ იმ ოდენობით, რაც შემოწმებით შერჩეულ და განმეორებულ იქნა ეკლესიის კანონთა სახით.[4]

ამ საკითხს ნათელს ჰფენს ბასილი დიდის 87-ე კანონი. ცხადია, ძველი აღთქმის ზნეობრივი კოდექსი, როგორიცაა ღმრთისაგან მოსესა და წინასწარმეტყველთათვის გადმოცემული (მაგ. ათი მცნება), კვლავაც ძალმოსილია.

3. საღმრთო სჯული

როგორც აღვნიშნეთ, საღმრთო სჯულის კანონებად უნდა მივიჩნიოთ ისინი, რომლებიც შემუშავდა და დადასტურდა მსოფლიო კრებების ანუ საეკლესიო ერთობის მიერ. კითხვაზე, რომელია ის ძირეული კანონები, რომელიც საფუძვლად ედება კანონიკურ სამართალს, პასუხს იძლევა V-VI მსოფლიო კრების მე-2 კანონი. ეს კანონი არის გასაღები მოცემული საკითხისათვის და იგი ჩამოთვლის კანონებს, რომლებიც უნდა გაიაზრებოდეს და განიხილებოდეს მთელი ეკლესიის კანონებად; ე. ი. ის, რაც წარმოადგენს ეკლესიის კანონთა მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან კოდიფიკაციას.

---

[3] უფრო ვრცლად ამავე საკითხს დაინტერესებული პირი შეიძლება გაეცნოს წიგნიდან: Παν. Μπούμη, Οἱ κανόνες τῆς Ἐκκλησίας περί τοῦ κανόνος τῆς Ἁγ. Γραφῆς, Ἀθῆναι 1986.

[4] შდრ. Κων. Μουρατίδου, Μαθήματα κανονικοῦ Δικαίου σελ. 61 (Ἐκδ. 1964).

ამგვარი კანონები დაიყოფა სამ კატეგორიად: მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონები, ადგილობრივ საეკლესიო კრებათა კანონები და ეკლესიის მამათა კანონები.

I. მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონები

მსოფლიო საეკლესიო კრებებზე შემუშავებული კანონებია:

1) *პირველი მსოფლიო კრებისა*, რომელიც მოწვეულ იყო ბითვინიის ქალაქ ნიკეაში კონსტანტინე დიდის მიერ 325 წელს არიოზის მწვალებლობის განხილვის მიზნით. კრებამ შეიმუშავა დებულება, რომ ძე-ღმერთი მამის „ერთარსია", და განისაზღვრა ებრაული პასქის შემდგომ ქრისტიანული პასქის ზეიმით აღნიშვნა; უფრო ზუსტად, გაზაფხულის დღეღამტოლობის (ბუნიობის) შემდგომი სავსემთვარეობის პირველ დღეს. დასასრულ, კრებამ შეიმუშავა 20 კანონი.

2) *მეორე მსოფლიო კრება*, მოიწვია კონსტანტინეპოლში თეოდოსი დიდმა 381 წელს მაკედონიოსისა და მისი მომხრეების — სულიწმიდის მგმობელთა წინააღმდეგ დასაპირისპირებლად. ამ კრებამ გამოსცა 7 კანონი. მათგან აღსანიშნავია მე-3 კანონი, რომელიც რომისა და კონსტანტინეპოლის ტახტს თანაბარ უპირატესობას ანიჭებს.

3) *მესამე მსოფლიო კრება*, მოწვეულ იქნა ეფესოში 431 წელს თეოდოსი II უმცროსის მიერ ნესტორის მწვალებლური სწავლებისადმი დასაპირისპირებლად, რომლის მიხედვითაც ქალწულ მარიამს ეწოდებოდა არა „ღმრთისმშობელი", არამედ „ქრისტესმშობელი". კრებამ დაადასტურა კირილე ალექსანდრიელის 12 ანათემა ნესტორის მიმართ და გამოსცა 8 კანონი.

4) *მეოთხე მსოფლიო კრება*, შედგა 451 წელს იმპერატორ მარკიანესა და დედოფალ პულქერიას დროს ქალკედონში, დიოსკორე ალექსანდრიელისა და არქიმანდრიტ ევტიქის მიერ ქადაგებული მონოფიზიტური მწვალებლობის წინააღმდეგ. კრებამ გამოსცა 30 კანონი, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესად ითვლება 28-ე. ეს კანონიც, ისევე როგორც II მსოფლიო კრების მე-3 კანონი, წარმოაჩენს რომი-კონსტანტინეპოლის უპირატესობის თემას.[5]

მესუთე მსოფლიო კრებას, რომელიც მოწვეული იყო იუსტინიანე I-ის თაოსნობით 553, წელს არ შეუმუშავებია კანონები, არამედ განიხილა მხოლოდ დოგმატური თემები. კრებამ დაგმო ორიგენესა და ე. წ. „სამთა თავთა" ანტიოქიელთა — თეოდორე მოფსუესტიელის, თეოდორიტე კვირელისა და ივა ედესელის (სირიელის) ბოროტადმადიდებლობა.

---

[5] ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ: Παν. Μπούμη, Τά κανονικά προνόμια τῶν θρόνων Ρώμης - Κωνσταντινουπόλεως, Ἀθήναι σελ. 1983.

კანონები არ გამოუცია VI მსოფლიო კრებასაც, რომელიც მოწვეულ იქნა 680/681 წ. კონსტანტინეპოლში. იგი მიეძღვნა დოგმატურ თემებს, დაგმო მონოთელიტობა, რომელიც იყო ქრისტოლოგიურ საკითხებში უკანასკნელი მწვალებლობა. VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ განაცხადა, რომ ქრისტეს აქვს ორი ნება, მსგავსად ორი ბუნებისა, და რომ მისი კაცებრივი ნება დაქვემდებარებულია საღმრთო ნებისადმი.

5) *კონსტანტინეპოლს ტრულოსის („გუმბადს შეკრებილთა") ანუ, V-VI („პენთექტი") მსოფლიო კრება*, რომელიც მოწვეულ იქნა იუსტინიანე II-ს დროს კონსტანტინოპოლში 691 წელს ითვლება VI მსოფლიო კრების გაგრძელებლად და მოწვეული იყო V და VI მსოფლიო კრებათა კანონიკურ-საკანონმდებლო საქმიანობის აღსასრულებლად. ამიტომაც ეწოდება მას მეხუთე-მეექვსე კრება — შეიმუშავა 102 კანონი, რომელთა შორისაა ზემოთ ხსენებული მე-2 კანონიც.

6) *მეშვიდე მსოფლიო კრება* მოწვეულ იქნა ნიკეაში კონსტანტინე VI-სა და მისი დედის ირინეს დროს 787 წ. კრებამ დაგმო ხატმბრძოლობა და განსაზღვრა წმიდათა ხატთა პატივი და თაყვანისცემა. კრებამ შეიმუშავა 22 კანონი. ცხადია და ბუნებრივიც, მე-7 მსოფლიო კრების კანონებს ვერ მოიცავდა ტრულოსის („გუმბადის"), ანუ V-VI კრების მე-2 კანონი, მაგრამ ეს არც იყო აუცილებელი, რადგან აღნიშნულ საეკლესიო კრებას, როგორც მსოფლიო კრებას, ენიჭება აბსოლუტური ძალმოსილება. ამ კრებამ დაარქვა „წმიდა" და „საღმრთო" ტრულოსის 691 წლის V-VI მსოფლიო კრების მიერ შემუშავებულ კანონებს და ამასთანავე თანადროულად არაუშუალო გზით აღიარა და განაცხადა ამ საეკლესიო კრების მსოფლიო ავტორიტეტი.

II. ადგილობრივ საეკლესიო კრებათა კანონები

კანონები იმ საეკლესიო კრებებისა, რომლებმაც შეიძინა მსოფლიო ავტორიტეტი, V-VI მსოფლიო კრების მე-2 კანონის საფუძველზე შემდეგია:

1) 85 კანონი, გადმოცემული *„სახელითა წმიდათა და სახელოვანთა მოციქულთა"* და V-VI მსოფლიო კრების მე-2 კანონი წარმოადგენენ ეკლესიის მომდევნო ხანის კანონთა საფუძვლებს.

შენიშვნა: „სახელითა... მოციქულთა" წინადადების გამო, მონაზონ ლავრენტი ვალადან მოყოლებული, ბევრს მიაჩნია, რომ ეს კანონები არ არის მოციქულთა მიერ შემუშავებულნი. მაგრამ ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ აღნიშნული კანონები მართლაც წარმოადგენენ მოციქულთა სიტყვიერ სწავლებასა და დარიგებას; იმას რაც შემდგომ ჩაწერილ იქნა მოციქულთა მოწაფეებისა და მემკვიდრეების მიერ.

ამრიგად, აღნიშნული დებულების გათვალისწინებით, V-VI მსოფლიო კრების მე-2 კანონის ფორმულირება „სახელითა... მოციქულთა" შეიძლება კიდეც ბუნდოვანი იყოს. ანუ, საჭიროებს გაცხადებულ ან გათვალისწინებულ იქნას შემდეგი: თუკი დავუშვებთ რომ 85 კანონიდან რომელიმე დაწერილია მოციქულთა მიერ, კვლავაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი, თუნდაც არა მოციქულთა მიერ დაწერილი, ძალმოსილად შერაცხულია V-VI მსოფლიო კრების მიერ. ვანიჭებთ მნიშვნელობას სიტყვას „სახელითა", რადგან კანონმა თუ განაცხადა დასტური „სამოციქულო სახელით" მოღწეულ კანონთა ძალმოსილებაზე, და განაცხადა ასევე, რომ ზოგი მათგანი შეიძლება არ იყოს მოციქულებრივი, მაშინ წყვეტს მოქმედ ძალას V-VI მსოფლიო კრებისმიერი დასტური. შესაბამისად, V-VI მსოფლიო კრების მე-2 კანონი თავისი ამ სიტყვიერი ფორმულირებით უნდა მოიცავდეს და დაცვით თავმდებლობდეს ყველა მოციქულებრივი კანონის ძალმოსილებას ნებისმიერი შემთხვევისათვის.

2) კართაგენის საეკლესიო კრება შედგა კვიპრიანეს დროს 251 წელს და შეიმუშავა ერთი კანონი.

3) გალატიას ანკვირიის (ანკჷრიის) საეკლესიო კრება – 314 წელს, შეიმუშავა 25 კანონი.

4) კაპადოკიის ნეოკესარიის საეკლესიო კრება შედგა 314 წელს და 325 წლებს შორის, შეიმუშავა 15 კანონი.

5) პაფლაგონიის ღანღრის საეკლესიო კრება შედგა დაახლოებით 340 წელს, შეიმუშავა 21 კანონი.

6) სირიის ანტიოქიის საეკლესიო კრება – 341 წელს, შეიმუშავა 25 კანონი.

7) სარდიკიის (დღეს – ბულგარეთის სოფია) საეკლესიო კრება შედგა, სავარაუდოდ, 343 წელს და შეიმუშავა 21 კანონი.

8) ფრიგიის ლაოდიკიის საეკლესიო კრება შედგა დაახლ. 343 და 381 წლებს შორის და შეიმუშავა 60 კანონი.

9) კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრება შედგა 394 წელს პატრიარქ ნექტარიოსის დროს და შეიმუშავა მხოლოდ ერთი დადგენილება, რომელიც კანონად განიხილება.

10) კართაგენის საეკლესიო კრება, შედგა 419 წელს, მან შეიმუშავა 12 ახალი კანონი და, ამასთანავე, გააერთიანა აფრიკაში მოწვეული წინა საეკლესიო კრებების 121 კანონი. ამგვარად, ამ საეკლესიო კრების კანონთა რაოდენობამ მიაღწია 133-ს. თუმცა მათი რიცხვი მერყეობს სხვადასხვა გამოცემებში. ეს კი საჭიროებს, რომ კანონთა უმეტესობა დაიყოს ორ ან სამ განყოფილებად.

III. ეკლესიის მამათა კანონები

V-VI მსოფლიო კრების მე-2 კანონი მოიხსენებს ეკლესიის მამათა კანონებსაც. ამ კანონებს, რაკი ისინი დამტკიცებულია აღნიშნული მსოფლიო კრების მიერ, მინიჭებული აქვთ მსოფლიო ძალმოსილება და ავტორიტეტულ ნი არიან მთელი ეკლესიისათვის. წმ. მამათა ეს კანონები თავიდან არ დაწერილან კანონებისა თუ განკარგულებების სახით, არამედ ჰქონდათ ეპისტოლეთა ან თხზულებათა სახე. მომდევნო ხანებში, რამდენადაც ისინი დამტკიცდა V-VI მსოფლიო კრების მიერ, აღნიშნულ წერილთა ფრაგმენტები კანონთა სახით იქნა გამოყოფილი.

ეკლესიის მამათა ეს კანონებია:

1) დიონისე ალექსანდრიელის († 264/265) 4 კანონი მომდინარეობს პენტაპოლისის ეპისკოპოს ბასილიდესადმი დიონისეს ეპისტოლიდან.

2) გრიგოლ ნეოკესარიელის საკვირველთმოქმედისა († 270), მისი ერთი ეპისტოლიდან შემუშავდა 11 კანონი.

3) წმ. პეტრე ალექსანდრიელისა († 311), მისი ორი სწავლებიდან ამოღებულია 15 კანონი.

4) ათანასე დიდისა († 373) მისი ვრცელი წერილობითი მემკვიდრეობიდან ამოღებულია 3 ეპისტოლე, რომელთაც აქვთ კანონიკური ავტორიტეტი.

5) ბასილი დიდის († 379), 92 კანონი, რომელიც მომდინარეობს მისი სხვადასხვა თხზულებიდან, დიდად მნიშვნელოვანია კანონიკური სამართლისათვის.

6) ტიმოთე ალექსანდრიელისა († 385) რომელიც იყო ალექსანდრიის პატრიარქის პეტრეს ძმა. სხვადასხვა შეკითხვაზე მისმა 18-მა პასუხმა შეიძინა კანონიკური ავტორიტეტი.

7) გრიგოლ ნაზიანზელისა ანუ ღმრთისმეტყველისა († 389). მისი ერთი პოემიდან ამოღებულ იქნა 34 მუხლი, რომელთაც შეიძინეს კანონიკური ავტორიტეტი, ისინი დამოწმებულია საღმრთო წერილის კანონიკურ წიგნებში.

8) ამფილოქე იკონიელისა († 395). მისი ერთი თხზულებიდან 69 მუხლმა შეიძინა კანონის ძალა, ისინი დამოწმებულია საღმრთო წერილის კანონში.

9) გრიგოლ ნოსელის († 395), იგი იყო ბასილი დიდის ძმა. მისი ერთი წერილი დაიყო 8 კანონად და შეიძინა კანონიკური ავტორიტეტი.

10) თეოფილე ალექსანდრიელისა († 412). მისი სხვადასხვა თხზულებიდან ამოკრებილია 14 კანონი.

11) კირილე ალექსანდრიელისა († 444). მისი ორი ეპისტოლედან, რომლებმაც შეიძინეს კანონიკური ავტორიტეტი, ამოკრებილია 15 კანონი.

12) გენადი კონსტანტინეპოლელისა † 471). მისი ერთი მრგვლივ-მოსავლელი ეპისტოლე (ცირკულარი) დამტკიცებულ იქნა V-VI მსოფლიო კრებაზე, იგი შეტანილია ყველა კანონიკურ კრებულში.

4. კანონიკური სამართლის მეორადი წყაროები

V-VI მსოფლიო კრების მიერ დადასტურებულ ზემოხსენებული კანონების გარდა არსებობს სხვა კანონებიც, რომლებიც შემუშავდა ადგილობრივ საეკლესიო კრებებზე და ეკლესიის მამების წრეში. მაგრამ ამ კანონებს, რაკი ისინი აღარ ყოფილან დადასტურებულნი V-VI მსოფლიო კრების მიერ, ვერ ექნებათ ისეთივე ავტორიტეტი, როგორც მათ წინამორბედ კანონებს, ყოველ შემთხვევაში მანამდე, სანამ მათ ესა თუ ის მსოფლიო კრება არ დაამტკიცებს. მაგრამ რაკი მათ უჭირავთ ადგილი ეკლესიის კანონთა კრებულებს შორის წინამორბედ კანონებთან პარალელურად და ვრცლად გამოიყენებიან საეკლესიო პრაქტიკაში, მათაც აქვთ მოხვეჭილი გარკვეული ზოგადი სახის ავტორიტეტი ეკლესიაში.

ეს კანონები, სანამ ისინი არ მოიპოვებენ მსოფლიო ავტორიტეტს, ძალმოსილნი არიან და გამოიყენებიან, როგორც კანონიკური სამართლის მეორადი და დამხმარე წყარო; მათი შემწეობით შეიძლება ვიხელმძღვანელოთ კანონიკური სამართლის ძირითადი წყაროების გაგების, განმარტებისა თუ საქმეში გამოყენებისათვის.

I. ადგილობრივი საეკლესიო კრებების ის კანონები, რომელთაც აქვთ მსოფლიო ავტორიტეტი, მაგრამ ასახავენ, ძირითადად, ადგილობრივი ხასიათის პრობლემატიკას და ინტერესების სფეროს:

ა) კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრება, რომელიც შედგა 861 წელს წმიდათა მოციქულთა ტაძარში. ამ საეკლესიო კრებას ეწოდა ასევე „ორგზისი", (ბერძ. „პროტოდევტერა" – პირველ-მეორე), ვინაიდან, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იგი ორჯერ შედგა; ზოგიერთთა აზრით კი იმიტომ, რომ პირველი სხდომა უშედეგოდ დასრულდა და საჭირო გახდა მოწვეულიყო მეორე. ამ კრებამ შეიმუშავა 17 კანონი.

ბ) კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრება, რომელიც შედგა აია-სოფიას ტაძარში 879 წელს, შეიმუშავა 3 კანონი.

II. ასეთივეა ეკლესიის მამათა კანონები, რომლებსაც მოიცავს მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალი კანონიკური კრებული და მათ აქვთ შეძენილი გარკვეული სახის ზოგადი ავტორიტეტი. ესენია:

1) ბასილი დიდისა († 379), ნაწილი ეპისტოლედან „ნიკოპოლელებისადმი" და ერთი ნაწილი „მშობლიური კესარიისადმი" ეპისტოლე და კიდევ ერთიც

– მისივე მცნება მღვდლისადმი „საღმრთო მადლისათვის“ – წარმოადგენენ კანონიკურ დადგენილებებს.

2) იოანე ოქროპირისა († 407). მისი თხზულებებიდან გამოკრებილია 3 კანონიკური თავი.

3) იოანე მმარხველისა, კონსტანტინოპოლის პატრიარქისა († 595); მისი ე. წ. „კანონიკონი“ დაყოფილია სხვადასხვა კანონებად.

4) ანასტასი სინელისა (მე-7 ს-ის II ნახევარი) – პასუხი „საღმრთო ზიარებისათვის“.

5) ტარასი კონსტანტინოპოლელისა (მე-8 ს-ის II ნახევარი) – ეპისტოლე სიმონიისათვის.

6) ნიკიფორე აღმსარებელისა († 818); მისი სახელით მოღწეულია სულ 54 კანონი, რომელთაც ერთვის 17 კითხვა-პასუხი.

7) ნიკოლოზ კონსტანტინოპოლელის († 1111), ე. წ. „გრამატიკოსისა“; მის სახელს კანონიკურ კრებულებში უკავშირდება 11 კითხვა-პასუხი.

გ) ზემოხსენებულის გარდა ადგილობრივ საეკლესიო კრებათა, ეკლესიის მამათა და პატრიარქთაგან შემორჩენილია დიდი რაოდენობით კანონიკური მრგვლივმოსავლელი ეპისტოლე (ცირკულარები, ენკიკლიკები). გარდა ამისა, ბევრმა ცნობილმა კანონის მცოდნემ გამოაქვეყნა რჩევები და პასუხები, სხვადასხვა საკითხებისა და უამრავი შეკითხვისათვის. ყოველივე ეს ფასდაუდებელ სამსახურს უწევს კანონიკურ სამართალს.

დ) ზემოხსენებულის გარდა არსებობს უამრავი სახელმწიფო კანონი, რომლებიც მიემართებიან საკუთრივ ეკლესიის საკითხებს ან ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობებს, რომლებიც შემუშავდა ეკლესიის სიტყვიერი თუ დუმილით თანხმობის შედეგად. ეს კანონები თუ კანონთა კრებულები ბიზანტიის თვითმპყრობელთა ხანიდან მომდინარეობს. ესენია:

I) თეოდოსის კოდექსი (Codex Theodosianus), რომელიც შედგენილ იქნა იმპერატორ თეოდოსის II-ისა და ვალენტინიანე III-ის დროს (438 წ.).

II) იუსტინიანეს კანონმდებლობა, იუსტინიანე დიდის (527-565) ხანისა. ამ კრებულს შეადგენს: 1. Codex Justinianus (Constitutionum), 2. პანდექტები ანუ „დიგესტონი“ (Digesta), 3. მოხსენებები (Institutiones) და 4. „ახალი დადგენილებები“ (Novellae Constitutiones).

III) „კრებული“ იმპერატორ ლეონ III-ისა (717-741), გამოქვეყნებული 726 წელს.

IV) „ხელმისაწვდომი კანონი“, რომელიც გამოაქვეყნა ბასილი I მაკედონელმა 878 წ. და ამავე იმპერატორის „მითითება“, რომელიც საბოლოო სახით არ წარმოადგენს კანონს, არამედ – კანონპროექტს.

V) „ბასილიკონი“ ლეონ VI ფილოსოფოსისა (ბრძენისა) (886-912) – დიდი კოდიფიცირებული ნაშრომი.

VI) „ახალი დადგენილებები“ (ნოველები) იუსტინიანეს შემდგომი იმპერატორებისა. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ირაკლი (ჰერაკლე) კეისრისა.

VII) „ახალი დადგენილებები“ (ნოველები) სხვა, უფრო გვიანი ხანის იმპერატორებისა (მაგ. ალექსი I-ისა – 1081-1118, მანუელ II – 1143-1180 და სხვა).

5. საეკლესიო წეს-ჩვეულებები

კანონიკური სამართლის მეორადი წყარო არის, აგრეთვე, საეკლესიო ადათი. იგი გარკვეული ჩვევაა, რომელიც ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა ეკლესიის სავსების მიერ დიდი ხნისა და ერთგვაროვანი გამოყენების პრაქტიკით. იმისათვის, რომ ადათი გახდეს კანონიკური სამართლის წყარო, იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მართლმადიდებელი სარწმუნოების დოგმას, კათოლიკე მოძღვრებას, საღმრთო წერილსა და ეკლესიის წმიდა კანონებს. ბასილი დიდის 87-ე კანონი ითვალისწინებს, რომ ადათი ესაა კანონის პოტენცია (შესაძლებლობა, უნარი), წმიდათა კაცთაგან დაწესებული სახით ჩვენთვის გადმოცემული. ბიზანტიურ კანონთა მეცნიერი ბალსამონი აღნიშნავს, რომ ხანგრძლივი დროის ადათად გარდაქმნილი პრაქტიკა კანონად მაშინ მკვიდრდება და ხდება ძალმოსილი, როცა ის სამსჯავროს წინაშე გამოიცდება და აღიარებული ხდება და, უპირველეს ყოვლისა, – როცა მას არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო თუ საეკლესიო კანონები და მათი მეშვეობით არ ირღვევა ისინი. „მაშინ სჯაბნის კანონს სასამართლო წესით ყოვლად გამოცდილი ჩვევა, როცა მისი მეშვეობით არ ირღვევა სამოქალაქო სჯული და საეკლესიო კანონები“.[6]

ცხადია, ამა თუ იმ კანონის ავტორიტეტი აღემატება ამა თუ იმ ადათის ავტორიტეტს. ამასთანავე, ადათისა და მსოფლიო კრებისმიერ დადასტურებული კანონის ურთიერთდაპირისპირების (კოლიზიის) შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება კანონს. ცხადია, ვერაფერს ვიტყვით ცუდ და მავნე ჩვევებზე, რომლებიც „ძირიანად აღმოსაფხვრელია“ (სარდიკიის 1-ლი კან.)

კეთილი ჩვევები დიდი პრაქტიკული მნიშვნელობით გამოირჩევიან იმ „ვაკუუმის“ შესავსებად, რაც საერთო საეკლესიო კანონმდებლობაში იჩენს ხოლმე თავს. სერბი კანონის მცოდნე ნიკოდიმოს მილაში თავის თხზულებაში „საეკლესიო სამართალი“ – წერს: „მრავალი ჩვევა, რომელიც კანონმდებლის მიერ ამა თუ იმ მიზეზით არ შემუშავდა კანონად, გამოცალკევდა და დაფუძნდა ეკლესიაში იმ ჩვევის წყალობით, რომელიც მრავალგზისი ხანგრძლივი გამოყენებით აღზევდა კანონის პარალელურად საეკლესიო სამართლის წყაროდ“.[7]

---

[6] Ράλλη - Ποτλή, τόμ. Δ΄, σελ. 539.

[7] გვ. 63. ბერძნულ თარგმანში Νικόδημος Μίλας „Τό ἐκκλησιαστικόν δίκαιον...“

აქვე შეიძლება დავძინოთ, რომ საეკლესიო ადათი, ანუ სხვაგვარად — საეკლესიო პრაქტიკა, ხშირ შემთხვევაში არის წმიდა კანონთა საუკეთესო კომენტარი.

6. კანონიკური სამართლის კრებულები

იმ უდიდესი მნიშვნელობის გამო, რომელიც ენიჭება წმიდა კანონებს ეკლესიის სხეულის მართებული მსახურებისათვის, წარმოჩინდება საგანგებო აუცილებლობა ყოველი მათგანის ერთ კრებულად გამთლიანებისა. ასე გაჩნდა სხვადასხვა კრებულები, რომელთაც მიენიჭათ სახელწოდება „ნომოკანონი" (სამოქალაქო და საეკლესიო კანონის ერთობლიობა); ეს იმიტომ, რომ საეკლესიო კანონებთან ერთად მასში თავმოყრილია სახელმწიფოს კანონებიც (ბერძნ. „ნომოს"), რომლებიც გამოქვეყნდა ეკლესიის საკითხებთან დაკავშირებით.

1) პირველი ასეთი კრებული, რომელიც დღემდე შემოგვრჩა, არის „საეკლესიო კანონთა კრებული დაყოფილი 50 დასათაურებად". იგი შეადგინა იოანე სქოლასტიკოსმა (იურისტმა) მე-6 საუკუნის შუა წლებში.

2) ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გახდა „ნომოკანონი 14 მუხლი", რომელიც მიჩნეულია კონსტანტინეპოლის პატრიარქის ფოტიოს (ფოტი) დიდის თხზულებად. ეს ნომოკანონი მოიცავს ეკლესიის ყველა კანონს და ასევე ფრაგმენტულად — იუსტინიანეს კანონმდებლობის ფრაგმენტებს თეოდორე ბალსამონის სქოლიოებითურთ.

3) 1335 წელს მონაზონმა მათე ბლასტარისმა დაწერა „კონსტიტუცია ანბანურად".

4) 1345 წელს თესალონიკში კონსტანტინე არმენოპულოსმა გამოაქვეყნა კრებული, ექვსწიგნეული, რომელიც დასათაურებულია „საღმრთო და წმიდა კანონების ეპიტომე" (შემოკლებული კრებული).

5) მე-16 ს-ის II ნახევარში ჩნდება „მანუელ მალაქსოსის ნომოკანონი", რომელიც იყო თურქეთის ბატონობის ხანაში მართლმადიდებლურ ქვეყნებში ყველაზე ფართოდ გავრცელებული კანონოლოგიური თხზულება. სამწუხაროდ, ზოგიერთი მემკვიდრეობით მომდევნო ხანის გამოცემაში შემოიჭრა გვიანდელი ხანის სხვადასხვა დადგენილებები, რამაც ხელი შეუწყო აღრევას აღმოსავლეთის ეკლესიის კანონიკურ სტატუსის საკითხში.

6) არსებულ გამოცემათა შორის ყველაზე დიდი გავრცელება ჰპოვა „პიდალიონმა". კრებულის სრული სათაურია: „მესაჭეს წიგნი, ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ხომალდისათვის, ანუ ყოველნი წმიდა და საღმრთო კანონები". „პიდალიონი" შეადგინა 1793

წელს ორმა სწავლულმა მონაზონმა — წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელმა და მღვდელმონაზონმა აღაპიმ (ერობაში ლეონარდო ასიმაკისმა). კრებული პირველად გამოქვეყნდა ლაიფციგში 1800 წელს, მეორე გამოცემა განხორციელდა 1841 წელს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო სინოდის თანხმობით.

„პიდალიონის" დასაწყისი მოიცავს დიდ შესავალს, ხოლო შემდეგ მოცემულია კანონები. ყოველი კანონის ტექსტს თან ახლავს დაწვრილებითი განმარტება, ბევრ შემთხვევაში კი აღნიშნულია ამ კანონის მიმართება სხვა კანონებთან. გვერდების ქვედა ნაწილი დათმობილია დიდი რაოდენობით დამატებითი შენიშვნებისათვის.

7) მე-19 ს-ის შუა წლებში (1852-1859) ათენში გამოქვეყნდა ექვსტომეული „საღმრთო სჯულის კრებული" არეოპაგის თამვჯდომარის — გ. რალისის და ათენის უნივერსიტეტის პროფესორის მ. პოტლისის თაოსნობით. ეს კრებული მოიცავს მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა კანონთა ნუსხასა და კრებულს — წმიდათა მოციქულთა, მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებათა, ასევე ეკლესიის მამათა კანონებს მათი განმარტებებითურთ — ცნობილ ბიზანტიელ კანონთა მეცნიერების იოანე ზონარას, თეოდორე ბალსამონის, ალექსი არისტინოსის განმარტებებთან ერთად; კრებული ასევე მოიცავს სხვა კანონიკურ კრებულებსა და დადგენილებებს, ბიზანტიელ თვითმპყრობელთა კანონებს, კანონიკასთან დაკავშირებულ კითხვა-პასუხებს და ა. შ.

8) დამხმარე სახელმძღვანელოს წმიდათა კანონთა შესწავლისათვის წარმოადგენს ასევე კრებული, რომელიც შეადგინა ათენის უნივერსიტეტის საღმრთისმეტყველო ფაკულტეტის კანონიკური სამართლის პროფესორმა ამ. ალივიზატოსმა. ეს კრებული მისდევს კანონთა კრებულების მკაცრი სტერეოტიპულობის პრინციპს, მას არ ახლავს განმარტებები და სხვა შენიშვნები, გამონაკლისია შესავალში პატარა დაკვირვევებისა და შენიშვნების სახით წარმოდგენილი საეკლესიო კრებებისა და ეკლესიის მამების აზრები. წმიდათა კანონთა წარმოდგენის შემდეგ, მეორე ნაწილად წიგნში შეტანილია საეკლესიო კანონები.

7. სხვა აღმსარებლობათა კანონიკური სამართლის წყაროები და კრებულები

1. რომაულ-კათოლიკური ეკლესია გაყოფამდე ძირითადად კანონიკური სამართლის იმავე წყაროებით სარგებლობდა, რითაც მართლმადიდებელი ეკლესია. მაგრამ სქიზმის ანუ განხეთქილების შემდეგ საქმეთა ვითარება

შეიცვალა. რომაულ-კათოლიკური ეკლესიის კანონიკური სამართლის წყაროებად მიჩნეულია, სხვათა შორის, მისი საერთო საეკლესიო კრებების კანონები, როგორიცაა ლატერანის, ტრიდენტის, ერთ-ერთი უახლესი ვატიკანის I (1869-1870), რომელმაც სცნო პაპის უცთომელობა და სხვ. დასავლეთის ეკლესიის კანონიკური სამართლის წყაროებად მიჩნეულია პაპების მრგვლივმოსავლელი ეპისტოლეები (ცირკულარები), ასევე – ამა თუ იმ სპეციალური კომიტეტის დადგენილებები. დასასრულ, აღნიშნულ რიცხვს დაერთვის ასევე წმიდა საყდრის ვატიკანის შეთანხმებები სხვადასხვა ხელისუფლებასთან (concordata). ზემოთ ჩამოთვლილ წყაროთაგან შედგა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის კანონიკური სამართლის კრებული, რომელსაც ეწოდება Corpus juris canonici (კანონიკური სამართლის კრებული). ეს კრებული მომდევნო ხანებში (1917 წელს) კოდიფიცირებულ იქნა და დაერქვა Codex juris Canonici (კანონიკური სამართლის კოდექსი) (2414 კანონი). ვატიკანის II საეკლესიო კრების (1959-1965) შემდეგ ახლად იქნა განხილული 1917 წლის კოდექსი და მან მოიცვა 1752 კანონი (სტატია) რომელიც დაიყო 7 წიგნად (1983 წლის გამოცემა).

რომაულ-კათოლიკური ეკლესიის გამოყოფას მოჰყვა დასავლეთის ეკლესიის კანონიკური სამართლის გაამასოფლიურება (სეკულარიზაცია). ამიტომაც მას საკუთარი ეკლესიის წიაღშივე მძაფრი უკურეაქცია მოჰყვა. საგულისხმოა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მორწმუნეთა იმედი, რომ ოდესღაც რომელიმე Angelicus (ანგელოზის სადარი) პაპი „გაწმენდს" ეკლესიის კანონიკურ სამართალს მინარევებისაგან. მაშინ ადვილად განხორციელდება მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთობა.

2. იგივე ითქმის პროტესტანტთა საძმოების სამართალთან დაკავშირებით, რაკი ისიც ეყრდნობა ზემოთგანხილულ წყაროებს (საღმრთო წერილი, საეკლესიო კრებათა დადგენილებები და ა. შ.) და ასევე სახელმწიფოებრივ კანონებს, რომლებიც ამავე ქრისტიანულ საზოგადოებებს მიემართება.

თავი მესამე

საეკლესიო კანონებით ხელმძღვანელობა

(აკრიბია და იკონომია — სიზუსტე და შეწყალება)

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ ჩამოვაყალიბეთ კანონიკურ სამართლის წყაროებისა და მათი კრებულებისათვის, შეიძლება უფრო ანალიტიკური გზით განვიხილოთ „აკრიბიის" („სიზუსტის") და „იკონომიის" („შეწყალების") დადგენილ ადათთან დაკავშირებული საკითხები.

1. აკრიბია (სიზუსტე)

აკრიბია არის, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიის გავლენიანი ავტორიტეტული ტრადიციის ერთიანობა. ეს არის ოფიციალურად აღიარებული და მსოფლიო კრებათა მიერ დადასტურებული საეკლესიო ტრადიცია, რომელიც წარმოადგენს მართლაღმსარებლობისა და მართლმოქმედების, სწორი და ზუსტი რწმენისა და ცხოვრების საფუძველს. აკრიბია წარმოადგენს ასევე კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც კაცი განსჯის რწმენას და სიტყვებს, საქმესა და მოქმედებას ან ცხოვრების წესს, საკუთარსაც და სხვისასაც. თუ კაცს სურს შეძლებისდაგვარად იყოს მართლმადიდებელი, უფრო მართალი, უფრო სამართლიანი.

მრავალი აღნიშნავს, რომ აკრიბიას ეკუთვნის სხვა დანარჩენი დადგენილებანიც, საყოველთაო ანუ მრგვლივმოსავლელ ეპისტოლეებიც და ა. შ, ანუ, ზოგადად ტრადიცია, რომელიც მიმოიქცევა და ძალმოსილია ამა თუ იმ ადგილობრივი ეკლესიის ფარგლებში. მაგრამ ჩვენ ვერ მივანიჭებდით, ან ვერ მივიღებდით საერთოდ, აბსოლუტურად ამ კვალიფიკაციას, თუ არა მხოლოდ პირობითად (ფარდობითად). რადგანაც, ზემოაღნიშნულის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ჩვენ არა ვართ დარწმუნებულნი, არიან თუ არა ყველა ზემოთაღნიშნული დადგენილებები უცთომელნი, წარმოგვიდგნენ თუ არა აბსოლუტურ სიზუსტესა და სიმართლეს.

აკრიბია არის ამასთანავე ზუსტი და სარწმუნო დაცვა ეკლესიის ავტორიტეტული ტრადიციისა, მიღება, დაცვა და საქმით მიდევნება სარწმუნოების დოგმებისა და ცხოვრების წესსა და წესრიგთან დაკავშირებული კანონებისა. აკრიბიის მიზანია ეკლესიის ფარგლებში ცხოვრებისა და წესრიგის ერთიანობით დაცვა და ამის მეშვეობით მორწმუნეთა ცხოვნების მიღწევა.[1]

აქ ისმის ასევე კითხვა: ეკლესიის გავლენიანი ტრადიციის (დოგმებისა და კანონების) გარდა გვმართებს თუ არა დავიცვათ სხვადასხვა ადგილობრივი

---

[1] შდრ. Παν. Μπούμη, Ἡ συμβολή τῶν Ἱ. κανόνων εἰς τήν βεβαίαν διά τῆς Ἐκκλησίας σωτηρίαν τῶν ἀνθρώπων, Ἀθῆναι 1974, σελ. 6 ἑξ.

ეკლესიის მიერ გამოცემული დადგენილებები, მცნებები და ა. შ. და, მაშასადამე, სავალდებულოა თუ არა მათი დაცვა? თუ შეიძლება მათი უგულებელყოფა? პასუხი ასეთია: ცხადია, მათთვის, ვინც განეკუთვნება შესაბამის საეკლესიო მმართველობის უფლებამოსილებას, სავალდებულოა ზემოაღნიშნულთა დაცვა, ასევე იმიტომ, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საღმრთო წერილსა თუ მსოფლიო კრებების დადგენილებებს, ანუ ავტორიტეტულ საეკლესიო ტრადიციას. ანდა, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ ვიცით, ეწინააღმდეგებიან თუ არა ისინი გავლენიან საეკლესიო ტრადიციას. პავლე მოციქული გვაუწყებს: „დაემორჩილენით წინამძღვართა თქვენთა და ერჩდით მათ, რამეთუ იგინი იღვძებენ სულთა თქუენთათვის, ვითარცა-იგი სიტყუაჲ მისცენ" (ებრ. 13,17).

არადა, თუ ვუწყით, რომ ეს აზრები თუ დარიგებანი ეწინააღმდეგებიან ეკლესიის ტრადიციას, მაშინ გვმართებს, მიღებული წესით, კეთილად და ჯეროვანი მოწიწებით განვუმარტოთ ეკლესიას და მის სულიერ მეთაურთ, რომ ისინი ცდებიან, რომ ეწინააღმდეგებიან საეკლესიო გარდამოცემას, და შესაბამისად, რომ ვერ შევეთავსებით და ვერ გავყვებით მსგავს ადამიანურ მითითებებსა და დადგენილებებს. ამის მაგალითს გვაძლევენ მოციქულნი, როცა ამბობენ: „მორჩილებაჲ ჯერ-არს ღმრთისაჲ უფროჲს, ვიდრე კაცთაჲ" (საქმე მოც. 5,29).

მაგრამ არსებობს ერთი საგანგებო შემთხვევა, რომლის მიხედვითაც შესაბამისი საეკლესიო ორგანოების დადგენილებები, მითითებები თუ ნება, თუმცა კი არ შეესაბამება საეკლესიო ტრადიციას, ანუ აკრიბიას, ჩვენ მაინც უნდა მივდიოთ მათ, ავიტანოთ და არ განვიკითხოთ ისინი. ეს არის შემთხვევა, როდესაც გავლენიანი, ავტორიტეტული საეკლესიო დაწესებულება საეკლესიო შეწყალებით (იკონომიით) მიემართება ამა თუ იმ პირს.

მაგრამ ვიდრე მივმართავდეთ საეკლესიო შეწყალების საკითხსს, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი:

1) ვინც ასწავლის საწინააღმდეგოდ იმისა, რასაც ადგენენ ეკლესიის კანონები და ცნებები (ანუ აკრიბია), ეწევა უკიდურეს ბოროტადმადიდებლობასა და მწვალებლობას.

2) ვინც არ იცავს აკრიბიას, არამედ განდგომით გვერდს უვლის ამას, იგი ჩამდენია უკანონობისა და ცოდვისა, იქმს განდგომას.

უფრო გასაგები რომ იყოს ყოველივე ზემოთქმული, მოგვყავს შემდეგი მაგალითი: კაცი თუ ასწავლის, რომ სიცრუის თქმა არ არის ბოროტება, არ არის ცოდვა, – იგია შემცდარი, ბოროტადმადიდებელი და მწვალებელი. მაგრამ მხოლოდ საქმით თუ არ მისდევს სახარების სჯულს და იტყვის სიცრუეს, იგი სჩადის უკანონობას, ცოდავს.

2 იკონომია (შეწყალება)

ჩვენ ადრე აღვნიშნეთ, რომ აკრიბიის საბოლოო მიზანი არის ადამიანის ცხოვნება ეკლესიის მეშვეობით. მაგრამ, როდესაც მოცემული შემთხვევისთვის ამა თუ იმ კანონის პირდაპირი მიდევნებით ექმნება დაბრკოლება მიზანს, მაშინ ეკლესია ეძიებს, იქნებ აღნიშნული კანონის დროებით და ლოგიკურ საფუძველზე შეჩერებამ ხელი შეუწყოს შესაბამისი მიზნის წარმატებას. და თუ მართლაც ასე ხდება, მაშინ შეიძლება მივმართოთ დროებით შეჩერებას, რადგან მაშინაც მივდევთ სწორ გეზს, სწორხაზოვნებას (სხვა სიტყვებით — კანონს), რაც მიგვიძღვის მორწმუნის ცხოვნებისა და ღმრთის სასუფევლისაკენ. ამ შემთხვევაში მივმართავთ საეკლესიო „იკონომიის" — შეწყალების ზომას.

მაშასადამე, საეკლესიო შეწყალება (იკონომია) არის კანონთა აკრიბიიდან კომპეტენტური და ქრისტიანული პოზიციიდან — დროებითი და ლოგიკური გადახვევა (დოგმატურ ცნებათა დაურღვევლად), რაც მიმართულია ეკლესიის წიაღში და მის გარეთ არსებულ ადამიანთა ცხოვნებისათვის.[2]

წმ. ნიკოდიმოს მთაწმიდელი წერს: „ქრისტეს ეკლესიამ დაიცვა მართვისა და გამგეობის ორი სახე. ერთს ეწოდება აკრიბია, მეორეს კი — იკონომია ანუ შეწყალება, მათი მეშვეობით მართავენ სულთა ცხოვნებას სულის შემწყალებელები (სამღვდელოება) ხან ერთის, ხან მეორეს მეშვეობით".[3]

იერუსალიმის პატრიარქის დოსითეს მიხედვითაც „საეკლესიო საკითხები განიხილება ორგვარი წესით: აკრიბიითა და იკონომიით (შეწყალებით).[4]

მაგალითები: 1) ადამიანის ცხოვნებისათვის, როგორც ცნობილია, აუცილებელი წინაპირობა არის ნათლისღება, ანუ ნათლისმღებლის (ნათლის მიმღების) ნაკურთხ წყალში სამჯერ შთაფლვა და ამოყვანა კანონიერი მღვდლის ან მღვდელთმთავრის მიერ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ჩვილი კვდება უეცრად, ეკლესია მისი ცხოვნებისათვის უშვებს აკრიბიიდან გადახვევას და მიმართავს იკონომიას. ასეთ შემთხვევაში უბრალო საერო პირსაც (მამაკაცსა და დედაკაცსაც), ნება ეძლევა წმიდა სამების სახელით სამჯერ აიტაცოს მომაკვდავი ბავშვი, რათა მონათლულად ჩაითვალოს იგი (ე. ი.

---

[2] შდრ. Παν. Μπούμη, Ἡ ἐκκλησιασική "οἰκονομία" κατά τό Κανονικόν δίκαιον ('Ανάτυπο ἀπό τήν „'Εκκλησία"), 'Αθῆναι 1971, σελ. 7. შდრ. 'Α. 'Αλιβιζάτου, Ἡ οἰκονομία κατά τό Κανονικόν δίκαιον τῆς 'Ορθοδόξου 'Εκκλησίας, 'Αθῆναι 1949, σελ. 21. შდრ. 'Αρχ. Ἱερων. Κοτσώνη, Προβλήματα τῆς ἐκκλησιαστικῆς οἰκονομίας, 'Εν. 'Αθῆναις 1957, σελ. 209.

[3] "Πηδάλιον" σελ. 53.

[4] წერილი ბელგრადელი მიქაელისადმი, მაისი 1706, ნაშრომში Κ. Δελικάνι, Πατριαρχικά ἔγγραφα, 'Εν Κωνσταντινουπόλει 1905, τόμ. Γ΄, σ. 648.

ინათლება ჰაერით).[5] 2) რომ არ გაუარესდეს ამა თუ იმ ავადმყოფის მდგომარეობა, შესაძლებელია დარღვეული იქნას ოთხშაბათის და პარასკევის მარხვა ან დიდმარხვა (შდრ. მოციქულთა 69-ე კანონი).

აღნიშნულ ვითარებაში, ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში ზოგადად, ძალმოსილია V-VI მსოფლიო კრების 88-ე კანონი: „...ყოველსავე შინა უფროჲს პატივ-იცემების კაცისა ცხოვნებაჲ და უვნებელად დაშთომაჲ“

მაშასადამე, იკონომიით (შეწყალებით) წარმოებს გამონაკლისის დაშვება კანონისა და აკრიბიისაგან, მაგრამ დაცულია მისი მიზანი. რამდენადაც იკონომიით მიიღწევა ადამიანის ცხოვნება, რომელიცაა აგრეთვე, აკრიბიის მიზანიც, შეიძლება ითქვას, რომ აკრიბია და იკონომია არის ერთსა და იმავე სამრევლო მსახურებისა და ეკლესიის უფლებამოსილების ორი ასპექტი. ეკლესია, რომელიც ყველა საშუალებაზე მაღლა აყენებს მიზანს, ანუ, ადამიანთა ცხოვნებას, შეუძლია და აქვს უფლებამოსილება, თავისი განაწესისამებრ გამოიყენოს ორივე მათგანი ეკლესიის საიდუმლოთა გაუყალბებლად. აკი თავად უფალს უთქვამს: „შაბათი კაცისათჳს დაებადა, და არა თუ კაცი შაბათისათჳს“ (მარკ. 2,27). სამართალი, როგორც თავიდან აღვნიშნეთ, ყველა ასეთი შემთხვევისათვის სწორია, რაკი შეწყალებით მიიღწევა ადამიანის ცხოვნება, ანუ, სამართალი და სისწორე — ის, რაც წარმოადგენს აკრიბიის მიზანსაც; შეიძლება ითქვას, რომ აკრიბია და იკონომია არის ერთი და იმავე მონეტის ორი მხარე.

შენიშვნა: შეიძლება ამან წარმოშვას კითხვა: „იქნებ მიზანი წმიდა ჰყოფს საშუალებას?“ და შეიძლება თუ არა ეს პრინციპად დავისახოთ? როცა სასიკეთოა შედეგები, შეიძლება მივმართოთ ნებისმიერ საშუალებას?

პასუხი იქნება ასეთი: 1) შეწყალება (იკონომია) არ არის „საშუალება“, არამედ არის ცხოვნების საზომი ადათი, რომელიც მიმოიქცევა და მოქმედებს განსაზღვრულ პრინციპებსა და განსაკუთრებით — სახარებისეულ, კანონიკურ და ლოგიკურ პრინციპებს შორის. ამის თაობაზე ქვემოთაც ვიმსჯელებთ. 2) ზოგადად, შეიძლება შევნიშნოთ, რომ შეწყალებისათვის ჩვენ არ მივმართავთ უკანონო და ცოდვილ საშუალებებს. ეს გამორიცხულია. უბრალოდ, შეჩერებულია სხვადასხვა ზომა, ანუ კანონი, განსაზღვრული წინაპირობებითა და პრინციპებით.

---

[5] იგულისხმება საბერძნეთის ეკლესიაში შემუშავებული ტრადიცია, რომელიც სულის ცხოვნების მისაღწევად ნებისმიერი გზით, მიზნად ისახავს იკონომიის ამგვარ, ჩვენთვის უჩვეულო სახეს; ყველანაირ ხერხს მიმართავს მოუნათლავი, რომ არ მოკვდეს ადამიანი... მიუხედავად ჩვენთვის ფრიად უცნაური ამ წესისა, იმისათვის, რომ საბერძნეთის ეკლესიის ტრადიციაც ვიცოდეთ, საჭიროდ ჩავთვალეთ, არ ამოგველო ტექსტიდან ეს მაგალითი, (მთარგმნელის შენიშვნა).

3 იკონომიის (შეწყალების) მინიჭების ორგანო

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილის საფუძველზე გზიდან გადახვევად და უკანონობად ვერ გამოვაცხადებთ იმას, რაც იქმნება იკონომიის შესაბამისად. უფრო მეტიც, იკონომია არ არის გადახვევა, რადგან აკრიბიის არდაცვა, ანუ, უმალ შეწყალებისადმი მიმართვა არ წარმოებს თვითნებურად, ამა თუ იმ ინტერესიდან გამომდინარე, არამედ იგი ხორციელდება შესაბამისი კომპეტენტური საეკლესიო ორგანოს დადგენილებისა და ნებართვის საფუძველზე.

მაგრამ რომელია ეს კომპეტენტური საეკლესიო ორგანო?

უპირველეს ყოვლისა, კვლავაც უნდა დავძინოთ, რომ შეუძლებელია იგივე მოეთხოვებოდეს მას, ვინც იძულებულია მიანიჭოს იკონომია (შეწყალება), და მას, ვინც ეძიებს იკონომიას ნებისმიერ საეკლესიო საფეხურზე.

ამასთანავე, გვმართებს დავაზუსტოთ, რომ ეკლესიის კანონებით არაა გარკვევით განსაზღვრული, თუ რომელია კომპეტენტური, პასუხისმგებლობით აღჭურვილი საეკლესიო ორგანო ცალკეული შემთხვევისათვის. მაგრამ ყოველთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი იგივეობრივია იმისა, რომელიც კანონმდებლობს ან ზედამხედველობს აკრიბიის დაცვას, იგი არის, ვისაც აქვს ასევე უფლებამოსილება „შეკვრისა და გახსნისა". ეს უფლებამოსილება, როგორც ცნობილია, უფალმა თავიდანვე მიანიჭა თავის მოწაფეებსა და მოციქულთ. შდრ. მათე 16,19 და 18,18. შდრ. ასევე პავლე მოციქული: „ესრეთ შემრაცხენინ ჩუენ კაცმან, ვითარცა მსახურნი ქრისტესნი და მნენი საიდუმლოთა ღმრთისათანი" (I კორ. 4,1). შესაბამისად, უფლებამოსილება გადმოვიდა მოციქულების მემკვიდრეებზე – ეპისკოპოსებზე.

ამგვარად, „პირველ საფეხურზე ეპისკოპოსი არის ის, ვისაც აქვს იკონომიისადმი (შეწყალიბესიდმი) მიმართვის უფლება".[6]

ანკვირიის მე-5 კანონი ამბობს: „ხოლო ეპისკოპოსთა ჴელმწიფებაჲ აქუს, რაჲთა სახე მოქცევისა მათისაჲ განიცადონ და ანუ კაცთმოყუარებით შეუმოკლონ, ანუ განუვრცელონ ჟამი უზიარებლობისაჲ". ცხადია, ეპისკოპოსის წარმომადგენლები (მაგ. საბერძნეთის ეკლესიაში – პროტოსინკელოსი, სამღვდელმთავრო ზედამხედველები), რადგან მათ აქვთ ეპისკოპოსისაგან მონიჭებული შესაბამისი უფლებამოსილება, შეუძლიათ იყვნენ შეწყალების (იკონომიის) მინიჭების ორგანოს წარმომადგენლები. მაშასადამე, გვაქვს მემკვიდრეობითი, თანამიმდევრობითი უფლებამოსილება უფრო დაბალი საეკლესიო ორგანოებისა იკონომიის (შეწყალების) მინიჭებისთვის.

მაგრამ გასაგებია, რომ ორგანო, რომელიც ყველა შემთხვევაში ანიჭებს შეწყალებას (იკონომიას), უნდა იყოს იკონომიის მაძიებელზე აღმატებული.

---

[6] Ἀ. Ἀλιβιζάτου, Ἡ Οἰκονομία, σελ. 68.

ასე, მორწმუნეთა და სასულიერო პირებთან (მღვდელი, დიაკონი და ა.შ.) იკონომიას მიმართავს ეპისკოპოსი. ეპისკოპოსთან იკონომიას მიმართავს წმიდა სინოდი და ა. შ. ანუ, შეწყალება (იკონომია) წარმოებს უთუოდ იერარქიულად, სხვა მხრივ იქმნება დარღვევა, წინააღმდეგობა.[7] საბოლოოდ, შეწყალებისათვის უფლებამოსილება „მოქცეულია ფარგლებში უფრო დაბალიდან — უფრო მაღალზე, ვიდრე მსოფლიო კრებამდე".[8] ამ უკანასკნელიდან გასაგები ხდება ეკლესიის მთელი სავსების, ყველა მისი წევრის კომპეტენცია, „რადგანაც საეკლესიო კრებათა ერთიან — კათოლიკე დადგენილებების მინიჭებისთვის აქტიური წევრობა აკისრია ეკლესიის სავსებას"[9] და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკლესიის წიაღში განსხვავებული აღმსარებლობის პირთა ჯგუფურ მიღებას და სხვ.[10] ამიტომაც აღნიშნავს ბასილი დიდი: „ეკლესიის საქმეებთან დაკავშირებით შეწყალება წარმოებს მფარველობისადმი ნდობით აღჭურვილთაგან, ხოლო დასტურდება იგი ერის მიერ".[11]

აქ ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით შენიშვნას იმის თაობაზე, რომ საერო პირებს, როგორ მაღალ თანამდებობასაც არ უნდა იკავებდნენ ისინი, არ შეუძლიათ მიმართონ იკონომიას (შეწყალებას). (მაგ. მეფე, რესპუბლიკის ან მთავრობის პრეზიდენტი და ა. შ.).[12]

ცხადია, რომ ყველაფერი, ნამდვილ იკონომიასთან დაკავშირებული, აღსრულდება სულიწმიდით „საღმრთო მადლისამებრ". ამას აცხადებს მოციქულთა მე-80 კანონი, რომელიც თავდაპირველად წინასწარ ადგენს, რომ არ შეიძლება ახლად ნათელღებული ქრისტიანენი მაშინვე გახდნენ სასულიერო პირები, შემდეგ კი კანონი დასძენს: „არა თუ სადმე საღმრთოესა მიერ იქმნეს ესე". მაშასადამე, გასათვალისწინებელია, რომ საეკლესიო იკონომიისადმი მიმართვა ესაა ღმრთიური იკონომიის გაგრძელება, მისი იმიტაცია, მიბაძვა. ანუ მიბაძვა საღმრთო კაცთმოყვარეობისა, განკაცებისა. თავად ღმერთმა „წამოაცალიერა თავი თჳსი", „მოდრიკა ზეცა და გარდამოხდა" ღმერთი ხსნად კაცთა მოდგმისა. ხოლო თავად განკაცებულმა სრულმა იესო ქრისტემ დაგვიტოვა ანდერძი მიბაძვისათვის: „იყვენით თქუენ მოწყალე, ვითარცა მამაჲ თქუენი მოწყალე არს" (ლუკა 6,36).

---

[7] 'Α. 'Αλιβιζάτου, 'Η Οἰκονομία, σελ. 68.

[8] დასახ ნაშრომი.

[9] 'Ιερωνύμου Κοτσώνη, Προβλήματα 'Εκκλ. Οἰκον., σελ. 134.

[10] როგორც ცნობილია, ეკლესიის კათოლოკე — ერთიანი ცნობიერება წარმოადგენს არსებით ელემენტს ეკლესიის სინოდური ხასიათისათვის.

[11] ΣΛ΄. ἐπιστ., P G 32,860.

[12] შდრ. Παν. Μπούμη, 'Η περί τοῦ ἀσυμβιβάστου ἱερατικῆς καί κοσμικῆς ἐξουσίας ὁμοφωνία τῶν ἱ. κανόνων 'Αθῆναι 1971, σελ. 11.

4. იკონომიის (შეწყალების) პრინციპები.

ის, რომ იკონომია არის საღმრთო შეწყალების გაგრძელება და სიყვარულის შესახებ ქრისტეს მიერი მცნების ანდერძის შედეგი, და რომ იგი კანონიკური წესრიგის დარღვევით არ არის განპირობებული, ჩანს ასევე გარკვეული პრინციპებიდანაც, რომლებსაც უნდა მივდევდეთ იკონომიით ხელმძღვანელობის დროს. ეს პრინციპებია:

1) საეკლესიო იკონომია არის და უნდა იყოს გამოხატულება სიყვარულის სულისკვეთებისა, რომელსაც მისდევს ეკლესია, ასევე — სათნოებებისა, რომლებიც ამ სულისკვეთებიდან მომდინარეობენ, ანუ ადამიანური სისუსტისადმი თანაგრძნობის, შემწყნარებლობისა და მოთმინებისა. სხვა ყოველგვარი ამოსავალი თუ მიზანშეწონილი, ან სარგებლის მოხვეჭისკენ მიმართული ნებისმიერი კრიტერიუმი არ იმსახურებს მოწონებას, ისევე როგორც იკონომია დაუშვებელია დაინტერესებული პირის მხრიდან მუქარის ან ძალის გამოყენების შედეგად.

2) გათვალისწინებულ უნდა იქნას მორწმუნის გაძლიერება სამოღვაწეო ასპარეზზე, მისი დაყენება სწორ გეზზე, წესრიგისა და აკრიბიის გზაზე. გვმართებს თანაგრძნობა, რათა კვლავაც აღვმართოს და აღზევდეს მორწმუნე; შემწეობა, რათა მან კვლავაც იაროს სრულყოფისა და ცხოვნებისაკენ.

3) კანონის აკრიბიისაგან გამონაკლისის დაშვება ხდება დროებით, შედარებით მცირე ან დიდი დროის შუალედში, შემთხვევისდა შესაბამისად.

***შენიშვნა* 1:** აქვე გვმართებს, შევნიშნოთ, რომ იკონომიისათვის მიმართვის და მისი ხანგრძლივობის ვადასთან დაკავშირებით არ არსებობს რაიმე მყარი ცნება, არც რამ მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობა, რადგან, პრინციპულად რომ ვიმსჯელოთ, დროის, ვადის ცნება ფრიად პირობითია. შდრ. მოციქული პეტრეს სიტყვები (II პეტ. 3,8); „ერთიმცა ესე ნუ დაგავიწყდების, საყუარელ ნო, რამეთუ ერთი დღე უფლისა მიერ ვითარცა ათასი წელი და ათასი წელი, ვითარცა ერთი დღე". შდრ. აგრეთვე ფსალ. 89,4 — „რამეთუ ათასი წელი წინაშე თუალთა შენთა". სხვათა შორის, უნდა შევნიშნოთ ასევე, რომ საეკლესიო იკონომიის მოქმედების ხანგრძლივობის პერიოდები სხვადასხვა შეიძლება იყოს შემთხვევებისა და ვითარებებისდა მიხედვით. შდრ. თეოდორე სტუდიელი: „იკონომია კი — ზოგი მცირედი რაიმე დროით დაუდგენიათ ეკლესიის მამებს, ზოგიც გრძელვადიანია".[13]

***შენიშვნა* 2:** იკონომიის დროებითი ხასიათი ჩანს იქიდანაც, რომ არ არსებობს დებულება კანონიკური წესრიგისა და აკრიბიის გაუქმებისთვის.

---

[13] Θεοδώρου Στουδίτου, Ἐπιστολή Μθ΄, Ναυκρατίῳ τέκνῳ, PG 99,1085D. შდრ. Ἱερ. Κοτσώνη, Πρβλημ. Ἐκκλησ. Οἰκον... σελ. 147 ἐξ.

დროებით ეს იკონომია ვერ შეენაცვლება კანონიკურ აკრიბიას, ე. ი. იგი ვერ იქნება კანონი, ანუ — იკონომიისადმი სამომავლოდ მიმართვისათვის ნიმუში.

4) საეკლესიო შეწყალება ანუ იკონომია ხორციელდება უდიდესი წინდახედულებითა და შეგნებით. თეოდორე სტუდიელი აღნიშნავს, რომ საეკლესიო ორგანო მიმართავს იკონომიას „დროულად და ჯეროვნად".[14]

იკონომიას მიმართავენ იმისათვის, რომ არ წარმოჩინდეს სულისათვის საზიანო რამ ან შეურაცხმყოფელი ნაცვლად სარგებელისა, როგორც იკონომიის მაძიებლის, ისე ეკლესიის სავსებისათვის; ე. ი. იმ პირისათვის, რომელიც მიმართავს იკონომიას, ანუ საეკლესიო ორგანოსათვის, მუდამ გასათვალისწინებელია, რომ არ იყოს საეკლესიო სავსებისათვის შეურაცხმყოფელი და არ ავნოს მას იკონომიამ სარგებლობაზე უფრო მეტად; ან იკონომიით განპირობებული მოთმენის ცუდმა მაგალითმა — რაიმე პრეცედენტმა — არ შეცვალოს კანონი, და, შესაბამისად, არ გახდეს კანონიკური წესრიგისა და აკრიბიის საფუძველთა შერყევისა და ხელყოფის მიზეზი.

5) იკონომიისადმი მიმართვის კრიტერიუმი იმ კანონების დარღვევის შემთხვევაში, რომლებიც ხელყოფენ ეკლესიის ერთიანობას [როგორიცაა, მწვალებლობა (ერესი), განდგომა (სქიზმა), ფრაქციული დაჯგუფებები, გარე კიდეშეკრებილობანი და ა. შ.], არის ასევე კომბინაციაც შემთხვევებისა, როცა ამა თუ იმ დაჯგუფებას, საზოგადოებას და ეკლესიასაც გულწრფელად ნებავს, რომ ეს დაჯგუფება დაუბრუნდეს კათოლიკე ეკლესიას. ამგვარად განიმარტება აღნიშნული შემთხვევები, რადგან ეკლესიის მოქმედება განსხვავებული სარწმუნოების წარმომადგენელთა მიღებასა თუ არმიღებასთან დაკავშირებით ზოგჯერ შედარებით შერბილებულია, ზოგჯერ კი უფრო მკაცრი.

6) პასუხისმგებელმა საეკლესიო ორგანომ უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირთა რაოდენობაც. რაც უფრო მეტია საეკლესიო იკონომიის მაძიებელთა რაოდენობა, მით უფრო ადვილი და დიდია საეკლესიო ორგანოს შეწყნარებაც (ანალოგიის პრინციპი). შდრ. ბასილი დიდის 1-ლი კანონი: „ხოლო ვინაჲთგან რაჲთურთით ჯერ-უჩნდა ასიელთაგანთა ვიეთმე მრავალთა შეწყნარებულ-ყოფაჲ ნათლისღებისა მათისაჲ, იყავნ შეწყნარებულ..." შდრ. აგრეთვე V-VI მსოფლიო კრების მე-3 კანონიც. ასევე დღესაც, განსხვავებული აღმსარებლობის ერთი წარმომადგენელიც თუ ისურვებს გახდეს მართლმადიდებელი, შესაძლებელია მასზე უფრო მცირე შეწყალება იქნას დაშვებული, ან — საერთოდაც არ იქნას დაშვებული შეწყალება. მაგრამ მართლმადიდებლებად მოქცევას მთელი საძმო, მაგ. პროტესტანტთა

[14] ΚΑ΄ ἐπιστολή, PG. 99,981.

ჯგუფი თუ აპირებს, მათ მიმართ მიღების თვალსაზრისით მეტი მოქნილობაა დასაშვები.

7) გარდა ამისა, საეკლესიო ორგანომ, საჭიროა, გაითვალისწინოს გრიგოლ ნაზიანზელის, ღმრთისმეტყველის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია „მივიღოთ რამ უცხო, ვავნოთ ჩვენსას; ის, რაც ნამდვილად იკონომიის ცუდ მიმდევართ შეუძლიათ მიიღონ".[15] ამ პრინციპის თანახმად დაშვებულია გადაადგილება დოგმატიური ცნებებისა, ანუ გამონაკლისის დაშვება სარწმუნოების დოგმებიდან, რომლებსაც მოიცავს საღმრთო წერილი და მსოფლიო კრებათა ცნება-კანონები. ალექსანდრიის პატრიარქი ევლოგი აღნიშნავდა: „იკონომიის (შეწყალების) მართებული სიტყვა ითქმის მაშინ, როდესაც არა ხელ იყოფა სარწმუნოებრივი დოგმა".[16] პროფესორი ა. ალივიზატოსიც წერს: „ოდითგანვე ვრცლად გამოყენებული იკონომია, უკიდურეს ზღვრად მიიჩნევს საეკლესიო სარწმუნოების დოგმათა შეურყევნელად დაცვას".[17]

აქ, ალბათ, საჭირო იქნებოდა გვეთქვა კიდევ ორიოდ სიტყვა, თუ რატომ არ შეიძლება დაშვებული იქნას რაიმე იკონომია სარწმუნოების დოგმების მიმართ. ეს რომ უკეთ გავიგოთ და გავიზიაროთ, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი:

ა) ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ იკონომია არის სიყვარულითა და მოთმინებით განპირობებული, დროებითი შეჩერება ამ თუ იმ კანონის ძალმოსილებისა. მაგრამ შესაძლებელია კი, თუნდაც დროებით უარვყოთ სახარებისმიერი ჭეშმარიტება, რომ „ღმერთი სიყუარული არს" (I იოანე 4,8-16) თანაც იმავე დროს იკონომია წარმოებს ქრისტიანული სიყვარულით, საღმრთო სიყვარულის მიბაძვით.

ბ) გარდა ამისა, შესავალში აღვნიშნეთ, რომ სამართალი ყველა შემთხვევაში უნდა იყოს სწორი. არადა, არც სწორი, არც ლოგიკური არ იქნებოდა, გვეღიარებინა, რომ არსებობს შემთხვევა, როცა შეიძლება დავიჯეროთ (თუნდაც დროებით, „იკონომიით"), რომ ერთარსება სამება არის, ან ხდება ორობა, ან, რომ ღმერთი არ განკაცებულა. ყველა ამგვარ შემთხვევაში გვემუქრება საფრთხე აღმოვჩნდეთ ჩვენც ჭეშმარიტებისგან განყენებულნი, ერთი წმიდა კათოლიკე ეკლესიის გარეთ, ნაცვლად იმისა, რომ მის წიაღში დავაბრუნოთ შეცდომილნი; და უმალ მათთვის ვუშვებთ ამგვარ იკონომიას. ასეთ მსგავს შემთხვევაში ეკლესიის არსებობის მიზანი, რაც უნდა იყოს „ჭეშმარიტებით" ადამიანთა ცხოვნება, მათი ხსნა, „ღმერთისადმი სათნო-ყოფად"[18] წარუმატებელია.

---

[15] შდრ. Παν. Τρεμπέλα, Δογματική, τόμ. Γ΄, σελ. 53.

[16] PG 103,953.

[17] Ἀμ. Ἀλιβιζάτου, Ἡ Οἰκονομία, σελ. 12.

[18] Γερμανοῦ Κωνσταντινουπόλεως, PG 98,112.

„რასაკვირველია, — აღნიშნავს პროფესორი ამ. ალივიზატოსი, — რაკი დოგმა განისაზღვრება, როგორც უკანასკნელი ზღვარი იკონომიით ხელმძღვანელობისათვის, ეჭვგარეშეა, რომ სწორედ ეს დოგმა და არა დოგმის ზღვარს გადაცილებული სწავლება, ანუ ე. წ. თეოლოგუმენები (=საღვთისმეტყველო ბრძნობა) შეადგენენ ამ ცნებას. ბევრი რამ შეიძლებოდა მიგველო დოგმის შინაარსის მომცველი განუსაზღვრელი რაოდენობის ელემენტი სარწმუნოებისათვის სწავლებისა. ვთქვათ, საიდუმლოთა რაოდენობა და ა. შ. მაგრამ მაინც ამგვარი დოგმატური სწავლება რჩება მათ წარმომადგენელთა პიროვნულ სწავლებად. მას არ შესწევს ძალა, თავისით მოიხვეჭოს დოგმატური ავტორიტეტი იმ გაგებით, რომ აღნიშნული სწავლების ფორმულირებას არ ესადაგება იკონომიის (შეწყალების) დაშვება“.[19]

5. იკონომიის დაშვების ხერხები (სახეობები)

I. ზემოთ მოხსენიებული ზოგადი პრინციპების გარდა, მიუხედავად იკონომიის ზომისა და მნიშვნელოვნებისა, და მიუხედავად იმისა, რომ იკონომიას ოდითგანვე ვრცლად მიმართვდა ეკლესია, მსახურებებითა და ადმინისტრაციულადაც, მაინც, ერთი შეხედვით, პარადოქსულად გამოიყურება, რომ არ არის ოფიციალურად ჩამოყალიბებული დეტალური დადგენილებები იკონომიის დაშვებისათვის, შესაძლებელია, იკონომიის მოთხოვნისა და დაშვებისათვის დებულებებისა და ვითარებების არაოფიციალური წესით და დაუზუსტებლად დადგენა პრივილეგიადაც მივიჩნიოთ. არადა, საპირისპიროდ გვევლინება ხარვეზი:

ა) უპირველეს ყოვლისა, ყოველ მორწმუნესა თუ არაქრისტიანს შეექმნებოდა საცდური (ნამდვილი თუ მოჩვენებითი), თუკი მას წაახალისებენ, წარმოიდგინოს პირობები, ვითომ იგი ეძიებს იკონომიას.

ბ) ბევრი იმედის თვალით შეხედავდა იკონომიას და არა აკრიბიის (დოგმათა, კანონთა) ზედმიწევნით დაცვას. აკი ყოველ ქრისტიანს ჰმართებს აკრიბიის კარგად გაცნობიერება და ყოველდღიურად მისი დაცვა. ამიტომ, ოფიციალური და საჭირო განსაზღვრა და დადგენა იკონომიის შემთხვევებისა და წინასწარი დებულებებისა საბოლოოდ იქნება არაპედაგოგიური; ეს იქნება აკრიბიისადმი დათმობა.

გ) წინასწარი დებულებების მკაცრი განსაზღვრა ვერ მიანიჭებდა საზღვრებს იკონომიის დაშვებას ერთ შემთხვევაში, რომელიც არ არის გათვალისწინებული განმსაზღვრელი დადგენილებებით. ანუ, ეს იქნებოდა ზუსტი განსაზღვრება, გარკვეული სხვა შეზღუდვა. მსგავსი რამ ახასიათებს პაპისტურ-ლათინურ Dispensatio-ს (გადახდა, ანაზღაურება, მიზღვა), რაც გარკვეულად შეესაბამისება ჩვენს იკონომიას, ოღონდ მთლად იგივე არაა.

---

[19] Ἀμ. Ἀλιβιζάτου, Ἡ οἰκονομία, σελ. 14.[14] ΚΑ΄ 6pistol/, PG. 99,981.

დ) სხვა მხრივ, როგორც ზემოთ დავინახეთ, იკონომიას სრულყოფილი სახით ანიჭებს ღმერთი, „საღმრთოდსა მადლისა მიერ“ — გვაუწყებს მოციქულთა მე-80 კანონი. რადგან საღმრთო ნება, როგორც ვუწყით, არ ტოვებს კვალს და ადამიანურით ვერ შემოიფარგლება, შესაბამისად, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს საღმრთო მადლის ქმედებანიც.

ე) ყველა შემთხვევაში, საეკლესიო იკონომიის მინიჭებისთვის ყოველივე დაუდგენელი და განუსაზღვრელი გამომდინარეობს იკონომიის ბუნებიდან. იგი, მართლმადიდებლური აზრის მიხედვით, არის ასევე გამოხატულება ქრისტესმიერი თავისუფლებისა, რაცაა ეკლესიის წიაღში.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება დადგინდეს საეკლესიო იკონომიისათვის, ანუ შეწყალებისათვის შემდეგი განსაზღვრება: იკონომია არის ქრისტესმიერი თავისუფლება, რომელიც აქვს ეკლესიას საღმრთო მადლის განსაგებად (სხვაგვარად მას ეწოდება „საღმრთო მადლის საჭურჭლის საცავი“); იმისათვის, რომ იგი განაგებდეს თავის სახლს მის შიგნით და გარეთ მყოფი ადამიანის სულიერი სარგებლობისათვის. ამ განსაზღვრებით გასაგები ხდება, რაც ზემოთ აღვნიშნეთ: დოგმებისათვის, ანუ ჭეშმარიტებისათვის ვერ მივმართავთ იკონომიას, დათმობას. რადგან მაშინ აშკარად დავშორდებით ჭეშმარიტებას, სადაცაა თავისუფლება, თანახმად უფლისმიერისა: „და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ“ (იოანე 8,32), მაგრამ სამართლისა და თავისუფლების ურთიერთმიმართების საკითხს ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ.

II. ა) საეკლესიო იკონომია საქმით მისი გამოყენების, ან საძიებელი იკონომიის საბოლოო აღსრულების შესაბამისად შეიძლება დაიყოს როგორც წინასწარი და რეტროაქტიული (უკუმოქცეული): 1) წინასწარი ეწოდება იკონომიას, რომელსაც იძიებს დაინტერესებული პირი და აღასრულებს პასუხისმგებელი კომპეტენტური საეკლესიო ორგანო, ვიდრე დაინტერესებული პირი წინასწარ მიმართავდეს მას. 2) რეტროაქტიული (უკუმოქცეული) ეწოდება იკონომიას, რომელსაც ეძიებს დაინტერესებული, შეცდომილი შეცოდების შემდეგ და, რომელიც ენიჭება მას პასუხისმგებელი საეკლესიო ორგანოს მიერ, ბუნებრივია, შემდგომად შეცოდებისა, უკანონობის განსაკურნებლად. ეს განსაკუთრებით ხშირია სხვადასხვა ცოდვათა აღიარების შემთხვევაში. იკონომიას ანიჭებს სულიერი მოძღვარი.

ბ) აკრიბიიდან გამონაკლისის დაშვების მიხედვით, იკონომია განსხვავდება ან მიმტევებლობისადმი მიდრეკილებით, ან სიმკაცრისადმი მიდრეკილებით. ასე, პასუხისმგებელ საეკლესიო ორგანოს შეუძლია გასცდეს აკრიბიას ან უფრო მიმტევებლური ან უფრო მკაცრი იკონომიით. ანუ, პასუხისმგებელი საეკლესიო ორგანო თუ მოსთხოვს ამა თუ იმ მორწმუნეს რაიმეს იმაზე მეტს, რასაც მოითხოვენ კანონები, ამასაც იკონომია ჰქვია. მაგ. მოთხოვნა მარხვისა

სხვა, კანონებით დადგენილი დღეების გარდა, ასევე იკონომიის დაშვებაა.

გ) იკონომიას კანონიერად მიმართავენ დაინტერესებული პირის სიტყვიერი ან წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, როცა შესაბამისად (მაგრამ არა აუცილებლად) — მას მოჰყვება პასუხისგებლობით აღჭურვილი საეკლესიო ორგანოს პასუხი.

1) იმ შემთხვევაში, როცა პასუხისგებლობით აღჭურვილი საეკლესიო ორგანო პასუხობს წერილობით, იგი ვალდებულია, გარდა მინიჭებული იკონომიისა და აკრიბიისა, აღნუსხოს იგი შესაბამისი ჩანაწერით (წერილი ან მრგვლივმოსავლელი ეპისტოლე). ანუ, მას ჰმართებს, ხაზგასმით აღნიშნოს კანონიკურობა და აკრიბია, რომლისგანაც იგი დაუშვებს შეწყალებით გადახვევას ადამიანის ხსნისა და ეკლესიისთვის, საერთო სიკეთისთვის, „ღმრთის სათნოყოფისათვის", როგორც ამას იტყოდა კონსტანტინეპოლელი პატრიარქი გერმანე (PG 98,112). დაშვებული იკონომიის ეს ტიპი წარმოებს იმისათვის, რომ მორწმუნე ქრისტიანმა არ დაივიწყოს ჭეშმარიტება და აკრიბია, რომლისადმი მიბრუნება მას კვლავაც ჰმართებს.

2) გარდა ზემოთ წარმოდგენილი, კონკრეტული ოფიციალური და განაწესის შესაბამისი (ყველანაირი სახის) იკონომიის მინიჭებისა, არსებობს კიდევ თავისებური (იდიოტიპური) — საგანგებო, მუდმივმოქმედი, გახანგრძლივებული ან განუსაზღვრელი იკონომია. შეიძლებოდა განგვესაზღვრა იგი უმალ, როგორც გაუხმაურებელი (მდუმარე) იკონომია. ვახასიათებთ მას, როგორც მდუმარეს, რადგან მას მიმართავენ ყოველგვარი საგანგებო მოხსენიებისა თუ განცხადების გარეშე. უბრალოდ, პასუხისმგებელი საეკლესიო ორგანო მას უსიტყვოდ იღებს იმის გამო, რომ არ მიიდრიკონ მორწმუნენი წმიდა კანონთა დაუცველობისაკენ რაიმე საგანგებო მიზეზების გარეშე მათთვის ამ შემთხვევაში განწესებული პასუხისგების გაუთვალისწინებლად. ამას ადვილად დაგვარწმუნებდა ის, რაც დღეს ბევრ კანონთანაა დაკავშირებული (მაგ. ისეთებთან, რომლებიც მოითხოვენ მორწმუნისაგან პერიოდულად ეკლესიის მსახურებებზე დასწრებას); ეს კანონები მიგვითითებენ მართებულს და იდეალურს, სინამდვილეში კი დაყენებულია, უმოქმედოა და, ამგვარად საჭიროებენ მდუმარე იკონომიას...

შენიშვნა: ამასთან დაკავშირებით, სამრევლო პოლიტიკის ასპექტიდან გამომდინარე, ისმის შემდეგი კითხვა: რა არის უმჯობესი — მივმართოთ იკონომიის ამ სახეობას, რომელიც ჩვეულებრივ მდუმარე შეწყალებით მიმდინარეობს, თუ ოფიციალურად ეცნობოს იკონომია ეკლესიის სავსებას? ამ კითხვას შემდეგი პასუხი შეიძლება გავცეთ: რასაც უპირატესობა ენიჭება, ესაა მდუმარე იკონომია. უნდა მოხდეს შესაბამის საეკლესიო ორგანოთა აღიარებით და სრულიად შეგნებულად, ისე, რომ ისინი მზად იყვნენ „სიტყვს მიგებად ყოვლისა" (I პეტრე 3,15), განსაკუთრებით — *უფლის წინაშე.*

მაგრამ მართებულია თუ არა მდუმარე იკონომიით შეწყალების შესახებ ცნობა მიეწოდოს მრევლს, — ეს უკვე კონკრეტულ შემთხვევებზეა დამოკიდებული. თუ, მაგალითად, „იკონომიის საკითხი" იძენს ეკლესიის მთელი სავსების მასშტაბს, თუ იგი ხდება მიზეზი შეურაცხყოფისა, ან აღაშფოთებს მას და ართულებს ვითარებას, — საეკლესიო გამგებლობას მართებს, დაჭიროს გარკვეული პოზიცია და გაანათლოს ერი, ზუსტი ცნობები მიაწოდოს მათ იმასთან დაკავშირებით, რაც მოხდა. მაგრამ თუ უმოქმედობა და შეჩერება ამა თუ იმ კანონისა არ უქმნის დაბრკოლებებს ეკლესიის სავსებას, მაშინ საეკლესიო გამგებლობამ შეიძლება არ დაიკავოს ოფიციალური და საჯარო პოზიცია, ხშირად რომ არ გამოიწვიოს უდროო არეულობა ეკლესიის სავსებას შორის.

ზემოაღნიშნული გადახვევის შემდეგ შეიძლება კიდევ დავძინოთ შემდეგი: ეკლესია საღმრთო სჯულის ძალმოსილებითა — და არა ავტორიტეტის დროებითი ან ხანგრძლივვადიანი შეჩერებით განაგრძობს ღმრთისმიერ შეწყალებას, იკონომიას, რათა „მოიძიოს და იხსნას" კაცი (შდრ. ლუკა 19,10). იგი აგრძელებს საღმრთო იკონომიას, მთელი ცხოვნების ისტორიის განმავლობაში.

ეკლესია ხანგრძლივად ან გამუდმებით შეიწყალებს ადამიანურ უძლურებას და იჩენს მის მიმართ მოწყალებას, ნაცვლად იმისა, რომ დასაჯოს იგი კანონების მიხედვით. ამას მიმართავს იგი, რათა შეეწიოს კაცს, რათა შეინარჩუნოს იგი თავის წიაღში და უძღოდეს და მიჰყავდეს იგი ქრისტესმიერ ცხოვნებისაკენ, ჭეშმარიტების შემეცნებისაკენ, თავისუფლების მიღწევისაკენ, სრულყოფისათვის ადამიანისა „მამაკაცად სრულად" (ეფეს. 4,13).

მაშასადამე, ამგვარად, საეკლესიო იკონომიის განწესებით „დაიძლევა სჯულის წერილი... და განცხადდება, რომ თვითმიზანს სრულიადაც არ წარმოადგენს ის, რომ ეკლესიის სამართალშია მოქცეული მორწმუნეთა მადლი".[20]

იკონომიის განაწესი „წარმოადგენს კანონიკურ სამართალს, რომელიც სრულიად განსხვავებულია არა მხოლოდ საერო დაწესებულებათაგან, არამედ ძველი ალთქმის სჯულისგანაც, ანუ, იმისგან, რა სახეც მან მიიღო სინაგოგებში უფლის მოღვაწეობის ხანაში"[21] და სწორედ იკონომიის ამ ღონისძიების გამო აქვს მართებული უფლება კანონიკურ სამართალს ერქვას სახელად კანონიკური სამართალი, რადგან იკონომია ძირითადად მისდევს ყოველივე მართალსა და წრფელს, რასაც წარმოგვიდგენენ კანონები; იმისათვის, რომ წარმოჩინდეს მართალი და წრფელი კერძო შემთხვევებში ან პიროვნებებთან მიმართებაში.

ზემოთწარმოდგენილი ცხადყოფს და კიდევ ერთხელ ადასტურებს კანონიკური სამართლის ბუნებასა და ხასიათს, რაკი მას მართებულად აქვს მოხვეჭილი ზედწოდება: „მადლის სამართალი".

---

[20] Κων. Μουρατίδου, Τό δίκαιον τῆς χάριτος καί αἱ σπουδαιότεραι διαφοροποιήσεις ἐν τῇ ἐκκλησιαστικῇ διοργανώσει, Ἐν Ἀθήναις 1967, σελ. 299.

[21] შდრ. Κ. Μουρατίδου... დასახ. ნაშრ. სელ. 296.

თავი მეოთხე

წმიდათა კანონთა განმარტება

1. საეკლესიო ადათთა (დადგენილებათა) გააზრება(წმიდათა კანონთა ავტორიტეტი (გავლენიანობა), ძალმოსილება და განახლება

წინა თავში დაწვრილებით ვისაუბრეთ საეკლესიო იკონომიის (შეწყალების) ზომის შესახებ. მაგრამ მაცხოვნებელი და ადამიანის უძლურებისადმი სიყვარულითა და თანაგრძნობით აღსავსე საქმე ზოგიერთმა ავტორმა იმის საბუთად მიიჩნია, რომ კანონებს არა აქვთ აბსოლუტური ავტორიტეტი, ანდა ისინი დროებითია და პირობითი, შექმნილი ადამიანის მიერ, გამოუსედაგარნი არიან და გაუქმებას იმასახურებენ. წმიდა კანონთა ეს მცდარი შეფასება ემყარება იმ ფაქტს, რომ აღნიშნული წმიდა კანონები, ზოგადად ეკლესიის მოქმედებასთან შეფარდებით (მათი გამოყენება ან გამოუყენებლობა) შეფასებულია ადამიანური საზომებით, საერო ამა სოფლის კრიტერიუმებით. შეიძლებოდა გვეთქვა, რომ აღნიშნულ შემთხვევას საგანგებოდ მიემართება წმ. იოანე ოქროპირის სიტყვები: „რომელნიც ადამიანური გულისთქმებით ზომავენ ღმრთაებრივს, შეირცხვინეს (იკონომიით შეირცხვინეს) თავი“.[1]

ეს მცდარი გაგება განსაკუთრებით დაკავშირებულია ასევე ცნებათა გარკვეულ აღრევასთან, სახელდობრ, „ავტორიტეტის“, „გავლენიანობის“ და „ძალმოსილების“ ტერმინთა გაიგივებასთან. არადა ეს ორი ცნება არ არის ერთი და იგივე, განსაკუთრებით წმიდა კანონთა მიმართებაში. სხვა არის ავტორიტეტი, სხვაა ძალმოსილება. სხვაა კომპეტენტურობა (ავთენტია), სხვაა საქმეში მათი გამოყენება, ამ კანონით ხელმძღვანელობა. სხვაა წმიდა კანონთა კომპეტენცია (ავთენტურობა) და სხვაა მათი ძალმოსილება, ქმედითუნარიანობა. როგორც ზემოთაც დავინახეთ, განსაზღვრულ მნიშვნელოვან შემთხვევებში და აუცილებლობის (სულიერისა თუ სხეულებრივის) დროს, წმიდა კანონთა ძალმოსილება და გამოყენება შეჩერებულია, ანდა ყოვნდება კონკრეტული შემთხვევის შესაბამისად, მაგრამ ამას არავითარი უარყოფითი გავლენა არა აქვს მათ კომპენტენტურობასა და აბსოლუტურ ავტორიტეტზე.

ეს უკეთ გამოჩნდება და დასაბუთდება, თუკი გავითვალისწინებთ ეკლესიისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ფაქტსა და ქმედებას („საქმეებს“). ასე, როგორც დავინახეთ, იკონომიის აღნუსხვისა და ოფიციალურად, მოთხოვნის შესაბამისად მისი მინიჭებისათვის, ეკლესიის პასუხისგებელმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს აკრიბია და შესაბამისი კანონიც. და რაკი ზუსტად წარმოებს კანონის გათვალისწინება, ამიტომაც მართებულადაა

[1] იო. ოქროპირი, სიტყვა მე-2, ტიმოთესადმი (მე-2 ეპისტოლესათვის), PG 62,607A

ნათქვამი, რომ იკონომია კი არ აუქმებს, არამედ, პირიქით, განამტკიცებს კანონებს, აღიარებს მათ ავტორიტეტს, გავლენიანობას, ასპარეზზე გამოჰყავს და განაახლებს მათ ძალმოსილებას.

შესაბამისად, ის, რომ ამა თუ იმ შემთხვევაში ესა თუ ის კანონი არაა ძალმოსილებით აღჭურვილი, ან ის, რომ ამ კანონს არ მისდევენ, არ ნიშნავს, რომ იგი აბსოლუტურ უფლებამოსილებას (ავტორიტეტს) მოკლებულია. უბრალოდ, შეიძლება ითქვას, რომ მას არ ახასიათებს აბსოლუტური ძალმოსილება, არამედ იგი შეფარდებითი ძალმოსილებით გამოირჩევა. შეიძლება, ამა თუ იმ ადგილობრივ ეკლესიაში ამა თუ იმ კანონის ძალმოსილება, მისი მოქმედება ათასწლეულობით იყოს შეჩერებული; ისე, რომ არ შეილახოს მისი ავტორიტეტი. დღევანდელი ვითარებები არ მოითხოვენ ამა თუ იმ კანონის ზედმიწევნით მიდევნებას, მაგრამ ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ხვალ ეკლესიამ თავისი სავსების სასარგებლოდ კვლავაც სააშკარაოდ გამოიტანოს ხსენებული კანონი, განაახლოს მისი ძალმოსილება და მოითხოვოს მისი ზედმიწევნითი შესრულება. განახლების ეს ფაქტი წარმოადგენს ერთ-ერთ ელემენტს ეკლესიის მრავალსაუკუნოვან პრაქტიკაში, რაც გვიმოწმებს, რომ მართებული არაა კანონთა ძალმოსილების აღრევა მათ ავტორიტეტთან. თავად წმიდა კანონები ბევრ შემთხვევაში „განაახლებენ" უფრო ძველ კანონებს, რაც ნიშნავს, რომ ამა თუ იმ კანონის ძალა, პრაქტიკაში ან იკონომიის მოსაზრებით, შეიძლება შესუსტდეს, მისი ავტორიტეტი კი მუდამ დაუკნინებელი რჩება.

ასე, V-VI მსოფლიო კრების მე-3 კანონი გვაუწყებს; „...ხოლო ამიერითგან ამას განვსაზღვრებთ და ესრეთ მეტყუელსა მას კანონსა განვაახლებთ, ...რომლისაცა სამღდელოჲსა დასისა თანა აღრაცხილ ყოფაჲ." და კვალად მითითებულია მოციქულთა მე-17 კანონი[2]. ასევე V-VI მსოფლიო კრების მე-6 კანონი აღნიშნავს: „ყოველსა შინა მამათა ჩუენთა მიერ განწესებულთაჲ ჩუენცა გუნებავს დამტკიცებაჲ. ამისთჳს განვაახლებთ კანონსა მას, რომელი იტყჳს, რაჲთა ყოველთა წელიწადთა კრებანი იქმნებოდინ ეპისკოპოსთანი..."[3] შდრ. ასევე VII მსოფლიო კრების მე-6 კანონი: „ამას უკუე კანონსა და ჩვენცა განვაახლებთ. და უკუეთუ ვინმე იპოოს მთავარი მაყენებელად ამისსა, განიკანონოს უზიარებლობითა".[4]

ყოველივე აქედან ადვილად შეიძლება დავასკვნათ, რომ ამა თუ იმ კანონის ავტორიტეტი არ უნდა გავიაზროთ ამა თუ იმ კერძო შემთხვევასთან,

---

[2] Ράλλη-Ποτλῆ, τόμ. Β΄ σελ. 313.

[3] ანუ, განახლებულია მოციქულო 37-ე კანონი და I მსოფლიო კრების მე-5 (ტ. 2, გვ. 324) შდრ. ასევე მსოფლიო კრების 49-ე კან. (დასახ. ნაშრ. Ράλλη-Ποτλῆ 423).

[4] Ράλλη-Ποτλῆ, τόμ. Β΄ σελ. 577.

კერძო პირსა თუ ეკლესიასთან, თუ ამა თუ იმ ეპოქასთან მიმართებაში, ანუ, ამა თუ იმ კანონის აბსოლუტური ავტორიტეტი არ უნდა იყოს მის შეფარდებით ძალმოსილებაზე დამოკიდებული. რაკი ამათუიმ კანონით არ ხელმძღვანელობენ ჩვენს სივრცეში, დღევანდელობაში — რაკი ვიმყოფებით არაკეთილსასურველ ვითარებასა თუ პირობებში, ან გარკვეული მოსაზრებები გვამოძრავებს, ან გარკვეული სისუსტეებიდან გამომდინარე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კანონი არ არის სწორი, ანდა, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა საეკლესიო სივრცეში, სხვა ეპოქაში, სხვა ხალხის მიერ. საპირისპირო მოსაზრება თუ მივიღეთ, როგორც სწორი, სახიფათოა, სუბიექტურად მსჯელობაში რომ არ დავვდონ ბრალი, ანუ რომ ვმსჯელობთ სუბიექტურად, საკუთარი „მედან" გამომდინარე, ან რომ ვმსჯელობთ ვიწრო მასშტაბით, ადგილობივ, თუ დროით განპირობებული ვითარებიდან გამომდინარე.

ის, რომ ვერ დავამყარებთ დამოკიდებულებას ამა თუ იმ კანონის აბსოლუტური ავტორიტეტის მისი შეფარდებითი ძალმოსილებისგან გამომდინარე, ერთსა თუ მრავალი შემთხვევისათვის მისი გამოყენების შეუძლებლობიდან გამომდინარე, შემდეგი ფაქტებიდან ჩანს:

ა) როგორც ცნობილია, წმიდა კანონები ესაა ცხოვნების კანონები და ისინი გამიზნულია მებრძოლი ეკლესიის წევრებისთვის. შესაბამისად, ეს კანონები ძალმოსილია ცოცხლებისთვის, რაკი ისინი ამა სოფლის ეკლესიის (მებრძოლი ეკლესიის) წევრებია. თუ ადამიანმა გადაინაცვლა მოზეიმე ეკლესიაში, „ზეციურ" ეკლესიაში, წყდება მასზე კანონთა ძალმოსილება. შდრ. პავლეს სამოციქულო ეპისტოლე: „სჯული უფლებს კაცსა ზედა, რავდენ ჟამ ცოცხალ არს იგი" (რომ. 7,1). მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კანონი კარგავს თავის აბსოლუტურ ავტორიტეტს.

ბ) როცა კაცი განუდგება ეკლესიას და გადადის სხვა სარწმუნოებაზე ან განხეთქილებასა (სქიზმასა) ან მწვალებლობაში, წყდება ეკლესიის წევრთა მიმართ მოქმედი კანონების გამოყენება, შდრ. „რავდენსა სჯული იტყვის, მათ ეტყჳს, რომელნი-იგი სჯულსა ქუეშე არიან" (რომ. 3,19).

გ) მსგავსადვე, როცა ეკლესიის წევრი შეწყვეტს „ამქვეყნად" ცხოვრებას და უერთდება მონაზონთა წოდებას, ავტომატურად მასზე შეწყვეტს მოქმედებას კანონები, რომლებიც ქორწინებაში ცხოვრებას მიემართებიან. იგივე ძალმოსილია სხვა ანალოგიური შემთხვევებისათვის.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ კანონთა შეფარდებით ძალმოსილებას არა აქვს გავლენა მათ აბსოლუტურ ძალაზე, მათ ავტორიტეტზე, მათ უცთომელობაზე.

ვიდრე დავასრულებდეთ ამ პარაგრაფს, ყურადღება უნდა გავამახვილოთ გარკვეულ ანალოგიაზე, რომელიც თავიდანვე შევნიშნეთ: მრავალნი გვარწმუნებენ, რომ კანონები არის გარდამავალი, რადგან, ვითომდა

შეუძლებელია, დღეს საქმეში გამოვიყენოთ ისინი. თუმცა ეს აზრი, ჩანს, მცდარი უნდა იყოს. ლოგიკურ შეცდომას მოწმობს თავად ამოსავალი დებულება. დღეს, მართალია, შეიძლება საქმეში ვერ გამოვიყენოთ ზოგიერთი კანონი, მაგრამ ეს აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ ეს კანონები მცდარია. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ, ადამიანები დიდად დავშორდით სიმართლეს, ან, რომ დავუძლურდით. ჩვენ დავკარგეთ ძალა იმდენად, რომ ვერ ვიყენებთ ამ კანონებს, არ შეგვიძლია საქმეში გამოვიყენოთ ისინი. მაგ. წმიდათა მოციქულთა 69-ე კანონი განაწესებს მარხვას ორმოცდღიანი დიდმარხვის პერიოდში. ჩვენ დღეს არ შეგვიძლია ეს დავიცვათ გამონაკლისთა დაუშვებლად, რაკი ვგრძნობთ ჩვენი გონებრივი თუ სხეულებრივი ძალების დაკნინებას. ეს არ ნიშნავს, რომ კანონი არაა მართებული, არამედ იმას, რომ ადამიანს, განსაკუთრებით ქალაქელს, დაკარგული აქვს თავისი ძველი ამტანობა და იგი აშკარად ხრწნისა და განადგურებისაკენ მიემართება, ცხადია, თუ დღევანდელ ვითარებას მისდია. აქედან გამომდინარე ის კი არ დასტურდება, რომ კანონები გარდამავალი და შეფარდებითია, არამედ — პირიქით, ჩვენ ვართ, ადამიანები, დროს უაღრესად დაქვემდებარებულნი, გარდამავალნი და ფრიად შეფარდებითნი.

არსებითად, დასტურდება ის, რომ სახიფათოა ჩვენი საკუთარი შეხედულებებით ხელმძღვანელობა, თუ ჩვენ ადამიანური შეხედულებებით, კრიტერიუმებით ვზომავთ საქმეთა ვითარებას, — უფრო უარესიც, — ასე ვერც ვიგებთ, რომ დაღუპვისაკენ მივექანებით. ვაი თუ ამ კანონებით რაღაცნაირად გამართლდეს ჩვენი დროის ცოდვილი ადამიანი. და მაშინ გამცემლობა დაემუქრება კაცობრიობის ხსნისათვის ღმერთკაცის მოძღვრებას და სულიერი ასპარეზის ყველანაირი შესაძლებლობაც წარწყმდება.[5] გამოირიცხება სულიერი და ზნეობრივი პროგრესის, წარმატებისა და წინსვლის ყველანაირი იმედი. და იმის გამო, რომ ღმერთკაცს იესოს გამუდმებით ვანაცვლებთ თანამედროვე სეკულარიზირებული ადამიანით, თანდათან (და ჩვენდა გაუცნობიერებლად) საბოლოოდ პირუტყვულ მდგომარეობას ვუახლოვდებით (შდრ. რომ. 1,18-32).

ეს ყოველივე უნდა შთაგვაგონებდეს და აძლიერებდეს ჩვენში მოშურნეობასა და საზრუნავს, რათა შევინარჩუნოთ და დავიცვათ წმიდა კანონები, ანუ, ავტორიტეტი, რომელიც გზამკვლევად გვევლინება და გვეხმარება, ჩვენი ნებით, თავისუფლად მივუჩინოთ საგნებს თავიანთი ადგილი მათი ბუნებრივი მდგომარეობითა და განვითარების კანონზომიერებით. ამასთან დაკავშირებით საღმრთო სჯულისა (ეკლესიის კანონები) და ადამიანური კანონების შედარების საფუძველზე და საღმრთო კანონების დიდად გამორჩეული თავისებურების დადასტურებით შეიძლება შევნიშნოთ შემდეგი: წმიდათა

[5] Κων. Μουρατίδου, Τό αἰώνιον κύρος τών ἱ. κανόνων, Ἀθῆναι 1972, σελ. 52.

კანონთა ავტორიტეტი არის აბსოლუტური, ძალმოსილება კი — შეფარდებითი. და პირიქით, ადამიანთა კანონების ავტორიტეტიცა და ძალმოსილებაც ფარდობითია, რადგან ეს კანონები კაცთა შემოქმედებაა, მისდამი კი ნდობით არ ვართ განწყობილი; ხოლო სჯულის კანონთა ავტორიტეტი აბსოლუტურია, ანუ ისინი გამოყენებების თვალსაზრისით ბევრ შემთხვევაში ხელუყოფელია და სავალდებულო[6].

2. წმიდა კანონთა განმმარტებანი (კომენტარი) და განმარტების (კომენტირების) წინაპირობები

წმიდა კანონთა გამოყენებისა და მათი ძლმოსილების საკითხს უკავშირდება მათი გარკვეული განმარტების საკითხიც. ამასთანავე, წმიდა კანონთა გამოყენება საქმეში — იგივე განმარტებაცაა. ეკლესიას ევალება, როგორც არაერთხელ აღუნიშნავთ, იყოს წმიდა კანონთა საუკეთესო განმმარტებელი, ეკლესიამ თავისი ერთიანობით ცალკეულ განმმარტებლებზე უკეთ უნდა წარმოაჩინოს მათი შინაარსი საქმით.

საერო კანონების განმარტებისათვის ცნობილი პრინციპია ის, რომ მათი ყველაზე კომპეტენტური განმმარტებელი, კომენტატორი არის თავად კანონმდებელი, რომელმაც შეიმუშავა ისინი. და რაკი ეკლესიამ შეიმუშავა კანონები, განა ის არ არის კიდეც მათი საუკეთესო და ავტორიტეტული განმმარტებელი?

ცხადია, კათოლიკე ეკლესიის შემდეგ ყველაზე ავტორიტეტული კომენტატორი არის ის, ვინც წარმოადგენს კათოლიკე ეკლესიას. ასე, მაგ. საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია ყველაზე ავტორიტეტულად აღიარებს, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიის საკუთრებას, რომელსაც გამოხატავს მღვდელმთავართა სინოდი. და ეს იმიტომ, რომ მღვდელმთავრობა არის ეკლესიის ოფიციალური წარმომადგენლობა, და ყველაზე კომპეტენტურად გამოხატავს ეკლესიის, ამ შემთხვევაში საბერძნეთის ეკლესიის აზრებს.[7]

---

[6] ცხადია, უახლეს ხანაში და ქრიატიანული სულისკვეთების გავლენით საერო სამართალიც ითვალისწინებს ადამიანურ უძლურებას, ისევე, როგორც ადამიანის ირგვლივ არსებულ ვითარებებს და ბევრ შემთხვევაში მოქნილობას იძენს. შდრ. Κων. Μουρατίδου, Μαθήματα, 'Εν 'Αθήναις, σελ. 51-52.

[7] ამიტომაცაა, საბერძნეთის კონსტიტუციის მუხლი 3 (პარაგრაფი 1) აცხადებს: „(საბერძნეთის ეკლესია) ურყევად იცავს, ისევე, როგორც ისინი (სხვა მართლმადიდებელი ეკლესიები) მართლმადიდებელ ეკლესიათა მთლიანობას — წმიდა კანონებს". მუხლი 3 უფრო კონკრეტულადაც აცხადებს: „საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც სცნობს თავს — უფალს ჩვენსას იესო ქრისტეს შეუქცევლად, დოგმატურად ერთიანია კონსტანტინოპოლის დიდ ეკლესიასთან და ქრისტეს ყველა მართლმადიდებელ ეკლესიასთან, და ურყევად იცავს, ისევე როგორც ისინი, წმიდა სამოციქულო და სინოდურ კრებათა კანონებსა და წმიდა ტრადიციას".

შეუძლებელია, დღეს საქმეში გამოვიყენოთ ისინი. თუმცა ეს აზრი, ჩანს, მცდარი უნდა იყოს. ლოგიკურ შეცდომას მოწმობს თავად ამოსავალი დებულება. დღეს, მართალია, შეიძლება საქმეში ვერ გამოვიყენოთ ზოგიერთი კანონი, მაგრამ ეს აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ ეს კანონები მცდარია. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ, ადამიანები დიდად დავშორდით სიმართლეს, ან, რომ დავუძლურდით. ჩვენ დავკარგეთ ძალა იმდენად, რომ ვერ ვიყენებთ ამ კანონებს, არ შეგვიძლია საქმეში გამოვიყენოთ ისინი. მაგ. წმიდათა მოციქულთა 69-ე კანონი განაწესებს მარხვას ორმოცდღიანი დიდმარხვის პერიოდში. ჩვენ დღეს არ შეგვიძლია ეს დავიცვათ გამონაკლისთა დაუშვებლად, რაკი ვგრძნობთ ჩვენი გონებრივი თუ სხეულებრივი ძალების დაკნინებას. ეს არ ნიშნავს, რომ კანონი არაა მართებული, არამედ იმას, რომ ადამიანს, განსაკუთრებით ქალაქელს, დაკარგული აქვს თავისი ძველი ამტანობა და იგი აშკარად ხრწნისა და განადგურებისაკენ მიემართება, ცხადია, თუ დღევანდელ ვითარებას მისდია. აქედან გამომდინარე ის კი არ დასტურდება, რომ კანონები გარდამავალი და შეფარდებითია, არამედ — პირიქით, ჩვენ ვართ, ადამიანები, დროს უაღრესად დაქვემდებარებულნი, გარდამავალნი და ფრიად შეფარდებითნი.

არსებითად, დასტურდება ის, რომ სახიფათოა ჩვენი საკუთარი შეხედულებებით ხელმძღვანელობა, თუ ჩვენ ადამიანური შეხედულებებით, კრიტერიუმებით ვზომავთ საქმეთა ვითარებას, — უფრო უარესიც, — ასე ვერც ვიგებთ, რომ დაღუპვისაკენ მივექანებით. ვაი თუ ამ კანონებით რაღაცნაირად გამართლდეს ჩვენი დროის ცოდვილი ადამიანი. და მაშინ გამცემლობა დაემუქრება კაცობრიობის ხსნისათვის ღმერთკაცის მოძღვრებას და სულიერი ასპარეზის ყველანაირი შესაძლებლობაც წარწყმდება.[5] გამოირიცხება სულიერი და ზნეობრივი პროგრესის, წარმატებისა და წინსვლის ყველანაირი იმედი. და იმის გამო, რომ ღმერთკაცს იესოს გამუდმებით ვანაცვლებთ თანამედროვე სეკულარიზირებული ადამიანით, თანდათან (და ჩვენდა გაუცნობიერებლად) საბოლოოდ პირუტყვულ მდგომარეობას ვუახლოვდებით (შდრ. რომ. 1,18-32).

ეს ყოველივე უნდა შთაგვაგონებდეს და აძლიერებდეს ჩვენში მოშურნეობასა და საზრუნავს, რათა შევინარჩუნოთ და დავიცვათ წმიდა კანონები, ანუ, ავტორიტეტი, რომელიც გზამკვლევად გვევლინება და გვეხმარება, ჩვენი ნებით, თავისუფლად მივუჩინოთ საგნებს თავიანთი ადგილი მათი ბუნებრივი მდგომარეობითა და განვითარების კანონზომიერებით. ამასთან დაკავშირებით საღმრთო სჯულისა (ეკლესიის კანონები) და ადამიანური კანონების შედარების საფუძველზე და საღმრთო კანონების დიდად გამორჩეული თავისებურების დადასტურებით შეიძლება შევნიშნოთ შემდეგი: წმიდათა

[5] Κων. Μουρατίδου, Τό αἰώνιον κύρος τών ἱ. κανόνων, Ἀθῆναι 1972, σελ. 52.

კანონთა ავტორიტეტი არის აბსოლუტური, ძალმოსილება კი — შეფარდებითი. და პირიქით, ადამიანთა კანონების ავტორიტეტიცა და ძალმოსილებაც ფარდობითია, რადგან ეს კანონები კაცთა შემოქმედებაა, მისდამი კი ნდობით არ ვართ განწყობილი; ხოლო სვჯულის კანონთა ავტორიტეტი აბსოლუტურია, ანუ ისინი გამოყენებების თვალსაზრისით ბევრ შემთხვევაში ხელუყოფელია და სავალდებულო[6].

2. წმიდა კანონთა განმმარტებანი (კომენტარი) და განმარტების (კომენტირების) წინაპირობები

წმიდა კანონთა გამოყენებისა და მათი ძლმოსილების საკითხს უკავშირდება მათი გარკვეული განმარტების საკითხიც. ამასთანავე, წმიდა კანონთა გამოყენება საქმეში — იგივე განმარტებაცაა. ეკლესიას ევალება, როგორც არაერთხელ აღუნიშნავთ, იყოს წმიდა კანონთა საუკეთესო განმმარტებელი, ეკლესიამ თავისი ერთიანობით ცალკეულ განმმარტებლებზე უკეთ უნდა წარმოაჩინოს მათი შინაარსი საქმით.

საერო კანონების განმარტებისათვის ცნობილი პრინციპია ის, რომ მათი ყველაზე კომპეტენტური განმმარტებელი, კომენტატორი არის თავად კანონმდებელი, რომელმაც შეიმუშავა ისინი. და რაკი ეკლესიამ შეიმუშავა კანონები, განა ის არ არის კიდეც მათი საუკეთესო და ავტორიტეტული განმმარტებელი?

ცხადია, კათოლიკე ეკლესიის შემდეგ ყველაზე ავტორიტეტული კომენტატორი არის ის, ვინც წარმოადგენს კათოლიკე ეკლესიას. ასე, მაგ. საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია ყველაზე ავტორიტეტულად აღიარებს, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიის სავსებას, რომელსაც გამოხატავს მღვდელმთავართა სინოდი. და ეს იმიტომ, რომ მღვდელმთავრობა არის ეკლესიის ოფიციალური წარმომადგენლობა, და ყველაზე კომპეტენტურად გამოხატავს ეკლესიის, ამ შემთხვევაში საბერძნეთის ეკლესიის აზრებს.[7]

---

[6] ცხადია, უახლეს ხანაში და ქრიატიანული სულისკვეთების გავლენით საერო სამართალიც ითვალისწინებს ადამიანურ უძლურებას, ისევე, როგორც ადამიანის ირგვლივ არსებულ ვითარებებს და ბევრ შემთხვევაში შოქნილობას იძენს. შდრ. Κων. Μουρατίδου, Μαθήματα, 'Εν 'Αθήναις, σελ. 51-52.

[7] ამიტომაცაა, საბერძნეთის კონსტიტუციის მუხლი 3 (პარაგრაფი 1) აცხადებს: „(საბერძნეთის ეკლესია) ურყევად იცავს, ისევე, როგორც ისინი (სხვა მართლმადიდებელი ეკლესიები) მართლმადიდებელ ეკლესიათა მთლიანობას — წმიდა კანონებს". მუხლი 3 უფრო კონკრეტულადაც აცხადებს: „საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც სცნობს თავს — უფალს ჩვენსას იესო ქრისტეს შეუქცევლად, დოგმატურად ერთიანია კონსტანტინოპოლის დიდ ეკლესიასთან და ქრისტეს ყველა მართლმადიდებელ ეკლესიასთან, და ურყევად იცავს, ისევე როგორც ისინი, წმიდა სამოციქულო და სინოდურ კრებათა კანონებსა და წმიდა ტრადიციას".

ადგილობრივი ეკლესიების შემდეგ კანონთა განმმარტებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ეპისკოპოსიც, სასულიერო და საერო პირიც (მაგ. კანონთა მცოდნე, მკვლევარი), რომელიც უნდა ცხოვრობდეს დოგმისა და კანონების მიხედვით საეკლესიო ცხოვრების შესაბამისად, ქრისტიანული სულისკვეთებით. ეკლესიის ჭეშმარიტებისა და ცხოვრებისადმი კოორდინაცია sentire cum Ecclesiae ანუ „ეკლესიასთან ერთობლივად შეგრძნება" არის აუცილებელი პირობა (sine qua non) წმიდა კანონთა სწორი გაგებისა და განმარტებისათვის.[8]

მაგალითად, მრავალ ნი იტყვიან, რომ კანონებს არა აქვთ აბსოლუტური ავტორიტეტულობა, რომ თითოეული მათგანი დროებითი მოვლენაა, რადგან, თითქოსდა წინააღმდეგობებით გამოირჩევიან ურთიერთის მიმართ. არადა საქმის ვითარება წარმოაჩენს, რომ შეცდომებს თავს აღწევს კანონთა ის შეფასება და ის მოსაზრებები, რომლებიც წარმოებს წმიდა კანონთა სწორი საღმრთისმეტყველო განხილვისა და გააზრების და მათი მართებული გამოყენებისა და მართებული განმარტების საფუძველზე. ამიტომაც წმიდა კანონთა სწორი განმარტებისათვის წინაპირობათა განხილვას განვაგრძობთ შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

1) რადგანაც წმიდა კანონები შემუშავდა ეკლესიის მამათა მიერ სულიწმიდისმიერი განათლებითა და წინამძღვრობით, კანონთა სწორი განმარტებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ისევ და ისევ მოწოდება სულიწმიდით განათლებისაკენ, და როცა კი „მოიწევა სისრულე ჟამთა", სულიწმიდა ინებებს განანათლოს განმმარტებელი და გამოუცხადოს მას თავისი ნება.

2) მართებული განმარტების მეორე პირობა, რაც ასევე არის სულიწმიდით განათლების პირობაც, არის განმმარტებელის სიმდაბლით აზროვნება. „ამპარტავანთა შეჰმუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი" (იაკ. 4,6 ან I პეტ. 5,5). წმ. იოანე ოქროპირიც ხაზგასმით აღნიშნავს: „ფილოსოფიის საფუძველია სიმდაბლით აზროვნება."[9] კანონის მცოდნე – ღმრთისმეტყველი

---

[8] შდრ. Κων. Μουρατίδου, Σύγχρονοι κατευθύνσεις ἐν τῇ ἐπιστήμῃ τού Κανονικού Δικαίου, 'Αθῆναι 1960, σελ. 31. „კანონიკური სამართლის განმმარტებელს მოწოდებით უნდა გამოარჩევდეს ნიჭი, უნარი, ღრმად ახასიათებდეს და ჩასწვდეს საეკლესიო ადათების სულისკვეთებას, მათ არსსა და ქმედითობას. თუკი მართებულია გამოთქმა, რომ „მხოლოდ მას ესმის, ვისაც უყვარს", კიდევ უფრო მეტად შეესაბამება სიმართლეს ის, რომ ქრისტიანულ ჭეშმარიტებასთან სულიერი კოორდინაცია, ანუ კლასიკურად – „sentire cum ecclesie" – არის წინაპირობა კანონიკური სამართლის ღრმა შემეცნებისათვის". შდრ. მისივე „წმიდათა კანონთა კონსტიტუციურად განმყარება" („Κοινωνία", 17, (1974 წ.) გვ. 145).

[9] იო. ოქროპირი, მათდამი, ვინც საჭიროებისამებრ არ ხელმძღვანელობს მოციქულებრივი ნათქვამით: „ან საბუთით, ან ჭეშმარიტებით განაცხადებდეთ ქრისტეს" და მდაბალ აზროვნებისათვის (PG 51,312D).

არის ის, „ვინც მოუწოდებს სხვებს მოიდრიკონ თავი, დამდაბლდნენ წინაშე ჭეშმარიტებისა. შესაბამისად, პირველს მას მართებს შეიმეცნოს, თავად მოიდრიკოს თავი და დამდაბლდეს მის (ჭეშმარიტების) წინაშე".[10]

3) კიდევ ერთი წინაპირობაა სინანული. მოციქული პავლე აღნიშნავს, „სინანული მეცნიერებად ჭეშმარიტებისა" (II ტიმ. 2,25); ე. ი. სინანული არის ჭეშმარიტების, შემეცნების წინაპირობა; ჭეშმარიტებისა და აკრიბიისაც, რაც მოცემულია წმიდა კანონებში.[11] „მხოლოდ ნამდვილი, პირუთვნელი და მუდმივი სინანულით მოქმედნი და ადამიანურ ლოგიკურ სისტემათა და ფორმულირებათა მიმღებელნი არიან მოწოდებულნი ჭეშმარიტი კათოლიკე ღმრთისმეტყველების აღმასრულებლად".[12]

4) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა — ესაა არსებობა სიყვარულისა, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს კომენტატორი. პავლე მოციქული გვასწავლის: „ჭეშმარიტ ვიყვნეთ სიყვარულსა ზედა", — (ეფეს. 4,15), რაც იმას ნიშნავს, რომ შეგვიძლია „ჭეშმარიტ ვიყვნეთ", მივაღწიოთ ჭეშმარიტებას, როცა გვაქვს სიყვარული. სიყვარული ჭეშმარიტების წინაპირობაა. იქ, სადაც სუფევს სიძულვილი, აღშფოთება, ვერ მივაღწევთ ჭეშმარიტებას. წყლის (მაგ. ტბის) მღელვარე ზედაპირზე, საგანთა გამოსახულებები არ აირეკლება ისე, როგორც წყნარ, აუღელვებელ ზედაპირზე.

5) სხვა მეტად საგულისხმო წინაპირობაა კანონთა განმმარტებლის ფილოლოგიური კვალიფიკაცია. მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს სხვადასხვაგვარი გრამატიკული მოვლენის, ნიუანსებისა და სხვადასხვაგვარი მონაცვლეობის ანალიზსა და კვლევაზე.

6) ზემოთ აღნიშნული წინაპირობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ბასილი დიდის მცნებასთან. იგი მოძღვრავს საღმრთო წერილთა განმმარტებლებს: „ზუსტად და გულისყურით მისდიეთ წერილს და აქედან გამომდინარე ჰპოვებ საკითხის ახსნას" — აღნიშნავს ბასილი დიდი მე-16 კანონში. სხვაგან იგივე წმიდა მამა ბრძნულად დასძენს: „უგულისყუროდ, სხვათაშორის ნუ შეისმენ საღმრთისმეტყველო სიტყვას, არამედ გამოიცადე თავი თითოეული ნათქვამით და სიტყვის თითოეული მარცვლით გამოიწვრთენი გონება".[13] მსგავსადვე გვასწავლის წმინდა იოანე ოქროპირი: „ღმრთის სიტყვათა ბუნება მცირედი გამონათქვამებით განაცხადებს აზრთა სიმდიდრის დიდ სიმრავლეს. იგი ენით უთქმელ განძს ანიჭებს კვლევის სიზუსტით

---

[10] Γ. Φλωρόφσκυ, 'Η πορεία τῆς Ρωσικῆς θεολογίας, στό „Θεολογία - 'Αλήθεια καί ζωή'', 'Αθῆναί 1962, 'Εκδ. „Ζωῆς", σελ. 55.

[11] Ιδρ. 'Ιουστ. Πόποβιτς, 'Ανθρωπος καί Θεάνθρωπος, 'Αθῆναι 1970. σελ. 159.

[12] Νικ. Νησιώτη, 'Η θεολογία ὡς ἐπιστήμη καί δοξολογία, „θεολογία - 'Αλήθεια καί ζωή'', σελ. 213.

[13] PG. 32,69

(აკრიბიით) მიმდევრობის მსურველთ... ქრისტეც ხომ ამას გვეუბნება — „გამოიძიეთ საღმრთო წერილი“.[14]

7) როცა ვამბობთ: დიდი ყურადღებით გამოვიკვლიოთ კანონთა ტექსტი, მხოლოდ სიღრმისეულად კი არ უნდა გამოვიკვლიოთ ესა თუ ის კონკრეტული კანონი, არამედ ამასთანავე ვგულისხმობთ, რომ ვიკვლიოთ, შევისწავლოთ განივი ჭრილის პრინციპით ისიც და ყველა შესაბამისი სხვა კანონიც; და კიდევ უფრო ზოგადად — ყველა საღმრთო (ს) და ღმრთივსულიერი (ღს) ტექსტები, ისე, როგორც წმიდა მამათა ნაშრომები. შედარების, ურთიერთ-მიმართების და მათი შინაარსების ამგვარი თანხვედრის შედეგად სიღრმისეული და განივი ჭრილის გადაკვეთაზე მიიღწევა საუკეთესო განმარტება.

3. წმიდათა კანონთა განმარტების (და ურთიერთკოორდინაციის) პრინციპები

მაშასადამე, გვმართებს, საგანგებო წინასწარი მომზადებითა და ყურადღებით ვიკვლიოთ წმიდა კანონთა ტექსტი, იმისათვის, რომ ვეწიოთ პასუხს სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე. საჭიროა, ღრმად ჩავწვდეთ ტექსტის კვლევას, რადგან ამგვარმა ტექსტმა, მართლაც, შეიძლება წარმოაჩინოს ბევრი ზედაპირული, მოჩვენებითი პრობლემა და წინააღმდეგობრიობა. უფრო მეტიც, — უნდა ვითვალისწინებდეთ ასევე შემდეგ პრინციპებს, რომლებიც, ბუნებრივია, წმიდა კანონთა ურთიერთკოორდინაციის პრინციპებია:

1) შეიძლება ადგილობრივი საეკლესიო კრებისა თუ ეკლესიის ამა თუ იმ მამის კანონი — ცხადია, ზოგიერთი მათგანი, რომელიც დადასტურებულ იქნა V-VI მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (მე-2 კანონი), შესწორებას განიცდის ან უქმდება, ამავე მსოფლიო კრების ამა თუ იმ კანონის საფუძველზე. ჩვენთვის ცნობილია, მაგალითად, ის, რომ V-VI მსოფლიო კრებამ დაადასტურა ნეოკესარიის საეკლესიო კრების კანონები. ოღონდ V-VI მსოფლიო კრების მე-16 კანონს შემოაქვს შესწორება ნეოკესარიის მე-15 კანონში. იქ, სადაც საუბარია ერთ ქალაქში დიაკონების განსაზღვრულ რაოდენობაზე. ეს მოვლენა არ უნდა აღვიქვათ, როგორც წინააღმდეგობრივობა. უბრალოდ, ესაა საჭიროებით გამოწვეული საგანგებო შესწორება, განპირობებული ნეოკესარიის კანონთა ზოგადი დადასტურების მოვლენით. იმისათვის, რომ კანონთა დადასტურების შემდეგ მათში არ დარჩეს შეცდომა. რადგან თემა, წარმოდგენილი ადგილობრივი საეკლესიო კრების ან ეკლესიის მამის კანონის სახით, რომელსაც განიხილავს V-VI მსოფლიო კრებაც, ძალმოსილია V-VI მსოფლიო კრების კანონთა ფორმულირებით.

---

[14] PG. 53,205

2) ამასთანავე, გვმართებს, დავაზუსტოთ, თუ კაცობრიობის განვითარების რომელ ფაზაში, საღმრთო განგებულების (იკონომიის) რა სტადიაზეა შემუშავებული ამა თუ იმ კანონის, ანუ უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, ამა თუ იმ საღმრთო ტექსტის ფორმულირება:

ა) ცოდვით დაცემამდელ ვითარებაში.

ბ) ცოდვით დაცემის შემდგომ ვითარებაში.

გ) ქრისტესმიერი გამოსყიდვა ზოგადად, ან

დ) გამოსყიდვის კონკრეტული შემთხვევა.

ამის ცოდნას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა ტექსტის გაგებისათვის, მისი სწორი მიწოდებისათვის და, დასასრულ, საღმრთო წერილის ან სხვა წმიდა კანონთა შესაბამის ტექსტებთან სწორი ურთიერთშეთანხმების დადგენისათვის.

3) თუკი ესა თუ ის კანონი იმთავითვე ან აშკარად ცხადყოფს, რომ იგი არის დროებითი, უმართებულო არ იქნება, სხვა კანონმა სხვაგვარად განსაზღვროს საქმის არსი. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა, გამოვიკვლიოთ, არის თუ არა ერთი კანონი აკრიბიისა, მეორე კი — იკონომიისა (ან, უფრო სწორად, იკონომიის მინიჭების ნიმუში). რადგან ამის გაუთვალისწინებლად შეიძლება შეიქმნას ამგვარ კანონთა „წინააღმდეგობრიობის“ შთაბეჭდილება. მაგ. მოციქულთა მე-5 კანონი ახალი აღთქმის აკრიბიის შესაბამისად (I ტიმ. 3,2 და ტიტ. 1,5-7) გვაუწყებს, რომ „ეპისკოპოსი... მეულლესა თვისსა ნუ განეშორებინ“. ხოლო V-VI მსოფლიო კრების მე-12 კანონი, რომელიც სხვას გვაუწყებს, არ წარმოადგენს აკრიბიის კანონს, არამედ, ეს არის იკონომიის კანონი, რაც კარგად ჩანს მისივე ტექსტიდანაც.[15] შდრ. აგრეთვე V-VI მსოფლიო კრების 31-ე და 59-ე კანონი.

4) ამასთანავე, იკონომიის ზომა გათვალისწინებულ უნდა იყოს სხვადასხვა კანონებით (შდრ. ბასილი დიდის 84-ე კანონი. განსაზღვრული სხვადასხვა ეპიტიმიებთან მიმართებით. ეს, ბუნებრივია, შეიძლება მოხდეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთი კანონი გვაუწყებს სინანულის საიდუმლოსთან ამა თუ იმ პირის ნებაყოფლობით მოქცევაზე, სხვა კი — არა ნებაყოფლობითზე, ან, უმალ, საჩივრით განპირობებულზე. შესაბამისად, პირველ შემთხვევაში. სასჯელი (ეპიტიმია) იქნება უფრო მსუბუქი. შდრ. გრიგოლ ნოსელის მე-4 კანონი: „რომელმა ცოდვათა გამოსასყიდვლად აიძულა თავი იმით, რომ თავის იძულებით საკუთარ უჩინარ საიდუმლოთა მამხილებელი, ვით უკვე მოთავე ვნებათა კურნებისა და უკეთესობისკენ ცვლილების ცხადმყოფელს, თანამდებ იყოს კაცთმოყვარებით უფრო მსუბუქი სასჯელისა.“

5) მეოთხე მსოფლიო კრების მე-17 კანონის მიხედვით, დედაქალაქთან დაკავშირებულ საკითხები ცვლილებები და გარდაქმნები კვალდაკვალ მისდევს

[15] შდრ. Παν. Μπούμη, Τό ἔγγαμον τῶν ἐπισκόπων, Ἀθῆναι 1981

სამოქალაქო გარდაქმნებს. ასე, დედაქალაქთან დაკავშირებით: „...ხოლო უკეთუ მეფობრივისა ველმწიფებისა მიერ განახლდა ანუ კუალად განახლდეს რომელიმე ქალაქი, სამოქალაქოთა და საეროთა წესთა საეკლესიონიცა შეუდგნენ განწესებანი სამრევლოთანი".[16] შდრ. აგრეთვე V-VI მსოფლიო კრების 38-ე კანონი. ამრიგად, თუკი ერთი საეკლესიო კანონი მიემართება ერთ ეკლესიას, მეორე კი — მეორეს, ვერ ვიტყვით, მათ შორის წინააღმდეგობა იყოს. ამავე სულისკვეთებით განიმარტება ასევე რომი-კონსტანტინოპოლის ეკლესიათა და ა. შ. პირველობის თემა, რაზედაც მეტყველებს კანონები: II მსოფლიო საეკლესიო კრების მე-3, IV მსოფლიო საეკლესიო კრების 28-ე და V-VI მსოფლიო კრების 36-ე კანონი. მაშასადამე, აღნიშნული მოვლენა, ყველაზე უფრო სავარაუდოა, ეკლესიის წიაღში, ანუ საკუთრივ, რომაულ-კათოლიკური ეკლესიის პოზიტიურ ცვლილებებთან ამჟღავნებს კავშირს.[17]

6) ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ ასევე შემდეგი: როცა კანონს ერთვის დამატებები, ან განიცდის ცვლილებებს სხვა, ადრინდელ კანონთან მიმართებაში, ეს არ არის წინააღმდეგობა, არამედ უბრალოდ, დამატება. ამ შემთხვევაში კანონი გამდიდრებულია და განვრცობილი.

შენიშვნა: ჩვენ არ გვმართებს, ვიმსჯელოთ კანონის „გაუმჯობესებაზე", რადგან გაუმჯობესება, შესწორებას გულისხმობს, და მიანიშნებს იმას, რომ თავდაპირველი ტექსტი არ არის უცდომელი.[18]

7) საქმეთა ვითარების სწორი შეფასებისათვის გასათვალისწინებელია ასევე:

ა) შეიძლება ესა თუ ის „კანონიკური" ტექსტი არ იყოს კანონი, არამედ უბრალოდ სინოდში მონაწილე ამა თუ იმ საეკლესიო მამის წინადადება, რომელიც, ბუნებრივია, არ წარმადგენს კანონს; იმის გამო, რომ იგი არ იყო მიღებული ამა თუ იმ ადგილობრივი საეკლესიო კრების მიერ და, შესაბამისად, არც V-VI მსოფლიო კრების მიერ, ასეთი ტექსტები წარმოადგენენ, უბრალოდ, შესაბამისი საეკლესიო კრების ოქმებს. ასეთებია, მაგალითად, კართაგენის საეკლესიო კრების ზოგიერთი „კანონი", რასაც უშუალოდ ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ „მესაჭეს წიგნში" („პიდალიონში") არ არის დამოწმებული კართაგენის საეკლესიო კრების კანონთა ზოგიერთი მონაკვეთი. სამაგიეროდ, ისინი წარმოდგენილია კანონების სხვა კრებულებში.

---

[16] ხოლო თუ სამეფო უფლებისამებრ განახლებულ იქნა, ან კვალად განახლებულ იქნება ქალაქი, საეკლესიო დასახლებები (სამრევლოები) აწყობილ იქნას სახელმწიფო საჯარო ნიშუშის მიხედვით (ახალი თარგმანი).

[17] უფრო ვრცლად ამ საკითხზე იხ: Παν. Μπούμη, Τά κανονικά προνόμια τῶν θρόνων Ρώμης - Κωνσταντινουπόλεως, 'Αθῆναι 1983, passim.

[18] უფრო ვრცლად: „განვრცობა-გაუმჯობესებისათვის"Στ. Παπαδοπούλου, Πατρολογία, τόμ. Α΄, 'Αθήνα 1977, σελ. 35 ἐξ.

[19] Ράλλή-Ποτλῆ, τόμ. Δ΄, σελ.. 261.

ბ) გარდა ამისა, მსგავსი „კანონიკური ტექსტი“ შეიძლება არც მოიცავდეს ამა თუ იმ ადგილობრივი საეკლესიო კრებაზე დამსწრე საეკლესიო მამის აზრს, არამედ იყოს აღნიშნული საეკლესიო კრების საერთო მოთხოვნა, მაგალითად, ამა თუ იმ ადგილის (რეგიონის) ხელისუფალის მიმართ. ასე და ამგვარად, კართაგენის 58-ე და 84-ე კანონები არც არის ამ საეკლესიო კრების კანონები, რომლებიც, ზოგიერთის თქმისა არ იყოს, აკროპოლისის განადგურებასაც კი მოითხოვდნენ, არამედ ესაა მოთხოვნები, წამოყენებული იმპერატორ ჰონორიუსისა და თეოდოსი უმცროსის მიმართ. ამ მოთხოვნათა შესაბამისად, კართაგენის კრების მამები ეძიებდნენ ახლადმოქცეული ერის განთავისუფლებას კერპთაყვანისცემლობის ნეშტისაგან, მათ მოშორებას ისე, რომ ხსენებაც კი არ დარჩენილიყო კერპთა მსახურებისა თუ მოშიშებისა.

8) კიდევ ერთი პრინციპი, რისი ხსოვნაც ჰმართებს მკვლევარს — კანონის მონაცემთა უსაფუძვლო განვრცობისაგან თავშეკავებაა. სადაც მთავრდება კანონი, იქ უნდა გაჩერდეს მკვლევარიც. ბასილი დიდის 87-ე კანონი განსაზღვრავს: „თანმხლები მიზეზის საფუძველზე მსჯელობა იმის თაობაზე, რასაც დუმილით გვერდს უვლიან, ესაა კანონმდებლობა და არა კანონით მეტყველება“.[19] ბასილი დიდის მიერ ჩამოყალიბებული ამ პრინციპს, რომელმაც V-VI მსოფლიო კრების მე-2 კანონით კათოლიკე ძალმოსილება მოიხვეჭა, „პიდალიონი“ გადმოგვცემს ასე: „ამა თუ იმ დასკვნის გაკეთება იმ სიტყვის შესახებ, რაზედაც დუმილით გვერდი აუარა საღმრთო წერილმა, არ არის იმის იგივეობრივი, რისი თქმაც სასურველია იყო კანონის სიტყვით, არამედ იმისა, რაც კანონმდებელს სურს თქვას თავისი სიტყვით“.[20]

4. *განმარტების სახეობები*

განმარტების პრინციპებზე საუბრის შემდეგ საჭიროა, განმარტებათა სახეობების შესახებაც ითქვას ორიოდე სიტყვა.

1) კანონიკური ტექსტის გააზრების საკითხთან მიმართებით რა შინაარსი უნდა გავითვალისწინოთ — ის, რომელიც კანონმდებელს სურს, რათა მას მიანიჭოს, თუ რომელიც გამომდინარეობს თავად კანონიკური ტექსტიდან? უპირველეს ყოვლისა, ვასკვნით:

ა) რაც უფრო სრულყოფილია და საფუძვლიანია ესა თუ ის კანონი, მით უფრო მეტნი უყრიან მასს კენჭს, მით უფრო პერიოდულად უყრიან ხოლმე კენჭს თავიდან (როგორც, ვთქვათ, კონსტიტუციის მუხლებს) და მით უფრო მეტად ჰმართებს განმმარტებელს (კომენტატორს), დაიცვას, და დაეყრდნოს კანონის წერილობით სახეს. მიუხედავად კანონმდებელის ნებისა, რაც უფრო ზეისტორიულია ესა თუ ის ტექსტი, მით უფრო მეტად გვევალება, მივდიოთ მის ზეისტორიულ განმარტებას (სიტყვასიტყვითს, ობიექტურს).

[20] „Πηδάλιον“, σελ. 635.

ბ) ამ ასპექტს განამყარებს G. Radbruch – K. Zweigert-ის შემდეგი სიტყვები: „კანონი არ არის ერთი ადამიანის შემოქმედება, იგი უფრო მეტად არის ნაყოფი მრავალ ადამიანთა თანა-შემოქმედებისა, ანუ – სამინისტროს სამსახურისა, რომელიც ადგენს გეგმას, ასევე მთავრობისა და პარლამენტის წევრებისა... მაგრამ ამ მრავალრიცხოვან ადამიანთაგან არავის არ შეუძლია თავისი სიტყვებით კანონის ჩამოყალიბებით მიანიჭოს მას სრულიად განსხვავებული აზრი. და რაკი აშკარად ყველა ანიჭებს კანონს ერთსა და იმავე შინაარსს, იგი მაინც ვერ შეზღუდავს თავისუფლებას განმმარტებელი იურისტისა. რადგან ეს არ არის კანონის შემდგენელთა, მთავრობისა თუ პარლამენტის წევრთა საერთო ნება-სურვილი, არამედ არის სახელმწიფოს (სახელმწიფო-მოქალაქეთა) ნება; ხოლო ეს ნება არ თანხვდება იმ მნიშვნელობას, რისი მინიჭებაც სურთ კანონისათვის კანონის ცალკეულ პირებს."[21]

გ) ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით იგივე ავტორები ურთავენ შემდეგს: „კანონის მხოლოდ იდენტური შინაარსი განაპირობებს დადგენილებას... ამრიგად, იურიდიული განმარტება ერთ რიგად განალაგებს განმარტებათა სხვა სახეობებს, რომლებიც, მსგავსად აღნიშნული სახეობისა... იკვლევენ იმავე სულიერი შემოქმედების შინაარსს, განურჩევლად იმისა, შეგნებულად მიანიჭა თუ არა მას ამა თუ იმ მკვლევარმა ეს შინაარსი. ამიტომაც არის ადამიანის შემოქმედებაში მოქცეული იმაზე ღრმა შინაარსი, რასაც თავად შემოქმედიც კი ვერ წარმოიდგენს.".[22]

დ) ამ მოსაზრებას განამტკიცებს იურისპრუდენციის პროფესორი K. Engisch, რომელიც შენიშნავს: „მეტად მოსწრებულად შენიშნავს ანდრე ჟიდი თავის წიგნში „Paludes" („ჭაობი") „...რაც მე ყველაზე მეტად მაინტერესებს, არის ზუსტად ის, რაც მე წარმოვადგინე ჩემდა უცოდინრად – გაუცნობიერებელის ამ ნაწილს მე დავარქმევდი ღმერთის ნაწილს ... დაე, დაველოდოთ საგანთა გამოცხადებას ერთიანად, ერთობლიობით გამოცხადებას ჩვენი საქმეებისა ".[23]

ამ თეორია-პრინციპის მიხედვით, და იმის გამო, რომ სხვა საკითხთა შორის კანონიკური ტექსტები გამოხატავენ უფლის ნებასაც (რაც მათში აისახება უთუოდ, თუმცა აშკარა კვალის გარეშე) და ეკლესიის სავსებისაც (რომელსაც წარმოადგენენ მრავალ ნი – ცოცხლებიცა და მიცვალებულებიც),

---

[21] G. Radbruck _ K. Zweigert, Einführung in die Rechtswissenschaft, 11. Aufl., Stuttgart, 1964, გვ. 251

[22] G. Radbruch _ K. Zweigert, დასახ. ნაშრ. გვ. 251.

[23] K. Engisch _ თარგმანი ბერძნ. ენაზე: Δ. Σπινέλλη, Εἰσαγωγή στή νομική σκέψη, Ἐκδ. Μορφωτικό Ἵδρυμα Ἐθνικής Τραπέζης, Ἀθῆνα 1981, σελ. 108.

ამიტომაც ჩვენ უფრო მეტად ვემხრობით სიტყვასიტყვით, ანუ ობიექტურ, ანუ ზეისტორიულ განმარტებას.

2. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია წარმოვაჩინოთ განმარტების სხვა თავისებურება, რომელიც მეტყველებს ამა თუ იმ სასამართლო თუ კანონიკური ტექსტის ორ სხვაგვარ სახეობასა თუ მეთოდზე. ესაა შეკუმშული (systaltica) და განვრცობილი (გაშლილი – diastaltica) განმარტება. ანუ, თუ ერთ შემთხვევაში შემოვსაზღვრავთ, „ვკუმშავთ" შინაარსს, ამა თუ იმ სიტყვის თუ ტექსტის მოცულობას, მეორე შემთხვევაში, პირიქით – განვავრცობთ, „გავშლით" ამ წინადადებათა თუ სიტყვათა შინაარსებს; ისე, რომ მათ მოიცვან სხვა შემთხვევებიც, ჰქონდეთ გამოყენების უფრო ვრცელი არე.

3. ა) ზემოაღნიშნულის შემდეგ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება შევნიშნოთ შემდეგი: კომენტატორი უნდა ითვალისწინებდეს, რომ ერთ საღმრთო ტექსტს შეიძლება მოერგოს ერთზე მეტი განმარტება. მაგალითად, ტექსტის ერთ ადგილას იყოს განმარტება, რომელიც ერგება ერთ განსაზღვრულ ეპოქას. ასე იაზრებდნენ და საქმეში ასე იყენებდნენ ამ კანონს აღნიშნული ეპოქის ადამიანები. იქნებ ასე უნდა ყოფილიყო იმდროინდელი ისტორიული ვითარებისა და საფრთხეების გამო; იქნებ იმიტომ, რომ ამ განმარტებას დაუშვებდა ადამიანთა შემეცნებითი განათლების და საეკლესიო ორგანიზაციის დონე. შესაბამისად, კომენტატორი არ სჯერდება ამ გადმოცემულ განმარტებას, არამედ მას შესწევს ძალა ზემოთწარმოდგენილი დებულებების თანახმად და თანამედროვე სოციალური ცვლილებებისა თუ მეცნიერული პროგრესის გამო დაუშვას სხვა განმარტებაც.

ბ) ზუსტად ეს ფენომენი, ეს შესაძლებლობა, შეიძლება ითქვას, რომ არის სათადარიგო ხასიათისა და არ არის აბსოლუტური. ანუ, შეიძლება მიეცეს ახალი განმარტება დებულებას, რომ იქნებ იგი შეესაბამება აღნიშნულ ეპოქას, მაგრამ არ შეესაბამებოდეს სხვა, სამომავლო ეპოქას თავისი ახალი ცოდნითა და შესაძლებლობებით. ან ეს განმარტება შეიძლება არ ამოწურავდეს საღმრთო ტექსტის შინაარსს, რომელიც ამომწურავად მოიცვას სხვა, ახალმა ეპოქამ, ან თუნდაც, შეიძლება, ამომწურავად წარმოადგინოს სხვა ხანის კომენტატორმა.

გ) სწორედ იმიტომაც, რომ სრულიად არ ამოიწურება ამა თუ იმ ტექსტის ესა თუ ის შინაარსი (ან, ყველა შესაძლებელი მისი შინაარსი), არ არის მიღებული მისი სიტყვასიტყვითი თარგმანი, რადგან ასეთი თარგმანი არც იქნება თარგმანი, არამედ – ტექსტის ასლი, ესკიზი. ამიტომაც, საღმრთო წერილის ტექსტთა თარგმნის პარალელურად, მიღებულია, წარმოდგენილ იქნას ტექსტის დედანი მაინც.

თავი მეხუთე

კანონიკური სამართალი და ეკლესია

1. კანონიკური სამართლისა და ეკლესიის ურთიერთობა

პრობლემა, რომლითაც დაკავებული იყო და ახლაც დაკავებულია კანონიკური სამართლის მეცნიერება, ეს არის საერო, სამოქალაქო და საეკლესიო კანონთა ურთიერთმიმართება. და ეს იმიტომ, რომ ადამიანთა კანონი თავსმოხვეულია ძალით, იგი იძულებითია. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება საკითხი: რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ქრისტიანულ ეკლესიას, სიყვარულის, მადლის და თავისუფლების თანაზიარებას კანონთან, ანუ, იმასთან, რაც არის იძულებისა და ძალადობის გამოხატულება? იგულისხმება, ცხადია, ის ფაქტიც, რომ ქრისტემ, ეკლესიის თავმა, თავისი ხორცშესხმით, ჯვარცმით თავისი მსხვერპლით „მოგჟყიდნა წყევისა მისგან სჯულისა" (გალ. 3,13).

ეს პრობლემა არის მრავალთათვის გადახრებისა და განსხვავებების შედეგი; იმისა, რაც წარმოჩენილია რომაულ-კათოლიკური ეკლესიის წევრებსა და პროტესტანტებს შორის. ასე, რომაულ-კათოლიკური ეკლესია ეფუძნება გარეგნულ ორგანიზაციას, ანუ ხაზგასმით გამოკვეთს ფორმას, ეკლესიის არსის საზიანოდ, და პროტენსტანტები მას უწოდებენ სამართლის სჯულის ეკლესიას (Rechtskirche), რომელიც უპირისპირდება ეკლესიას, როგორც სიყვარულით თანაზიარების (Liebeskirche) არსს. მაგრამ პროტესტანტებიც, რაკი ხაზგასმით გამოკვეთენ ეკლესიას, როგორც „სარწმუნოებისა და სიწმიდის გულში ზიარების" შინაარსს, უგულვებელყოფენ ეკლესიის ხილულ, გარე სახეს, ან მას მეორადი მნიშვნელობისად მიიჩნევენ და ცალმხრივად ემხრობიან მხოლოდ შინაგან არსს.

ეს თეზისები და ანტითეზისები საფუძვლად დაედო ცნობილი პროტენსტატი კანონისმცოდნის რუდოლფ ზომის (Rudolph Sohm) თეორიას, რომლის მიხედვითაც „ეკლესიის არსი და სამართლის არსი ავლენენ ანტითეტურ (ურთიერთდაპირისპირებულ) მიმართებას.[1] ანდა იმას, რომ „ეკლესიას თავისი ბუნებით არ სჭირდება კანონიკური სამართალი".[2] მაგრამ ორივე მოსაზრება — რომაულ-კათოლიკურიც და პროტესტანტურიც, ისევე, როგორც ზომის თეორია, აშკარად გადახვევა ქრისტიანობის პირველი წლების ერთიანი და დაუყოფელი ეკლესიის აზრებისაგან წმიდა კანონთა შესახებ.

ყველა შემთხვევაში ამ პრობლემამ, რომელიცაა „ეკალი" (პროფ. მეიენდორფის მიხედვით), კანონიკური სამართლის მეცნიერებათა

---

[1] R. Sohm, Kirchenrecht, ტომ.I: Die geschichtlichen Grundlagen, Leipzig 1892, passim.

[2] R. Sohm, დასახ. ნაშრ. გვ. 3: „Die Kirche will Kraft in des Wesens kein Kirchenrecht". შდრ. Κων. Μουρατίδου, Διαφοροποίησις, ἐκκοσμίκευσις καί νεώτεραι ἐξελίξεις ἐν τῷ δικαίῳ τῆς Ρωμαιοκαθολικῆς Ἐκκλησίας, Ἀθῆναι 1961, σελ. 5-6.

კორპუსისათვის, ხელი შეუწყო კანონის მეცნიერებს, რათა თავიდანვე სიღრმისეულად შეესწავლათ ეკლესიისა და კანონის ურთიერთობები. და ღირს, ჩვენც შემოვიტანოთ რამდენიმე შენიშვნა, რათა სწორად გავიაზროთ აღნიშნული პრობლემა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ იესო ქრისტემ გამოგვისყიდა ჩვენ სჯულის წყევლისაგან, მაგრამ სრულად არ გაგვათავისუფლა ძველი აღთქმის სჯულისაგან, რაც აღვნიშნეთ კიდეც კანონიკური სამართლის წყაროებზე საუბრის დროს. საღმრთო წერილის სხვა ადგილას თავად უფალი გვეუბნება: „ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დახსნად სჯულისა, გინა წინაჲსწარმეტყველთა; ვიდრემდის ყოველივე იქმნეს“ (მათე 5,17).[3] და უფალმა ნამდვილად განახორციელა „სრულყოფა“ სჯულისა, სულ მცირე, სამგვარი გზით: ა) თავისი ხორცშესხმითა და სჯულისმიერ დადგენილის საქმეში განხორციელებით. ბ) ჯვარცმის გზით, თავისი მსხვერპლით. გ) ახალი აღთქმის კანონმდებლობის, ანუ სიყვარულის მცნებათა შემოტანით. ასე „შესრულდა“, „აღსრულდა“ და „სრულ-იქმნა“ ძველი აღთქმის სჯული და წინასწარმეტყველება.

საერთოდაც, შეუძლებელია, რომ ქრისტეს გაეუქმებინა ძველი აღთქმის სჯული, და ზოგადად, ნებისმიერი სჯული, რადგან ეკლესია წარმოადგენს ადამიანთა ერთობას. და ჩვენ ვუწყით, რომ სადაცაა ერთობა, იქ აუცილებლად არის სამართალიც. დედამიწაზე მორწმუნეები, რომლებიც წარმოადგენენ მებრძოლ ეკლესიას, არიან ადამიანები ტრავმირებული სულით („ხატისამბრი“ მსგავსების შებღალვით) და მრავალი უძლურებითა და ვნებით დამძიმებული ხორცით. და ამის გამო მათდა სამკურნალოდ აუცილებელია, მათ სძლიონ თავიანთ სისუსტეებსა და უძლურებას, რათა მიაღწიონ „მიმსგავსებას“ და გარკვეული მცნებებითა და კანონებით იხელმძღვანელონ. აუცილებელია, რომ მათ ჰქონდეთ ცხოვრების გზამკვლევი და ნიშანსვეტი. სწორედ ამ აუცილებლობას აკმაყოფილებს კანონიკური სამართალიც, რომელიც ეკლესიის წმიდა კანონთა საფუძველზე წარმოაჩენს წრფელსა და მართალს, აუცილებელ და უსაფრთხო გზას ქრისტესმიერი სრულყოფილებისათვის. ამასვე ადასტურებს მოციქულ პავლეს სიტყვები გალატელებისადმი: „სჯული იგი მზარდულ გუექმნა ჩუენ ქრისტეს მიმართ, რაჲთა სარწმუნოებითა განვმართლდეთ“ (გალ. 3,24).

ამასთანავე, აუცილებელია, დავძინოთ შემდეგი: წმიდა კანონები, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენენ ეკლესიის შეგნების, მისი პიროვნების წესის გამოხატულებას, შესაბამისად, არ არსებობს არავითარი დაპირისპირება ეკლესიასა და წმიდა კანონებს შორის. კანონები (სჯული), რომლებიც მიემართება ეკლესიის ცხოვრებას, მის ორგანიზაციასა და ერთიანობას,

[3] შდრ. აგრეთვე რომ. 3,31. „აწ სჯულსა ნუ განვაქარვებთა სარწმუნოებითა მით? – ნუ იყოფინ, არამედ სჯულსა დავამტკიცებთ“.

გამოხატავენ ეკლესიის ბუნებას; მაშინ, როდესაც კანონები (სჯული) მიმართული მორწმუნეებისადმი, გამოხატავს ეკლესიის სამრევლო დანიშნულებას და მის ზრუნვას მათდამი. ასე განიმარტება ის ფაქტიც, რომ ეკლესია თავისი სამრევლო მსახურების აღსრულების დროს სარგებლობს უფლებამოსილებით, რათა დროებით გადაიხაროს კანონთა ზუსტი დაცვისაგან (აკრიბია) შეწყალების (იკონომიის) გარკვეული საზომის საფუძველზე. ამას იგი მიმართავს იმისათვის, რომ კანონიკური ტრადიციით, აკრიბიის დაცვით დაბრკოლება არ შეუქმნას ადამიანთა წარმატებას ცხოვნების გზაზე. აკრიბია წმიდა კანონებით ხელმძღვანელობის დროს, ისევე, როგორც „იკონომიით" გადახვევა, გამოხატავს ეკლესიის შეუდრეკელ წინსვლას თავისი დანიშნულებისა და მიზნისაკენ, რაც ადამიანის სრულყოფასთან, მის თავისუფლებასა და ცხოვნებასთანაა გაიგივებული. ამ შინაარსით, წმიდა კანონებს არა აქვთ კატეგორიული (სამართლებრივი, იურიდიული) გაგება, არამედ ეკლესიოლოგიური, სამრევლო და სოტერიოლოგიური ხასიათი.

ამიტომაც კანონიკურ სამართალს ბევრ შემთხვევაში ეწოდება მადლისა ან თავისუფლების სამართალი. კანონიკური სამართლის ხასიათს არა აქვს არავითარი კავშირი ადამიანთა სამართლის პოზიტიურ (ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრულ და კატეგორიულად თავსმოხვეულ) ხასიათთან.

2. კანონიკური სამართალი და თავისუფლება

აღინიშნა, რომ არსებობს პრობლემური საკითხი ეკლესიასა და კანონიკური სამართალის მიმართებებს შორის. რადგანაც სამოქალაქო, ადამიანური (პოზიტიური) სამართლის მიმდევრებისთვის, (იურისტებისთვის) კანონი წარმოჩენილია, როგორც ადამიანის ბუნების საწინააღმდეგო, ან შემზღუდველი ფენომენი მაინც. თუკი დავუშვებთ, რომ ადამიანური კანონი იძულებითია, ამას ვერ ვიტყვით საღმრთო სჯულსა და ეკლესიის კანონებზე, რომლებიც გვკარნახობენ ყოველივე მართებულს, და რაკი საეკლესიო კანონები გვანიჭებენ მართებულებას, ჭეშმარიტებას და სიმართლეს, ამიტომაც სამართალი მიემართება კანონთა შემწეობით თავისუფლების მოპოვებისათვის. იესო ქრისტემ თქვა: „უკეთუ თქუენ დაადგრეთ სიტყუათა ჩემთა, ჭეშმარიტად მოწაფენი ჩემნი ხართ; და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ" (იოანე 8.31-32).

ქრისტესმიერი ჭეშმარიტებით, მართლაც, შეიძლება თავისუფლება მოვიპოვოთ, ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც მართლაც ვცნობთ ჭეშმარიტებას, ჭეშმარიტებით შეიძლება თავისუფლები გავხდეთ, არა წინასწარ, ან რაიმე სხვა გზით. ეს გულისხმობს მომავალ დროს — „განვთავისუფლდებით". განვთავისუფლდებით მაშინ, როდესაც შევიმეცნებთ ქრისტესმიერ ჭეშმარიტებას. იქნებ ამ თავისუფლებაზე განაცხადებს მოციქული პავლეც, თუნდაც

არა უშუალოდ, როცა იგი სვამს კითხვას: „არა ვარა აზნაურ? (ანუ თავისუფალი) ანუ არა უფალი ჩუენი იესო ქრისტე თუალითა ვიხილეა?“ (I კორ. 9,1). ხილვა იესო ქრისტესი, ცნობა მისი, მამასთან ერთობა წარმოადგენს ნამდვილ თავისუფლებას. შდრ. იოანე 8,36: „უკეთუ ძემან განგათავისუფლნეს, ჭეშმარიტად თავისუფალ იყვნეთ“ და გალ. 5,1: „აზნაურებითა მით, რომლითა ქრისტემან ჩუენ განგუააზნაურნა (გაგვათავისუფლა) მტკიცედ სდეგით“...

შესაბამისად, ვიტყვით: ნუ დავივიწყებთ იმას, რასაც მივყავართ ქრისტეს ხილვად ჭეშმარიტების შემეცნებისათვის, ნუ დავივიწყებთ იოანესაც (14,6): „მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხოვრებაჲ“ — ამას მივყავვართ თავისუფლებისკენ. ამიტომაც ქრისტიანული მცნებებიც, გინდ ბიბლიური, გინდ კანონიკური, ვერ დახასიათდება, როგორც აუცილებლობის ან იძულების კანონები, როგორც მონობის სჯული, არამედ — როგორც თავისუფლებისა. ამიტომაც იაკობ მოციქული ლაპარაკობს „თავისუფლების სჯულზე“, ანუ „სჯულზე აზნაურებისასა“ და აღნიშნავს: „ხოლო რომელმან მიჰხედა სჯულსა სრულსა მას აზნაურებისასა და დაადგრა მას ... ესე ნეტარ იყოს ქმნითა მით მისითა“ (იაკ. 1,25). აქ აზნაურების, ანუ თავისუფლების სჯულთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ ასევე დახასიათება: „სრული სჯული“. ეს არის დახასიათება, როგორც აღვნიშნეთ, თანაარსებობისა, რადგან უფლის სჯული სრულია და უცდომელი, ამიტომაც მივყავართ მას თავისუფლებისაკენ — „აზნაურებისაკენ“.

ამ ორი დამახასიათებელი თავისებურებებით სახარების სჯული, საღმრთო სჯული არის უნიკალური. აღნიშნული მონაკვეთი გამოჯნავს ამ სჯულს ყველანაირი, ადამიანური კანონებისაგან. და ნუ გვგონია, რომ მხოლოდ სჯული, არამედ საღმრთო წერილში მოცემული მცნებებიც ამ მახასიათებლებით გამოირჩევა. ამავე თავისებურებებით გამოირჩევა საეკლესიო კანონებიც, სჯული მთელი ეკლესიისა. და ზუსტად ამ დამახასიათებელი თავისებურებებით რომ გამოირჩეოდნენ და მოქმედებდნენ ეკლესიის კანონები, ამისათვის სულიწმიდის შეწყობით დაამუშავეს ისინი ეკლესიის მამებმა, ისე, რომ მიაღწიონ და დაიცვან სრულყოფილება და უზრუნველყონ თავისუფლებაც.

ხოლო იმისთვის, რომ ეკლესიის მამებმა საგანგებო ყურადღება დაუთმეს იმას, რათა შეურყვნელად ყოფილიყო დაცული ქრისტიანული ჭეშმარიტება, ვიტყვით სხვაგან, სადაც ჯერ-არს. შეგახსენებთ V-VI და VII მსოფლიო საეკლესიო კრებების პირველ მოწმობებს. ხოლო იმისათვის, რომ საგანგებო ყურადღება დავუთმოთ და დავიცვათ ქრისტესმიერი თავისუფლება, საგანგებოდ ხელთ გვაქვს III მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8 კანონი, სადაც აღნიშნულია: „საქმე გარეშე წესთა ეკლესიისათასა და კანონისა წმიდათა მამათაჲსა განახლებული თავისუფლებისა ყოველთაჲსა განმრყუნელი მომითხრა

ჩუენ ღმრთისმოყვარემან თანაეპისკოპოსმან ჩვენმა რიგინოს ... აქუნდინ უკუე თავისუფლებით და უიძულებლად ... რაჲთა არცა კანონსა მამათასა გარდაჰვდენ, არცა სახესა შინა მლდელობისასა ზუაობით სოფლიოდსა მთავრობის მოყვარებისაჲ იპოოს, არცა წარვწყმიდოთ თავისუფლებაჲ მცირედ-მცირედ დამვიწყებელთა მისთა, რომელი თუსითა სისხლითა მოგუანიჭა ჩვენ უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, განმათავისუფლებელმან ყოველთა კაცთამან".[4]

ყოველივე ამას შეიძლება დავძინოთ კიდევ შემდეგი: თავისუფლება, ნამდვილი თავისუფლება არის ქრისტესმიერი ჭეშმარიტების შემეცნებისა და განცდის შედეგი. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ესაა ამა თუ იმ ადამიანის განწმენდის, გასულიერებისა და განღმრთობის შედეგი. იგი არსებობს, მას ფლობენ ეკლესიის ის წევრები, რომლებიც განიწმინდნენ, განიღმრთვნენ, გახდნენ „ზებუნებრივნი". ამას ადასტურებს მოციქული პავლე, როდესაც აღნიშნავს: „ხოლო უფალი სულ არს; ხოლო სადა სული უფლისაჲ, მუნ აზნაურებაჲ (ანუ თავისუფლება) არს" (II კორ. 3,17). ამასვე ცხადყოფენ წმინდანებიც, რომლებსაც შეუძლიათ, მოახდინონ სასწაულები, ანუ, უკუაგდონ ბუნების კანონები (მიზიდულობის კანონი, ხრწნადობის კანონი, მხეცთა ველური ინსტინქტები და ა. შ.).

იქნებ იკითხოს კაცმა: რატომ გვქვია ჩვენ ეკლესიის წევრები? რისთვის არის საჭირო ეკლესიის ჩარევა ან შუამდგომლობა? მარტო კაცს თავისით არაფერი შეუძლია?

პასუხად ვამბობთ, რომ: ა) „სადაცაა სული უფლისა, იქაა თავისუფლება". და სრულიად ეჭვგარეშეა, რომ სული უფლისა სუფევს ეკლესიაში. ბ) როგორც ვიცით, ადამიანი დაცემის და ცოდვისადმი მონობისადმი დაქვემდებარების შემდეგ საჭიროებს არა მარტო გზამკვლევსა და გამზრდელს, არამედ უფლის მადლსაც,[5] რომელსაც მას ანიჭებენ ეკლესიის საიდუმლონი სრულყოფისა და სულიერებისათვის. და ეს ყოველივე აქვს ეკლესიას. პროფ. ან. თეოდორუ წერს: „იმისთვის, რომ საიდუმლონი იყვნენ მადლის აქტიური მოქმედნი, ისინი აუცილებლად უნდა აღსრულდებოდეს კანონიკურად (სჯულისმიერ) ხელთდასხმულ მსახურთა (სამღვდელოების) მიერ, ე. ი. აუცილებლად და მხოლოდდამხოლოდ ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ქრისტეს ეკლესიის წიაღში".[6]

---

[4] Ράλλη - Ποτλῆ, τόμ. Β΄ σελ;. 203. ქართული თარგმანი (აქ და შემდგომ, სადაც არ არის საგანგებო მითითება) „დიდი სჯულის კანონიდან", თბილისი 1975 წელი (მთარგმნელი).

[5] შდრ. იესო ქრისტეს სიტყვები: „თჳინიერ ჩემსა არარაჲ ძალ-გიც ყოფად არცა ერთი" (იოანე 15,5).

[6] Ἀν. Θεοδώρου, Ἡ Intercommunio ἐξ ἀπόψεως Ὀρθοδόξου Συμβολικῆς, ἐν Ἀθήναις 1971, σελ. 20.

შესაბამისად, არც შეუთავსებლობა, არც შეუსაბამობა თუ დაპირისპირება არ არსებობს საღმრთო მცნებათა და თავისუფლებას („აზნაურებას“) შორის და, ბუნებრივია, არც ეკლესიასა და საღმრთო სჯულს (კანონებს) შორის.

ზემოხსენებულის საფუძველზე შეუძლებელია მტკიცება იმისა, რომ ცნება „სამართალი“ შეუთავსებელია „ეკლესიის“ ცნებასთან, ან რომ ეკლესიის არსი და მიზანი უპირისპირდება სამართლის არსსა და მიზანს. პირიქით, კანონიკური სამართალი ურყევად არის დაკავშირებული ეკლესიის არსებობასთან მისი დაარსების პირველივე წამიდან. ურთიერთდამოკიდებულება და ისტორიული თანაარსებობა კანონიკური სჯულისა ანუ საეკლესიო სამართლისა გამოჩნდება მომდევნო პარაგრაფებიდან, რომლებსაც წინამდებარესთან ერთად წარმოვადგენთ.

3. ეკლესიის დაარსება, განსაზღვრება და თავისებურებები

ქრისტეს ეკლესიის დაარსება, როგორც ეს დოგმატიკიდან არის ცნობილი, ურყევადაა დაკავშირებული საღმრთო განგებულების საიდუმლოსთან. ეკლესიის დაარსების დღედ ითვლება მოციქულებზე სულიწმიდის მოფენა. იესო ქრისტემ უკვე ამქვეყნად მოსვლისა და განკაცებისთანავე „ეკლესიის ხორცით შეიმოსა“, მაგრამ სულიწმიდის გარდამოსვლამ მეერგასე (ანუ აღდგომიდან 50-ე) დღეს დააყენა ეკლესია მის ისტორიულ გეზზე, ვიდრე ბოლო ჟამამდე, უფლის სასუფევლის აღსრულებამდე. უფლის აღდგომის შემდეგ მისი მოწაფეები ორმოცი დღით წავიდნენ გალილეაში, როგორც მათ თავად უფალმა უბრძანა. იქ იესო მიეახლა თავის მოწაფეებს და უთხრა: „მომეცა მე ყოველი ჴელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა. და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ; და აჰა, ესერა, მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა.“ (მათე 28,18-20, შდრ. მოციქულთა 50-ე კანონი).

იესო ქრისტეს ეს სიტყვები, საღმრთო წერილის ეს მონაკვეთი წარმოადგენს დამფუძნებელ აქტს, საყოველთაო ეკლესიის საწესდებო ქარტიას, მის „ყოვლისმომცველ“ კონსტიტუციას. ამგვარად, ეკლესიის დაარსება წამოჩენილია, როგორც ქრისტეს „ხელმწიფების“ შედეგი. რადგან პირველად უფალი ამბობს, რომ მას მიეცა ყოველი „ჴელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“, და კვალად, უფალი ჰგზავნის თავის მოწაფეებს კაცთა შორის, ყოველ წარმართთან, რათა დაადგინოს ისინი თავისი ეკლესიის წევრებად. მაშასადამე, დაარსების პირველ წამისთანავე ეკლესიამ შეიძინა გარკვეული ძალმოსილება, რასაკვირველია, საღმრთო ძალმოსილება, რადგან მას იგი უფლისაგან, ქრისტესგან მიენიჭა.

უფლისაგან ეს ხელმწიფება გადმოეცა მის მოწაფეებს. გავიხსენოთ უფლის სიტყვები: „რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა...“ (მათე 18,18; შდრ. მათე 16,19 და იოანე 20,23) – ანუ, უფლის მოწაფენი, რაკი მათ მიიღეს უფლისაგან ეს მცნებები, ხელმწიფება და უფლებამოსილება, და სულიწმიდის მადლი მათზე სულის მოფენით, ისინი დადგენილ იქნენ „ათორმეტ საფუძვლად“ (გამოცხ. 21,14) ეკლესიისა, კლდეებად, რომელთა ზედა აღაშენა უფალმა თავისი ეკლესია (მათე 16,18).[7]

ისტორიაში ეკლესიის გზა არის მუდმივი განმეორება სულიწმიდის მოფენისა. ეკლესია, როგორც უკუნითი-უკუნისადმე მყოფი ქრისტე, სულიწმიდით ერთ სხეულად აერთიანებს მის წიაღში ყოველს, ადამიანთა მოდგმის საცხოვნებლად. სულიწმიდის მოფენის მოციქულები გახდნენ ქრისტეს აღდგომის მოწამენი და ქრისტესმიერი ცხოვნების მქადაგებლები იმ ხელმწიფებით, რომელიც მათ მიანიჭა ღმერთმა „აღსაშენებელად და არა დასარღუეველად“ (II კორ. 13,10). შემდგომ ეს ხელმწიფება, რომელიც შედგება სამღვდლო, სამეუფო და საწინასწარმეტყველო ძალაუფლებისაგან, გადაეცა მოციქულთა მემკვიდრეებს, ყოველი ეპარქიის ეპისკოპოსებს და მათ წარმომადგენლებს.

შენიშვნა: იესო ქრისტე არის დიდი მღვდელთმთავარი, ეკლესიის ეპისკოპოსი, ზეაღმატებული ყოველ დროსა და ადგილზე.

მოციქულები იყვნენ ეკლესიის ეპისკოპოსები, ზეაღმატებულნი ადგილისა, მაგრამ განსაზღვრულ დროში.

მღვდელმთავრები არიან ეკლესიის ეპისკოპოსები გარკვეულ დროსა და ადგილზე.

ზემოთწარმოდგენილის მიხედვით შეიძლება მიახლოებით განვსაზღვროთ ეკლესია. ვამბობთ, „მიახლოებით“, ვინაიდან ეს განსაზღვრება იქნება უფრო აღწერილობითი, ვიდრე არსებითი. რადგანაც ეკლესია, თავისი წარმომავლობით, არსითა და ბუნებით არის დიდი საიდუმლო (შდრ. ეფეს. 5,32), შეუძლებელია მთელი სიგრძე-სიგანითა და სიღრმით მისი ზუსტი განსაზღვრება.

ამის შემდეგ შეიძლება აღვნიშნოთ ისიც, რომ ეკლესიასთან დაკავშირებული ცნებები და ტერმინები ბუნდოვანია და გაურკვეველი; ხოლო რაკი ბუნდოვანია ეს ცნებები, ეკლესიის განსაზღვრებაც არ გვაქვს. ამგვარ გაურკვევლობას ხელს უწყობს საღმრთო წერილის ერთი განუმარტავი და გაურკვეველი ადგილი, სადაც ნათქვამია: „რამეთუ განწმიდნების ქმარი იგი ურწმუნოჰ ცოლისა მისგან მორწმუნისა და განწმიდნების ცოლი იგი

[7] უფრო დაწვრილებით იხ. Παν. Μπούμη, Ἡ πέτρα τοῦ Ἀπ. Πέτρου, Ἀθῆναι 1980 (ამონაბეჭდი ჟურნალიდან „Θεολογία“).

ურწმუნოდ ქმრისა მისგან მორწმუნისა. უკეთუ არა, შვილნიმცა თქუენნი არაწმიდა იყვნეს, ხოლო აწ წმიდა არიან“ (I კორ. 7,14). ამიტომაცაა, რომ საღმრთო წერილიც და ეკლესიის მამებიც ერიდებიან, რათა წარმოადგინონ ცნება „ეკლესიის“ კონკრეტული განსაზღვრება და მხოლოდ ამჯობინებენ მიმსგავსებით, სახისმეტყველებით შემოიფარგლონ. ასე, ისინი მას ახასიათებენ, როგორც ქრისტეს სძალს, როგორც ქრისტეს სხეულს, როგორც უფლის სახლს, როგორც კიდობანს, როგორც დედას ყოველთა, როგორც ზეციურ იერუსალიმს, როგორც მარადიულ ქალაქს, როგორც ნავთსაყუდელს, როგორც მთას, როგორც სარწმუნოების სასწავლებელს, როგორც სვეტს ჭეშმარიტებისა, როგორც კრებას, როგორც ღმრთის სასუფეველს და ა.შ.

საეკლესიო სჯულის თვალსაზრისით ჩვენ შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი განსაზღვრება: ეკლესია არის ერთადერთი ღმერთკაცებრივი დაწესებულება (სხეული), რომელიც დაფუძნებულია იესო ქრისტეს მიერ ადამიანთა მოდგმის საცხოვნებლად და წარმოადგენს ერთობით მთლიანობას ყველა იმათი, ვისაც სწამს ქრისტე და ერთ-არიან სულიწმიდით, მის მოციქულთა და მათ მემკვიდრეთა მეშვეობით.

იესო ქრისტემ დააარსა თავისი ეკლესია და შეკრა იგი განსაზღვრული ხელმწიფებით, რათა მტკიცე იყოს ერთიანობა, და ადამიანთა ცხოვნება — უეჭველი. მაგრამ ეს რომ მოხდეს, ბუნებრივია და არსებითი, ვიცოდეთ, თუ როგორია ეს ეკლესია; იმისთვის, რომ დავიცვათ მასში ერთობა, ანუ დავიცვათ მისი მეშვეობით თავი, ამისათვის გვმართებს, მოვიხსენიოთ ეკლესიის თავისებურებები, რათა წარმოვიდგინოთ მისი ყველაზე სრულყოფილი ხატი, და რათა ვიცნობდეთ მის მახასიათებლებს. ეს მახასიათებლები, როგორც გადმოგვცემს რწმენის სიმბოლო, შემდეგია:

1) ეკლესია არის ერთი, იგი წარმოადგენს ერთ მთლიანობას, ერთ სხეულს, რომლის თავი არის ქრისტე, ძე და სიტყვა ღმრთისა, და წევრები — ყველა, ვისაც ჭეშმარიტად სწამს მისი.

2) იგი არის წმიდა, რადგან წმიდაა მისი დამფუძნებელი და მთავარი, ქრისტე, რომელიც განწმედდა და განწმედს თავისი სისხლით. მისი და ეკლესიაში მოქმედი სულიწმიდის მადლით განიწმიდება ეკლესიის ყოველი წევრი.

3) ეკლესია არის კათოლიკე. ე.ი. მისი დანიშნულებაა, მოიცვას „თავ-ყოფად ყოველივე ქრისტეს მიმართ, რაჲ-იგი არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“ (ეფეს. 1,10). ეკლესიის კათოლიკურობა არ მოიაზრება მხოლოდ მსოფლიურობის (ეკუმენურობის) ჰორიზონტალური ხაზით, რადგანაც ეკლესია მოიცავს არა მხოლოდ იმათ, ვისაც სწამს ქრისტე, არამედ — ვერტიკალური გაგებითაც; რაკი იგი მოიცავს ყოველს, რომელსაც ოდესღაც სწამდათ ან სამომავლოდ ირწმუნებენ ქრისტეს, და უმეტესად იმის გამო, რომ ეკლესიაში (და ამ გზით) დაცულია და ცხოვრებით შეურყვნელად

განიცდება ქრისტესმიერი სავსების ჭეშმარიტება. მაშასადამე, ეკლესიის კათოლიკურობა ჰორიზონტალურად გამოიხატება მის მსოფლიურობაში (ეკუმენურობაში), ვერტიკალურად კი – ქრისტესმიერი გამოცხადების სისავსით. ამიტომაცაა, რომ კათოლიკე ეკლესიად ითვლება ყოველი ადგილობრივი ეკლესია, რომელიც ცხოვრობს ამ ეკუმენურობითა და სისავსით. ამრიგად, კათოლიკურობა გულისხმობს არა მარტო ადგილობრივი ეკლესიების ერთობლიობას, არამედ – კათოლიკე ადგილობრივ ეკლესიებსაც, რომლებიც ცალკეულადაც და ერთადაც, ერთობით „სულისასა საკრველითა მით მშჯიდობისაჲთა" (ეფეს. 4,3) წარმოადგენენ ერთ კათოლიკე ეკლესიას.

4) ეკლესია არის ამასთანავე სამოციქულო, რადგან იგი დაფუძნებულია „ათორმეტსა საფუძველსა" ზედა (შდრ. მათე 16,18 და გამოცხ. 21,14). ამასთანავე, კათოლიკურობა მისი ცალკეული მონაკვეთისა ხორციელდება მისი სამღვდელოების სამოციქულო მემკვიდრეობით (ან, უფრო ზუსტად, სამოციქულო მემკვიდრეობების მეშვეობით) და სამოციქულო სწავლებით, ანუ იმ სწავლებით, რომელიც მოიცავს საღმრთო წერილსა და სხვა საღმრთო გარდამოცემას.

შესაბამისად, ეკლესია არ არის მარტივი სხეული (კორპუსი), ან იურიდიული პირი, შედგენილი ფიზიკური პირებისაგან, რომლებიც ამა თუ იმ დროის შუალედში ცხოვრობენ დედამიწაზე. ეკლესია არის ღმერთკაცებრივი ორგანიზმი, რომლის თავი არის ქრისტე, ხოლო სხეული – ყოველი ქრისტიანი „ცათა შინა და ქუეყანასა ზედა", ვინც კი განეკუთვნება ან მოზეიმე, ან მებრძოლ ეკლესიას.

საერთოდ, ქრისტიანულ ეკლესიას ყოველი სხვა ორგანიზაციისაგან ის განასხვავებს, რომ მასში სამოციქულო მემკვიდრეობისა და სწავლების დაცვით არსებობს და მოქმედებს სულიწმიდა (შდრ. იოანე 14,15-17: „უკეთუ გიყუარ მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით (ამბობს უფალი), და მე ვჰკითხო მამასა ჩემსა და სხუა ნუგეშინის-მცემელი მოგივლინოს თქუენ, რაჲთა თქუენ თანა დაადგრეს უკუნისამდე, სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, რომელი სოფელსა ვერ ჴელ-ეწიფების მოღებად").

მაშასადამე, ეკლესია, რომლის თავი არის იესო ქრისტე, დადგინდა, რათა შექმნილიყო უეჭველი სივრცე, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა წმიდათა გამოვლენა და მათი ცხოვნება. ამ უეჭველობას ხაზგასმით აღიარებს პეტრე მოციქულიც, როცა იგი „სულითა წმიდითა" (საქმე მოც. 4,8) აღიარებს: „და არცაღა არს სახელი სხუაჲ ცისა ქუეშე (თუ არა იესუ ქრისტეს მიერ), მოცემული კაცთა, რომლითამცა ჴერ-იყო ცხორებაჲ ჩუენდა" (საქმე მოც. 4,12). – ეს ჭეშმარიტება ხაზგასმით აქვს აღნიშნული წმიდა კვიპრიანესაც, რომელიც ამბობს: „ეკლესიის გარეშე არ არის ცხოვნება" (extra ecclesiam nulla salus).

4. ეკლესიის განვითარება და ორგანიზაცია — კანონიკური სამართლის ჩამოყალიბება.

ქრისტეს ეკლესია თავიდან შედგებოდა მცირერიცხოვან პალესტინელ ქრისტიანთაგან, რომელთაც მოციქულთა ქადაგებით ირწმუნებს ქრისტე, და მათ მიერვე მოინათლნენ. მოციქულები იყვნენ პირველი ეკლესიის მღვდლებიც, განმგებლებიც და მოძღვრებიც. მაგრამ დროთა განმავლობაში ქრისტიანთა რაოდენობა გაიზარდა. უფრო მეტიც, მოციქულებს სახარების საქადაგებლად ჰმართებდათ გადასვლა სხვა ერებში. პავლე მოციქული ამბობს: „წარმართთა და ბარბაროზთა, ბრძენთა და უგნურთა თანმდებ ვარ" (რომ. 1,14). მაშასადამე, მათ ჰმართებდათ, მოციქულებრივი ღვაწლი თავსედვათ ძველ ქრისტიანულ საზოგადოებებშიც და ახალ თემებშიც, რომლებიც წარმართა შორის მათი ქადაგების შედეგად მუდმივად იქმნებოდა. ადგილებზე მათი მოვალეობის შემსრულებლად ირჩეოდა გამოცდილი, სანდო და ნიჭიერი ადამიანები, რომლებსაც მოციქულები „ადგენდნენ", ხელთ ასხამდნენ ამა თუ იმ განსაზღვრულ ადგილზე სამოღვაწეოდ. „და მან (უფალმა) მოსცნა, რომელნიმე მოციქულნი, რომელნიმე წინაჲსწარმეტყველნი, რომელნიმე მახარებელნი, რომელნიმე მწყემსნი და მოძღუარნი... აღსაშენებელად გუამისა ქრისტესისა" (ეფეს. 4,11-12).

ასე შეიქმნა სამღვდელოების დასი ანუ წესი, რომელიც შედგებოდა მოწესეთაგან (თანამდებობის პირთაგან): ეპისკოპოსებისაგან, მღვდლებისაგან, დიაკვნებისაგან — ცალკეული ადგილობრივი ეკლესიისათვის.

როდესაც ეკლესიას არ ჰყავდა ბევრი მიმდევარი და ჯერ კიდევ ცოცხალი იყვნენ მოციქულები, ეკლესიის ერითიანობის დაცვა და მისი დანიშნულების შესრულება ადვილი იყო. მაგრამ დროთა განმავლობაში მათ ავტორიტეტსა და სწავლებას არღვევდა სხვადასხვა პრობლემები და ახლად წარმოჩენილი ეჭვები. როდესაც მოციქულები მიიცვალნენ, ხოლო საეკლესიო სხეულმა ზრდა-განვითარება განაგრძო, საჭირო გახდა აუცილებლობა გარკვეული კანონიკური წესებისა, რათა მოციქულთა ზედამხედველობის გარეშე დარჩენილი ეკლესიის წიაღში არ აღმოცენებულიყო არეულობა და უწესრიგობა.

ამ არსებით აუცილებლობას, როგორც მოციქულები, ასევე მათი მემკვიდრეებიც ცდილობდნენ მიეღწიათ სულიწმიდის, ნუგეშინისმცემელის მეშვეობით; შემწეობით იმისა, რომელიც აღუთქვა უფალმა თავის მოწაფეებსა და მთელ თავის ეკლესიას; იმისთვის, რომ იგი გაძღოლოდა მათ „ჭეშარიტებასა ყოველსა" (იოანე 16,13). — ამიტომაც მოციქულებმა და მათმა უშუალო შემწეებმა წერილობით თუ სიტყვიერად (ზეპირად) ეკლესიას დაუტოვეს ქრისტიანული ცხოვრების მოქალაქობის ძირითადი პრინციპები. მოგვიანებით, როდესაც სარწმუნოების, საეკლესიო ორგანიზაციისა და

წესრიგის თაობაზე სხვადასხვა სადაო საკითხმა იჩინა თავი ქრისტიანთა შორის, აშკარა გახდა აუცილებლობა, ადგილობრივ ეკლესიათა ეპისკოპოსები, როგორც მოციქულთა მემკვიდრეები, შეკრებილიყვნენ იერუსალიმის სამოციქულო კრების (49 წ.) ნიმუშის მიხედვით. მათ სულიწმიდის წინამძღოლობით უნდა ემსჯელათ და დაედგინათ კანონები სამოციქულო გარდამოცემის (ტრადიციის) საფუძველზე. ამავე წესით თანდათანობით შეიქმნა მთელი კომპლექსი კანონებისა, რომელთაც უნდა მოეწესრიგებინათ აღძრული საკითხები, აღედგინათ სამოციქულო მოძღვრება და ავტორიტეტი.

შენიშვნა: ალბათ, სასურველია, მცირეოდენი განმარტებით ზემოთ წარმოდგენილი ციტატის („გიძღოდეს თქუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა") არსის გასაგებად, იმისთვის, რათა თავიდან ავიცილოთ გარკვეული გაუგებრობები და მცდარი დასკვნები. მანამ, სანამ უფალი გამოეთხოვებოდა თავის მოწაფეებს, მან უთხრა: „ფრიადღა მაქუს სიტყუად თქუენდა, არამედ აწ არღარა ძალ-გიც ტჯირთვად. ხოლო ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისაჲ... გითხრას თქუენ" (იოანე 16,12-13). შესაძლოა, გაჩნდეს აზრი, თითქოს ეს სიტყვები მიემართება მხოლოდ მოციქულებს და არა მთელ ეკლესიას. მართლაც, სულიწმიდა ხომ სწორედ მათ მოუვლინა და სწორედ მათ განუცხადა მთელი ჭეშმარიტება, და არა მთელ ეკლესიას. ამიტომ, თუ დავუშვებთ, რომ მოციქულთა შემდეგ წმიდა მამებსა და ქრისტიანებსაც ეუწყათ სულიწმიდისაგან ჭეშმარიტებანი, მაშინ თითქოს ისიც უნდა დავუშვათ, რომ მოციქულებს მთელი ჭეშმარიტება კი არ გამოსცხადებია, არამედ მხოლოდ მისი ერთი ნაწილი, დანარჩენი ჭეშმარიტება კი გამოეცხადა და ეცხადება მოციქულთა შემდგომ ქრისტიანთა თაობებს.

ამ წინააღმდეგობას ადვილად შეიძლება დავაღწიოთ თავი და მოვაწესრიგოთ სიტყვათა და მოვლენათა ეს მოჩვენებითი დაპირისპირება, თუკი დავაკვირდებით, რომ ადგილი იოანეს სახარებიდან გვაუწყებს: „გიძღოდეს თქუენ" და არა „გამოგიცხადებთ (გამოგეცხადებათ) თქუენ". რომ ეთქვა „გამოგიცხადებთ თქუენ", მაშინ მართლაც იძულებული ვიქნებოდით, გვეღიარებინა ორიდან ერთი: ან ის, რომ სულიწმიდა მხოლოდ მოციქულთა შემწე იყო და არა ეკლესიისა, ან ის, რომ მოციქულებს გამოეცხადა ჭეშმარიტების მხოლოდ ერთი ნაწილი, მეორე კი ეცხადება მომავალ თაობებს. ამრიგად, ამ შემთხვევაში არც მოციქულებისათვის განხორციელებულა უფლის აღთქმა მთელი ჭეშმარიტების გამოცხადების თაობაზე; მაშასადამე, ვერც სამოციქულო გარდამოცემაზე ვისაუბრებდით, ვერც სამოციქულო ეკლესიაზე.

მაგრამ, საბედნიეროდ, კონტექსტში არსებობა ზმნისა – „გიძღოდეს" – ეკლესიის სარწმუნოებასაც შეესაბამება და ისტორიულ მოვლენებსაც. ამრიგად, სულიწმიდა მართლაც მიუძღვის მოციქულებს და უცხადებს მათ მთელ

ჭეშმარიტებას. მათ (სახელდობრ, უკანასკნელ მათგანს, იოანეს „გამოცხადებაში“) გამოეცხადა, აღსრულდა მთელი ჭეშმარიტება, მთელი მაცხოვარებითი ჭეშმარიტება, სამოციქულო გარდამოცემა, და ამრიგად, სულიწმიდასაც მართლაც მიჰყავს და კვლავაც წაუძღვება ეკლესიას, არა ჭეშმარიტების ახალი გამოცხადებისაკენ, ახალი სახარებისაკენ, არამედ უკვე გამოცხადებული ჭეშმარიტების გამოცხადებისა და განცხადებისაკენ, ცნებათა და კანონთა დაზუსტებული ფორმულირებისაკენ, ყოველი ეპოქის მოთხოვნათა და კითხვათათვის სამოციქულო გარდამოცემის მეშვეობით პასუხის აღმოჩენისაკენ. ეს აღმოჩენა ჭეშმარიტებისა, ეს განმარტება, მართლაც არის გზის გაკვლევა „ჭეშმარიტებისა ყოვლისა“. მაშასადამე, ქრისტესმიერი ჭეშმარიტებისაკენ „გაძღოლა“ — გამოცხადება მოხდა და აღსრულდა („ყოველთათვის“) მოციქულების მეშვეობით, მაგრამ „ახლად აღმოჩენა“, გაღრმავება, განმარტება, მისი ახალი ფორმულირება მარადის სულიწმიდის წინამძღოლობით გრძელდება და გაგრძელდება ეკლესიის წიაღში.

ზოგადი ნაწილი

თავი პირველი

ეკლესიის წიაღში შემოსვლა

1. კათაკმეველთა დამოძღვრა, მიმქმელი, კატეხეტიკა

ადმიანის ცხოვნებისათვის აუცილებელი წინაპირობაა მისი შემოსვლა (თუ შესხეულება) ქრისტეს ეკლესიაში. მაგრამ იმისათვის, რომ ადამიანი შემოვიდეს ქრისტეს ეკლესიაში და გახდეს მისი, კანონიერი წევრი, აუცილებელი პირობაა რწმენა ქრისტესი და ნათლისღება წმიდა სამების სახელით. უფალმა, როგორც ცნობილია, მისცა კურთხევა თავის მოციქულებს, რომ მონათლონ, ვისაც სწამს მისი, „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“ (მათე 28,19), რადგან მაცხოვარმა წინასწარ აცნობა მოციქულებს და დაარწმუნა ისინი: „უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ჴელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ცათაჲ“. (იოანე 3,3) და „რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-იღოს, ცხოვნდეს“. (მარკ. 16,16).

ზემოთქმულის თანახმად, ნათლისღების აღსრულებამდე მომავალ ქრისტიანს სჭირდება სარწმუნო სწავლება. ამისათვის, — განსაკუთრებით, პირველ ხანებში, — აუცილებელი იყო განსწავლა (კატეხეტიზაცია) მოსანათლავისა, რასაც აღასრულებდა მღვდელი. სწავლება, ჩვეულებრივ, გრძელდებოდა სამ წელიწადს. იმ შემთხვევაში, როდესაც მოწაფე ავლენდა განსაკუთრებულ მოშურნეობას თუ გულმოდგინებას, თუ ივი მიისწრაფოდა განსასწავლად, ადგილობრივ ეპისკოპოსს შეეძლო შეემცირებინა სწავლების ხანგრძლივობა. მაგრამ ხშირად შესაძლებელი იყო სწავლების ვადის გაზრდაც. პირველ საუკუნეებში ქრისტიანთა შორის არსებობდა ჩვეულება, რაც შეიძლება დიდხანს გადადებულიყო ნათლობა, სიკვდილამდელ ჟამამდეც კი, რადგან ნათლისღების მიმღებელთ სწამდათ, რომ ნათლისღების აღსრულებით წარიხოცებოდა მათი პირადი ცოდვებიც კი, წინაპართა ცოდვებთან ერთად.

პირიქითაც უკვე მესამე საუკუნეში (ქრისტეს შობიდან) შემოვიდა და დიდად გავრცელდა ტენდენცია ჩვილების, ყრმების მონათვლისა და შეძლებისდაგვარად სწრაფადაც.[1] მაგრამ, რასაკვირველია, არა უწინარეს დაბადებიდან ორმოცი დღისა.

ჩვილთა და ყრმათა ნათლობის დაკანონებას და უმრავლესობის, მთელი ერის გაქრისტიანებას შედეგად მოჰყვა გაუქმება სისტემური ეკლესიისმიერი კატეხიზაციისა (ნათლობამდე), ხოლო კათაკმევლის სწავლების საქმე უკვე

[1] ჩვილთა და ყრმათა ნათლისღებისთვის შეიძლება დავიმოწმოთ უფლის სიტყვებიც: „აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ცათაჲ“ (მათე 19,14.) შდრ. მარკ. 10,14 და ლუკა 18,16).

მიმქმელს დაეკისრა. იგი იმყოფება ნათლობის საიდუმლოს აღსრულებამდე, მიიქვამს მოსანათლავს და თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას მის ქრისტიანულ და საეკლესიო განათლებაზე. ქრისტიანულად განსწავლის საქმეს დღესდღეობით მშობლები ასრულებენ, ასევე სკოლის მასწავლებლები და ლექტორები რელიგიის გაკვეთილებზე.

მიმქმელი ესწრება და მონაწილეობს ნათლობაში, როგორც თავმდები იმისა, რომ ნათელღებული განისწავლება და ზიარ-იქნება ქრისტიანული სარწმუნოებისა. ამიტომაც საკუთრივ „სწავლების გადმოცემას", რაც წინ უძღვის ნათლისღებას. ამ შემთხვევაში მიმქმელი წარმოთქვამს მოსანათლავი ყრმის ნაცვლად: „განვაგდებ სატანას", „შევუდგები ქრისტესა", და რწმენის სიმბოლოს. ჩვეულება რომ მიმქმელს, როცა საპატიო მიზეზის გამო ნათლისღებას ვერ ესწრება, მას ენაცვლება წარმომადგენელი, მაგრამ ესაა მიმქმელის მნიშვნელობის, მისი მოვალეობის არასწორი გაგება.

აკრძალულია, მიმქმელი იყოს სხვა სარწმუნოების წარმომადგენელი, ან მწვალებელი, სქიზმით განდგომილი თუ დაყენებული. ასევე დამბრკოლებელია მიმქმელობა მონაზვნებისათვის, უასაკოთათვის, სულიერად დაავადებულთათვის, რაკი მათ საზოგადოება სრულყოფილად ვერ აღიარებს. ასევე მიმქმელი ვერ იქნება ვერც ბავშვის მშობელი. ნათლიისა და ნათლულს შორის სულიერი ურთიერთობიდან ყალიბდება სულიერი ნათესაობა, რომელიც ვრცელდება ახლო ნათესავებზეც და წარმოადგენს დაბრკოლებას ქორწინებისათვის. იმისათვის, რომ გათვალისწინებული და თავიდან აცილებულ იქნას მსგავსი გართულებები, უმჯობესია ასევე მიმქმელი იყოს ერთი. მაგრამ თუ ნათლისღებაში მონაწილეობს რამდენიმე, ნამდვილ მიმქმელად ითვლება ის, რომელიც მოსანათლავს ემბაზისაგან მიიქვამს.[2] საგანგებო შემთხვევებში ეკლესიას შეუძლია დაუშვას ნათლობა მიმქმელების გარეშეც.

2. *ნათლისღების საიდუმლო*

კათაკმევლების სწავლების დასრულებისთანავე, მას უშუალოდ მოსდევს ნათლისღების აღსრულება. ნათლისღება არის პირველი ეკლესიის შვიდ საიდუმლოთა შორის და სავალდებულოა ყველა ქრისტიანისათვის.

„საიდუმლო" საგანგებოდ ეწოდა ეკლესიის გარკვეულ ღმრთისმსახურებებს, რომელთა მეშვეობითაც და გარკვეული პირობების შესაბამისად მორწმუნეს გადაეცემა საღმრთო მადლი. საიდუმლოთა შინაგან არსსა და ქმედებებს იკვლევს დოგმატიკა. მათ გარეგნულ ელემენტარულ გამოვლინებაზე ანალიტიკური გზით მეტყველებს კატეხეტიკა — ლიტურგიკა. კანონიკურ სამართალს ევალება, გამოიკვლიოს კანონიკური პირობები, რომელთა

[2] Μελετίου Σακελλαροπούλου, Ἐκκλησιαστικόν Δίκαιον τῆς Ἀνατολικῆς Ὀρθοδόξου Ἐκκλησίας, ἐν Ἀθήναις, 1898, σελ. 400, ὑποσ.

გათვალისწინებითაც უნდა აღსრულდეს საიდუმლო, ძალმოსილი რომ იყოს იგი. კანონიკური სამართალი ასევე შეისწავლის საიდუმლოში ადამიანის თანამონაწილეობის პირობებს, იმისათვის რომ ადამიანი იყოს ღირსი და უნარიანი (=„კმა“) საიდუმლოს მეშვეობით მისთვის გარდამოცემული ღვთიური მადლის მიღებისა. და ბოლოს, კანონიკური სამართალი იკვლევს იმ შედეგებსაც, რომლებიც გამომდინარეობს ამ საიდუმლოში თანამონაწილე მორწმუნეთაგან.

I. წინაპირობები ნათლისღების კანონიკური შესრულებისათვის

1) პასუხისმგებლობით აღჭურვილი პირი ნათლისღების შესრულებისთვის არის მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური სასულიერო პირი (ეპისკოპოსი ან მღვდელი, მაგრამ არა დიაკონი). უფრო დაზუსტებით ეს ნიშნავს, რომ ნათლისღების, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა საიდუმლოს აღმასრულებელი სასულიერო პირი უნდა ითვალისწინებდეს და აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა. იგი უნდა ეკუთვნოდეს მართლმადიდებელ ეკლესიას. არ უნდა იყოს მწვალებელი ან სქიზმით განდგომილი.

ბ. მას უნდა ჰქონდეს სამოციქულო მემკვიდრეობა (ხელთდასხმის საშუალებით).

გ. იგი უნდა იყოს კანონიკურად ხელთდასხმული, არ უნდა იყოს დაყენებული (დაყენებით დასჯილი — განპატიჟებული), ან განკვეთილი. სასულიერო პირის ცოდვები არ ახდენენ გავლენას საიდუმლოს ძალმოსილებაზე, თუკი სასულიერო პირი არ არის განკვეთილი ან დაყენებული.

დ. ნათლისღების საიდუმლოს უნდა აღასრულებდეს ადგილობრივი ეპისკოპოსი ან მღვდელი, ან თუნდაც უფლებამოსილებით უნდა იყოს აღჭურვილი ადგილობრივი ეპისკოპოსის მიერ საიდუმლოს აღსრულებისათვის. წინაალმდეგ შემთხვევაში ამგვარი მოქმედება შეფასდება საკუთარი სამრევლოს გარეთ მოქმედებად და ეკვივალენტურ იქნება მისი ძალმოსილება. თუმცა სამრევლოს გარეთ მოქმედებაც შემდგომში პასუხისმგებლობით აღჭურვილ პირთაგან შეიძლება ძალმოსილად იქნას აღიარებული.

ე. იგი უნდა მოქმედებდეს შეგნებით, სინდისიერად, პატიოსნად და თავისუფლად, და ითვალისწინებდეს, რომ გადასცემს საღმრთო მადლს.[3]

2) ადგილი ნათლისღების აღსრულებისთვის არის ეკლესია. გამონაკლისის სახით ნათლობა შეიძლება შესრულდეს მდინარეში, ტბაში და ა. შ. V-VI მსოფლიო კრების 59-უ კანონით იკრძალება ნათლობის აღსრულება სახლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე იკონომიის წესით მოსანათლავის ჯანმრთელობას მიემართება.

---

[3] Ἰ. Κοτσώνη, Σημειώσεις Καν. Δικαίου, β΄, σελ. 4-5.

3) მასალა ნათლისღებისათვის: ნათლობა უნდა შესრულდეს ნაკურთხ და სუფთა წყლით. (იხ. წმ. კვიპრიანეს კან.), იმისდა მიხედვით, თბილა თუ ცივა გარეთ, სადაც უნდა ჩაიღვაროს წმიდა ზეთი.

4) ნათლობის წესი არის ნაკურთხ წყალში მოსანათლავის სამჯერ შთაფლვა და ამოყვანა. ამასვე ნიშნავს ბერძნული სიტყვა „βαπτίζω", „ვშთაფლავ" ანუ „ვნათლავ" — წმიდა სამების სახელით (მათე 28,19; წმიდათა მოციქულთა 49-ე კან.). სამჯერადი შთაფლვა და ამოყვანა სიმბოლურად ასახავს იესო ქრისტეს საფლავში ყოფნას სამ დღეს, და აღდგომას.

II. ნათლობის საგანგებო შემთხვევები

1) ნათლობა სისხლით ანუ მოწამეობით. ადრინდელი ქრისტიანობის ხანაში ზოგჯერ ხდებოდა ისე, რომ ამა თუ იმ კათაკმეველს შეიპყრობდნენ და მონათვლამდე მიჰყავდათ საწამებლად. ასევე ბევრი წარმართი, გაოცებული ქრისტიანთა გამბედაობით, მათი მოწამეობის დროს მოწოდებული ყოფილა სულიწმიდის მადლით და ისინი აღიარებდნენ ქრისტიანობას და ამას თავიანთ მდევნელებს უცხადებდნენ. მაშინ ისინიც მოწამეობრივად აღესრულებოდნენ. ამ ორივე შემთხვევაში მოწამეს კანონიკურად არ მიულია ნათელი, მაგრამ ისინი, მიუხედავად ამისა, შეირაცხებოდნენ მონათლულად თავიანთი სისხლით.

2) ჰაერით ნათლობა. იკონომიითა და საგანგებო შემთხვევებში, თუკი დიდია საშიშროება, რომ ჩვილი მოკვდეს, შეიძლება მოხდეს ე. წ. ჰაერით ნათლობა, ანუ ჩვილს სამჯერ აამაღლებენ ჰაერში ყოვლადწმიდა სამების სახელით. ჰაერით ნათლობის აღსრულება შეუძლია არა მხოლოდ ეპისკოპოსს და მღვდელს ან დიაკონს, არამედ, უბრალოდ, საერო პირსაც კი, კაცს თუ ქალს. ამ შემთხვევაში არ იქმნება სულიერი ნათესაობა მომნათვლელსა და მონათლულს შორის. რადგან ის, ვინც ამაღლებს ჩვილს ჰაერში, არ მოქმედებს როგორც ნათლია, არამედ როგორც მღვდელი. და ამასთანავე, როცა ესა თუ ის მღვდელი ნათლავს კანონიერად საკუთარ ბავშვს, მასთან სულიერი ნათესაობა არ იქმნება. თუ ჰაერით მონათლული ყრმა გადარჩება, მაშინ ნათლობა უნდა აღსრულდეს საეკლესიო განგების შეასაბამისად. მღვდელი ან საერო პირი, რომელმაც უყურადღებობის გამო ვერ შეძლო ჩვილის მონათვლა, და იგი უნათლავი მოკვდა, იგი განკანონების სასჯელს (ეპიტიმიას) ექვემდებარება.

3) მწოლიარე ავადმყოფთა ნათლობა სხურებით. მძიმე ავადმყოფები, რომლებსაც სწამთ ღმერთი ჩვენი და უნდათ მონათლვა, შეუძლიათ, და იკონომიით ნებადართულიცაა, ნაცვლად წყალში შთაფლვისა, მათი სამგზის წყლით სხურება.

4) გარდა ნათლობის ზემომოყვანილ სახეობებისა, რომაულ-კათოლიკური ეკლესია აღიარებს ასევე ნათლისღებას ნება-სურვილისამებრ, ანუ, როგორც იგი მას უწოდებს — baptismus Flaminis. მაგრამ ამ მოსაზრების სისწორესთან

დაკავშირებით მართლმადიდებელი მხარე გამოთქვამს ეჭვებს, ისევე, როგორც გამოთქვამდა ეჭვებს დასავლეთის ეკლესია პირველი ხუთი საუკუნის განმავლობაში. მაგალითად, ეკლესიის მამებს არ მოსწონდათ ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ბევრნი გადადებდნენ ხოლმე ნათლისღებას სიკვდილამდე და სჯერდებოდნენ სურვილისამებრ ნათლისღებას, ანუ, მათ განცხადებული ჰქონდათ, რომ ნებავთ ნათლისღება.[4] ცხადია, სხვაა, როცა კათაკმეველი აცხადებს ნება-სურვილს ან გადაწყვეტილებას, მოინათლოს, და უეცრად კვდება, მაგ. უბედური შემთხვევის შედეგად. ნიკოდიმოს მთაწმიდელიც „პიდალიონში" აღნიშნავს, რომ „ისინი მთლიანად მოკლებულნი არ არიან ცხოვნების სასოებას, თუკი უეცრად მოუნათლავნი აღესრულენ".[5]

III. სახელდება

კათაკმევლობისა და ნათლისღების აღსრულებით ჩვეულებრივ ნათელ-ღებულს ეძლევა მცირე ანდა ძირითადი სახელი. როცა ნათლობა აღსრულდება ასაკოვანზე, ამას, ჩვეულებრივ მოჰყვება შეცვლაც სახელისა, რომელიც ნათლისღებამდე ჰქონდა მიღებული. სახელის შეცვლა არის სიმბოლო ცხოვრების შეცვლისა, რაც ნათლისღებით ხდება ხოლმე. აქ, რა თქმა უნდა, უნდა დავაზუსტოთ, რომ სახელდება და სახელის დარქმევა ურყევად არ არის ნათლობასთან დაკავშირებული. ანუ კანონიკურად არ წარმოებს არავითარი წესის დარღვევა, არც ეკლესიის წესები ირღვევა, ამა თუ იმ პირს ნათლისღებამდელი სახელი თუ დაერქმევა. ეს დასტურდება საეკლესიო პრაქტიკიდან, რომლის მიხედვით ადრექრისტიანული ხანიდან, სახელები ენიჭებოდათ ნათლობამდე, მერვე დღეს ბავშვის შობიდან (შდრ. იესო ქრისტეს შემთხვევა, ლუკა 2,21).

სახელი, რომელიც ენიჭება ქრისტიანს მისი არჩევანის მიხედვით, რათა მოაგონოს მას ესა თუ ის მოვლენა უფლის ცხოვრებიდან, ან იმას, რომ მისი სახელი არის ამა თუ იმ წმინდანის სახელი და რომ ის წარმოაჩენს მისთვის ნიშანდობლივ ამა თუ იმ სათნოებას, იმის გამო, რომ ეს სახელები პირველსახე წმიდანთა კეთილი გავლენით ხასიათდებიან და მისაბაძ მაგალითს წარმოადგენენ შდრ. ასევე იოანე ოქროპირის აზრი, რომ იმ წმიდანთა მიბაძვით, რომელთა სახელებსაც ქრისტიანები ატარებენ, ამით „არათუ მხოლოდ მშობელთა ღმრთისმოყვარეობა ვლინდება, არამედ შვილთა მიმართ მათი დიდი მზრუნველობა".[6] და პირიქით, თავისი უარყოფითი გავლენის (სულიერისა, თუ ფსიქიურის) გამო უნდა მოვერიდოთ მწვალებელთა ან

[4] დაწვრილებით იხ. Παν. Τρεμπέλα, Δογματική τῆς Ὀρθοδόξου Καθολικῆς Ἐκκλησίας, τόμ. Γ΄, Ἀθῆναι 1961, σελ. 104.

[5] „Πηδάλιον", σελ. 143.

[6] Ἰω. Χρυσοστόμου, Ὁμιλία ΚΑ΄ εἰς τήν Γένεσιν, PG 53,179 AB.

ათეისტთა, ულმერთოთა თუ ეკლესიის მტერთა, ან დიდ ბოროტმოქმედთა ან საზოგადოებაში სახელგატეხილთა ან იმათ სახელებს, რომლებიც მოგვაგონებს ძველ, ცოდვით დაცემამდელ ვითარებას, უკანონო ტენდენციებსა თუ საქმეებს, ან ისეთებს, რომლებიც შიშის განწყობას იწვევენ და დაქვემდებარების, დამონების ამა თუ იმ სახეობაზე მიანიშნებენ. შდრ. გალატ. 4,8-9 და 5,1. ასევე: ებრ. 2,15. შდრ. აგრეთვე საბერძნეთის ეკლესიის წმიდა სინოდის №814/30. 5. 1955 საყოველთაო ეპისტოლე.

ნათლობის აღსრულების შემდეგ საიდუმლოს აღმსრულებელ მღვდელ-მსახურს, სამრევლო ტაძრის მღდელს მართებს, ჩაწეროს საეკლესიო წიგნში მონათლულის სახელი და ასევე მისი მიმქმელისაც. ეს საჭიროა იმისათვის, რომ დადასტურდეს ნათლისღების აქტი და ასევე დამოწმებისათვის სამრევლოსი, რომლის მეშვეობითაც ახალ მონათლული ხდება ეკლესიის წევრი. ნათლობის დროს მიღებული ქრისტიანის სახელი ხშირად იცვლება, როცა იგი მონაზვნად აღიკვეცება.

IV. ნათლისღების შედეგები

1) მიტევება წინაპართა ცოდვისა, რომელიც მემკვიდრეობით გადადის ყოველ ადამიანზე ადამისა და ევას ცოდვით დაცემის გამო. ამაზე მეტყველებს კართაგენის 110-ე და 111-ე კანონები: „ჩჩუნიცა და ჯერეთ ვერარაჲ ცოდვითა ბიწიან-ყოფისა თავთა თჳსთაჲსა შემძლებელნი მისატევებელად ცოდვათა ჭეშმარიტებით ნათელს-იღებენ, რაჲთა განწმდენ იგინი მეორედ შობისა მის შეცოდებისა მისგან პირველისა მამისა მიერ მათდა მომართ შთამომავალისა“ (კართაგენის 110-ე კან.).

2) მიტევება ცოდვებისა, რომელიც ჩადენილი აქვს თავად მოსანათლავ პირს. მძიმე შეცოდებები, რომლებიც წარმოადგენენ დაბრკოლებას მღვდლობისთვის, რაკი ისინი ნათლისღებამდეა ჩადენილი, არ წარმოადგენენ დაბრკოლებას ამ ცოდვათა ჩამდენი პირის მღვდლობისათვის, თუ მას სურს მღვდლობა.

3) შემწეობის მინიჭება და გაძლიერება, რათა ნათელღებულმა არ ჩაიდინოს სხვა ცოდვები (კართაგენის 111-ე კან.)

4) შემოყვანება და დამკვიდრება ნათელღებულისა ქრისტეს ეკლესიის წიაღში, ანუ ერთობა მისი ქრისტეს ეკლესიის თავთან და ეკლესიის სხვა წევრებთან, მორწმუნეებთან.

5) ეკლესიის ახალი წევრების სახელთა ჩაწერა უფლის სასუფევლის ნუსხებში. შდრ. ლუკა 10,20: „გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი დაიწერა ცათა შინა“.

6) განუმეორებლობა ნათლისღებისა. ნათლისღება, რამდენადაც იგი აღსრულებულ იქნა კანონიკურად მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდლის

მიერ, აღარ განმეორდება (წმიდათა მოციქულთა 47-ე კან.).[7] და კიდეც რომ უარყოს ეკლესიის ამა თუ იმ წევრმა ქრისტიანობის რწმენა, შემდგომში კი მოინანიოს და დაუბრუნდეს მას, ნათლისღება არ განმეორდება.

იმ შემთხვევაში, როდესაც გარკვეული არ არის, მიიღო თუ არა ყრმამ ნათლისღება (მაგ. ჩვილობაში), აუცილებელია იგი მოინათლოს, თუნდაც მეორეჯერ (შდრ. V-VI მსოფლ. კრების 84-ე და კართაგენის 72-ე კან.). თუკი ესა თუ ის ქალი მოინათლა ფეხმძიმობის დროს, ჩანასახი მის წიაღში არ ითვლება მონათლულად (ნეოკესარიის მე-6 კან.).

შენიშვნა: შესაბამისად, ჩანასახი არ არის ქალის სხეულის ნაწილი, არამედ ჩასახვის (მუცელქმნულობის) მომენტიდან იგი არის განსაკუთრებული სულიერ-სხეულებრივი (ფსიქოსომატური) არსება. ამიტომაც მოსაზრება ქალთა თავისუფლების თაობაზე ნაყოფის მოცილებასთან (აბორტთან) დაკავშირებით, არ ეყრდნობა კანონიკურ საფუძველს, არაა ძალმოსილი.

3. მირონცხების საიდუმლო

ნათლისღების საიდუმლოს აღსრულებას უშუალოდ თან ახლავს, მას მოსდევს მირონცხების საიდუმლო. ლაოდიკიის 48-ე კანონი აცხადებს: „ვითარმედ უკმს ნათლისმღებელთა შემდგომად ნათლისღებისა ცხებაჲ საცხებელითა ზეცისაჲთა და თანაზიარ-ყოფად ქრისტეს მეუფებისა"; ამასვე აცხადებს წმიდა კვიპრიანეს კანონიც, ანუ, რომ აუცილებელია ნათელღებულის მირონცხება, რათა იგი ქრისტეს თანაზიარი გახდეს. ეს წარმოადგენს, ასე ვთქვათ, ბეჭედს სულისა წმიდისა ნათელღებულზედ, და ამით აღიბეჭდება და უფლება ენიჭება მას ეკლესიის წიაღში შემოსვლისა. ამით განძლიერდება ნათელღებულის სულიერი ცხოვრება, რომელიც იწყება ნათლისღებით. მირონცხების საიდუმლოს მეშვეობით ქრისტიანს ენიჭება სულიწმიდის ნიჭნი (სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება, მყუდროება, მარხვა, მოთმინება — გალატ. 5,22 მიხედვით), და იგი იხარებს ყოველი სიკეთით, რომელიც მოენიჭათ ეკლესიის დამაარსებელისაგან მის წევრებს.

მოციქულთა მოღვაწეობის ხანაში ქრისტიანთა აღბეჭდვა ეკლესიის წევრებად და სულიწმიდის მადლის გადმოცემა ხდებოდა მონათლულების თავზე ან მოციქულების, ან ეპისკოპოსების ხელთა დასხმით. შდრ. საქმე მოც. 19,5-6: „ხოლო მათ, ვითარცა ესმა, ნათელ-იღეს სახელითა უფლისა იესუ ქრისტესითა. და დასხმითა ჴელთა პავლესთაჲთა მოვიდა სული

[7] არსებითად, ეკლესიის ყველა საიდუმლოა განუმეორებელია. ისიც, რომელშიც მორწმუნე პერიოდულად მონაწილეობს (მაგ. აღსარება, საღმრთო ევქარისტია და ა.შ., აღსრულდება ყოველთვის განსხვავებული „მასალით". მაგ. საღმრთო ევქარისტიის პური და ღვინო ორჯერ არ იკურთხება.

წმიდაჲ მათ ზედა და იტყოდეს ენათა და წინაჲსწარმეტყველებდეს". მოგვიანებით ხელთდასხმის ნაცვლად მირონცხების საიდუმლო იკურთხა.

წმიდა მირონის კურთხევა, რომელიც შედგება წმინდა ზეთისა და სხვა, ორმოცამდე სურნელოვანი შემადგენლისაგან, აღესრულება მხოლოდ ეპისკოპოსის და არა ხუცესთა მიერ (კართაგენის მე-6 კან.). ეს რიტუალი კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოში აღესრულება საგანგებოდ დიდ ხუთშაბათს და მას ესწრება მსოფლიო პატრიარქიც. კონსტანტინეპოლის საპატრიარქოდან წმიდა მირონს იღებს მრავალი მართლმადიდებელი ეკლესია მისდამი ერთობისა და მოწიწების ნიშნად.

ახლად ნათელღებულის მირონცხება კანონიკურად წარმოებს, როგორც ცხადვყავით წინა პარაგრაფში, ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსის ან ხუცესის მიერ, ანდა კანონიკურად უფლებამოსილებით აღჭურვილი სასულიერო პირის მიერ. სასულიერო პირი ჯვრის სახით სცხებს ახლად ნათელღებულს მირონს და ამბობს: „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა, ამინ". დიაკონი, მონაზონი და საერო პირი ვერ აღასრულებენ მირონცხების საიდუმლოს, იკონომიითაც კი.

4. მართლმადიდებელ ეკლესიაში მოსულ მწვალებელთა, სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთა და სქიზმით განყოფილთა მიღების წესი

გარდა კერპთაყვანისმცემლებისა და ზოგადად ურწმუნოებისა თუ რელიგიის გარეშე პირებისა, რომლებიც მოიქცევიან ქრისტიანებად და შემოდიან ეკლესიის წიაღში ზემოთხსენებული წესით (კათაკმევლობა, აღსარება, ნათლისღება, მირონცხება), პასუხისმგებლობით აღჭურვილი საეკლესიო ორგანოების წინაშე ხშირ შემთხვევაში წამოიჭრება საკითხი ეკლესიის წაიღში იმ პირების მიღებასთან დაკავშირებით, რომლებიც მოდიან სხვადასხვა მწვალებლური (ერეტიკული) ან სქიზმატური ქრისტიანული საზოგადოებებიდან. ამ შემთხვევაში დგება საკითხი: რა პროცედურას უნდა მივმართოთ, რათა ესენიც მიღებულ იქნან მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ წევრებად?

თავიდანვე შეუძლებელია მივიჩნიოთ, რომ ისინი კანონიკურად არიან მონათლულები, რაკი მათ მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური მღვდლისაგან არ მიუღიათ ნათელი. ვინაიდან მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის საიდუმლოებია ძალმოსილი და ქმედითი. შდრ. წმიდათა მოციქულთა 47-ე კანონი: „ეპისკოპოსმან და ხუცესმან, უკუეთუ მეორედ ნათელ-სცეს მას, რომელსაც ჭეშმარიტი ნათლისღებაჲ აქუნდეს, ანუ შემწიკულებულსა არა ნათელ-სცეს, განიკუეთენ, ვითარცა მოკიცხარი ჯუარისაჲ და საუფლოჲსა სიკუდილისაჲ და არა განმრჩეველი მღდელთაჲ ცრუ მღდელთაგან".

თუმცა იმ შემთხვევაში, როცა მწვალებელი, სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელი[8] ან სქიზმით განყოფილი მოიქცევა მართლმადიდებლობზე, ეკლესია ხშირად შემწყნარებლობას იჩენს. მისი მოქმედება, რასაკვირველია არაა ერთგვაროვანი, არამედ სხვადასხვა სახეს იძენს ზოგადი ვითარებისა და კერძო შემთხვევების შესაბამისად. თუმცა კანონის მიხედვით მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში მოსულ, მონათლულებს წმიდა სამების სახელით და ამასთანავე მღვდლების მიერ, რომელთაც აქვთ სამოციქულო მემკვიდრეობა, იკონომიით მისაღებად შეერაცხებათ ნათლისღება.

აქ უნდა გავიაზროთ შემდეგი: ეკლესიას, როგორც საღმრთო მადლის საგანძურის მფლობელს, შესწევს ძალა, აღავსოს ღმრთიური მადლით საიდუმლოს ის წესი, რომელიც აღსრულდა ამა თუ იმ მწვალებლურ, ან სქიზმატურ ქრისტიანულ განშტოებაზე. რადგან ის, ვისზედაც აღსრულდება საიდუმლოს გარკვეული წესი, მოექცევა მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში.

ძირითადი კანონები, რომლებიც მიემართება მწვალებელთა და სქიზმით განყოფილთა მართლმადიდებლობად მოქცევის წესებს. ესენია: ლაოდიკიის მე-7 და მე-8 კან. ბასილი დიდის 1-ლი კან. II მსოფლიო კრების მე-7 და V-VI მსოფლიო კრების 95-ე კანონი.

აღნიშნული კანონებიდან მომდინარეობს დასკვნა, რომ ეკლესია:

I. გამოჰყოფს მწვალებელთა შორის ისეთებს, რომელ ნიც „ახლად უნდა მოინათლონ" ანუ, რომელთაც კვლავაც მართებთ ნათლისღება, და ისეთებს, რომელთაც არ მართებთ ახლად ნათლისღება.

შენიშვნა: „ახლად მოსანათლავს" ვათავსებთ ბრჭყალებში, რადგანაც კანონიკურად არ არსებობს ახლად ნათლისღება — ითვლება, რომ პირველი ნათლისღება არ აღსრულებულა, რადგან არ იყო უფლება და ძალმოსილება.

ამრიგად, ეკლესია უარყოფდა იმ მწვალებლების ნათლისღებას, რომლებსაც არ სწამთ წმიდა სამება, და შესაბამისად, არ ინათლებოდნენ მისი სამი პირის სახელით. და პირიქით, ეკლესია იწყნარებდა იმ მწვალებელთა ნათლისღებას, რომლებსაც სწამდათ წმიდა სამება და მხოლოდ მცდარად

---

[8] სხვა სარწმუნოების წარმომადგენლები და მწვალებლები ერთმანეთს შორის ამგვარად შეიძლება განვასხვაოთ: ა) რომელთაც სწამთ რაღაც განსხვავებული მართლმადიდებელი ეკლსიის სარწმუნოებისაგან და ამასთანავე არ არიან განკვეთილნი, ეწოდებათ ან უნდა ეწოდოთ სხვა სარწმუნოების წარმომადგენლები. ბ) რომელთაც სწამთ და ასწავლიან რაღაც განსხვავებულს იმისგან, რაც სწამს მართლმადიდებელ ეკლესიას და ამასთანავე არიან განკვეთილნი ეწოდებათ და არიან მწვალებლები. გ) რასაკვირველია, მათაც, რომლებიც არ არიან განკვეთილნი, რაკი ასწავლიან და ქმნიან კიდევაც მწვალებლობას (ერესს), შეიძლება ეწოდოს მწვალებლები (ერეტიკოსები). მხოლოდ გამოთქმას, რომ ისინი მწვალებლები არიან, გარკვეულწილად იქნებ მოვერიდოთ, მანამ, სანამ ეკლესია სინოდური წესით არ დაადგენს ამას.

სწამდათ მისი, ან ეკლესიის რაიმე სხვა მოძღვრებისა. ამათ მოეთხოვებოდათ მხოლოდ ხელის მოწერა ლიველონზე[9], რომელიც შეაჩვენებდა მწვალებლობას და მათ იწყარებდნენ მირონცხებით, რაკი მათზე აღსრულებულ იყო ნათლისღება ეკლესიის კანონიკური წესით.

II. ეკლესია მუდამ უფრო მოქნილი იყო სქიზმით განყოფილთა შეწყნარების თაობაზე. ნათლისღება, რომელიც აღსრულებულ იყო მათზე, შეწყნარებული იყო და „აღივსებოდა" ის წესი ღმრთიური მადლით, რაც განყოფილთ აკლდათ განყოფის გამო ქრისტიანული სიყვარულისა და სიმდაბლით აზროვნების ნაკლებობის გამო. ამიტომაც სქიზმით განყოფილნი ახლად არ ინათლებიან, არამედ შეწყნარებულ არიან მართლმადიდებლობის წიაღში სინანულის იმ განაცხადის შედეგად, რომლითაც უარს ამბობენ სქიზმისათვის პასუხისმგებელ მთავრებზე.

ზემოთწარმოდგენილი კანონიკური დებულებები ფორმულირებულია საყოველთაო ეპისტოლეს ან ეკლესიის ოქმების სახით, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში დღევანდელი მწვალებლებისა თუ სხვა აღმსარებლობისა ან სქიზმით განყოფილთა მიღების ძირითადი წესები, *ესენია:*

1) მონოფიზიტები, კოპტები და სომხები შეწყნარებულ იქნებიან მათი ბოროტმადიდებლობის (მწვალებლობის) წერილობითი აღიარების შედეგად, მართლმადიდებლური სარწმუნოების აღიარებითა და წმიდა მირონცხებით.

2) რომაელი კათოლიკეები კანონით შეწყნარებულ არიან მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმსარებლობისათვის ლიველონზე ხელმოწერით (რწმენის სიმბოლოს საჯარო განცხადებით) და წმიდა მირონცხებით. აქ საკმარისი არაა ლიველონი განყოფის მთავართა უარყოფისათვის, რადგანაც სქიზმის გარდა აქ სახეზეა მცდარი დოგმატური მოძღვრებები.[10]

3) ანგლიკანები, რომლებიც მოდიან მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში, უმჯობესია „ახლად იღონ ნათელი", რადგანაც საეჭვოა, აქვთ თუ არა მათ ეპისკოპოსებს სამოციქულო მემკვიდრეობა. ამ შემთხვევაში გვმართებს მოქმედება ანალოგიურად იმისა, რასაც აცხადებს კართაგენის 72-ე კანონი. ის კი განსაზღვრავს, რომ დაეჭვების შემთხვევაში, — ანუ, არის თუ არა ესა თუ ის ყრმა მონათლული, — უთუოდ საჭიროა მისი ნათლისღება.

4) პროტესტანტები მიიღებიან კანონიკური კათაკმევლური დამოძღვრებისა და ნათლისღებისა და მირონცხების შედეგად. ეს იმიტომ, რომ მათზე შეწყდა სამოციქულო მემკვიდრეობა — აუცილებელი წინაპირობა ყოველთა

---

[9] ლიველლონი (ὁ λίβελλος, libellus) — წიგნაკი, წერილი, საბუთი, „ქარტაᲘ სიმტკიცისაᲘ", რომელიც მოეთხოვებოდათ მწვალებლებს მართლმადიდებლობისაკენ მოქცევის შემთხვევაში. დიდი სჯულის კანონი თბ. 1975 წ. გვ. 593. (რედ).

[10] შდრ. Ράλλη-Ποτλῆ, τόμ. Ε΄, σελ. 147 და 614..., 1756 წლის ფორმულირება რომაელ კათოლიკეთა ახლად ნათლისღებისათვის.

საიდუმლოებათა ძალმოსილებისთვის. გარდა ამისა, მრავალ პროტესტანტს (მათ სხვადასხვა განშტოებებს) არ სწამთ ერთარსება სამება.

5) ძველი სტილის მიმდევრობისათვის სქიზმით განყოფილთათვის, რომელთა მიმართ მაინც განცხადებულია სამოციქულო მემკვიდრეობა, საჭიროა აღესრულოს ზემოთ აღნიშნული, სქიზმით განყოფილთათვის დადგენილი პროცედურა.

შენიშვნა. 1. აქაც აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში სხვა აღმსარებლობის ქრისტიანთა ჯგუფური მოქცევისათვის, იკონომიით, თავდაპირველად პროცედურა შეიძლება შედარებით მოქნილი იყოს. ცხადია, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა გაერთიანების შემთხვევაში აღნიშნული თემა განხილულ უნდა იქნას საგანგებოდ, შეთანხმების თანახმად.

ამასთანავე, მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში პროტესტანტების ჯგუფური მოქცევის შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნას სამარიელებთან დაკავშირებული პრეცედენტი (საქმე მოც. 8,14-17): „ესმა რაჲ უკუე მოციქულთა, რომელნი იყვნეს იერუსალჵმს, რამეთუ შეიწყნარეს სამარიას სიტყუაჲ ღმრთისაჲ, მიავლინნეს მათდა პეტრე და იოვანე, რომელნი-იგი ვითარცა მივიდეს, ლოცვა-ყვეს მათთჳს, რაჲთა მიიღონ სული წმიდაჲ. რამეთუ მუნამდე არა იყო არცა ერთსა მათგანსა ზედამოწევნულ სული წმიდაჲ, გარნა ბანილ ხოლო იყვნეს სახელითა უფლისა იესუჲსითა. მაშინ დაასხმიდეს ჴელთა მათ ზედა, და მიაქუნდა სული წმიდაჲ“.

შენიშვნა. 2. იგულისხმება, რომ მართლმადიდებლობაზე მოქცეული სხვა სარწმუნოების მრავალი წარმომადგენელი კმაყოფილი არ იქნება შესაბამისი პროცედურით. მაგ. მათ შეიძლება ვერ იგრძნონ დაკმაყოფილებულად თავი, რაკი „ხელახლა არ მოინათლნენ“. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობით აღჭურვილი, კომპეტენტური საეკლესიო ორგანოები უნდა აჰყვნენ სხვადასხვა პიროვნულ, ფსიქოლოგიური ხასიათის პრეტენზიებს, დაინტერესებულთა მისწრაფებებს, მათ ტენდენციებს. საბოლოო შედეგად მაშინ მივიღებთ უწესრიგობას და, შესაძლოა უკიდურესი სუბიექტივიზმი დამკვიდრდეს ეკლესიის წიაღში.

5. ეკლესიის წიაღში შემოსვლის შედეგები

მორწმუნე, რომელიც შემოვიდა მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში — ან უშუალოდ მოინათლა, ან მოექცა ამა თუ იმ მწვალებლობასა ან სქიზმისგან, — რაკი მან დაიცვა ზემოთ წარმოდგენილი წინაპირობები, — იგი მიკუთვნებულ იქნება ქრისტეს სხეულს, ანუ გახდება ეკლესიის ორგანული, კანონიკური და სრულუფლებიანი წევრი. ეკლესიის სხეულთან ქრისტიანის ეს ორგანული და ქარიზმატული ერთიანობა ანიჭებს მას გარკვეულ უფლებებს და აკისრებს შესაბამის მოვალეობებს. შდრ. მოციქული

პეტრეს სიტყვები: „ხოლო თქუენ, ნათესავი რჩეული, სამეუფოჲ სამღდელოჲ, თესლი წმიდაჲ, ერი მოგებული, რაჲთა სათნოებათა მიუთხრობდეთ, რომელმანიცა ბნელისაგან გიწოდნა თქუენ საკჳრველსა მას ნათელსა მისსა“ (I პეტრე 2,9).

I. უფლებები:

1) მონაწილეობა (როგორც საერო პირი, ან მონაზონი, ან სასულიერო პირი) ეკლესიის ყველა საიდუმლოებასა და განმწმედელ ქმედებებში.

2) მონაწილეობა ეკლესიის ადმინისტრაციულ თუ ჰუმანურ საქმიანობაში.

3) უფრო ზოგადად — მონაწილეობა უფლის სამღვდელმთავრო, წინასწარმეტყველური და სამეუფო საქმის აღსრულებაში.

II. უფლება-მოვალეობები:

1) საკუთარი „მე“-ს უარყოფა და ეკლესიის თავის, უფლის ნებისადმი დაქვემდებარება.

2) მორჩილება ქრისტეს მცნებებისადმი და შეგონებებისადმი ან ეკლესიის მწყემსთა რჩევებისადმი.

3) ქრისტეს სარწმუნოების აღსარება და მისი გარდამოცემა, მოყვასისადმი სიმდაბლითა და სიყვარულით.

4) მონაწილეობა ლიტურგიკულ მოქმედებაში, სხვა თავყრილობებსა და მსვლელობებში: ა) ეკლესიისა საერთოდ და ბ) სამრევლოსი კონკრეტულად.

5) თანადგომით ეკონომიკური შემწეობა ეკლესიის საჭიროებისათვის და ეკონომიკურად გაჭირვებული მისი წევრებისათვის.

მომდევნო თავებში ჩვენ უფრო დაწვრილებით, კანონიკური სამართლის წყაროებზე დაყრდნობით წარმოვაჩენთ ეკლესიის წევრთა უფლება-მოვალეობებს; იმას, რაც მანამდე უბრალოდ მოვიხსენიეთ. რადგან შეძლებისდაგვარად ზუსტი ცოდნითა და სარწმუნოებით, შეძლებისდაგვარად ზედმიწევნით აღვასრულოთ მემკვიდრეთა მისთა, მოციქულთა მეშვეობით ჩვენს შორის დამკვიდრებული მცნება იესოსი, ვიდრემდის მოველოდეთ მოვლინებასა ნუგეშინისმცემლისასა ჩვენს შორის. ეს აღგვითქვა ჩვენ თავად უფალმა, რომელმაც თქვა: „და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ. და, აჰა, ესერა, მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“ (მათე 28,20). და დასძენდა: „უკეთუ გიყუარ მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით. და მე ვჰკითხო მამასა ჩემსა, და სხუაჲ ნუგეშინისმცემელი მოგივლინოს თქუენ, რაჲთა თქუენ თანა დაადგრეს უკუნისამდე“ (იოანე 14,15-16).

თავი მერვე

მყოფობა და წარმატებულობა ეკლესიის წიაღში

ეკლესიის წიაღში მორწმუნის შემოსვლას არ მოჰყვება ქრისტიანის სახელისა და მოქალაქეობის უბრალო შეცვლა, არამედ ხდება ახლად დაბადება, ეკლესიის თავთან თავისი ორგანული ერთობით ცხოვრების შეცვლა.

ქრისტიანს მართებს ეკლესიის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებისა და წევრების შემწეობით: ა) განმტკიცდეს ახალი, ქრისტესმიერი ცხოვრებით და ბ) ღმრთის მადლით, წინსვლით სრულიყოს, რათა „მსგავსებით" წარემატოს.

1. სინანულის საიდუმლო (წმიდა აღსარება)

ეკლესიის წევრი, რომელიც ცდილობს წარემატოს და განმტკიცდეს სულიერ ცხოვრებაში, ღვაწლით გამოივლის მეტად რთულ ასპარეზს; იმას, რასაც ბევრ შემთხვევაში დაცემა და ჭრილობები მოჰყვება. მაგრამ მორწმუნე არ არის შეუწევნელი თავისი ღია ჭრილობებით. უფალი ეკლესიის მეშვეობით, და, საკუთრივ აღსარების-სინანულის საიდუმლოთი ანიჭებს მორწმუნეს თავის მადლს, მოხედავს მის ჭრილობებს და სთავაზობს კურნებას — ცოდვათა მიტევებას.

თავდაპირველად ცოდვათა მიტევების უფლება უფალმა მიანიჭა მოციქულებს: „რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენი განჰვსნათ ქუეყანასა ზედა, ვსნილ იყოს იგი ცათა შინა" (მათე 18,18). შდრ. აგრეთვე იოანე 20,23: „უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ".

შემდგომში ეს უფლება მიიღეს ეპისკოპოსებმა. ხოლო კვალად ეპისკოპოსებმა შესაბამისი დავალების წერილითა და საგანგებო ხელდასხმით (ქიროთესიით) აღსარების მსახურება გადასცეს ხუცესებს, მღვდლებს. ამ მღვდლებს ეწოდებათ სულიერი მოძღვრები.

განსაკუთრებულ, საგანგებო საჭიროების შემთხვევაში აღსარება შეიძლება მიიღოს ნებისმიერმა მღვდელმა, თუნდაც რომ არ ჰქონდეს მიღებული ეპისკოპოსისგან საგანგებო დავალების წერილი. მაგრამ მას მართებს შემდგომში მოახსენოს თავის ეპისკოპოსს, რომ მან აღასრულა აღსარების საიდუმლო. სხვას არავის არ აქვს უფლება აღასრულოს აღსარების საიდუმლო, არც დიაკონს, არც მონაზონს, არც მამას, არც დედას, თუნდაც ილუმენი რომ იყოს[1].

---

[1] შდრ. Πηδάλιον, გვ. 313. დებულ. 1.

I. წმიდა აღსარების კანონიკური აღსრულების წინაპირობები

1) ძირითადი და აუცილებელი პირობაა აღმსარებლის გულწრფელი სინანული, ანუ ცნობიერების, აზროვნების და ცხოვრების წესის შეცვლა; ის, რაც განაპირობებს საიდუმლოს ერთ-ერთ მიზანს. ამიტომაც ეწოდება აღსარებას სხვაგვარად სინანულის საიდუმლო. ის, რომ კაცი ცდება და ცოდვით ეცემა, ადამიანურია, მაგრამ მოუნანიებლად თუ დაადგრა, ეს უკვე ეშმაკისგანაა და მიუტევებელია.

2) აღსარება — ცოდვათა აღიარება უფლებით აღჭურვილ სულიერ მოძღვართან — მღვდელთან ნებაყოფლობითი უნდა იყოს.

3) აღმსარებელიცა და აღსარების მიმღებელი ორივე უნდა იყოს მართლმადიდებელი ქრისტიანი. შეუძლებელია მართლმადიდებელი ქრისტიანისგან აღსარება მიიღოს რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მღვდელმა ან პირიქით.

4) აღსარების ჟამს მოძღვარს უნდა ემოსოს ოლარი, აღსარების აღსრულების შემდეგ მან უნდა აღავლინოს აღმსარებლისათვის შენდობის ლოცვა.

5) თუკი მოძღვარმა არ იცის, რა უნდა ურჩიოს აღმსარებელს ან რა მოიმოქმედოს შესაბამის შემთხვევაში, მას შეუძლია შეწყვიტოს აღსარება და მიმართოს ეპისკოპოსს დარიგების მისაღებად. ცხადია, იგი არ არის ვალდებული, მოახსენოს ეპისკოპოსს აღმსარებლის პიროვნებაზე.

6) თავდაპირველად, ახ. წ. IV ს-მდე აღსარება ითქმოდა საჯაროდ, თანახმად იაკობ მოციქულის ეპისტოლისა: „აღუარებდით ურთიერთას ცოდვათა და ულოცევდით ერთი-ერთსა, რაჲთა განიკურნნეთ“ (იაკ. 5,16).

შენიშვნა: ცნობილია, რომ ადრექრისტიანულ ხანაში არსებობდა მონანულთა წოდებანი (მოტირალნი, ქვედავრდომით მლოცველნი, მუხლთმოდრეკით, და სხვ.); ისინი სთხოვდნენ ქრისტიანებს, რათა ელოცათ მათთვის უფალთან.

მაგრამ შემდგომში, ლოგიკური მოსაზრებების გამო შემუშავდა საიდუმლო აღსარება. მცნება — „აღუარებდით ურთიერთას“ — არ უგულვებელ-იყო მოძღვართან საიდუმლო აღსარების შემოღებით, რადგანაც თავად მღვდელიც წარმოადგენს სხვა, მეორე პირს. თუმცა, და ეს გასაგებიცაა, ეს არ ხდება მაშინ, როდესაც ამა თუ იმ პირს ნებავს ცოდვათა აღიარება „ხატების წინაშე“.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სასულიერო პირსაც, მღვდელსაც მართებთ აღსარება გაანდონ სხვა მღვდელს. და გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს მეორე მღვდელი არ უნდა იყოს იგივე, რომელიც აღსარებას ამბობს პირველთან. უმჯობესია იყოს სხვა. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი რამ სისტემატურად არ უნდა ხდებოდეს, მხოლოდ აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული. წმიდა იაკობის ზემოხსენებული მონაკვეთის თანახმად,

პრინციპით — „რადთა განიკურნნეთ“. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ორი მღვდელი (განსაკუთრებით ერთიდაიმავე ცოდვის თანაზიარნი), აღსარებას ეუბნებიან ერთმანეთს, ჩნდება ეჭვი, არის თუ არა პირობა გულახდილი სინანულისათვის და, შესაბამისად, კურნებისათვის.

7) შესაფერის ღროდ აღსარების დაწყებისათვის შეიძლება მიჩნეულ იყოს მომენტი, როდესაც ქრისტიანი შეუდგება თავისი საქმეების შეგნებას. ამის გამო აღსარების დაწყებისათვის დრო სხვადასხვაგვარია, პიროვნებათა მსჯელობის უნარის განვითარების შესაბამისად. წმიდა ტიმოთე ალექსანდრიელი მე-18 შეკითხვას — „რა ასაკიდან განიკითხება ადამიანის ცოდვები ღმრთის მიერ?“ პასუხობდა: „ყოველი ადამიანის შემეცნებისა და მსჯელობის უნარის მიხედვით. ერთნი განიკითხებიან ათი წლის ასაკიდან, მეორენი — კი შემდგომი წლებიდან“.

II. აღსარების კანონიკური აღსრულების შედეგები

1) ცოდვათა მიტევება და აღმსარებლისათვის თავისი დანაშაულის შენდობა.

2) შემწეობის შეთავაზება, რათა მორწმუნემ არ ჩაიდინოს სხვა ცოდვები (კართაგენის 111/122 კანონი.)

3) აღსარების განმეორება და საერთოდ მისი სიხშირე წესრიგდება დაინტერესებული პირისა და სულიერი მოძღვრის მიერ ვითარების შესაბამისად.

4) მოძღვარი მოვალეა საიდუმლოდ დაიცვას აღსარება. მისი ამ მოვალეობის დარღვევისათვის მოძღვარი მკაცრად ისჯება ეპისკოპოსის მიერ. მოძღვარი არაა ვალდებული არც სასამართლო პროცესზე თქვას რაიმე იქიდან, რაც მან აღსარებისას მოისმინა, სულ ერთია, სასამართლო საერო იქნება თუ სასულიერო.

5) სულიერი მოძღვარი ბევრ შემთხვევაში განაწესებს გარკვეულ სასჯელს — ეპიტიმიებს, ანუ, აღმრზდელობით საშუალებებს (როგორიცაა მუხლთმოდრეკა, ლოცვები, მოწყალების გაცემა, მარხვები, ზრუნვა და გარკვეული ხნით წმიდა ზიარებისაგან თავშეკავება).

6) ამა თუ იმ ეპიტიმიის მომატებას თუ შემცირებას, იმისას, რაც განეწესა სასჯელად ცოდვისათვის, ადგენს თავად სულიერი მოძღვარი და სხვა არავინ. მაგრამ სულიერი მოძღვრის სიკვდილის თუ მისი ისევე, როგორც აღმსარებლის უცხოეთში ყოფნის შემთხვევაში, სხვა სულიერ მოძღვარსა თუ საკუთარ ეპისკოპოსს შეუძლია გაზარდოს ან შეამციროს სასჯელის ვადა.

7) იმ შემთხვევაში, როდესაც სასჯელს დაქვემდებარებულ პირი მომაკვდავია, მღვდელს აქვს უფლება, მოხსნას მას ეპიტიმია და მიანიჭოს წმიდა ზიარება. და თუ სნეული განიკურნება, მაშინ გაუგრძელდება სასჯელი (I მსოფლიო საეკლესიო კრების მე-14 კანონი).

2. საეკლესიო სასჯელთა (ეპიტიმიების) საკითხი

საკითხი, რომელზეც ბევრ შემთხვევაში დაფიქრება უწევს სულიერ მოძღვრებს და ასევე — მორწმუნეებსაც, ეს არის სასჯელთა (ეპიტიმიათა) განაწესი; ის, რასაც საღმრთო კანონები, სჯული ცოდვილთათვის ითვალისწინებს. ეპიტიმიები, ჩვეულებრივ, არის მიზეზი თუ საბაბი, რის გამოც ბევრნი მიიჩნევენ, რომ ეკლესიის კანონები არის მკაცრი და არ შეესაბამებიან დღევანდელ სინამდვილეს.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ, უპირველეს ყოვლისა, ეპიტიმიების ხასიათი არასწორადაა გაგებული, ანდა კიდევ ხდება კანონთა მცდარი განმარტება, ან საქმეში არასწორადაა ესა თუ ის კანონი გამოყენებული, ვითარებას მორგებული არაა.

უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეპიტიმია არ არის აღსარების საიდუმლოს შემადგენელი ელემენტი. მას მიზნად არ აქვს დასახული, აღასრულოს საღმრთო მართლმსაჯულება, და არც ის, რომ უფალი მოალბოს ცოდვილის მიმართ. უფრო მეტიც, ეპიტიმიას არა აქვს დასჯის სახე. ეპიტიმია წარმოადგენს კურნებასა და აღმზრდელობით, პედაგოგიურ ქმედებას (შდრ. V-VI მსოფლიო კრების 102 კანონი). ანუ, საეკლესიო სასჯელის მიზანია, მიმართოს ცოდვილის ყურადღება ცოდვის სიმძიმისაკენ და შეეწიოს ცოდვილს, რომ მან აღარ გაიმეოროს იგივე; ეპიტიმიები წინასწარ იცავენ კაცს, რომ მუდმივ ვნებად არ გადაექცეს ესა თუ ის ცოდვით დაცემა და არ დაიმონოს მან იგი ისე, რომ საბოლოოდ დაიღუპოს (შდრ. I კორ. 6,9-10, ეფეს. 5,5, ებრ. 13,4, გამოცხ. 22,15).

ის, რომ ეპიტიმიებს აქვს პედაგოგიური ხასიათი, ცხადდება იმითაც, რომ კანონიკური სასჯელი არ მიესადაგება კაცს ბუკვალურად. მაგ. ეპიტიმიათა ვადა არ არის შეუცვლელი, არამედ იზრდება ან მცირდება შემთხვევისა და ცოდვილის სინანულის შესაბამისად. ბასილი დიდის 84-ე კანონი განსაზღვრავს: „ამას ყველაფერს ვწერთ, რათა სინანულის ნაყოფი გამოვცადოთ, რადგან ჩვენ დროის მიხედვით კი არ განვიკითხავთ მონანულთ, არამედ ვუყურებთ სინანულის სახეს, თუ რამდენად გულმოდგინეა მონანული". ასევე V-VI მსოფლიო კრების 102-ე კანონი აცხადებს: „ხამს გახსნისა და შეკვრის უფლება ღმრთისაგან მივიღოთ და გავითვალისწინოთ ცოდვის ხარისხი, ცოდვილის მოქცევისათვის მზადყოფნა და ამრიგად მივმართოთ სნეულების განკურნებას. რათა განუზომელობით თითოეულის მიმართ არ შევცდეთ მცოდველის ხსნისა და ცხოვნების საქმეში, რადგან მარტივი არ არის ცოდვის სენი, არამედ მრავალგვარი და მრავალსახოვანია იგი".

სხვა არის რეაქცია ეპიტიმიების დადგენილების მიმართ, ჩვეულებრივ, ესაა კანონებით დადგენილი დაყენების სასჯელი, თუნდაც მცირე, - როგორც

მიიჩნევენ, — შეცოდების გამო. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთი სასჯელი ავტომატურად არ მიესადაგება დამრღვევს, არამედ შესაბამისი პროცედურის შედეგად და კომპეტენტური საეკლესიო ორგანოს მიერ. ამიტომაცაა, რომ კანონები იმას კი არ ამბობენ, რომ მათი დამრღვევი დაყენებულია, არამედ განსაზღვრავენ „დაეყენებოდეს" (დაყენებულ იქნას). მაგრამ თუკი სხვადასხვა მიზეზის გამო საეკლესიო ორგანო არ ადგენს ეპიტიმიას, კანონი უმოქმედოა.

ამასთანავე, ბევრს მიაჩნია, რომ „დაყენებულ იქნას" ნიშნავს სრულად და მუდმივად ეკლესიისაგან განყენებას. მაგრამ სჯულის კანონთა ენაზე დაყენება ყოველთვის ამას არ ნიშნავს. ბევრ შემთხვევაში იგულისხმება ცოდვით დაცემულის დროებითი დაყენება წმიდა ზიარებისაგან. შესაბამისად, გარკვეული ხნის შემდეგ, და რაკი ცოდვილი გულახდილად ინანიებს, მას მოეხსნება სასჯელი.

3. ზეთის კურთხევის საიდუმლო

სინანულის საიდუმლოს გარდა არსებობს ეკლესიის სხვა საიდუმლოც, რომელიც ალასრულებს მორწმუნის განკურნებას მისი ცოდვებით გამოწვეული წყლულებისა და ჭრილობებისაგან. ესაა წმიდა ზეთის კურთხევის საიდუმლო.

ეს საიდუმლო, როგორც ჩანს მარკოზის სახარებიდან (6,7-13), დააწესა უფალმა. მახარებლის გადმოცემით, უფალი, თავის ორ-ორ მოწაფეს გზავნის პალესტინაში, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ ისინი „ქადაგებდეს, რაჲთა შეინანონ" და გარდა ამისა „სცხებდეს ზეთსა მრავალთა სნეულთა და განჰკურნებდეს". ამასთანავე, იაკობის ეპისტოლეში ხაზგასმითაა აღნიშნული: „უძლურ თუ ვინმე არს თქუენ შორის, მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა, და ილოცონ მის ზედა და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისაჲთა. და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი, და აღადგინოს იგი უფალმან; დაღაცათუ ცოდვაჲ რაჲმე ექმნეს, მოვეტეტეოს მას" (იაკ. 5,14-15).

ზემოთწარმოდგენილი ადგილების მიხედვით ზეთისცხების საიდუმლოთი აღსრულდება კურნება სულიერად თუ ხორციელად სნეულისა მისატევებლად მისი ცოდვებისა, რომელიც მან ჩაიდინა უმეცრებით ან რომლებიც დავიწყებული აქვს. საკუთრივ, ესაა ცოდვები, დიდად დაკავშირებული უძლურებასთან, რომელიც ეუფლება ქრისტიანს.

საიდუმლოს კანონიკურად აღსრულების წინაპირობები

1) ზეთისცხებისათვის მასალად იყენებენ უბრალო და სუფთა ზეთს, ყოველგვარი შემადგენელის (მაგ. არომატული მარილების) გარეშე.

2) საიდუმლოს ჩვეულებრივ აღასრულებს 7 მღვდელი. მაგრამ შეიძლება, განსაკუთრებული საჭიროების ჟამს იგი აღასრულოს 3-მა ან 2-მა და ერთმა მღვდელმაც კი, დაინტერესებული პირის სამრევლოდან.

„პიდალიონის" ავტორი აღნიშნავს, რომ უმჯობესია, საიდუმლო აღასრულოს მხოლოდ ერთმა მღვდელმა, ვიდრე მღვდელთა ნაკლებობის გამო მოაკლდეს საიდუმლოს ქრისტიანები; თუ არ არის 2 ან მეტი მღვდელი[2]. მაგრამ ჩანს, რომ სულ მცირე ორი მღვდლის თანდასწრება ემყარება: ა) იმ ფაქტს, რომ უფალი მარკოზის სახარების ზემოთწარმოდგენილი მონაკვეთის მიხედვით გზავნის ორ-ორ თავის მოწაფეს, და ბ) იაკობის ეპისტოლეს მიხედვითაც, სადაც ხსენებულია მრავლობითში „მოუწოდენ ხუცესთა"...

3) მართლმადიდებელი ეკლესიისათვის არ არსებობს შეზღუდვა საიდუმლოს აღსრულების დროსთან დაკავშირებით. როდესაც ესა თუ ის ქრისტიანი დაუძლურებულია და სურს მოემზადოს წმიდა ზიარებისათვის, შეიძლება მოხმობილ იქნას მღვდელი ზეთისცხების საიდუმლოს აღსასრულებლად. ეს საიდუმლო შეიძლება გამეორდეს იმავე მორწმუნესა და, ცხადია, იმავე უძლურებისათვის (მიტროფანე კრიტოპულოსის აღმსარებლობა)[3]. ასევე — დიდ ხუთშაბათს და დიდი დღესასწაულების დროს ეზიარება მრავალი ქრისტიანი, ამიტომაც მათთვის წინა დღეებში ეკლესიებში აღესრულება ზეთისცხების საიდუმლო.

4) ზეთისცხების წესი. ნაკურთხ ზეთს სნეულს, ასევე იქ დამსწრე ნათესავებსა და მეგობრებს სცხებს მღვდელი ჯვრის სახით, შუბლზე, ნიკაპზე, ღაწვებზე და ხელებზე, ორივე მხრიდან. შეიძლება ზეთი ეცხოს სხეულის სნეულ ნაწილს.

შეიძლება ნაკურთხი ზეთის გადატანა სხვაგანაც, სხვა ადგილას იქიდან, სადაც ზეთისცხება აღესრულებოდა და ზეთისცხების აღსრულება შეუძლია საერო პირსაც. ძველად ზეთს სცხებდნენ მომაკვდავსაც. მაგრამ მოგვიანებით ეს აიკრძალა კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნიკიფორე II-ის (1260-1261) დადგენილებით.

5) საიდუმლოს აღსრულების ადგილსა და ცხებულის ასაკთან დაკავშირებით აკრძალვები არ არსებობს. საკმარისია მხოლოდ ის, რომ ადგილიცა და პიროვნებაც ეკუთვნოდნენ მართლმადიდებელ ეკლესიას.

---

[2] „Πηδάλιον". გვ. 470, შენიშვნა 3.

[3] შდრ. Ἱερωνύμου Κοτσώνη, Σημειώσεις Κανονικού Δικαίου, τ. Β΄ σελ. 64.

4. *საღმრთო ევქარისტიის საიდუმლო*

აუცილებელი წინაპირობა ეკლესიაში მორწმუნის მყოფობისა და წარმატებისათვის არის რეგულარული დასწრება და თანაზიარება საღმრთო ევქარისტიაზე. ამ საიდუმლოს მეშვეობით მორწმუნე მჭიდროდ უკავშირდება ეკლესიის თავს, ქრისტეს. თავად უფალმა ბრძანა: „და რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს, და მე მის თანა“ (იოანე 6,56).

საღმრთო ევქარისტია არის საიდუმლოთა საიდუმლო. ეკლესიის პირველ წლებში ამ საიდუმლოსთან იყო დაკავშირებული ყველა დანარჩენი. ადრექრისტიანულ ხანებში საღმრთო ევქარისტიის საიდუმლოს აღასრულებდა ადგილობრივი ეკლესიის ეპისკოპოსი, რომელსაც ეხმარებოდნენ ხუცესები და დიაკვნები. ეპისკოპოსი წარმოადგენდა ადგილობრივი ეკლესიის თავს და იყო იესო ქრისტეს „სახე“ და მის „ადგილას“ დადგენილი. საღმრთო ევქარისტიის აღმასრულებელი ეპისკოპოსის მეშვეობით, წარემატებოდა და გამოიხატებოდა ერთობა, უპირველესად — ადგილობრივი ეკლესიისა და საერთოდ, კათოლიკე ეკლესიისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია უპირველესად — ყველა სასულიერო პირთა, და, ამასთანავე, ყველა მორწმუნეთა საღმრთო ევქარისტიით თანაზიარება. ამის გამო ქრისტიანს საპატიო მიზეზის გარეშე ეკრძალება ეკლესიის ხშირი, სულ მცირე — სამი კვირით, დაუსწრებლობა (V-VI მსოფლიო კრების მე-80 კანონი). მორწმუნე ტაძარში უნდა იყოს საღმრთო ლიტურგიის ბოლომდე, და თუ მომზადებულიცაა, უნდა უთუოდ ეზიაროს. წმიდა ზიარების სიხშირესთან დაკავშირებით არ არსებობს შეზღუდვები (მოციქულთა მე-9 და ანტიოქიის მე-2 კანონები). უფალი ხომ გარკვევით ამბობს: „რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა“, ანუ, გამუდმებით და არა ერთხელ. რასაკვირველია, ზიარების სიხშირეს განსაზღვრავს მორწმუნე თავისი სულიერი მამის მითითებისამებრ. ზიარებას აღასრულებს მღვდელი. აკრძალულია საღმრთო ლიტურგიაზე შეწირულ ძღვენთა შეთავაზება საერო პირთა მიერ სასულიერო პირების ჩაურევლად (V-VI მსოფლიო კრების 51-ე კანონი). როდესაც ამა თუ იმ მიზეზით მორწმუნისათვის არ არის შესაძლებელი საღმრთო ზიარებაში მონაწილეობა, იგი შეწირულ ძღვენთა ნაცვლად იღებს „ანტიდორს“.

I. საღმრთო ევქარისტიის კანონიკური აღსრულების წინაპირობები

1) საღმრთო ევქარისტიის ჩასატარებლად უნდა იყოს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური ეპისკოპოსი ანდა ხუცესი.

2) ღმრთისმსახურს არ უნდა ჰქონდეს აღსრულებული ლიტურგია იმავე დღეს.

3) მღვდელი უნდა იყოს უზმო (V-VI მსოფლიო კრების 29-ე კანონი).

4) ლიტურგიას უნდა ესწრებოდეს ეკლესიის სხეულის წარმომადგენელნი, თუნდაც ერთი მგალობელი ან ერთი საერო პირი, მორწმუნე.

5) უნდა იყოს ევქარისტიისათვის განკუთვნილი ნაკურთხი სალოცავი ადგილი: ან ეკლესია, ნაკურთხი წმიდა ტრაპეზით, ან, აუცილებლობის შემთხვევაში, სულ მცირე, ტრაპეზი ნაკურთხი ოდიკით.

6) ევქარისტიის საიდუმლოს აღსრულებისათვის მასალად იხმარება საფუარიანი სეფისკვერი წმინდა ფქვილისაგან („პროსფორა") და შავი ან თეთრი ნატურალური ყურძნის ღვინო.

7) ღვინოს ღმრთისმსახურმა უნდა შეურიოს „მდულარებაც" [ცხელი, ადულებული წყალი (V-VI მსოფლიო კრების 32-ე კანონი)]. აკრძალულია „მდულარების" საზიარებლად გაცემა საერო პირთა მიერ, თუ არა მხოლოდ წირვაზე.

8) დრო — საღმრთო წირვის აღსრულებისთვის დადგენილი არის წელიწადის ყოველი დღე. მხოლოდ დიდმარხვის დროს, მისი სამგლოვიარო ხასიათის გამო სრული წირვის ნაცვლად აღესრულება პერველშეწირული ძღვენით წირვა, „შაბათის და კვირის და ხარების წმიდა დღეთა გარდა" (V-VI მსოფლიო კრების 52-ე კანონი). ლაოდიკიის 51-ე კანონის თანახმად, როდესაც წმიდა მოწამეთა ხსენება, თანხვდება დიდმარხვის დღეებს, გვმართებს, ლიტურგია „აღვასრულოთ შაბათსა და კვირა დღეებში".

9) ღმრთისმსახურს მართებს პატიოსნად აღასრულოს საღმრთო ლიტურგიის განაწესი, რომელსაც ადგენს მართლმადიდებელი ეკლესიის ლიტურგიკული წიგნები შესაბამისი დღეებისათვის.

II. საღმრთო ლიტურგიაზე თანამონაწილეობის წინაპირობები

1) საღმრთო ევქარისტიის თანაზიარი უნდა იყოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი (შდრ. ტიმოთე ალექსანდრიელის მე-9 კანონი). აკრძალულია წირვაში მწვალებლის ან სქიზმით განდგომილის მონაწილეობა.

2) წირვის თანადამსწრე არ შეიძლება იყოს დაყენებით ან შეჩვენებით (ანათემით, დიდი დაყენებით) დასჯილი.

საკუთრივ ეკლესიის წევრთა წირვაზე თანაზიარებისათვის განსაზღვრულია შემდეგი წინაპირობები:

3) ქრისტიანი არ უნდა ექვემდებარებოდეს კანონიკურ სასჯელს (ეპიტიმიას). მაგრამ თუკი ეს ქრისტიანი მომაკვდავია, მას ეხსნება (უუქმდება) ეპიტიმია, და აზიარებენ.

4) ის, ვინც ეზიარება, უნდა იყოს სრულ გონებაზე (V-VI მსოფლიო კრების 59-ე კანონი). იმ შემთხვევაში, როდესაც მომაკვდავს დაკარგული აქვს გრძნობა, მის ნაცვლად, სასურველია, ეზიარონ მისი უშუალო ნათესავები (შდრ. I კორ. 7,14 და კართაგენის 41/48-ე კანონები).

5) შეზღუდვები ზიარებისათვის ასაკთან დაკავშირებით არ არსებობს. მშობლებს შეუძლიათ მიიყვანონ ჩვილები საზიარებლად, თუკი ისინი მონათლულნი არიან.

6) საზიარებლად მოსული უნდა იყოს გაწმენდილი ხორციელი ვნებისაგან და ყველანაირი ხორციელი უწმინდურობისაგან (ტიმოთე ალექსანდრიის მე-5, მე-7 და მე-12 კანონები და სხვ.).

7) ხორციელი სიწმინდე არ წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას, არამედ მხოლოდ პირობითს, საიდუმლოსადმი პატივისცემის გამოვლინებას.

8) აუცილებელი არ არის, ზიარებისათვის მოსული იყოს სულიერად ან ხორციელად ჯანმრთელი. ეშმაკეულებიც, თუკი მათზე წირვის დროს არ არის ეშმაკის ზეგავლენა, შეუძლიათ ეზიარონ (ტიმოთე ალექსანდრიელის მე-3 კან.).

9) ის, ვინც ეზიარება, უნდა იყოს უზმო (კართაგენის 41/48-ე კან.). გამონაკლისი დაიშვება მომაკვდავებისათვის (ნიკიფორე კონსანტინოპოლელის მე-9 კანონი). ასევე, კაცი დაბანის დროს შემთხვევით წყალს თუ ჩაყლაპავს, იგი დაიშვება საღმრთო წირვაზე (ტიმოთე ალექსანდრიელის მე-16 კანონი).

5. წმიდა დღეები – ლიტურგიკული დრო

საღმრთო საიდუმლოთა გარდა არსებობს ჩვენი ეკლესიის სხვა მსახურებებიც. უკვე სამყაროს შესაქმიდანვე და შემდეგ ათი მცნების მეშვეობით ღმერთი ადგენს შვიდეულის ბოლო დღეს დასვენებისათვის და ადამიანისთვის სულიერი საზრდოს მისაღებად. ამის ნიმუშად ჩვენმა ეკლესიამაც მორწმუნეთა გასაძლიერებლად დაადგინა განსაზღვრული დრო ლოცვისა და ღმრთისმსახურებისათვის.

ღმერთთან ურთიერთობა, ცხადია, ხდება პირადი წესითაც, როცა ქრისტიანი გრძნობს სულიერ მოთხოვნილებას, მაგრამ იგი საჯაროდაც სრულდება, ერთობით, განსაზღვრულ ადგილას ღმრთისმსახურების სახით. ამგვარი ურთიერთობა წარმოებს რეგულარულად გარკვეული დროის ინტერვალებში, ანდა გარკვეულ დღეებსა, კვირებსა თუ წლებში. ანუ, საეკლესიო კალენდარში წარმოდგენილია ლიტურგიკული ციკლი: ა) დღისა, ბ) კვირისა და გ) წელიწადისა.

ა) დღის ციკლი წარმოადგენს: შუალამიანს, ცისკარს, პირველ ჟამს (რომელიც დღეს შეესაბამება 6 საათს), მესამე, მეექვსე, მეცხრე ჟამს,

მწუხრსა და სერობას (მათზე მსჯელობს საკუთრივ ლიტურგიკის დისციპლინა).

ბ) წმიდა დღეების საკვირაო ციკლს განეკუთვნება ე. წ. რვათა ხმათა (ოქტოიხოსის) ანუ პარაკლიტონის (პარაკლიტიკის) ციკლი. აქ ტროპარები დანაწილებულია რვა კვირად, ბიზანტიური საეკლესიო მუსიკის ხმების შესაბამისად. მე-8 კვირის შემდეგ მეორდება კვლავ პირველი კვირის ტროპარები და ა.შ. ეს ტროპარები ძირითადად იგალობება მწუხრისა და ცისკრის ღმრთის მსახურებისას.

გ) საეკლესიო ციკლის ცენტრს წარმოადგენს პასექის დღესასწაული. ამ დღესასწაულზეა დამოკიდებული წლის მოძრავ დღესასწაულთა სისტემა (პასქალია). მოძრავი დღესასწაულების გარდა არსებობს უძრავი დღესასწაულებიც, რომლებიც ეძღვნება უფლის მაცხოვარების უმთავრესი მოვლენების მოხსენიებას (საუფლო დღესასწაულები), ღმრთისმშობლის, წმიდათა მოციქულთა და ჩვენი ეკლესიის წმიდანთათვის პატივის მიგებას.

დღესასწაულის აღნიშვნის მიხედვით, დღესასწაულები იყოფა უქმე, ნახევრადუქმე და სადღესასწაულო დღეებად. ამასთანავე, ბიზანტიური დროიდან მომდინარე კანონით განსაზღვრულია კვირა დღის უქმობა, მიძღვნილი უფლის აღდგომისადმი.

ეკლესია, რომელიც ითვალისწინებს მოციქულ პავლეს სიტყვებს (გალ. 4,9-11 და კოლ. 2,16-17), ხელმძღვანელობს დროით, თუმცა არ არის მასზე მიჯაჭვული. ამის გამო გასაგები ხდება უპირატესობა, რომლის მიხედვითაც ჩანს ბუნებრივი დროის კალენდარულ საკითხებთან დაკავშირებული განსხვავება. სულიერი მოვლენები არაა დამოკიდებული ბუნებრივ დროზე. ასე განიმარტება ის ფაქტიც, რომ არ ენიჭება მნიშვნელობა დაზუსტებას სავარაუდო ფიზიკური დროისა, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობდა სხვადასხვა რელიგიური მოვლენა; და ზუსტად არც განისაზღვრება რელიგიური დღესასწაულები იმ ფიზიკური დროის მიხედვით, როდესაც ისინი მოხდა. ამიტომაცაა, მოძრავი დღესასწაულებიც, როგორიცაა აღდგომის ციკლის დღესასწაულები; ზუსტად იმის გამო, რომ ეს მოვლენები განეკუთვნება „მარადიულს", ანუ დროით „მიღმურს". სადღესასწაულო მოვლენებს განვიცდით მარადიული „ახლა"-ს მასშტაბით, „აწ და მარადის", როგორც აღვნიშნეთ. საღმრთო მოვლენებს ეკლესია განაწესებს და ზეიმობს დროის თვალსაზრისით განუსაზღვრელი მასშტაბით, თავისი ლიტურგიკული დროის შესაბამისად, რომელიცაა მასშტაბი უფლის"[4]სასუფევლისათვის.

---

[4] შდრ. ჟურნალი „Ἐνορία" („სამრევლო") 1972, გვ. 152-153.

6. მარხვები

წმიდა დღეებს განეკუთვნება მარხვებიც. მარხვა არის ძლიერი საშუალება, რომლის მეშვეობითაც ადამიანი მსუბუქდება ხორციელი სიმძიმისა და ვნებისაგან და ამა სოფლის ბორკილებისაგან და აღამაღლებს მას უმაღლეს სულიერ დონეზე.

მარხვის ნიმუში გვაჩვენა უფალმა, რომელიც მარხულობდა 40 დღე (მათე 4,2). მარხვის წესი, ხანგრძლივობა და რაოდენობა სხვადასხვაგვარია. მოციქულთა 69-ე კანონის თანახმად, ვმარხულობთ ოთხშაბათსა და პარასკევს, ასევე — დიდმარხვაში. ეს კანონი აცხადებს: „თუკი ვინმე ეპისკოპოსი, ან ხუცესი, ან დიაკონი, ან იპოდიაკვანი, ან მედავითნე, ან მგალობელი აღდგომის დიდმარხვის დღეებში, ან ოთხშაბათს ან პარასკევს არ იცავს მარხვას — თუკი მას ხორციელი სნეულება არ უშლის ხელს, — განიკვეთოს, თუკი საერო პირია — დაყენებულ იყოს". ოთხშაბათისა და პარასკევის მარხვა დადგენილია უფლის მოღალატეობრივი გამცემლობისა და ჯვარცმით ვნების მოსახსენებლად. მარხვას ვინახავთ ხორცის, კვერცხის, რძის ნაწარმის, თევზის, ზეთისაგან და ა.შ. თავშეკავებით. დიდმარხვის შაბათის გარდა — წლის ყოველ შაბათს და კვირას ხსნილია ზეთით. დიდმარხვის დღეებში აკრძალულია აღსრულება დადგინებისა (ქიროთესიის), ქორწინებისა, დაბადების დღეებისა და ყოველივე იმისა, რაც სიხარულსა და ლხენას გამოიწვევს.

გარდა ზემოთჩამოთვლილი მარხვებისა, რომლებიც შეიმუშავა მსოფლიო კრებამ, ეკლესიამ შემოიღო ქრისტესშობის, წმიდათა მოციქულთა და ღმრთისმშობლის მიძინების მარხვები. და ბოლოს, მიღებულია მარხვები ნათლისღების წინა დღეს, ჯვრისამაღლების (14/27 სექტემბერი) და იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის ხსენების დღეს (29 აგვისტო/11 სექტემბერი). ბრწყინვალე შვიდეულში რომელიც მიიჩნევა ერთ დღედ, და ასევე სულთმოფენობის მომდევნო შვიდეულში ხსნილდება ოთხშაბათისა და პარასკევის მარხვა (ხსნილი ყველაფრით).

თავი მესამე

„ოჯახური“ ეკლესიის აღმშენებლობა

1. ქორწინების საიდუმლოება

ქორწინების საიდუმლო არ განეკუთვნება ყოველი ქრისტიანისათვის სავალდებულო საიდუმლოს, რითაც აუცილებელი ხდება ქრისტიანის ყოფნა და წარმატება ეკლესიის წიაღში. თუმცა ეს საიდუმლო დიდი შემწეობაა ქრისტიანი მეუღლეებისათვის, რათა წარემატონ. ქრისტიანული ქორწინება (საიდუმლო) საღმრთო წერილის მიხედვით (ეფეს. 5,22-33) წარმოადგენს ეკლესიასთან ქრისტეს ერთობის ხატს. ქრისტიანული ქორწინების მეშვეობით ხორციელდება მეუღლეთა განუწყვეტელი ურთიერთთანადგომა თავიანთი დანიშნულების აღსრულებისათვის და იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას „მსგავსება“ უფლის ხატისა.

რომაელი კანონის მცოდნეს მოდესტინუსის († 288 წ.) კლასიკური განმარტების მიხედვით „ქორწინება არის ურთიერთკავშირი მამაკაცისა და დედაკაცისა, მათი ცხოვრების ხვედრის გაზიარება მარადის, ესაა ღვთისა და ადამიანის სჯულის ზიარება“.[1] ქორწინების საიდუმლოთი ღმრთის კურთხევა ენიჭება მამაკაცისა და დედაკაცის ამ ერთობას მთელი ცხოვრების მანძილზე; იმისათვის, რომ მათ გააჩინონ შვილები და ზნეობრივად სრულყონ ისინი. ოჯახში, რომელიც ამ საფუძველზეა შექმნილი, აღიზრდებიან მოქალაქეები ზეციური სასუფევლისათვის.

ამისთვის ქრისტიან მშობლებს მოუკლებლივ და მარადის მართებთ ქრისტეს მაგალითის შესაბამისად იზრუნონ აღსაზრდელად იმ სულებისა, რომლებიც ღმერთმა მათ ჩააბარა. შდრ. I ტიმ. 2,15: „არამედ ცხოვნდების შვილთ-პატარა სხმისაგან, უკუეთუ ეგნენ სარწმუნოებით და სიყუარულით და სიწმიდით ღირსებასა ზედა“.

2. წინაპირობები ქორწინებით შეუღლებისათვის

ზემოთწარმოდგენილის მიხედვით ცხადი ხდება ქორწინების საიდუმლოს დიდი მნიშვნელობა მეუღლეებისათვის, ბავშვებისათვის, რომლებიც იბადებიან, საზოგადოებისათვის, და, ბოლოს, ეკლესიისათვის. ეკლესიამ და სახელმწიფომ იმისათვის, რომ დაიცვას ეს ერთობა ყველანაირი აღრეულობის, შფოთისა და განყოფისაგან, შეიმუშავა გარკვეული სჯული და კანონები. ისინი ითვალისწინებენ ქორწინების კანონიერ და ძალმოსილებით აღჭურვილ

---

[1] შდრ. Ράλλη - Ποτλῆ, Σύνταγμα, τ. Α΄, σελ. 271.

აღსრულებასაც და მის შეურყევლად დაცვასაც. ასე შეიქმნა გარკვეული ცნებები და პირობები. ესენი იყოფიან: I) დადებით პირობებად და II) უარყოფით პირობებად.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ კანონიერი ქორწინებისათვის დადებითი და უარყოფითი პირობები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საკითხი ადრიდანვე იდგა ქრისტიანული ეკლესიის წინაშე; იმაზე უფრო ადრე, ვიდრე დადგა ქორწინებით დაკავშირების საკითხი. აღნიშნული ასპექტი განმყარებულია იმითაც, რაც ჩამოვაყალიბეთ ნაშრომში – „ეპისკოპოსის ნებართვა ქორწინებისათვის (რელიგიური თუ სამოქალაქო თვალსაზრისით)", წმ. ეგნატე ღმერთშემოსილის ცნობილი გამონათქვამის შესახებ: „ქორწინების მსურველთ, მამაკაცებსაც და დედაკაცებსაც, მართებთ ერთობა ეპისკოპოსის აზრის თანახმად, რათა უფლისმიერ და არა წადიერებისამებრ იქმნას ქორწინება".

გარდა ამისა, სხვა გამოკვლევაში ჩვენ განვიხილეთ საკითხი სამოქალაქო ქორწინებასა და მის საკითხებთან დაკავშირებით.[3] და შევნიშნეთ, რომ თუკი ქორწინების გაფორმება არ წარმოებს ეკლესიის კანონების მიხედვით, მას არა აქვს კანონიერი სახე.[4] ხოლო ეკლესიას მსოფლიო კრებების მეშვეობით შემუშავებული აქვს გარკვეული კანონები, ქორწინების პირობებისა და ვითარების შესახებ, რითაც განაპირობებს ქორწინებისათვის კანონიკური სახის მიცემას. კვლავაც დავძენთ, რომ ქორწინებით შეუღლებისათვის ზემოთდასახელებულ (დადებით თუ უარყოფით) წინაპირობებს დიდად განაპირობებს საეკლესიო ფაქტორები საპირისპიროდ სამოქალაქო ქორწინებისა; იმისათვის, რომ ქორწინება აღიარებულ იქნას და არ იყოს კვალიფიცირებული, როგორც სიძვა.[5]

---

[2] Ἰγνατίου τού Θεοφόρου, Ἐπιστολή πρός Πολύκαρπον Σμύρνης, კრებული (ΕΠΕΣ) „Ἀποστολικῆς Διακονία" τῆς Ἐκκλησίας τής Ἑλλάδος, τόμ. 2, σελ. 283-284.

[3] Παν. Μπούμη, Θεώρηση καί προβλήματα τοῦ πολιτικοῦ γάμου, Ἀθήνα 1985.

[4] Παν. Μπούμη, დასახ. ნაშრ. გვ. 35 როდესაც ვამბობთ „ეკლესიის კანონები", ვგულისხმობთ, როგორც აღვნიშნეთ, კანონებს, შემუშავებულ თუ დადასტურებულ მსოფლიო კრების მიერ და ისინი წარმოადგენენ მთელი ეკლესიის დადგენილებებს, მთელი მათი აბსოლუტური ძალმოსილებით. შდრ. ასევე სხვა, შესაბამისი ბიბლიოგრაფია.

[5] შდრ. Παν. Μπούμη, Περί τού γάμου κληρικών - μοναχών άπό κανονικῆς πλευράς, Ἀθήναι, 1983, σελ.. 8, (ან ΕΕΘΣΠΑ τομ. 26 (1984) σελ. 423 ἑξ). „Μία περιεκτική κανονική ἀρχή."

[6] სამოქალაქო ქორწინებისათვის უმჯობესია ცნება „ხელშეკრულება".

[7] სხვაგვარად რომ ვთქვათ: პირადი ნების განცხადება, მიმართული კანონიერი, იურიდიული ქმედებისაკენ.

I. დადებითი პირობები ქორწინებით შეუღლებისათვის

1) განსხვავებული სქესი. ქორწინებისათვის აუცილებელია სხადასხვა სქესის ორი პირი (მამაკაცი და ქალი). ერთსა და იმავე სქესის ორ წარმომადგენელს შორის ხორციელი ურთიერთობები აკრძალულია საღმრთო წერილით და წმიდა კანონებით, არათუ მხოლოდ „ქორწინების" გარეშე, არამედ, ბუნებრივია, არც რაიმე *„ვითომდა ქორწინებით"*. შდრ. რომ. 1,25-27 და ბასილი დიდის 62-ე კანონი.

2) კანონით დადგენილი ასაკი. ეკლესიას არ შეუმუშავებია კანონი ქორწინების რაიმე კონკრეტული ასაკის განსაზღვრებისათვის, ასაკის ქვედა და ზედა ზღვარი ქორწინების მსურველთათვის. ჩვენი აზრით, ნებისმიერი ადგილობრივი ეკლესია მოვალეა, დაკვირვების შედეგად განუსაზღვროს ასაკი ქორწინების მსურველ პირებს. ან ეს მართებს სახელმწიფოს. ამ მოსაზრებას ემყარება ბასილი დიდის 42-ე კანონი: „თჳნიერ მპყრობელთა მათთაჲსა ქმნილნი ქორწილნი სიძვად შერაცხილ არიან". წმიდა მოციქული პავლეც გვამცნობს: „ყოველი ჴელმწიფებასა მას უმთავრესისასა დაემორჩილენ, რამეთუ არა არს ჴელმწიფებაჲ, გარნა ღმრთისაგან" (რომ. 13,1). რასაკვირველია, ამგვარი დაქვემდებარების პირობაა, რომ არ ეწინააღმდეგებოდეს საერო ხელისუფლების დადგენილებები უფლის ნებას, რადგანაც „მორჩილებაჲ ჯერ-არს ღმრთისაჲ უფროჲს, ვიდრე კაცთაჲ" (საქმე მოც. 5,29). აღნიშნულის შესაბამისად, მომავალი სიძე-რძალი მოვალეა, წარმოადგინოს სამოქალაქო აქტების ორგანოს მიერ გაცემული დაბადების მოწმობის ასლი.

3) მექორწინეთა პიროვნული, თავისუფალი, ნებაყოფლობითი და ყოველგვარი წინასწარი განზრახვის, „არჩევანისა" თუ ვადის განსაზღვრის გარეშე, უვადო შეთანხმება (გარიგება).[6] ამგვარი შეთანხმების საფუძველზე საჭიროა ნებართვით დაზუსტდეს კომპეტენცია ქორწინების აღმასრულებელი ორგანოს მიერ. ლაოდიკიის 1-ლი კანონი უკვე მეტყველებს „თავისუფლებაზე", როგორც ქორწინებით შეუღლებისათვის ერთ-ერთი წინაპირობაზე, აღნიშნული პირობის თანახმად ეკლესიის კანონები ძირითადად კრძალავენ ქორწინებას მოტაცებით, ან სხვა რაიმე ძალადობით. შდრ. IV მსოფლიო კრების 27-ე და ბასილი დიდის 30-ე კანონები.

4) ნორმალური სულიერი მდგომარეობა და უნარი „სამართლებრივი მოქმედებისა" ანუ „საქმეებისა, რომელთა შედეგებს სცნობს სამართალი."[7] ამ შემთხვევაშიც ეკლესიას მართებს მისდიოს სახელმწიფოს წესრიგს (კანონებს). საერთოდ, სამართლებრივი მოქმედების უნარი ადრე აღინუსხებოდა 21 წლიდან, დღეს კი იწყება 18 წლის ასაკიდან. ხოლო თუ მექორწინეებს ნაკლებად ახასიათებთ ნორმალური სულიერი მდგომარეობა, ასევე –

სამართლებრივი მოქმედების უნარი, საჭიროა წერილობითი, (ან სიტყვიერი) „ხელმწიფეთა“, ანუ, მშობელთა, მეურვეთა, ზედამხვედელთა თანხმობა ანდა უფლებით აღჭურვილ სასამართლოს დადგენილება.

5) „თანაცხოვრების“ ფიზიკური უნარი. თანაცხოვრების უუნარობა შეუძლებელს ხდის არა მხოლოდ ბავშვების გაჩენას, არამედ მეუღლეთა ხორციელი-სქესობრივი მისწრაფების დაკმაყოფილებასაც. მაგრამ უუნარობა არაა დაბრკოლება (არც კანონიკური, არც სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისთ) ქორწინებისათვის. მხოლოდ გარკვეული პირობების გამო ქმნის იგი განქორწინების პირობებს. ცხადია, ნამდვილი სიყვარული ითხოვს მექორწინეთაგან, რომ მათ განუცხადონ თავიანთ მომავალ მეუღლეებს ეს სავარაუდო ფიზიკური უძლურება თუ უუნარობა.

6) ეპისკოპოსის წერილობითი ნებართვა. ის გაიცემა შესაბამისი მღვდელმთავრის ან ნდობით აღჭურვილი პასუხისმგებელი სამღვდელმთავრო ზედამხედველის მიერ. როგორც სხვაგანაც დავინახეთ, მთელი საეკლესიო ტრადიცია (კანონიკური და წმიდა მამებისა) ქრისტიანის ქორწინებისათვის მოითხოვს „აზრს“ ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პასუხისმგებელი საეკლესიო ორგანოს ნებართვას. რასაკვირველია, ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე ქორწინება არ უქმდება, მაგრამ ისჯება სასულიერო პირი, რომელმაც აღასრულა ქორწინების საიდუმლო ნებართვის გარეშე.

აქ გვმართებს შეხსენება იმისა, რომ ქრისტიანებმა, ეკლესიის წევრებმა უნდა მოიპოვონ თავისი ეპისკოპოსის ნებართვა სამოქალაქო თუ საეკლესიო წესით ქორწინების აღსასრულებლად; იმისათვის, რომ ქორწინება იყოს „უფლისმიერ“ დაშვებული, და არა „წადიერებითა თუ სიძვით.“

7) შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლების (საჯარო, ჯანდაცვის, სამხედრო თუ პოლიციის) ნებართვა. მერიიდან ან მომავალი სიძე-რძლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის უბნის თავმჯდომარისგან ნებართვა. საჭიროა ჯანდაცვის სამსახურის ნებართვა, რადგანაც ამას ითვალისწინებს სახელმწიფო კანონები სახელმწიფოს წევრთა ჯანმრთელობის თვალსაზრისით. საჭიროა ნებართვა სამხედრო სამსახურისგანაც, რადგან ამასაც ითვალისწინებს სახელმწიფო კანონები სამხედრო სამსახურისათვის. ხოლო პოლიციის სამსახურიდან ნებართვა საჭიროა მაგ. უცხოელების შემთხვევაში, ან სხვა რაიმე მსგავსი შემთხვევისათვის, რასაც მუდამ ითხოვს კანონი. როგორც ზემოთ დავინახეთ, აღნიშნული პირობები ეთანხმება ეკლესიის კანონებს.

8) საჯარო განცხადება. ქალაქებში და სოფლებში ეს ხდება შემდეგნაირად: ეკლესიებში მღვდლების მიერ, ასევე მომავალი სიძე-რძლის საცხოვრებელი სახლის კედელზე გაკრული საჯარო განცხადების სახით. საჯარო განცხადების მიზეზი აშკარაა: ორცოლიანობის, ორგზის ქორწინების, ან სხვა რამ შემთხვევითი დაბრკოლებების (ახლო ნათესაური კავშირებისა და

ა.შ., ან სახიფათო სნეულებების) თავიდან ასაცილებლად. ეკლესიის კანონებითაც (ლაოდიკიის 1-ლი კანონი), ისევე, როგორც სამოქალაქო დადგენილებებით (პატრიარქი მანუილ II, იმპერატორ ბასილ მაკედონელი და ა. შ.), აკრძალულია ფარული ქორწინება. ცხადია, არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც შეიძლება გვერდი ავუაროთ საჯარო პასუხისმგებელი საეკლესიო და სამოქალაქო განმგებლობის ნებართვით განცხადებას. მაგალითად, როდესაც უნდა დაქორწინდეს დიდხანს ერთად მცხოვრები პირები, განსაკუთრებით, თუკი მათ შვილები ჰყავთ.

9) მშობელთა და სხვა, უფლებებით აღჭურვილ მეურვეთა („მპყრობელთა") თანხმობა. თუკი, როგორც აქამდე ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ ქორწინებისათვის საჭიროა სამოქალაქო „ხელისუფალთა" ნებართვა. მით უფრო მეტადაა საჭირო თანხმობა ბუნებითი „ხელისუფლებისა" — მშობელთა, „მპყრობელთა", ანუ მშობლებისა, რომლებსაც უყვართ და ზრუნავენ თავიანთი შვილების აღსაზრდელად. ცხადია, ეს თანხმობა — მშობელთა დალოცვა[8], აუცილებელია მუდამ, უპირატესად კი მაშინ, როდესაც შვილები კანონით არ არიან სრულწლოვანები. კანონები, რომლებიც ითხოვენ ამ თანხმობას, ესაა: ბასილი დიდის 38-ე და 42-ე. როდესაც მშობლები აღარ არიან ცოცხლები, ან ისინი იძულებულნი არიან მეურვეობდნენ თავიანთ შვილებს, მაშინ საჭიროა დანარჩენ მეურვეთა ანუ, უფროს და-ძმათა, მეურვეთა, ზედამხედველთა და ა.შ. თანხმობა.

შენიშვნა: როგორც ირკვევა ზემოთ წარმოდგენილი ორი კანონის მიხედვით, შესაძლებელია ისევე, როგორც აქვე ჩამოყალიბებული წინაპირობები, აღნიშნული თანხმობის გვერდის ავლაც ქორწინების გაუქმების გარეშე, ანუ, იმ შემთხვევაში, თუ თანხმობა მიეცემათ ქორწინების აღსრულების შემდეგ, ან თუკი პირი, რომელიც ქორწინდება, ამ პერიოდში სრულწლოვანი გახდა, ან თუ რაიმე გზით მან აიცილა თავი და მეურვეობრივი მიმართება, მაგ. გადადგა სამხედრო სამსახურიდან, გათავისუფლდა სამსახურიდან, შეიცვალა სახელმწიფო ქვეშევრდომობა და შესაბამისი კანონმდებლობა და ა.შ.[9]

II. ქორწინების აღსრულების უარყოფითი პირობები („დაბრკოლებები").

სიტყვა „დაბრკოლება" (=ხელისშემშლელი პირობები) გულისხმობს ყველა იმ უარყოფით ფაქტორს, რომელიც არ უნდა არსებობდეს, კანონიკური და ძალმოსილი რომ იყოს ქორწინება. ქორწინების დაბრკოლებები დაიყოფა „გამაუქმებელ"[10] და „დროებით შეჩერებას (გადავადებას) დაქვემდებარებულ" პირობებად.

[8] „რამეთუ კურთხევამან მამისამან დაამტკიცნეს სახლნი შვილთა ზედა, ხოლო წყევამან დედისამან აღჰფხურის საძირკველითურთ" (სიბრძნე ისუ ზირაკისი 3,9).
[9] შდრ. N. Milash – M. 'Αποστολοπούλου, დასახ. ნაშრ. გვ. 891.

გამაუქმებელ, (=ანულირებას დაქვემდებარებულ) დაბრკოლებებს თან ახლავს ქორწინების გაუქმება. დროებით შეჩერებას დაქვემდებარებულმა დაბრკოლებებმა კი, მართალია, შეიძლება ხელი შეუშალოს ქორწინების აღსრულებას, მაგრამ თუ მაინც, მიუხედავად ამისა, აღსრულდა ქორწინება, იგი არ უქმდება. გამაუქმებელი „დაუმტკიცებელი" დაბრკოლებები არის აბსოლუტური (ზოგადი, საზოგადო) და შეფარდებითი (პირობითი). აბსოლუტური გამაუქმებელი პირობები ხელს უშლის ყოველი პირის ქორწინებას, შეფარდებითი პირობები კი — გარკვეულ პირს.

ზემოთ წარმოდგენილი დაყოფა — გამაუქმებელ („დაუმტკიცებელ") და დროებით შესაჩერებელ (გადავადებას დაქვემდებარეულ), ასევე აბსოლუტურ და შეფარდებით მიზეზებად — თავისთავად არ არის აბსოლუტური, არამედ პირობითია და ამგვარი დაყოფა ყოველწამს თავადვე შეიძლება გაუქმდეს, მოიხსნას, ანულირებულ იქნას. მაგ. დღემდე მიჩნეული იყო, ხელთდასხმა (ქიროტონია) იყო აბსოლუტური გამაუქმებელი დაბრკოლება, მაგრამ დღეს (ისევე, როგორც ადრეც), თუკი სასულიერო პირი ვერ მოასწრებს ქორწინებას საეკლესიო წესით, სახელმწიფო უშვებს მის ქორწინებას სამოქალაქო წესით.

ამ დაკვირვების შემდეგ წარმოვადგენთ ქორწინების დაბრკოლებებს, ისე, როგორც ისინი ჩამოყალიბდა საუკუნეების მანძილზე და ეკლესიამ მიიღო ან „აკრიბიის" ან „იკონომიის" წესით, თანახმად ეკლესიისადმი უფლისაგან მიცემული უფლებამოსილებისა.

(1) ხელთდასხმა (ქიროტონია). თუ მორწმუნე ქრისტიანი ნაკურთხია კერძო დიაკონად (=იპოდიაკონად), არ დაიშვება მისი ქორწინება. მით უფრო, რასაკვირველია იკრძალება ქორწინება მღვდლობის უფრო მაღალ საფეხურზე. V-VI მსოფლიო საეკლესიო კრების მე-6 კანონი ამას კრძალავს კატეგორიულად. პირობითია (შეფარდებითია) კანონები: მოციქულთა 26-ე, ნეოკესარიის 1-ლი, ანკვირის მე-10, ბასილი დიდის 44-ე, IV მსოფლიო კრების მე-15 და V-VI მსოფლიო კრების მე-3. შესაბამისად, ეკლესიის კურთხევის საფუძველზე, კანონიკური აკრიბიით სასულიერო პირის ქორწინება დაუშვებელია.[11]

(2) ქალწულების აღთქმა (სამონაზვნო აღკვეცა). მონაზვნების შემთხვევაშიც, შესაბამისად აღთქმისა — დაიცვან ქალწულება, ძალმოსილია იგივე კანონი, რაც სამღვდელოებაზე ითქვა, და, საბოლოოდ, ამ შემთხვევაშიც, კვლავაც „იკონომიის დაშვებით", ეკლესია მიმართავს შესაბამის ზომას ყოფილი მონაზონის მიმართ.

---

[10] ძვ. ქართ. „დაუმტკიცებელი", ამის მაგალითს გვიჩვენებს, „დიდი სჯულის კანონიდან" ქორწინების გაუქმებასთან დაკავშირებული ქვემოთ ციტირებული კანონები (რედ.).

[11] უფრო ვრცლად ამ საკითხზე იხ. ზემოთ დასახ. ჩვენი ნაშრომი Π. Μπούμη, Περί τοῦ γάμου κληρικῶν - μοναχῶν...

ძირითადი კანონი აღნიშნული შემთხვევისათვის არის IV მსოფლიო კრების მე-16 კანონი, რომელიც განსაზღვრავს: „ქალწულმან, რომელმან შეწიროს თავი თჳსი მეუფისა ღმრთისა, ეგრეთვე და მონაზონმან, არღარა შეუგავს მას ზიარებაჲ ქორწილისაჲ. ხოლო უკეთუ ვინმე იპოვნენ მოქმედნი ამთნი, უზიარებელ იქმნენ ოვინი, არამედ განვსაზღვრებთ, რაჲთა აქუნდეს ზელმწიფებაჲ მათდა მიმართისა კაცთმოყუარებისაჲ თითოეულისა ადგილისა ეპისკოპოსსთ."

პირობითობის მომცველი სხვა კანონებია: ანკვირიის მე-19, ბასილი დიდის მე-18 და მე-19, V-VI მსოფლიო კრების 44-ე. ზოგიერთი მათგანი განიხილა V-VI მსოფლიო კრებამ.

შენიშვნა: საბერძნეთის სახელმწიფომ გააუქმა ეს ორი შეზღუდვა — დაბრკოლება. მაგრამ მართლმადიდებელი ქრისტიანი ვერ უგულვებელყოფს მთ.

3) სისხლით ნათესაობა. სისხლით ნათესაობას, უპირველეს ყოვლისა, ვუწოდებთ ისეთს, რომელიც მომდინარეობს დაბადებიდან. ანუ დიდი პაპა, პაპა, მამა, შვილი, შვილიშვილი; ან გვერდითი ხაზით — ანუ, ძმა, ბიძა, პირდაპირი ბიძაშვილი და ა.შ. პირდაპირი ხაზით ნათესაობა დაიყოფა, როგორც „აღმავალნი" (მამა, პაპა, დიდი პაპა და ა.შ.) და „დაღმავალნი" (შვილი, შვილიშვილი, შვილიშვილის შვილი და ა.შ.). პირდაპირი ხაზით ნათესავთა ქორწინება აკრძალულია ყოველგვარ მიზეზგარეშე, გვერდითი ხაზით კი — მეოთხე საფეხურამდე.[12]

სისხლით ნათესაობისათვის წარმოდგენილია V-VI მსოფლიო კრების 54-ე კანონი. იხ. აგრეთვე ბასილი დიდის 67-ე, 68-ე, 87-ე კანონები და თეოფილე ალექსანდრიელის მე-5 კანონი.

4) ქორწინებით ნათესაობა ანუ სხვადასხვა ოჯახების, საგვარეულობების დამოყვრება. დამოყვრება ეწოდება ნათესაურ კავშირს ორი ოჯახისა, რომელიც მომდინარეობს ქორწინებიდან. და რაკი მამაკაცი და დედაკაცი, რომელიც ქორწინებითაა შეუღლებული, მიიჩნევა ერთ სხეულად, ერთხორცად, ამიტომაც ერთის მშობლები, შვილები, და-ძმები და ა.შ. მიიჩნევა მეორის მშობლებად, შვილებად, და-ძმებად და ა.შ. ამის გამო ქორწინებით დამოყვრებულ ნათესავთა ქორწინება „პირდაპირი ხაზით" იკრძალება ყოველ მიზეზგარეშე; ისევე, როგორც სისხლით ნათესავთა „გვერდითი ხაზით", ყოველთვის მე-4 საფეხურამდე. საგანგებოდ იკრძალება მე-4 საფეხურის ნათესავთა ქორწინებაც იმ შემთხვევაში, როდესაც ორ ძმას სურს შეირთოს ორი და (V-VI მსოფლიო კრების 54-ე კანონი). ნათესაობა დამოყვრებით ძალაშია განქორწინების შემდეგაც.

---

[12] სისხლით ნათესავთა მხოლოდ მე-7 საფეხურის ქორწინებებია დაშვებული დაუბრკოლებლად. ეს მოსაზრება დაცულია კანონიკურ დადგენილებებში და არა კანონებში. „Πηδάλιον", σελ. 742.

ქორწინებით დამოყვრებისათვის კანონებს წარმოგვიდგენს: ისევ და ისევ V-VI მსოფლიო კრების 54-ე, ასევე — ნეოკესარიის მე-2, მოციქულთა მე-19 და ბასილი დიდის 23-ე კანონები. შდრ. აგრეთვე ბასილი დიდის: 75-ე, 76-ე, 78-ე, 79-ე და 87-ე კან.

5) სულიერი ნათესაობა. ხორციელდება წმიდა ნათლისღებით. და თუმცა V-VI მსოფლიო კრების 53-ე კანონით: „...უფროს არს სულიერი თჳსებაჲ ჴორცთამიერისა ერთობისასა," სულიერი ნათესაობა მაინც წარმოადგენს დაბრკოლებას მიმქმელსა და ნათლულს, ანდა მის მშობლებს შორის; ვინაიდან მხოლოდ ამას იხსენიებენ კანონები (V-VI მსოფლიო კრების 53-ე კანონი). სულიერი ძმების, ანუ იმ პირებისა, ვისაც ერთი მიმქმელი (ნათლია) ჰყავს, კანონებით არ ითვლება ქორწინების დაბრკოლებად. თუმცა „პიდალიონი" ამას ქორწინებისათვის ხელისშემშლელად მიიჩნევს.[13] დღეს სახელმწიფოსათვის ქორწინების დამამაბრკოლებელ პირობად აღარც მიმქმელისა და ნათლულის სულიერი კავშირია მიჩნეული.

6) ნათესაობა შვილობის, შვილად აყვანის საფუძველზე. ამ შემთხვევაში სახელმწიფო კრძალავს ქორწინებას ნაშვილებთან, ან ნაშვილების დალმავალი ხაზით ნათესავებთან. ნათესაობის ეს სახე შვილობის გაუქმების შემდეგაც ძალმოსილია.

ამგვარი ნათესაობა საგანგებოდ არ განისაზღვრება წმიდა კანონებით, მაგრამ ეკლესიას მართებს ამ შემთხვევაში გაითვალისწინოს სახელმწიფოს დადგენილებებიც.[14] როდესაც ესა თუ ის პირი ბავშვს იშვილებს ეკლესიის კურთხევით, მაშინ ეკლესია მას მიიჩნევს, როგორც ამყვანის ბუნებრივ შვილს და ეს ქორწინების დამაბრკოლებელი ხდება.[15]

7) მიმართება, განპირობებული ზედამხედველობით თუ მეურვეობით. სრულიად მართებულია, რომ რამდენი ხანიც დადგენილია მეურვეობა, იმდენი ხნით იკრძალება ქორწინება ზედამხედველისა (მეურვისა) ან დალმავალი ხაზით მისი ნათესავებისა იმ პირზე, რომელსაც იგი მეურვეობს. საკუთრივ კანონები ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრს არაფერს გვამცნობენ, მაგრამ ეკლესიას მართებს ამ შემთხვევაში მისდევდეს სახელმწიფოს დადგენილებას.[16] დღეს საბერძნეთის სახელმწიფომ გააუქმა ეს დაბრკოლება.

---

[13] პიდალიონი, „Πηδάλιον", აღნიშნავს, რომ სულიერი სიახლოვე (=ნათესაობა) ხორციელ ნათესაობაზე აღმატებულია „არა რაოდენობითა და ხარისხებისა..., არამედ ხარისხობრივობისა და მიმართების მიხედვით' [გვ. 269. იხ. აგრეთვე 752-753 (ბერძნ. ენაზე)].

[14] შდრ. ბალსამონის კომენტარი V-VI მსოფლიო კრების 53-ე კანონისათვის და იქ აღნიშნული იმპერატორ ლეონ ფილოსოფოსის (ბრძენის) 24-ე „ნოველის" (ნეარონის) თაობაზე და შენიშვნა, რომელიც მიემართება სამოქალაქო და საეკლესიო პირთა ერთობლივ სხდომას (Ράλλη - Ποτλῆ, τόμ. Β΄ σελ. 429-431.).

[15] N. Milash - M. Ἀποστολοπούλου, (დამოწმ. ნაშრ.), σελ. 881.

8) მრუშობა. იკრძალება ქორწინება იმ პირებისა, რომლებიც ერთმანეთთან მრუშობის ცოდვით არიან დაცემულნი. დღეს სახელმწიფო კანონმდებლობა უშვებს ამგვარ ქორწინებას. მაგრამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფოს მართებს გაითვალისწინოს საეკლესიო კანონმდებლობის სწავლებაც; იმდენად, რამდენადაც საკითხი მიემართება ქრისტიანთა ქორწინებისათვის ნებართვის გაცემას. აღნიშნულ დაბრკოლებასთან დაკავშირებით ბასილი დიდის 39-ე კანონი შეტყველებს: „მემრუშისა ქმრისა თანამცხოვრებელი ცოლი მემრუშე არს ყოველსა ჟამსა". იხ. აგრეთვე მათე 5,28-32, 19,9 და კანონები: ნეოკესარიის 48-ე, მოციქულთა 61-ე, V-VI მსოფლიო კრების 87-ე, ანკვირიის მე-20, კართაგენის 102-ე (113-ე), ბასილი დიდის მე-9, 21-ე, 37-ე, 48-ე, 58-ე, 77-ე და გრიგოლ ნოსელის მე-4.

9) ადრე არსებული კანონიერი ნიშნობა (დაწინდვა). თუ ორ პირს შორის ნიშნობა (დაწინდვა) წარმოებს ეკლესიის კურთხევით ან რაიმე სახელმწიფო კანონის საფუძველზე,[17] მაშინ იქმნება დაბრკოლება სხვა ქორწინებისა ან ნიშნობისათვის. ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ არ გაუქმდება წინა, უკვე არსებული ნიშნობა დამწინდველის სიკვდილის შედეგად ან კანონიერად. V-VI მსოფლიო კრების 98-ე კანონი აღნიშნავს: „რომელმან სხჳსა დაწინდებული დედაკაცი ჯერეთ სიცოცხლესავე დამწინდებელისა ზიარებად ქორწილსა მიიყვანოს, პატიჟისა მრუშობისასა თანამდე იქმნეს".

10) უკვე არსებული კანონიერი (პირველი ან მეორე) ქორწინება. ახალი ქორწინებისათვის დაბრკოლებას წარმოადგენს წინა ქორწინება, თუნდაც სამოქალაქო წესით იყოს იგი გაფორმებული, ან, თუნდაც საეკლესიო წესით კურთხეული; რაკი იგი შედგა, აღარ გაუქმდება – თუ არა ერთი-ერთი მეუღლის გარდაცვალების ან კანონიერი განქორწინების შედეგად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკვალოდ დაკარგული ერთ-ერთი მეუღლე, თუკი არ არსებობს დამადასტურებელი საბუთი, ან საფუძვლიანი მაჩვენებლებები მისი სიკვდილისა, არ ანიჭებს მეორე მეუღლეს თავისუფლებას ახალი ქორწინებით შეუღლებისათვის.

შესაბამისი შემთხვევებისათვის შეიძლება ხელმძღვანელობა ბასილი დიდის 31-ე და 36-ე კანონებით. ამ კანონებს მოიცავს V-VI მსოფლიო კრების 93-ე კანონიც. რასაკვირველია, აღნიშნულ შემთხვევებში აუცილებელია შესაბამისი სასამართლო დადგენილება და უკვალოდ დაკარგვის დადასტურება; რადგანაც ამას ითვალისწინებს ჩვენი სახელმწიფოს კანონები.

---

[16] შდრ. Ματθαίου τοῦ Βλάσταρη, Σύνταγμα κατά στοιχείον Β΄, Κεφ. Ε΄, კრებულში Ράλλη - Ποτλῆ, τομ. ΣΤ΄, σελ. 139...

[17] შდრ. J. Zhishman – Μ. 'Αποστολοπούλου, Τό δίκαιον τοῦ γάμου, τομ. Β΄, Εν 'Αθήναις 1913, σελ. 28...

11) უკანონოდ გაუქმებული ქორწინება. როგორც ჩანს, აქ უნდა დავაზუსტოთ წინადადება — აქ იგულისხმება არაკანონიკური წესით, აკრიბიის თუ იკონომიის შედეგად გაუქმებული ქორწინება.

ვინაიდან ქრისტიანი არ აუქმებს ჩვენი საეკლესიო კანონების და დადგენილებების საფუძველზე (არც აკრიბიით, არც იკონომიით) თავის ქორწინებას, მას არ შეუძლია შეუღლდეს ახალი ქორწინებით.

12) კანონიერი მესამე ქორწინების არსებობა. ეკლესიისათვის მიუღებელია მეოთხე ქორწინება, ისევე როგორც მესამე. მაგრამ თუკი მესამე ქორწინება კიდევ დაშვებულია „უკიდურესი" შეწყალების საფუძველზე, მეოთხე ქორწინებისათვის ეს იკონომიაც გამორიცხულია.

შეიძლება დაიბადოს კითხვა: რა მოხდება, როცა კაცი მესამე ქორწინების ზემოთ შეუღლდება სამოქალაქო წესით? როგორ იქნება ეს მიღებული ეკლესიის მიერ და რა ბედი ეწევა უკვე გაფორმებულ ქორწინებას? არისტინესი აღნიშნავს: „მრავალქორწილიანობის (პოლიგამიის) მიმდევრებს, პირუტყვთა დამსგავსებულებს, ოთხი წლის შემდეგ იწყნარებდა (ეკლესია). ისინი, ბიწიერებას შედგომილნი და ქორწინების უკანონოდ გამაუქმებელ ნი, ოთხი წლით ისჯებოდნენ ეპიტიმიით, რაკი სიძვას აღემატება ცოდვა..."[18]

13) სხვა (უცხო) აღმსარებლლობა. კანონები კრძალავენ ქრისტიანის ქორწინებას განსხვავებული აღმსარებლობის პირთან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი თავს იდებს მართლმადიდებლობად მოქცევის აღთქმას. IV მსოფლიო კრების მე-14 კანონი განსაზღვრავს: „ვინაადგან რომელთამე სამთავროთა შინა (იგულისხმება=ეპარქიებში) შენდობილ არს წიგნის-მკითხველთა (მედავითნეთა) და მგალობელთა ქორწინებაჲ, განსაზღვრა წმიდამან კრებამან, რაჲთა ასაკის მათგანსა ჴელეწიფებოდის სხჳსა სარწმუნოებისა მეუღლისა მოყვანებაჲ... ნუცა ქორწინებით შეყოფაჲ მწვალებელისა, ანუ ჰურიისა, ანუ წარმართისაჲ, გარნა თუ სადმე აღსთქუმიდეს მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა მომართ მოცვალებასა მართლმადიდებელისადა შეყოფილი იგი პირი." შდრ. ასევე კართაგენის 21-ე (29-ე) და ლაოდიკიის მე-10, 31-ე კანონები.

მაგრამ დღეს ეკლესია იკონომიით იწყნარებს სხვა აღმსარებლობის პირთან ქორწინებას (შერეულ ქორწინებას) იმ პირობით, რომ ბავშვები მართლმადიდებლებად მოინათლებიან.

15) „გლოვის წელიწადი." ზემოთ ჩამოთვლილი დაბრკოლებების გარდა ძველად არსებობდა ყურადსაღები დაბრკოლება, დაკავშირებული გლოვის წელიწადთან; ანუ, იკრძალებოდა ქორწინებით შეუღლება ქალთან, რომლის წინა ქორწინების გაუქმებიდან (დაუმტკიცებლობიდან) ჯერ არ იყო გასული ათი თვე. ამ აკრძალვას ძალა ეკარგებოდა, თუკი ქალი შობდა მანამ, სანამ

[18] Ράλλη - Ποτλῆ, τομ. Δ΄, σελ. 245.

შესრულდებოდა ათი თვე. ეს დაბრკოლება მიღებულ იქნა, უპირველეს ყოვლისა, გარდაცვლილი მეუღლის ხსოვნისადმი პატივსაცემად; მაგრამ ძირითადად – იმის გამო, რომ არ აღრეულიყო ძველი და ახალი ქორწინების „მშობიარობები" და ეჭვქვეშ არ დაეყენებინათ ბავშვის მამობის საკითხი.

16) საეკლესიო სამგლოვიარო პერიოდი. სამგლოვიარო დროსთან დაკავშირებული მეორე დაბრკოლება – საეკლესიო სამგლოვიარო პერიოდი მოიცავს ასევე აღდგომის დღესასწაულის წინა სამზადისს, ანუ დიდმარხვის დიდ ორმოცეულს. შესაბამისად ამისა, ლაოდიკიის 52-ე კანონი განსაზღვრავს: „...არა ჯერ-არს მარხვათა ქორწილისა ანუ შობისა დღესა გადაჭდაჲ." დიდი ორმოცეულის გარდა მარხვის სხვა დღეებშიც არ არის მიღებული ქორწინებით შეუღლება (მაგ. 15/28 აგვისტოს...), მიუხედავად იმისა, რომ ეს მარხვები არაა მსოფლიო კრებათა კანონებით განსაზღვრულნი.

3. ქორწინებით შეუღლება (ქორწინების საიდუმლოს აღსრულება)

ქორწინების საიდუმლოს აღსრულების ადგილი არის პატარძლის სამრევლოს ტაძარი ან სიძისა, – თუკი პატარძალი სხვა აღმსარებლობისაა.

დრო. ადრე ქორწინება უკავშირდებოდა საღმრთო ევქარისტიის საიდუმლოს. მაგრამ დღეს ეს, ჩვეულებრივ, ცალ-ცალკე სრულდება. დაუშვებელია, ქორწინების საიდუმლო აღსრულდეს დიდ მარხვის ორმოცეულის დღეებში (ლაოდიკიის 52-ე კანონი) ან სხვა სამარხვო ან სამგლოვიარო დღეებში. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ საგანგებო, მნიშვნელოვანი მიზეზებით გაპირობებული ვითარებისათვის, წმიდა სინოდის ნებართვით.

დიდ მარხვის ორმოცეულის პერიოდში აღსრულებულ ქორწინებას არ მოჰყვება მისი გაუქმება (დაუმტიცებლობა), მაგრამ მკაცრი სასჯელი განეწესება ამ ქორწინების აღმასრულებელ მღვდელს. ქორწინების საიდუმლოს კურთხევა უნდა ექვემდებარებოდეს მართლმადიდებელი ეკლესიის განაწესს. ქორწინებამდე ხდება მომავალი სიძე-პატარძლის ნიშნობა (დაწინდვა). ქორწინების კურთხევა არის ქორწინების საიდუმლოს შემადგენელი ელემენტი. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ქორწინების საიდუმლო საეკლესიო (შვიდი საიდუმლოს) შინაარსით განეკუთვნება მხოლოდ პირველი ქორწინების კურთხევას. მეორე და მესამე ქორწინების დროს აღარ ხდება ქორწინების კურთხევა. კიდევ უფრო მეტი, სამოქალაქო ქორწინება არ მოიცავს ქორწინების საიდუმლოს. სამოქალაქო ქორწინება არის ადათი, წეს-ჩვეულება. ქორწინების კურთხევა აუცილებლად უნდა აღესრულებოდეს მოწმეთა წინაშე, სულ მცირე, ე.წ. მეჯვარეების წინაშე მაინც. ეკლესია მუდამ კრძალავდა ფარულ ქორწინებას. ქორწინების კურთხევის აუცილებელი დასასრულია ჩაწერა სამოქალაქო მდგომარეობის აღმნუსხველ წიგნში, რომელიც ინახება

ეკლესიაში და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს შესაბამისი ჩანაწერების წიგნშიც.

შენიშვნა: წარმოვადგენთ ქორწინების სხადასხვა სახეთა სანიმუშო დიაგრამას, საქორწინო ურთიერთობათა გათვალისწინებით:

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ:

კანონიერების თვალსაზრისით

ა) ქრისტიანული ქორწინების საიდუმლო (მართლ-მადიდებლური ქორწინება)
ბ) საეკლესიო წესით ქორწინება (მე-2 ქრისტიანული ქორწინებაც)
გ) სამოქალაქო ქორწინება
დ) ოჯახური ქორწინება
ე) თანაცხოვრება (მუდმივი უკანონო სიმბიოზი)
ვ) სიძვა-მრუშობა (დროებითი კავშირები)

ფასეულობათა მიმართების თვალსაზრისით

I) დიაგრამა არ არის ამომწურავი, იგი არ მოიცავს აბსოლუტურ შინაარსს.

II) აქ უბრალოდ წარმოდგენილია ქორწინების საფეხურთა ანუ სახეობათა თვალსაჩინო სურათი.

III) ზემოთ წარმოდგენილ საფეხურთა შორის შეიძლება მოთავსდეს სხვაც (მრავალი ვარიანტი).

IV) თანახმად ზემოთწარმოდგენილისა, სამოქალაქო ქორწინება შეიძლება მიჩნეულ იქნას თანაცხოვრების იმ სახედ, რომელიც მეტად ახლოსაა ქრისტიანული ქორწინების საიდუმლოსთან, იმის გამო, რომ ერთადერთია კავშირი. მაგრამ დალმავალი ხაზით სამოქალაქო ქორწინება აღწევს თანაცხოვრებამდე, ანდა სიძვამდეც კი. ამგვარადვე, ერთი რელიგიური დადგენილებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ თანაცხოვრება აღაზევოს სიძვის მდგომარეობიდან უფრო მაღალ საფეხურზე. იმ თვალსაზრისით, რომ ამ შემთხვევაშიც კავშირია ერთი, რის უმაღლეს მდგომარეობას, ეჭვგარეშეა, მოიცავს მართმადიდებლურ-ქრისტიანული ქორწინება.[20]

4. კანონიერი ქორწინებით შეუღლების შედეგები

1) მუღლეთა სრული და თანაბარუფლებიანი თანაზიარობა ყველაფერში, რაც კი მიემართება ცხოვრებისეულ სულიერ და ხორციელ ურთიერთობას. მათ შორის შემდეგს: ა) მეუღლეობრივი მოვალეობის აღსრულებას (შდრ. I კორ. 7,3-5) და ბ) ნდობას მეუღლეთა შორის მთელი ცხოვრების განმავლობაში (შდრ. კოლ. 3,18-19)

[20] უფრო დაწვრილებით ამ საკითხს მკითხველი შეიძლება გაეცნოს ჩვენი ნაშრომიდან „სამოქალაქო ქორწინების მიმოხილვა და პრობლემები" (ბერძნ. ენაზე. Παν. Μπούμη, Θεώρηση καί Προβλήματα τοῦ πολιτικοῦ γάμου', 'Αθήνα, 1985).

2) ქორწინების საიდუმლოს მეშვეობით ქმარი ხდება ცოლის მეთაური – თავი (ეფეს. 5,23). იგი, როგორც თავი, კისრულობს ოჯახურ მოვალეობებს, მაგრამ იგი აშასთანავე არის თავმდებიც შესაბამისი მოვალეობებისა.

3) მეუღლე, დედაკაცი ხდება განუყოფელი მეგობარი, მარჩენალი, მრჩეველი და შემწე თავისი ქმრისა ყველა შემთხვევაში. იგი, ჩვეულებრივ, იღებს მეუღლის გვარს და ხდება ოჯახის „გული".

4) მშობლები თავს იდებენ საზრუნავს შვილების რჩენისათვის (შდრ. ღანგრის საეკლესიო კრების მე-15 კანონი). ეს ხორციელდება მამის ან, მსგავსად, დედის მეურვეობით.

5) შვილებს მართებთ პატივი სცენ და მოწიწებით მოეპყრან თავიანთ მშობლებს. მოხუცებლობის ჟამს, სნეულებასა და გაჭირვებაში შვილები სიყვარულსა და მზრუნველობას უნდა იჩენდნენ მშობლების მიმართ (შდრ. ღანგრის მე-16 კანონი).

6) კანონით ქორწინება ურყევია. უფლის სწავლების მიხედვით, ცოლსა და ქმარს შორის ერთობა ურყევია მთელი ცხოვრების მანძილზე. შდრ. მათე 19,6: „ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ ჴორც. აწ უკუე რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს." განქორწინება არის აუცილებლობით განპირობებული გამონაკლისი.

ქორწინების გაუქმების (დაუმტკიცებლობის) თანმხლები შედეგები

თანმხლები შედეგები ქორწინებით შეუღლებისა, რომელიც უქმდება (დაუმტკიცებელი ხდება) აუცილებელი დადებითი პირობების არარსებობის, ან მნიშვნელოვანი დაბრკოლებების არსებობის გამო, მომდინარეობს:

1) ქორწინების აღმასრულებელი მღვდელისაგან. იგი ან განიკვეთება, განთავისუფლდება (ტოვებს ადგილს), ან სულ მცირე, დაყენებულ იქნება, შესაბამისად ვითარებისა.

2) განქორწინების თანმხლები შედეგები ვრცელდება ქორწინებით შეუღლების მსურველ პირებზე. ამ შემთხვევაში მათთვის განწესებულია სასჯელი (ეპიტიმია) და ქორწინება კანონიკურად უქმდება.

3) განქორწინების შედეგები ვრცელდება ასევე შვილებზეც, რომლებიც ვითარების შესაბამისად უკანონოდ შეიძლება შეირაცხონ (საბერძნეთში ეს დღეს აღარაა მიღებული).

5. ქორწინების გაუქმება (დაუმტკიცებლობა), განქორწინება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქორწინებას დაბრკოლებების შედეგად მოჰყვება წინა ქორწინების კანონიერი და კანონიკური გაუქმება. ამჯერად განვიხილოთ, თუ რა პირობებს ითვალისწინებს განქორწინებისათვის საღმრთო წერილი და აკრიბით წმიდა კანონები, ან თუნდაც იკონომიით რა მიზეზებია ეკლესიისათვის

მისაღები. რასაკვირველია, რა მიზეზებიც არის იკონომიით გათვალისწინებული, ეკლესიამ შეიძლება გააუქმოს და მიმართოს კანონიკურ აკრიბიას.

ეკლესია კანონიკურად შეუღლებით ქორწინების გაუქმებისათვის მიიჩნევს ერთადერთ აუცილებელ და ბუნებრივ გამოსავალს. ესაა ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილი. ეს გამოსავალი არ ეწინააღმდეგება საღმრთო ნებას, რომელიც განსაზღვრავს; „აწ უკუე რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს" (მათე 19,6). სიკვდილის შემდეგ ქორწინება აღარ გაგრძელდება. შდრ. მათე 22,30 და მოციქული პავლეც ხაზგასმით აღნიშნავს: „რამეთუ ქმრის ცოლი დედაკაცი სიკვდიმდე ქმრისა შეკრულ არს სჯულითა; ხოლო უკუეთუ მოკუდეს ქმარი იგი, განთავისუფლებულ არს იგი სჯულისა მისგან ქმრისა" (რომ. 7,2-3. შდრ. ასევე I კორ. 7,39).

უფლის სიტყვის მიმდევარი ეკლესია სცნობს ქორწინების გაუქმების სიკვდილის გარდა კიდევ ერთადერთ დასაშვებ პირობას — სიძვა-მრუშობას. ერთ-ერთი მეუღლის მრუშობა წარმოადგენს მეორე მეუღლისათვის განქორწინების მიზეზს. უფალი განსაზღვრავს: „ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ ყოველმან რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი, თჳნიერ სიტყჳსა სიძჳისა, მან აძრუშა იგი; და რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშა" (მათე 5,32).

ბასილი დიდის მე-9 კანონი მეტად მნიშვნელოვანია განქორწინების საკითხში გასარკვევად. ამ კანონის მიხედვით დაშვებული არაა, რომ დედაკაცი გასცილდეს თავის ქმარს, თუნდაც იგი სცემდეს მას, ან თუნდაც უძღები იყოს, ან სნეული, ან ურწმუნო. ამავე წმიდა მამის 77-ე კანონი გვაუწყებს: „ხოლო რომელმან განუტეოს სჯულიერად შეყოფილი მისდა დედაკაცი და სხუაჲ მიიყვანოს, სასჯელი მრუშებისაჲ დაესაჯების განჩინებისამებრ უფლისა." იხ. ასევე V-VI მსოფლიო კრების 87-ე და კართაგენის 102-ე (103-ე) კანონები.

განქორწინებასთან დაკავშირებული საქმეთა ვითარება იმდენად მკაცრია, რომ ტიმოთე ალექსანდრიელი მე-15 „კანონებრივი მიგების" კითხვა-პასუხით გვაუწყებს შემდეგს:

„კითხვაჲ: უკეთუ ვისიმე ცოლი ფრიად იგუემებოდის ბოროტისა სულისა მიერ და რკინითა შეკრულ იყოს, ხოლო ქმარი მისი იტყჳს, ვითარმედ ვერ ძალუც მას ეგრეთ დაცვაჲ თავისა თჳსისა, და ინებოს მიყვანებაჲ სხჳსა, ჯერ-არს მისსა, რაჲთა მიიყვანოს სხუაჲ, ანუ არა?

მიგებაჲ: მრუშებაჲ გამოჩნდების საქმესა მაგას შინა და თუ რაჲ მიუგო მაგისთჳს, არა ვჰპოებ."

რასაკვირველია, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ეკლესია საეკლესიო კანონის ძალით უშვებს განქორწინებას. მაგ. „უკეთუ ცოლმან ერისკაცისა ვისმანმე იმრუშოს და ცხადად იმხილოს, ეგევითარსა სამღდელო ყოფად ვერ ძალ-უც" (ნეოკესარიის მე-8 კანონი).

განქორწინების ყოველი სხვადასხვა შემთხვევისათვის ეკლესია ეძიებს გამოსავალს „მოთმინებითა და იკონომიით (შეწყალებით)". ეკლესია არასდროს არ იწყნარებს ამა სოფლის ცოდვილ აზრსა და ჩვევას — იოლად რომ დაარღვიოს წარუმატებელი ქორწინება; გარდა მხოლოდ იმ შემთხვევებისა, როდესაც გასათვალისწინებელია ადამიანური სისუსტე და ის, რასაც შეიძლება ვითარების გაუარესება მოჰყვეს. მაშინ ეკლესია უთმობს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებს და გარკვეული მიზეზების გამო უშვებს ქორწინების გაუქმებას. სწორედ ამგვარად დაწესდა კიდეც განქორწინება.

განქორწინება ეწოდება ქორწინების გაუქმებას (დაუმტკიცებლობას), რომელსაც განაცხადებს სასამართლოს ურყევი დადგენილება.

განქორწინების მიზეზი შეიძლება იყოს:

1) მრუშობა, თანახმად სხვათა მათ შორის, ასევე მათე 5,32: „ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ ყოველმან რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი, თჳნიერ სიტყჳსა სიძჳისა, მან ამრუშა იგი." ერთ-ერთი მეუღლის მრუშება არის მეორესათვის განქორწინების მიზეზი.

2) ორცოლიანობა, ორი ქორწინებით ერთდროულად კავშირი. ანუ, ახალი ქორწინებით შეუღლება მანამ, სანამ არსებული ქორწინება არ გაუქმებულა სიკვდილის, ან განქორწინების, ან დაუმტკიცებლობის შედეგად.

3) მუქარა ერთ-ერთი მეუღლის სიცოცხლის ხელყოფა. ანუ თუ არსებობს საფრთხე, რომ ერთმა მეუღლემ მოკლას მეორე. სხვა შემთხვევები ამისა (მაგ. როდესაც ცოლის პატიოსნება შეიძლება შეილახოს უზნეობისაკენ წაქეზებით, შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას, როგორც ცოლ-ქმრული ურთიერთობების შერყევა).

4) მეუღლის მიტოვება (ბოროტი განზრახვით) — ამის მიზეზია ქორწინებისაგან თავდაღწევა.

5) ძლიერი შერყევა ცოლ-ქმრული ურთიერთობისა, მომდინარე ბოროტის მოქმედებით (მაგ. განზრახ ნაყოფის მოცილება), ან ერთ-ერთი მეუღლის უდარდელი და უდიერი დამოკიდებულება, რაც შეუძლებელს ხდის უბრალო (უდანაშაულო) მეუღლესთან თანაცხოვრებას. უდიერი დამოკიდებულების ფაქტები, რომლებიც ძლიერ არყევენ ქორწინების საფუძვლებს, ყველაზე ხშირია თანამედროვე კანონმდებლობაში და ისინი სასამართლო სასჯელს ექვემდებარებიან.

6) არჩევანი, — თუნდაც ერთ-ერთი მეუღლის მიერ, — სამონაზვნო ცხოვრებისა. მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა.

7) საქორწინო ურთიერთობის (თანაცხოვრების) უუნარობა. ეს არ უნდა იყოს ქორწინებამდე ცნობილი მეორე მეუღლისათვის; უნდა გრძელდებოდეს ქორწინების შემდეგ გარკვეული ხანი და განქორწინების საქმის აღძვრის პერიოდშიც.

8) გონებრივი დეფექტი, რაც დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება

ქორწინებით შეუღლებიდან მოყოლებული და აღწევს იმ ზომას, რომ აღარაა დასაშვები მეუღლეთა სულიერი ურთიერთობა.

9) კეთრი. დღეს ეს სნეულება ექვემდებარება განკურნებას და ამის გამო ჭარბობს აზრი, რომ კეთრი არ უნდა იყოს განქორწინების მიზეზი (დღეს ეს აზრი უკვე კანონმდებლობაშიც დამკვიდრდა).

10) უკვალოდ დაკარგვა. თუკი საგანგებო სასამართლო პროცედურამ დაადასტურა ერთ-ერთი მეუღლე დაკარგულად.

შენიშვნა: ზემოთ წარმოდგენილი შემთხვევები გამოწვლილვით, გვაქვს დაჯგუფებული, რათა სტუდენტებისათვის უფრო გასაგები იყოს საეკლესიო თვალსაზრისი. თუმცა დღეს სამოქალაქო ასპექტით ყველა ეს შემთხვევა მოიცავს (ან შეიძლება მოიცავდეს) ურთიერთს, გარდა ერთ-ერთი უკანასკნელისა — ქორწინების საფუძველთა ძლიერი შერყევისა. ზემოთაღნიშნულის გარდა არსებობს კიდევ „განქორწინება შეთანხმებით", ანუ როდესაც მეუღლეები ერთობლივად გადაწყვეტენ განქორწინებას. ქორწინების საფუძველთა ძლიერი შერყევის პირობა გულისხმობს ე.წ. „ავტომატურ" განქორწინებასაც. როცა „ავტომატურს" ვამბობთ, არ ვგულისხმობთ, რომ განქორწინება მიიღწევა გარკვეული პროცედურის გარეშე. „ავტომატური" არსებითად ითქმის იმის გამო, რომ აღნიშნულ შემთხვევაში მეუღლეს (თუნდაც კანონით იყოს უდანაშაულო, თუნდაც დამნაშავე), შეუძლია მიიღოს განქორწინება მიუხედავად იმისა, ნებავს თუ არა ეს მეორე მეუღლეს. ამისათვის საკმარისია მეუღლეთა დაშორებიდან გავიდეს გარკვეული დრო. ამ წესით, რასაკვირველია, განაჩენი გამოაქვთ დამნაშავის მიმართ. მაგრამ ისჯება, თუ შეიძლება ასე ითქვას, უდანაშაულო, დაჩაგრული. ამგვარად მიიღწევა ე.წ. კანონიერი უსამართლობის, ანუ უსამართლო კანონის მდგომარეობა (რაზედაც შესავალში გვქონდა საუბარი). განქორწინების ორივე ამ შემთხვევას, ოღონდ ძალიან დიდი სხვაობით, იწყნარებს ეკლესიაც. აღიარებულია, რომ ქორწინება გაუქმდა იმის შემდეგ, რაც გაცემული იყო შეუცვლელი სასამართლო დადგენილება და პასუხისმგებელი ეპისკოპოსის მიერ აღჭურვილი ქორწინების სულიერი დაუმტკიცებლობისათვის (გაუქმებისათვის) დადგენილება.

განქორწინების შედეგები

ესენი მიემართებიან:

I. განქორწინებულ, ყოფილ მეუღლეებს: 1) ისინი უბრუნდებიან ქორწინებამდელ კანონიერ მდგომარეობასა და ურთიერთობებს (ოღონდ არა საიდუმლოებით, რაკი შეუღლებულები არიან პირველი ქორწინებით). 2) იკონომიით დაშვებულია ახალი ქორწინება; ცხადია, თუ წინა ქორწინება იყო პირველი ან მეორე.

II. ბავშვებს. განქორწინებით ირღვევა ცოლ-ქმრული და არა მშობელთა ურთიერთობები. ბავშვებს ისეთივე უფლება აქვთ, როგორც გაუქმებული ქორწინებით გაჩენილებს. მათი მდგომარეობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ. პრინციპულად ისინი ეკუთვნიან უდანაშაულო მეუღლეს, თუ არ არსებობს მშობელთა სხვაგვარი შეთანხმება. ბავშვები პირველი ქორწინებიდან და-ძმა არიან მეორე ქორწინების ბავშვებისა.

III. განქორწინების შედეგები მიემართება ასევე, ნათესავებს: მათ შორის გრძელდება ნათესაობა, რომელიც მომდინარეობს პირველი, გაუქმებული ანუ დაუმტკიცებელი ქორწინებიდან.

გაუქმებული (დაუტკიცებელი) ქორწინების აღდგენა

გაუქმებული (დაუმტკიცებელი) ქორწინების აღდგენა არა თუ დაშვებულია ეკლესიის მიერ, არამედ ეს სასურველიცაა. გაუქმებული ქორწინების აღდგენის დროს აღარ მეორდება ქორწინების საიდუმლოს კურთხევა, აღევლინება მხოლოდ შენდობის გარკვეული ლოცვები.

მეორე და მესამე ქორწინება

მეორე, და, მით უმეტეს, მესამე ქორწინების დროს მღვდელს მართებს, დაუწესოს შესაბამისი ეპიტიმია მათ, ვინც ქორწინდება. ეს იმიტომ, რომ მეორე ქორწინებას ეკლესია მიიჩნევს, როგორც აღნიშნულ პიროვნებათა დაცემას. მეორე და მესამე ქორწინების კურთხევისას, რაც დღეს აღსრულდება იკონომიით, აღარ მეორდება გვირგვინებით შემკობა (გვირგვინების დადგმა), ხოლო მღვდელს უფლება არ აქვს დაესწროს საქორწინო სუფრას („სამწარსა“ – ნეოკესარიის მე-7 კანონი). ადრექრისტიანულ ხანაში აკრიბიით არ იყო დაშვებული არავითარი კურთხევა.

6. დამატებითი მონაცემები. ნათესაური კავშირების გამოთვლა

ნათესაური კავშირების გამოსათვლელად საჭიროა გათვალისწინება იმისა, რომ ყოველი დაბადება შეესაბამება ერთ ხარისხს (თაობას).

ჩვენი პაპა (A) და მამა (B) არიან პირველი ხარისხის ნათესავები, რაკი მათ შორის არის ერთი დაბადება (რაც ნაჩვენებია სქემაზეც). ჩვენი მამა (B) და ჩვენ (C) ასევე ვართ პირველი ხარისხის ნათესავები. იმავე, პირველი ხარისხის მიმართებათა გამო. ჩვენს პაპას (A) და ჩვენ (C) მეორე ხარისხის ნათესაობა გვაკავშირებს, რადგან ჩვენს შორის მოქცეულია ორი დაბადება და ა.შ.

იგივე კანონზომიერება მოქმედებს ბებიასთან, დედასთან და ა.შ. დაკავშირებით. ამ სისხლით ნათესაობას ეწოდება „პირდაპირი" (უშუალო) ანუ ნათესაობა ვერტიკალური პირდაპირი ხაზით, რადგან ერთი მეორისაგან მომდინარეობს (ეს ჩანს სქემებზეც). როდესაც ვზომავთ ნათესაურ კავშირებს შთამომავლობიდან წინაპრამდე, მივდევთ აღმავალ ხაზს, ხოლო წინაპარიდან შთამომავლობამდე ნათესაობის გამოთვლის დროს — დაღმავალს. აქ კვლავაც უნდა დავსძინოთ, რომ „უშუალო" („პირდაპირი") ნათესაობით დაკავშირებულებს უფლება არა აქვთ ერთმანეთში ქორწინებისა უსასრულობამდე, რაც არ უნდა დაშორებულნი იყვნენ ისინი ურთიერთს.

მაგრამ პირდაპირი ხაზით ნათესაობის გარდა, არსებობს გვერდითი, ანუ ჰორიზონტული ხაზით სისხლით ნათესაობა, როდესაც ორ პირს ჰყავს ერთი წინაპარი. მაგ. ძმები/დები სისხლით ნათესავია გვერდითი ხაზით, ისევე, როგორც პირველი ბიძაშვილი/დეიდაშვილი — ბიძა და მისი შვილები და ა.შ. გვერდითი ხაზით ნათესავებს უფლება არა აქვთ ქორწინებით შეუღლებისა მეოთხე ხარისხამდე (როგორც დავინახეთ შესაბამის პარაგრაფში).

ვფიქრობთ, ზედმეტიცაა აღნიშვნა იმისა, რომ ნათესაური კავშირების გამოთვლის დროს უნდა გავითვალისწინოთ ასევე შემდეგიც:

1) ცოლი და ქმარი არის ნულოვანი ხარისხი. მათ შორის არ თავსდება არც ერთი დაბადება, ნათქვამია კიდეც — იყვნენ ორივე ერთ-ხორც. შესაბამისად, რაც ძალმოსილია ერისათვის, ძალმოსილია მეორისთვისაც.

2) ყველა და-ძმა ერთმანეთის მიმართ არის მეორე ხარისხი. იმის გამო, რომ ერთი ბავშვი არის პირველი და მეორე, ვთქვათ, მეხუთე, ეს არ ნიშნავს, რომ მათ შორის ხარისხები იზრდება და მათ შორის მეხუთე საფეხურის ნათესაობაა.

3) ამავე მიზეზით, ტყუპებსაც და სამ ტყუპ და-ძმასაც ერთი და იგივე საფეხურის ნათესაობა აკავშირებთ. შეიძლება ისინი დაიბადონ ერთსა და იმავე დღეს, მაგრამ დაბადება თითოეულს თავ-თავისი აქვს.

4) ასევე, მკვიდრი და გერი, ანუ დედინაცვლისაგან შობილი და-ძმა კვლავაც მეორე ხარისხის ნათესავებია, რადგან ნათესაობა მამასა და დედინაცვალს შორის კვლავ ნულოვანი ხარისხისაა.

5) სისხლით ნათესაობა ძალაშია ეგრეთწოდებულ ქორწინების გარეშე, ანუ უკანონო შვილებს შორის. ნათესაობის ხარისხის დასადგენად ვაგებთ ე. წ. genealogiur ხეს. როცა საუბარია სისხლით ნათესაობაზე, ვაგებთ ერთ ხეს, ,,ამოყვრებითი ნათესაობისათვის — ორ ხეს.

I. სისხლით ნათესაობის საფეხურთა გამოთვლა

ვაგებთ სქემას 1, თავში (A) მოთავსებული იქნება საერთო წინაპარი ორი პიროვნებისა, რომელთაც სურთ ქორწინებით შეუღლება. a და b ასოები აღნიშნავენ A-ს შვილებს, რომლებიც ერთმანეთის და-ძმები არიან. c და d,



სქემა 1

შესაბამისად, წარმოადგენენ a და b-ს შვილებს, რომლებიც ერთმანეთის პირველი ბიძაშვილები არიან, დეიდაშვილები. e და f ასოებით აღნიშნულია c და d-ს შვილები, რომლებიც არიან გარე ბიძაშვილები/დეიდაშვილები, და ა.შ.

იმისათვის, რომ გამოვითვალოთ ნათესაური კავშირები, ვთქვათ მკვიდრ ბიძაშვილებს/დეიდაშვილებს (c და d) შორის, შევაერთოთ ეს ასოები წყვეტილი ხაზით და დავითვალოთ წერტილები, რომლებიც მოიცავენ სქემაზე Aacdb ფიგურას. აღნიშნულ შემთხვევაში წერტილი არის 5. ამ რიცხვს ვაკლებთ 1-ს, ანუ რამდენიცაა გამოსაკვლევი გენეალოგიური ხე და მივიღებთ 4-ს, რომელიც გვიჩვენებს ორი მკვიდრი ბიძაშვილის ნათესაობის ხარისხს.

ამავე წესით გამოვითვალით ნათესაურ კავშირს e-სა და f-ს შორის, რომელიცაა მე-5 ხარისხისა.

II. დამოყვრებით ანუ ორი ოჯახის ნათესაობითი კავშირების ხარისხის გამოთვლა

ავაგოთ ორი გენეალოგიური ხე A და B (სქემა 2), რომელიც წარმოაჩენს თითოეული გვარის ნათესავებს. თავდაპირველად სწორი ხაზით დავაკავშიროთ ორი მეუღლე, რომლებიც უკვე ქორწინებით არიან შეუღლებულები. მეორე, წყვეტილი ხაზით გავაერთიანოთ მათი ორი ნათესავი, რომელთაც სურთ ქორწინებით შეუღლება და რომელთაც სურთ, ვაცნობოთ მათი ნათესაობის ხარისხი. მიღებულ სქემაზე გამოვითვალოთ წერტილები, რომლებითაც გამოიხაზა საძიებელი ფიგურა და მიღებულ ჯამს გამოვაკლოთ რიცხვი 2, ანუ, რამდენიცაა გვარი, იგივე გენეალოგიური ხე. ამგვარად დავადგენთ მათი ნათესაობის ხარისხს.



სქემა 2

მაგალითად: გვინდა გამოვითვალოთ ნათესაობის ხარისხი c და b^1 პირებს შორის. თავდაპირველად უწყვეტი სწორი ხაზით ვაერთიანებთ პირებს, რომლებიც უკვე არიან ქორწინებით შეუღლებულები. ანუ, ჩვენს სქემაზე b და a^1. შემდეგ, წყვეტილი ხაზით შევაერთებთ c და b^1, ანუ, b-ს ძმისწულს/დისწულს და a^1-ის დას, რომელთა ნათესაობის ხარისხს ვეძებთ. ამგვარად შემოხაზული ფიგურა $Aacb^1Ba^1b$ მოიცავს 7 წერტილს. მიღებულ ამ რაოდენობას გამოვაკლებთ 2-ს (გვარებისას) და ვპოულობთ დაინტერესებულ პირთა ნათესაობის ხარისხს – მე-5-ს.

ამავე გზით გამოვითვლით ასევე d და b^1-ს შორის ნათესაობის ხარისხსაც: წყვეტილით შემოსაზღვრული ფიგურა Ba^1bdb^1 მოიცავს 5 წერტილს, ამ რიცხვს გამოვაკლებთ 2-ს (გვარებისას) და მივიღებთ ნათესაობის ხარისხს, რომელიცაა მე-3.

თავი მეოთხე

ეკლესიის წევრები, ურთიერთგანსხვავება, ეკლესიის იერარქიული ორგანიზაცია

აქამდე ბევრჯერ მოგვიწია საუბარი სასულიერო პირებზე, რომლებიც აღასრულებენ სხვადასხვა საიდუმლოს მორწმუნეთათვის. მაშასადამე, ეკლესიის წევრთა შორის გარკვეული განსხვავებაა, რასაც ღმრთიური წარმომავლობა განაპირობებს. აკი თავად ქრისტემ „მოსცნა რომელნიმე მოციქულნი, რომელნიმე წინაჲსწარმეტყველნი, რომელნიმე მახარებელნი, რომელნიმე მწყემსნი და მოძღუარნი დასამტკიცებლად წმიდათა, საქმედ მსახურებისა, აღსაშენებელად გუამისა ქრისტესისა“ (ეფეს. 4,11-12). ამრიგად, არსებობს მწყემსთა და სამწყსოს განწესება, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთობით არსებობს მწყემსნი და სამწყსო.

მაგრამ ამგვარი განსხვავება არ არის მიზეზი დაყოფისა თუ ურთიერთდაპირისპირებისა ეკლესიის სხეულად გაერთიანებულ მორწმუნეთათვის. პირიქით, იგი განაპირობებს საეკლესიო სხეულის უკეთეს ერთიანობას და შემწედ ევლინება მის წინსვლას, წარმატებას თითოეული წევრისა. განსაკუთრებით, სახასიათოა პავლე მოციქულის ნათქვამი: „და რამეთუ გუამი იგი არა არს ერთ ასო, არამედ მრავალ. ხოლო უკუეთუმცა იყო ყოველი ერთი ასო, სადამცა იყო გუამი იგი? ხოლო აწ მრავალ არს ასოები და ერთ — გუამი, ხოლო ვერ ხელეწიფების თუალსა, ვითარმცა ჰრქუა ფელსა; „არა მიწმ შენ“, ანუ კუალად თავსა და ფერჴთა, ვითარმედ: „არა მიწმთ თქუენ“ (I კორ. 12,14-22). ხოლო V-VI მსოფლიო კრების 64-ე კანონი ბრძანებს: „...რამეთუ ეკლესიასა შინა თითოსახენი ასონი შექმნა ღმერთმან სიტყჳსაებრ მოციქულისა, რომელსა თარგმნიდეს რაჲ ღმრთისმეტყველი გრიგოლი, განცხადებულად განმიმართებს ჩუენ წესსა მათსა და იტყჳს ამას: „განწესებასა შეუდგეთ, ძმანო, ესე წესიერებაჲ დავიცვათ, რომელნიმე ჩუენგანი იყავნ ყურ, რომელნიმე — ენა, სხუაჲ ფელ და სხუაჲ რამ ასო, რომელი ასწავებდინ, ხოლო რომელიმე ისწავებდინ“ ... და კუალად: „რაჲ ჰყოფთ თავსა შენსა მწყემს ცხოვარი ეგე, რაჲსათჳს ფელ-ყოფ მჴედარმთავრობად მჴედართა შორის განწესებული ეგე?“ ამ განსხვავებას არ უგულვებელყოფს არც მორწმუნეთა თანაბარი უფლებები, თანასწორობა უფლის წინაშე. წმ. იოანე ოქროპირი აღნიშნავს, რომ „ეს განსხვავება სწორედ თანაბარუფლებიანობას განაპირობებს“. ამასთანავე, ეს თანაბარუფლებიანობა არ უგულებელიყოფა არც გალატ. 3,28-ის მიხედვით: „არა არს ჰურიაება, არცა წარმართება; არა არს მონება, არცა აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესუს მიერ“. ყურად ვიღოთ: აქ არაა ნათქვამი „არა

არს", არამედ — „არა არს რჩევა," ანუ, რაც აზრობრივად უთანაბრდება სიტყვას „შეუძლებელ არს", არ შეიძლება. და ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს ქრისტიანთა არც შინაგანი ბუნებისათვის, არც მათი მდგომარეობისათვის განსხვავება, განრჩევა იუდეველსა და წარმართს (= „ელინს"), მონასა და თავისუფალს („აზნაურს") შორის, კაცსა და ქალს შორის, არც გარეგნული გამოვლინებით. არსებითად, არ არსებობს განსხვავება, რაკი ყოველნი ვართ ერთი, იესო ქრისტეს მიერ.

ზემოხსენებულ ზოგად განაცხადს, ანუ იმას, რაც ასახავს ეკლესიის წევრთა არსებით განსხვავებას, განვავრცობთ საკუთრივ თითოეული წესის წარმომადგენელთა უფლებებზე საუბრის დროს.

1. საერო პირები („ერისკაცები"). მათი წვლილი ეკლესიის მართვა-განმგეობაში

საერო პირები ეკლესიის სხეულის შიგნით მსახურების თვალსაზრისით სასულიერო პირებისაგან განსხვავებით იერარქიულად არიან უფრო დაბალი საფეხურის წარმომადგენლები. მაგრამ საერო ელემენტი მართლმადიდებელი ეკლესიისათვის არ არის მეორეხარისხოვანი, დაქვემდებარებული. საერო კაცი არც არის პასიური პოზიციით შემოფარგლული, არამედ — ქმედითად მონაწილეობს საეკლესიო საქმეებში. ეს უფლება მოიპოვა მორწმუნემ ნათლისღებითა და მირონცხებით, რის მეშვეობითაც იგი თანამონაწილეა უფლის სამმაგი ღირსებისა: „მღვდელმთავრის, მეფის და წინასწარ-მეტყველისა". შესაბამის თემას განმარტავს იოანეს გამოცხადების ადგილი, რომელიც გვაუწყებს: „და გუყიდენ ჩუენ ღმრთისა სისხლითა შენითა ყოვლისგანვე თესლისა და ენისა და ერთა და წარმართთა. და ჰყუენ ჩუენ ღმრთისა ჩუენისა მეფედ და მღდელად" (გამოცხ. 5,9-10).

ამ სამმაგი ღირსების შესაბამისად საერო პირები თანამონაწილეობენ:

1) ეკლესიის მსახურებაში, ამ შემთხვევაში, ცხადია, ძირითადი და წამყვანნი არიან სასულიერო პირები. მაგრამ თანადგომით ერი შემწეა სასულიერო პირებისა. ასეთია მაგ. მსახურება მგალობელისა, მთელი ეკლესიის მსახურებაში გალობით ან საკითხავების წაკითხვით თანამონაწილეობა. ასევე ბავშვების მიერ წმიდა საკურთხეველში გაწეული სამსახური. წირვაში (ლიტურგიულ მსახურებაში) თანამონაწილეობად ითვლება ასევე, მორწმუნე ქალთა წვლილი — სეფისკვერების მომზადება.

2) ეკლესიის მიერ დიდაქტიკურ-აღმზრდელობით საქმიანობაში. მოძღვრის ძირითადი მოვალეობა (ქადაგება, კათაკმევლების მომზადება, კატეხეტიკა და ა.შ) ეკლესიაში აკისრია ეპიკოპოსს და მღვდლებს. თუმცა, ეპისკოპოსის ნებართვით შეიძლება იქადაგონ მორწმუნე და საღმრთისმეტყველო

განათლებით გამორჩეულმა საერო პირებმაც, რომელთაც შეუძლიათ კათაკმეველთა მომზადების საქმიანობასაც გაუძღვნენ. ძველად ყოველი ადგილობრივი ეკლესია მოსანათლავი პირების დამოძღვრას აკისრებდა ან ეპისკოპოსს, ან „მასწავლებელს", კატეხეტს. ამასთანავე ერისკაცებს შეუძლიათ დადებითი წვლილი შეიტანონ ეკლესიის სამრევლო საქმიანობაში, ასევე — მქადგებლურ-მისიონერულ მოღვაწეობაშიც.

3) მაგრამ ყველაზე მეტად ერი მონაწილეობს ეკლესიის ადმინისტრაციულ საქმიანობაში. ადმინისტრაციულ საქმიანობად შეიძლება ჩავთვალოთ უპირველეს ყოვლისა ერის თანამონაწილეობა ეკლესიის მეთაურთა არჩევნებში. ეს გამოიხატება იმით, რომ სხვადასხვა სამრევლო თანამდებობების თაობაზე საერო პირები ასახელებენ, წინასწარ ირჩევენ კანდიდატურას სასულიერო პირებისაგან, ასევე — გამოხატავენ მოწონებას ხელთდასხმის დროს — შეძახილებით „ღირსია — ღირსია" („აქსიოს — აქსიოს").[1] ადმინისტრაციულ საეკლესიო საქმიანობაში ერი სამიტროპოლიო თუ სამრევლო ტაძრებში აყალიბებს სასულიერო და საერო პირთა საბჭოებსა თუ კომიტეტებს. ადრექრისტიანულ ხანაში საერო პირები უფრო მეტად ერეოდნენ საეკლესიო საქმიანობაში. შდრ. მოციქულ პავლეს შეგონება ეკლესიის წევრების მიმართ: „ისწავებდედ ჩუენნიცა იგი კეთილისა საქმესა წარდგინებად საჭიროთა მათთვის საჴმართა, რაჲთა არა იყვნენ უნაყოფო" (ტიტ. 3,14)

დასასრულ, საერო ელემენტის თანამონაწილეობა ეკლესიის საქმიანობაში უპირველეს ყოვლისა ვლინდება, ასე ვთქვათ, მისი საკანონმდებლო მოღვაწეობით. ეკლესიის საკანონმდებლო საქმიანობა ძირითადად მიმდინარეობს სინოდური წესით. რაკი საეკლესიო კრებები გამოხატავენ ეკლესიის მთელი სავსების, ანუ, სასულიერო პირებისა და ერის აზრს, საეკლესიო სინდისი მოიწონებს მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებებსაც კი; ანდა იწუნებენ იმ საეკლესიო კრებების დადგენილებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ეკლესიის კათოლიკე აზროვნებას. საეკლესიო სინდისი ძალდაუტანებელი გამოხატულება წარმოადგენს საეკლესიო აზროვნების არსებით კრიტერიუმს. ამას გულისხმობდნენ აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის

---

[1] საბერძნეთის ეკლესიაში მიღებული წეს-ჩვეულებისამებრ მღვდელმთავრის არჩევნების ბოლო ეტაპზე, ტაძარში, ხელთდასხმამდე ერი, ჩვეულებრივ, ადასტურებს: „ღირსია..." (ἄξιος) შეძახილებით ხელთდასხმას. მაგრამ შეიძლება (და ასეთი წესიცაა), — თუ ვინმეს მრევლისაგან აქვს დასაბუთებული მიზეზი იმისა, რომ კანდიდატი არ იმსახურებს ამ წოდებას, იგი ამბობს (უფრო სწორედ, მოვალეა, თქვას) — ἀνάξιος — „ანაქსიოს", ანუ „უღირსია." მაშინ პროცედურა შეჩერდება, გამოიძიება უღირსობის მიზეზი, და თუკი იგი მართლაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ხელთდასხმა აღარ ჩატარდება, თუ არა, — გაგრძელდება (რედ.).

პატრიარქებიც, როცა 1848 წლის 6 მაისის საყოველთაო (მრგვლივმოსავლელ) ეპისტოლეში წერდნენ: „მართლმადიდებლობის დამცველი არის სხეული ეკლესიისა, ანუ ... მისი ერი“.

თუმცა, ადვილად გასაგებია ისიც, რომ საეკლესიო სინდისი, ანუ მისი ცნობიერების, ჩამოყალიბებაში ძირითადი პასუხისმგებლობა აკისრია სამრევლოს ეკლესიას. მას მართებს გაანათლოს ერი ისე, რომ დაიცვას და სრულყოს მართლმადიდებლური აზროვნება და საბოლოოდ გულგრილობის, ან უმეცრების ან ურწმუნოებისაკენ არ წარმართოს იგი. ამისთვის საერო პირებსაც მართებთ ჯეროვანი საეკლესიო ორგანოებისადმი — საეკლესიო კრების, ეპისკოპოსებისა თუ სამღვდელოებისადმი მორჩილება. ისინი ხომ ერთიანად ეთანხმებიან სალმრთო წერილსა და წმიდა გარდამოცემას. შდრ. ებრ. 13,17: „დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა და ერჩდით მათ, რამეთუ იგინი იღუიძებენ სულთა თქუენთათუს, ვითარცა-იგი სიტყუაჲ მისცენ“.

საერო პირთა შორის ასევე არსებობს გარკვეული განსხვავება და იერარქია — სქესისა და ასაკის თვალსაზრისითაც და ასევე მთავარი სათნოების — სიმდაბლის მიხედვით. დამახასიათებელია მოციქულ პავლეს განსაზღვრება: „დედაკაცი მდუმარედ ისწავლებდინ, ყოვლითა დამორჩილებითა. მოძღურებად დედათა არ უბრძანებდ, არცა მთავრობად ქმრისა, არამედ რაჲთა იყოს იგი მყუდროებით“ (I ტიმ. 2,11-12). და პავლე მოციქული დასძენს: „ეგრეთვე ჭაბუკნი დაემორჩილენით მოხუცებულთა; და ყოვლთავე ურთიერთას მორჩილებითა სიმდაბლე შეიმოსეთ, რამეთუ ღმერთი ამპარტავანთა შეჰმუსრავს, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი“ (I პეტ. 5,5).

2. მონაზვნები და ბერები.[2] მათი ადგილი ეკლესიის წიაღში

საერო და სასულიერო წოდებას შორის ეკლესია გამოყოფს ასევე სამონაზვნო განწესებას. მონაზვნები არ არიან არც საერო, არც სასულიერო პირები; მათ გამოარჩევს სასულიერო ხასიათი, მაგრამ არა აქვთ სამღვდელო თავისებურება და ხელმწიფება (ძალაუფლება).

სამონასტრო ცხოვრების იდეალი უცხო არ არის ქრიასტიანული მსახურებისათვის. უფალმა მიუგო მდიდარ ჭაბუკს: „წარვედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა, და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა“ (მათე 19,21); და თავის მოწაფეებს უთხრა: „და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თჳსნი სასუფეველისათჳს ცათაჲსა. რომელ შეძლებელ არს დატევნად, დაიტიენ“ (მათე 19,12). მსგავსადვე, ქრისტიანობის

---

[2] „ბერი“ (ბერძნ. γέρων, რუს. старец) — სათნოებათა მაღალ საზომს მიღწეული მონაზონი. სულიერი მოძღვრის მნიშვნელობით, „ამბა“...— ეკვივალენტი (რედ.).

პირველ წლებში იწვრთებოდა ხორციელი თავშეკავებითა და უპოვარებით. ქრისტიანული სრულყოფის უმაღლესი საფეხურის მისაღწევად ეკლესიის მრავალი წევრი, საბოლოოდ, ქრისტიანული საზოგადოებების წიაღში თანდათან განვითარდა მოღვაწეობისა და ქალწულების ასკეტური იდეალი.

უკვე III საუკუნის დასაწყისშივე ქრისტიანებად სახელდებული პირები უზენაესი სათნოების მისაღწევად ყველაზე მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ, ჩამოშორებოდნენ ერს და განმარტოებულიყვნენ უდაბნოში. ამიტომაც უწოდებდნენ მათ „მეუდაბნოებს", „განდეგილებს" (ანახორეტებს). ჩვეულებრივ, ისინი განმარტოებულად ცხოვრობდნენ (ამიტომაც ეწოდათ მონაზონები).[3] ზოგი მათგანი სახლობდა მღვიმეებში (ესენი იყვნენ „დაყუდებულნი"), სხვები — სვეტებზე და ამიტომაც მათ „მესვეტეები" ეწოდებოდათ. მაგრამ მონაზონები ჩვეულებრივ მკვიდრობდნენ პატარა სახლებში, ე.წ. სენაკებში (კელიებში). ისინი, ვინც განმარტოვდნენ უდაბნოში, თავიდან უფროს, გამოცდილ მოღვაწეებთან ერთად ცხოვრობდნენ, რათა მათ სიახლოვეს მიეღოთ სულიერი გამოცდილება. უხუცეს მონაზონს სხვაგვარად კიდევ უწოდებდნენ „აბბას"[4]. სენაკის ირგვლივ მრავლად შენდებოდა სენაკები მონასტრის წევრების, ახალგაზრდა მონაზონების სამკვიდრებლად.

მეუდაბნოეთა (ანახორეტთა) ცხოვრების მამამთავარი იყო ანტონი დიდი, რომელიც ძირითადად მონაზონების მამამთავრადაც ითვლება, თუმცა იგი მონაზონთაგან პირველი არ ყოფილა.

IV საუკუნიდან სამონასტრო იდეალმა პოვა უდიდესი გამოძახილი ქრისტიანთა სულებში, განუწყვეტლივ იზრდებოდა უდაბნოს მკვიდრი მონაზონების რიცხვი. შესაბამისად, საჭირო გახდა მათი უკეთესი და უფრო სრულყოფილი ორგანიზაცია. ასე ჩამოყალიბდა ზოგადცხოვრებულთა (კინოვიური) მონასტერი. ზოგადცხოვრებულთა ადათის სულისჩამდგმელი და ფუძემდებელი იყო ანტონი დიდის მოწაფე პახუმი. მისი საქმე სრულყო ბასილი დიდმა. მან თავის ცნობილ ნაშრომებში — „სიბრტყივი ცნებები" და „სიტყვა მოკლედ თქმული". — ჩაუყარა საფუძველი სამონასტრო ცხოვრების ზოგად ორგანიზაციას.

ზოგადცხოვრებულთა წესი — ესაა თანაცხოვრება ერთსა და იმავე მონასტერში, საერთო ღმრთისმსახურებით, საერთო კვებით და იმ გარკვეული სამუშაოს შესრულებით, რომელსაც აკისრებს თითოეულ მონაზონს წინამძღვართა საბჭო.

---

[3] ბერძნულად μόνος — („მონოს") ნიშნავს „მარტოს", და მონაზონი „მონაზონ" (μονάζων) ზუსტად შეესაბამება ქართულ „განდეგილს", „მარტოდ მყოფს". (მთარგმნელი).

[4] „ამბა" („ანბა", „აბბა") არამეული ძირის სიტყვაა და ნიშნავს „მამას" (რედ.).

XIV საუკუნიდან ჩნდება კერძოცხოვრებულთა (იდიორითმული) მონასტერებიც, ანუ მონაზონთა ნახევრადავტონომიური ცხოვრების წესი ერთსა და იმავე მონასტერში. იდიორითმულ მონასტერში თითოეულ მონაზონს აქვს თავისი საკუთრება, რომელსაც თავადვე ცალკე განაგებს. მხოლოდ დიდი დღესასწაულების დროს ყველა მონაზონი იზიარებს საერთო საჭმელს (ტაბლას). ცხადია, ყველა ღმრთისმსახურება მთავარ სამონასტრო ეკლესიაში, კათოლიკონში მიმდინარეობს.

IV მსოფლიო საეკლესიო კრების კანონების — მე-4, მე-7, მე-16, მე-17, 23-ე და 24-ს თანახმად, სამონასტრო მოქალაქეობა მთლიანად განთავსებულია საეკლესიო ორგანიზაციაში, თანაც ადგილობრივ ეპისკოპოსთა უშუალო უფლებამოსილების მორჩილებაში. გამონაკლისი დაშვებულია საპატრიარქო მონასტრებისათვის, რომლებიც დამოკიდებულნი არიან პატრიარქზე, თუნდაც ეს მონასტრები სხვადასხვა საეპისკოპოსების ფარგლებში იყვნენ განთავსებულნი. ამ მონასტრებს ეწოდებათ სტავროპიგიული (პირდაპირი თარგმნით „ჯვრით დაფუძნებულნი"), რადგან პატრიარქი თავისი რწმუნებულის მეშვეობით აღმართავს (აფუძნებს) ჯვარს მონასტრის დაარსების დროს.

3. წინაპირობები სამონასტრო წოდების მისაღწევად

მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის არ არსებობს არავითარი დაბრკოლება იმისათვის, რომ შეუდგეს სამონასტრო ცხოვრებას. ყველას შეუძლია შეიმოსოს მონაზვნური ანუ ანგელოზური სახე („სქემა"), განურჩევლად სქესისა, თანამდებობისა, წარმომავლობისა, ან ფიზიკური ნაკლოვანებისა, დეფექტებისა. სამონასტრო ცხოვრების მისაღწევად პოზიტიური წინაპირობებისათვის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

1) მონაზონი უნდა იყოს უქორწინებელი: უცოლო, გაუთხოვარი; ან დაქვრივებული, ან კანონიერად განქორწინებული, ან ჰქონდეს თანხმობა მეუღლისაგან.

2) უნდა აღემატებოდეს 18 წლის ასაკს, თუმცა შდრ. V-VI მსოფლიო კრების მე-40 კან. და კართაგენის 126.

3) მონაზონს გაწონასწორებული უნდა ჰქონდეს სულიერი მდგომარეობა, რათა სრული შეგნებით ეკიდებოდეს თავის საქმეებს.

4) სამონასტრო ცხოვრებისათვის არჩევანი უნდა ხდებოდეს თავისუფლად, ანუ შიშის, ძალდატანებისა თუ მოტყუების გარეშე. ამავე მიზანს ემსახურება სამგზისი აღმსარებლობითი აღთქმა აღკვეცის (ქიროთესიის) დროს.

5) მონასტერს უნდა ჰქონდეს თავისუფალი ადგილი, სადაც მოთავსდება შესაბამისი კანდიდატურა.

6) მორჩილების ვადა სამი წლითაა განსაზღვრული. მაგრამ შემთხვევისდა შესაბამისად იგი შეიძლება შემცირდეს (მაგ. საღმრთისმეტყველო სემინარიის, ან უმაღლესი საღმრთისმეტყველო სასწავლებლის სტუდენტისათვის); ან — გაიზარდოს (მაგ. არასრულწლოვანთათვის). მორჩილება ითვალისწინებს კანდიდატურის გულახდილობის დასტურს და იმ დანაპირებისადმი ერთგულების უნარს, რომლებიც აღთქმად უნდა განაცხადოს მონაზონმა.

7) სამონაზვნო კანდიდატურამ თავს უნდა იდვას აღთქმა, რომელიც იდება აღკვეცის დროს. ამით სამონაზვნე აღთქმით აღიარებს პირობას, რომ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე დაიცავს ქალწულებას, უპოვარებას, მორჩილებას. სამონაზვნეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ წინამძღვრისა და საძმოს ნება უნდა ეთანხმებოდეს მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას.

8) აღკვეცა — ესაა რელიგიური, ან, უფრო სწორედ, საეკლესიო რიტუალი, რომლის დროსაც ეპისკოპოსი (ან წინამძღვარი) ჯვრისსახით მოკვეცავს თავზე ცოტაოდენ თმას სამონასტრო ცხოვრებისათვის წარდგენილ პირს.

9) აღკვეცის რიტუალს აღასრულებს ეპისკოპოსი, რომელიც უფლებამოსილებით განაგებს შესაბამის მონასტერს. თუმცა განმგებელი ეპისკოპოსის ნებართვით იგი შეიძლება აღასრულოს სხვა ეპისკოპოსმა, ასევე — წინამძღვარმა, თუკი იგი არქიმანდრიტია.

10) ადგილი, სადაც წარმოებს სამონასტრო აღკვეცის რიტუალი, კანონიკურად არის მონასტერი, სადაც დამკვიდრდება მონაზონი [ე.წ. სინანულის (მეტანიის) სავანე].

აღკვეცის (დადგინების, ქიროთესიის) შედეგები

1) აღკვეცით მონაზონი ხდება საძმოს რიგითი და კანონიკური წევრი. მას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა მონასტრის განმგებლობაში — როგორც არჩევნების კანდიდატურამ და როგორც ამომრჩეველმაც.

2) მონაზონი ითვლება, როგორც წუთისოფლისათვის მკვდარი და შეწირული ღმერთისათვის. მისთვის იწყება ახალი ცხოვრება. ამას ცხადყოფს აღკვეცით მინიჭებული ახალი სახელიც, ასევე — ახალი სამოსელიც, რასაც ეწოდება მონაზვნური (სამონაზვნო) ანუ ანგელოზური სახე („სქემა").

3) მონაზანი არ იღებს საერო, სამხედრო ან პოლიტიკურ საზრუნავს, არ მონაწილეობს საერო მართვა-განმგებლობაში (შდრ. IV მსოფლ. კრების მე-4 კან. და სხვ.).

4) ხუცესმონაზონი (მღვდელმონაზონი) ვერ აკურთხებს ქორწინებას, ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე.

5) მონაზონი ვერ იქნება მეჯვარე ქორწინებისას და მიმქმელი ნათლისღების დროს. ვერ გასწევს ვერც მეურვეობას, ვერც სხვებისათვის თავდებობას.

6) წინამძღვრის ნებართვის გარეშე მონაზონი არ გამოდის მონასტრიდან. გასვლა დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მონასტერში ყოფნა სარწმუნოებრივი თუ ზნეობრივი მოსაზრებით მონაზვნისათვის მავნე შეიძლება გამოდგეს.

7) მონაზონი არ გადაინაცვლებს თავისი მონასტრიდან სხვა მონასტერში. გადასვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას დანიშნავენ სხვა მონასტრის წინამძღვრის მოვალეობის შემსრულებლად, ან რაიმე საგანგებო შემთხვევაში, ეპისკოპოსის (ან ეპისკოპოსთა) და ორი მონასტრის წინამძღვართა თანხმობის საფუძველზე.

8) მონაზვნად კურთხევა ურყევია და ვრცელდება მონაზვნის მთელი სიცოცხლის მანძილზე. მას აქვს წარუხოცელი ხასიათი. აღნიშნული მიზეზების გამო არ მოიაზრება მონაზვნის განკვეთა.

9) ამავე მიზეზით აღკვეცა არ მეორდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი თავდაპირველად აღკვეცა არაკანონიკურად შესრულდა.

10) მონაზონმა შეიძლება კანონიკურად მიიღოს დიდი სქემა, მცირე სქემაში მისი დადგინებიდან (ქიროთესიიდან) 30 წლის შემდეგ. კანონიერების ასპექტით (ეკლესიური წესით) დიდი, თუ მცირე სქემა არ განსხვავდება. მატუელობს მხოლოდ ღვაწლი — კანონების რაოდენობა.

11) მონაზონს არ შეუძლია ქორწინებით შეუღლება (ეკლსიური წესით).

12) მონაზონი არ განაგებს საკუთრებას. მას აღკვეცამდე შეუძლია განაწესოს თავისი საკუთრება, სადაც და როგორც სურს. ხოლო იმას, რაც მას შეწირული აქვს მონასტრისათვის, უკან ვეღარ წამოიღებს, თუნდაც წავიდეს მონასტრიდან.

13) სამონასტრო ცხოვრების ღირსება. დასასრულ, სამონასტრო ცხოვრების ღირსებისათვის შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: მონაზვნობა იყო და არის მნიშვნელოვანი სულიერი ძალა ეკლესიისათვის და საზოგადოებისათვის. მანასტრები იყო ცენტრები დიდი საეკლესიო მოღვაწეების აღზრდისა და მომზადებისათვის, მწიგნობრობისა და ხელოვნების კულტურის ცენტრები, ჰუმანური დახმარების, სოციალური უზრუნველყოფის, ფილანთროპული ცენტრები. ბევრი ამბობს, რომ ბერმონაზვნობამ მწვერვალს მიაღწია სახელმწიფოთა პოლიტიკური დაკნინების ხანებში, და შესაბამისად, იგი დეგრადაციის ფენომენს წარმოადგენს. სინამდვილეში, პირიქით, ჩვენ შეიძლება დავადასტუროთ, რომ მონაზვნობა იყო თავისი ეპოქის სულიერი კულტურის დაკნინების მიმართ გამოხატული პროტესტი. საკმარისია აღნიშნოს, რომ იგი ახლაც თავისი მოწოდების სიმაღლეზეა, თავისი შესაბამისი პოზიციით, ძალითა და ბრწყინვალებით. მართლმადიდებლურმა მონაზვნობამ უდიდესი წვლილი შეიტანა მწვალებელთა და ეკლესიის მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში. დიდია მისი წვლილი ქრისტიანული

ქადაგების, ევანგელიზაცია-მისიის საქმეშიც და, საერთოდ, ეკლესიისა და ერისთვის, როგორც ერის კულტურული აღმავლობის პერიოდში, ასევე მისი დაკნინების მძიმე ხანაშიც.

4. სასულიერო პირები — მღვდლობის საიდუმლო

სასულიერო პირთა წოდებას სამონასტროზე უფრო მაღალი ადგილი უჭირავს. სასულიერო პირები აგრძელებენ უფლის მოციქულთა საქმეს. ისინი კანონიკური საიდუმლო ხელთდასხმის, ქიროტონიის მეშვეობით ეწევიან უფლის სამგვარ ღირსებას — მღვდელმთავრის, წინასწარმეტყველისა და მეუფისა, და არიან ჩვენი ეკლესიის უმაღლესი მღვდელმთავრის, წინასწარმეტყველისა და მეუფის — იესო ქრისტეს წარმომადგენლები. ამ სამგვარი ღირსების გამოხატულება ხორციელდება მათი სასულიერო პირების სამი სახის საქმიანობით: საღმრთისმსახურო, დიდაქტიკური და გამგებლობით. ამ უკანასკნელს ექვემდებარება კანონმდებლური და სამართლის წარმოების საქმე.

უფლებამოსილება, რასაც თავს იდებენ სასულიერო პირები, არ არის ნივთიერი, მატერიალური, ამსოფლიური, არამედ სულიერი. ასეთია სიყვარულის მსახურება, უფლებამოსილება „აღმშენებლობისათვის" და არა უფლებამოსილება „განკვეთისა და განადგურებისათვის". წარმართთა მოციქული პავლე გვაუწყებს: „და ამისთჳს ამას შორით მივსწერ, რაჲთა მი-რაჲ-ვიდე, არა თუალუხუავად ვიჴუმიო ჴელმწიფებისა მისებრ, რომელ მომცა მე უფალმან აღსაშენებელად და არა დასარღუეველად" (II კორ. 13,10) ამ განსაზღვრებას შეეფარდება ორი შინაარსიც — „უფლებამოსილება" ანუ „ჴელმწიფება" და „მსახურება", რომლებიც თავიდან, საერო პოზიციიდან გამომდინარე, ურთიერთსაპირისპირო შთაბეჭდილებას ტოვებენ.

აღნიშნულ უფლებამოსილებას, ხელმწიფებას სასულიერო პირები იძენენ ხელთდასხმით — ქიროტონიით. ქიროტონია არის საიდუმლო რიტუალი, რომლის დროსაც აღევლინება განსაკუთრებული ლოცვა და სამღვდელო კანდიდატს თავზე ეპისკოპოსის ხელთადასხმით გადმოევლინება საღმრთო მადლი და განაწესებს მას მღვდლობის სამ ხარისხთაგან ერთ-ერთზე.

მღვდლობის სამი ხარისხია: 1) დიაკვნის, 2) მღვდლის და 3) ეპისკოპოსისა. სამივე ამ ხარისხისათვის ხელთდასხმა წარმოებს საკურთხეველში ამბიონის წინაშე საღმრთო ევქარისტიის დროს, რაკი ევქარისტიასთან ურყევადაა დაკავშირებული მღვდლობის საიდუმლო. სახელდობრ: ა) დიაკვნის ქირიტონია მიმდინარეობს საუფლო ლოცვამდე ცოტა ხნით ადრე, ასამაღლებლის — „და იყენენ წყალობანი დიდისა ღმრთისა"-ს შემდეგ. ბ) მღვდლისა — დიდი გამოსვლის შემდეგ, და ბოლოს. გ) ეპისკოპოსისა — სამოციქულოს საკითხავის წინ.

ეპისკოპოსი, როგორც თავი ადგილობრივი ეკლესიისა, არის ასევე ევქარისტიული თუ ლიტურგიული შეკრებათა წინამძღვარი. ძველად

საეკლესიო სამრევლო იყო ეპისკოპოცენტრული, რადგან მისი წინამძღვარი იყო ეპისკოპოსი სამღვდელოებასა და დიაკვნებთან ერთად. მღვდელს შეეძლო, აღესრულებინა საღმრთო ევქარისტია მხოლოდ ეპისკოპოსის ნებართვით, და ვინაიდან თავად ეპისკოპოსს ყოველთვის არ შეეძლო მასზე დასწრება, II საუკუნის მეორე ნახევრიდან ეპისკოპოცენტრული სამრევლო დაიყო მრავალ სამრევლოდ, სადაც საღმრთო ევქარისტიის საიდუმლო აღსრულდება მღვდლების მიერ ეპისკოპოსის ნებით.

საეპისკოპოსო ხარისხი, ანუ წოდება დამკვიდრდა ეკლესიაში „ღმრთიური სამართლით" და იგი წარმოადგენს საეკლესიო ცხოვრების ხილულ ცენტრს. ეპისკოპოსი წმიდა ეგნატე ღმერთშემოსილის ეპისტოლეთა მიხედვით არის „ხატი და სახე მამა ღმერთისა" (იხ. ტრალისელებისადმი, 3,1 და მაგნეზიელებისადმი 6,1) და წარმომადგენელი იესო ქრისტესი, ეკლესიის უმაღლესი მღვდელმთავრისა, წინასწარმეტყველისა და მეუფისა. უეპისკოპოსოდ ვერ იარსებებს ვერც საღმრთო ევქარისტიის საიდუმლო, ვერც ეკლესიის სხვა საიდუმლონი. ამიტომაც სამღვდელოებას მართებს, რასაც აკეთებენ, აკეთონ ეპისკოპოსის ნებართვით და ძირითადად შეთანხმებულნი იყვნენ მასთან „ქნარის სიმების მსგავსად" (წმ. ეგნატე ღმერთშემოსილის ეპისტოლე ეფესელებისადმი 4,1). ეპისკოპოსი ამასთანავე არის სახე და თავმდები ეკლესიის ერთიანობისა. ეკლესიის მამების მიხედვით, ვინც არ მისდევს ღირსეულ ეპისკოპოსს, ვერც ჩაითვლება წევრად ეკლესიისა. წმ. ეგნატე ამბობს: „სადაც კი გამოჩნდება ეკლესია, იქაა სავსების სიმრავლე; სადაც არის ქრისტე იესო, იქაა კათოლიკე ეკლესია" (სმირნელებისადმი 8,2).

ადგილს, რომელზედაც ვრცელდება ეპისკოპოსის უფლებამოსილება (ძალაუფლება, „ჯელმწიფება"), ეწოდება საეპისკოპოსო. ეპისკოპოსი საეპისკოპოსოში დადგინდება არჩევნების, ან ქიროტონიის ან ერთი საეპისკოპოსოდან მეორეზე გადაყვანის წესით. ეპისკოპოსის არჩევნები წარმოებს კანონიკურად ეპარქიის ყველა ეპისკოპოსის მონაწილეობით, ან ერის იმ წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომლებიც მიეკუთვნებიან აღნიშნულ ეპარქიას; ისინი თავს მოიყრიან კანონიკურ და სრულყოფილ სინოდზე, რომელსაც ესწრება დედაქალაქის ეპისკოპოსიც (იხ. I მსოფლიო კრების მე-4, VII მსოფიო კრების მე-3, ანტიოქიის მე-19 და 23-ე და ლაოდიკიის მე-12 კანონები),

გარდა მღვდლობის ზემოთ აღნიშნული სამი ხარისხისა, რაც წარმოადგენს უმაღლეს სამღვდელოებას, არის კიდევ ეკლესიის დაბალი მსახურები (კლირიკოსები) ესენია: იპოდიაკონი (=კერძოდიაკონი), წიგნის მკითხველი, მგალობელი, მნათე და სხვ. ეკლესიის დაბალ მსახურებად დადგინება წარმოებს საკურთხევლის გარეთ, ქიროთესიით (დადგინებით) და არა ქიროტონიით (ხელთდასხმით). ქიროთესია არაა საიდუმლო, როგორიც

არის ქიროტონია, არამედ არის განწმენდის რიტუალი. ადრე არსებობდა დიაკონისების (=დედა(თ)დიაკონი) წოდებაც. დიაკონისა, ასაკოვანი ქალი, უნდა დახმარებოდა მღვდელს დროს, მოემზადებინა ახალგაზრდა ქალები ქორწინებისათვის და მიეტანა პატიმრებისთვის წმიდა ზიარება.

5. წინაპირობები და მონაცემები მღვდლობის კანონიკური და უფლებამოსილი ხარისხის მოსაპოვებლად

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მღვდელმსახურთა უფლებამოსილება და დანიშნულება უმნიშვნელოვანესია ეკლესიის არსებობისა და მისი საქმის აღსრულებისათვის. ამის გამო უფალმა, მოციქულებმა და, ზოგადად, ეკლესიამ განსაზღვრეს გარკვეული წინაპირობები მღვდლებად იმ პიროვნებების კანონიკური და ღირსეული აღზევებისათვის, რომელთაც შეუძლიათ უმწიკვლოდ აღასრულონ თავიანთი მაღალი მისია.

I. წინაპირობები და მონაცემები ხელთდასხმისათვის კანდიდატის მიმართ. ესენია:

1) კანდიდატს მართლმადიდებლური და კანონიკური წესით მიღებული უნდა ჰქონდეს ნათლისღება და მირონცხება.

2) უნდა იყოს მამაკაცი.

3) უნდა მიღწეულ იყოს ასაკს, რომელიც კანონიკით განსაზღვრულია: დიაკონისათვის – 25 წელი, მღვდლისათვის – 30 (V-VI მსოფლიო კრების მე-14 კანონი).

4) იგი მტკიცედ უნდა იცავდეს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას. ამიტომაც გამორიცხულია ახალბედათა ქიროტონია; ანუ, იმათი, ვინც ცოტა ხნის წინათ მოინათლა (I მსოფლიო კრების მე-2 კანონი), გარდა გამონაკლისებისა (როგორიც იყო ამბროსი მედიოლანელი, ნექტარიოს კონსტანტინოპოლელი და სხვ).

5) გასული უნდა იყოს გარკვეული დრო მღვდლობის ერთი ხარისხიდან უშუალოდ უფრო მაღალზე აღზევებამდე (სარდიკიის მე-10 კანონი). მაგრამ ოფიციალურად ეს დრო არაა განსაზღვრული. თუკი ეპისკოპოსად ხელთდასხმა აღესრულება კანონიკის მოთხოვნისაებრ გათვალისწინებული მღვდლობის ხარისხის გამოუვლელად, მაშინ ასეთი ხელთდასხმა იქნება ხელთდასხმა „ერთბაშად“ (ἁθρόων).

6) ხელთდასხმისათვის წარდგენილი კანდიდატი უნდა იყოს კარგი მცოდნე საღმრთო წერილისა და ეკლესიის კანონებისა (განსაკუთრებით საეპისკოპოსო კანდიდატი) (შდრ. VII მსოფლიო კრების მე-2 კანონი). დღეს ეპისკოპოსად ქიროტონიისათვის წინაპირობად მიჩნეულია ათენის,

თესალონიკის ან სხვა მართლმადიდებლური სასწავლებლის საღვთის-მეტყველო ფაკულტეტის დიპლომი. მღვდლად ან დიაკვნად ქირიტონიისათვის დამაკმაყოფილებელია უმაღლესი საღვთისმეტყველო სასწავლებლის ანდა უმაღლესი, საშუალო ან დაწყებითი საეკლესიო სასწავლებლის დიპლომი.

7) სასულიერო წოდებისათვის კანდიდატს არ უნდა ჰქონდეს ფიზიკური ნაკლი, რომლებიც ხელს შეუშლის სამღვდელო მოვალეობათა შესრულებას: მაგალითად, გამორიცხულია ხელთდასხმა ყრუებისა ან ბრმებისა (მოციქულთა 78-ე კანონი). ასევე გამორიცხულია კურთხევა საკუთარი ნებით დასაჭურისებულებისა, როგორც „მკვლელთა თავისა თუსისათა" (მოციქულთა 23-ე კანონი).

8) იგი უნდა იყოს ჯანსაღი სულიერად და გონებრივად — ეშმაკეულები და ბნედიანები, ეპილეფსიით დაავადებულები მღვდლად არ დაიშვება (შდრ. მოციქულთა 79-ე კანონი).

9) სამღვდლო კანდიდატი უნდა იყოს თავისუფალი და არა მონა. ეს საჭიროა, რათა დაუბრკოლებლად აღასრულოს სამღვდელო მოვალეობები. წარმომავლობას, თანამდებობას, სოციალურ წყობას, თუ რასობრივ ნიშანს არა აქვს მნიშვნელობა.

10) კანდიდატს ხელთდასხმაზე უნდა ჰქონდეს „გარეშეთ შორის" კარგი რეპუტაცია და კეთილი სახელი, რათა შეეძლოს, დამოძღვროს ერი და იყოს მისთვის სანიმუშო (შდრ: „წამება კეთილი... გარეშეთაგან" I ტიმ. 3,2-7 და ლაოდიკიის მე-12 კანონი).

II. „გარეშეთ შორის" კეთილი სახელი

„გარეშეთ შორის" კეთილი სახელი ორ სახეობად შეიძლება წარმოვადგინოთ: ა) როგორც პიროვნებისა: 1) რომელმაც არ უარყო ქრისტიანული სარწმუნოება (I მსოფლიო კრების მე-10 და ბასილი დიდის 73-ე კან.). 2) რომელიც არ მისდევს სამარცხვინო პროფესიას, 3) არ არის სხვისი საკუთრების მიმთვისებელი. 4) არ არის სპეკულანტი, თაღლითი და მევახშე. 5) არ არის ფიცის გამტეხი, ანუ ცრუ ფიცის მიმცემი. 6) რომელსაც არ ჩაუდენია მკვლელობა არც განზრახ, არც უნებლიეთ (მოციქულთა 65-ე, ბასილი დიდის 55-ე, გრიგოლ ნოსელის მე-5 კან.) და სხვ. 7) არ ჩაუდენია ხორციელი ცოდვა ნათლისღების შემდეგ (ნეოკესარიის მე-9, მე-10 და მოციქულთა 61-ე კან.), არც საცოლესთან, ქორწინებამდე (ბასილი დიდის 69-ე კან.). 8) არ უცდია ეყიდა მღვდლობა (სიმონია). 9) არ ჩაუდენია დანაშაული, რომელიც ისჯება სახელმწიფოს მიერ თავისუფლების აღკვეთით და წმიდა კანონებით მღვდლობისათვის დამაბრკოლებლად მიიჩნევა.

შენიშვნა: შეცოდებანი, რომლებიც გამორიცხავენ ქიროტონიას, არ განისაზღვრებიან პედანტურად და ამომწურავად, როგორც უცილობლად შემზღუდველი ფაქტორი, არამედ მხოლოდ საჩვენებელი ნიმუში.

ბ) „გარეშეთაგან კეთილი წამება“ (I ტიმ. 3,7) პიროვნებისა, რომელიცაა ოჯახის თავი:

1) ქიროტონიაზე კანდიდატი არ შეუღლებულა უხამსი და უკანონო ქორწინებით, მაგ. მის ქორწინებას არ ჰქონია რაიმე, დამბრკოლებელი, ნათესაური კავშირების გამო (მოციქულთა მე-19, V-VI მსოფლიო კრების 26-ე- კან.).

2) იგი შეუღლებულია მხოლოდ ერთი ქორწინებით – ორჯერ დაქორწინება გამორიცხულია მღვდლობისათვის (მოციქულთა მე-17 კან.). მღვდლობის მაძიებელს ნიშნობაც ქორწინებად ეთვლება. ეპისკოპოსები განსაკუთრებით თავისუფალნი უნდა იყვნენ ქორწინების ყოველგვარი უღლისგან, (V-VI მსოფლიო კრების მე-12 და 45-ე კან.).[5]

3) მღვდელობის კანდიდატის მეუღლეც პირველად უნდა იყოს დაქორწინებული. გამორიცხულია იგი იყოს ქვრივი, ან განქორწინებული, ან კურტიზანი, ან მრუში (მოციქულთა მე-18, ნეოკესარიის მე-8 კანონები).

4) მღვდლის მეუღლე არ უნდა იყოს მონა, ან მსახიობი, რადგან ამგვარი ქალები სახელგატეხილები არიან (მოციქულთა მე-18 კან.),

5) მღვდლის ცოლი, შვილები და ყველა შინაური სხვა ალმსარებლობისანი არ უნდა იყვნენ (კართაგენის 36-ე კან.).

შენიშვნა: თუკი ქიროტონიის შემდეგ მღვდლობაზე ხელთდასხმულს დაუდასტურდება ესა თუ ის ზემოთჩამოთვლილი დაბრკოლებათგანი, მღვდელი არ განიკვეთება, არამედ მას მხოლოდ დააყენებენ. რასაკვირველია, შეიძლება ეპისკოპოსმა ან ავტორიტეტული უფლებებით აღჭურვილმა წმიდა სინოდმა გარკვეულ შემთხვევებში მიმართოს საეკლესიო შეწყალებას (იკონომიას) (შდრ. V-VI მსოფლიო კრების მე-3 კანონი).

III. სხვა ზოგადი წინაპირობები ხელთდასხმის ძალმოსილებისათვის

1) მღვდლობის ერთსა და იმავე ხარისხზე არ შეიძლება მოხდეს ხელმეორედ ხელთდასხმა (მოციქულთა 68-ე კან.).

2) ხელთდასხმა უნდა ხდებოდეს საჯაროდ, ეკლესიაში საღმრთო ლიტურგიის დროს. უპირატესობა ენიჭება კვირა დღეს ან დიდ დღესასწაულს ან ეკლესიის დღესასწაულს. ერის წარმომადგენელთა დიდი სიმრავლის გამო დიდია მისი თანამონაწილეობაც თანხმობის შეძახილებით: „აქსიოს-აქსიოს“.

---

[5] ეს წინაპირობა არ არსებობდა თავიდან, არამედ გაჩნდა მოგვიანებით; იმისთვის, რომ ეპისკოპოსს მინიჭებოდა შესაძლებლობა, უფრო თავისუფლად აღესრულებინა მოვალეობები და არ გავრცელებულიყო ეპისკოპოსებში გარიგებათა შემთხვევები (ნეპოტიზმი და ა.შ.). მაგრამ ეკლესია, თუკი იგი მოისურვებდა, შეეძლო ძალმოსილად ელიარებინა დაქორწინებულ ეპისკოპოსთა ადათიც (იხ. Παν. Μπούμη, Τό ἔγγαμον τῶν ἐπισκόπων Ἀθήναι 1981).

3) ხელთდასხმა არ უნდა ხდებოდეს „დაუდევრად," ანუ არა სამრევლო ეკლესიისა ან მონასტრის მიუთითებლად. ამგვარი ხელთდასხმა ითვლება ანტიკანონიკურად (IV მსოფლიო კრების მე-6 კან.).

4) ხელთდასხმა არ უნდა ხდებოდეს „ზეაღმატებით გადაჭარბებული წესით, ერთბაშად", ანუ არავის არ უნდა მიენიჭოს მღვდლობის სამივე ხარისხი ერთსა და იმავე დღეს.

5) ხელთდამსხმელთ და ხელთდასხმულს შორის არ უნდა მოხდეს შუამავლობა ფულადი თანხების გაცემა-მიღებით (სიმონია), არც საერო განმგებელთა და საერო კომპეტენციის შუამავლობით (მოციქულთა 29-ე და 30-ე და სხვა.).

6) უნდა იყოს დაშვებული სამღვდელო კანდიდატის თავისუფალი თანხმობა, ხოლო მას შემდეგ, რაც ესა თუ ის პირი გახდება დიაკონი, მას მართებს აღზევდეს მღვდლობის უმაღლეს ხარისხებზე და არ უარყოს იგი (კართაგენის 31-ე კანონი), რამდენადაც ეს პროცედურა წარმოებს კანონიკურად.

7) ეპისკოპოსად ხელთდასხმა კანონიკურად უნდა ხდებოდეს მართმადიდებელი ეკლესიის სამი ეპისკოპოსის მიერ, რომლებსაც არ აბრკოლებს რაიმე სასჯელი. დიაკონის და მღვდლის ხელთდასხმა შეუძლია ერთ ეპისკოპოსს. ხელთდასხმა აღესრულება აგრეთვე თანაშემწე ეპისკოპოსებისა და ქორეპისკოპოსების მიერ ოღონდ ყოველთვის მათი მღვდელმთავრის ნებართვით (მოციქულთა 1-ლი და მე-2, IV მსოფლიო კრების მე-4 კან. და სხვ.).

6. სამღვდელო ხარისხში ხელთდასხმის შემდგომი შედეგები

I. ზოგადი შედეგები (მღვდლობის მიმართ)

1) ხელთდასხმულის „დადგინება" მღვდლობის სამთაგან ერთ-ერთ ხარისხზე.

2) მისი დამკვიდრება ადგილზე (სამრევლო, მონასტერი, საეპისკოპოსო და ა.შ.), რისთვისაც იყო არჩეული და ხელთდასხმული.

3) ხელთდასხმა ერთსა და იმავე ხარისხში აღსრულებული კანონიკურად და კანონიკური ეპისკოპოსის მიერ, არ მეორდება. ხოლო თუ განმეორდა — ხელმეორედ ხელთდამსხმელიცა და ხელთდასხმულიც განიკვეთება (მოციქულთა 68-ე კანონი). გამონაკლისი დაიშვება, როცა პირველი ხელთდასხმა წარმოებს მწვალებლის ან სქიზმის (განყოფის) მიმდევრის თაოსნობით. ხელთდასხმად ეს არც მიიჩნევა.

4) კანონიკურად ხელთდასხმული საკუთარი სურვილის გარეშე არ იცვლის ადგილს, რომელზედაცაა არჩეული. გამონაკლისი დასაშვებია, როცა უმაღლესი მიზნით ესა თუ ის პირი მოხმობილია ხელშემწყობად მორწმუნეთა სულიერი ზრდისა და ეკლესიის წინსვლისათვის.

5) არ ხდება ჩამოქვეითება მაღალი წოდებიდან უფრო დაბალზე (IV მსოფლ. კრების 29-ე კანონი).

6) არ შეიძლება მღვდლობიდან გადადგომა. მღვდელობის საიდუმლოება აღიარებულია, როგორც მუდმივი.

II. ხელთდასხმულის ვალდებულებები

21) განუწყვეტელი ლოცვა და ზრუნვა მორწმუნეთა სულთათვის, „ვითარცა-იგი სიტყუაჲ მისცენ" (ებრ. 13,17)

2) ხელთდასხმულმა უბიწოდ უნდა შეინახოს თავი წუთისოფლისა და მისი ცოდვებისაგან (მოციქულთა 25-ე და ბასილი დიდის 70-ე კან.).

3) ხელთდასხმის შემდეგ ქორწინება იკრძალება.

4) თუკი ამა თუ იმ მღვდლისა ან დიაკვნის ცოლმა შესცოდა მრუშებით, სასულიერო პირს მართებს განქორწინება, მაგრამ თუ მაინც სურს მასთან თანაცხოვრება, მართებს ითხოვოს გადადგომა (ნეოკესარიის მე-8 კანონი).

5) ხელთდასხმული მოვალეა, აღზარდოს შვილები „სწავლითა და მოძღურებითა უფლისადთა" (ეფეს. 6,4) და არ დაუშვას მათი ქორწინება სხვა სჯულისა, თუ აღმსარებლობის წარმომადგენლებთან (კართაგენის 21-ე, 29-ე კანონები).

6) ხელთდასხმული არ უნდა სახლობდეს ერთ სახლში ქალებთან, — რასაკვირველია, ამ შემთხვევაში არ იგულისხმება ხელთდასხმულის დედა და დეიდა, ან რომელიმე მორწმუნე, ფრიად ასაკოვანი ქალი (I მსოფლ. კრების მე-3 და V-VI მსოფლიო კრების მე-5 კანონები).

7) ხელთდასხმული უნდა ატარებდეს სამღვდელოთათვის განწესებულ შესამოსელს, რომელიც განისაზღვრება შესაბამისი საეკლესიო განმგებლობის მიერ (V-VI მსოფლიო კრების 27-ე კანონი) და უნდა გამოირჩეოდეს მოწესრიგებული გარეგნობით.

8) ხელთდასხმული არ უნდა მისდევდეს საძრახის და უჯერო საქმიანობას. მაგ. არ ფლობდეს სამიკიტნოს, არ იღებდეს მონაწილეობას საკუთრების გადანაწილების, გადასახადთა აკრეფის, ანდა კომერციული გარიგებების საქმეში.

9) მღვდლად ხელთდასხმული არ უნდა ერეოდეს საერო და სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ პარტიებსა თუ ადმინისტრაციულ გარიგებებში (მოციქულთა მე-6, 81-ე, 83-ე, IV მსოფლიო კრების მე-3 და მე-7 და სხვა კან.), იკონომიით ამა თუ იმ ქრისტიანული ხელისუფლების დამონების ჟამს, ეკლესიას შეუძლია ითავოს წარმომადგენლობა დამპყრობლის წინაშე. ესაა ეთნარქიის (ერის მთავრის) ადათი.

10) ხელთდასხმულმა არ უნდა მიმართოს საერო სასამართლოებს. შდრ. I კორ. 6,1. ხოლო თუ აუცილებელია მაინც წარადგინოს სასამართლოზე საჩივარი, აუცილებლად ნებართვა უნდა მიიღოს თავისი საეკლესიო გამგებლობის წინამძღვრისაგან.

11) ხელთდასხმულმა არ უნდა ხელყოს მორწმუნეები თუ ურწმუნოები, ვითომდა აღმრზდელობითი მიზნით, და, მით უფრო — განრისხებულმა (მოციქულთა 27-ე კანონი).

12) მღვდლად ხელთდასხმული უნდა მოერიდოს ყოველივეს, რაც არ შეეფერება მის ქრისტიანულ, და, მით უფრო, — სამღვდელო ხარისხს, ანუ: პროცენტული სესხის აღებას (I მსოფლ. კრების 17-ე კანონი და სხვ.), ვერცხლისმოყვარეობას; არ უნდა იპაროს (მოციქულთა 25-ე კანონი), არ განიკითხოს განმგებლები (მოციქულთა 74-ე კანონი), ხელთდასხმულს არ მართებს მკრეხელობა, ბილწსიტყვაობა და მლიქვნელობა, ცრუ ფიცი (მოციქულთა 25-ე კანონი), თავმდებად დადგომა (მოციქულთა 20-ე კანონი); ხელთდასხმული არ უნდა ბანაობდეს ქალებთან ერთად (V-VI მსოფლიო კრების 77-ე კანონი), არ იაროს ღამე გარეთ საპატიო მიზეზის გარეშე; არ ესწრებოდეს სანახაობებს იპოდრომებზე, მხედართა ჯირითებს, ხარების ბრძოლას, იმ იმიტაციურ-მიმბაძველობით სანახაობებს (მსახიობობას) და საჯარო როკვებს, რომლებიც შეურაცხყოფენ საზოგადოებრივ ეთიკას და მავნებელია მორწმუნეთა სულთათვის (შდრ. V-VI მსოფლიო კრების 24-ე, 41-ე, 52-ე კან.). ხელთდასხმულმა ხშირად არ უნდა იაროს ყავახანებში, სამიკიტნოებში, ტავერნებში და ა.შ. რადგან მღვდელმსახური შეუვალი უნდა იყოს ყოველივე ამგვარის მიმართ.

III. მღვდელობაზე ხელთდასხმულის უფლებები

1) შეინახოს თავი ტაძრის და მორწმუნეებისაგან მომდინარე შემოწირულობის ხარჯზე (შდრ. I კორ. 9,13-14 და I ტიმ. 5,17-18), რადგანაც არ არსებობს მათი ეკონომიკური პრობლემის სხვაგვარად მოგვარების წესი. დღეს, მაგალითად, საბერძნეთის ეკლესიის სამღვდელოება თავს ირჩენს ხელფასით, რომელიც მისთვის გამოყოფილი აქვს სახელმწიფოს ეკლესიასთან შეთანხმების შესაბამისად.

2) ხელთდასხმული თავისუფლდება გარკვეული მოვალეობისაგან, როგორიცაა სამხედრო სამსახური, ან სასამართლოებში — ფიცი. დაფიცების ნაცვლად იგი „თავისი სამღვდელო თავისებურებიდან გამომდინარე" სანდოობის საფუძველზე აღუთქვამს სასამართლოს, რომ იტყვის სიმართლეს.

3) ხელთდასხმულს ენიჭება საპატიო ადგილი სხვადასხვა დღესასწაულებსა და თავყრილობებზე და, საერთოდ, მას ერგება პატივი საერო პირთაგან.

4) ხელთდასხმული ხელუყოფელია, ანუ, აკრძალულია სამღვდელო პირის შეურაცხყოფა, მისდამი უპატივცემულობა. საერთოდ, სასულიერო პირები განწმედილებად არიან შერაცხულნი.

IV. უფლებები, რომლებიც ხელთდასხმულის მოვალეობებადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული

ასეთია განსაკუთრებული უფლებები-მოვალეობანი, რომლებიც ეკუთვნის მღვდლობის სამთაგან თითოეულ ხარისხს. ამრიგად:

ა) ეპისკოპოსი კისრულობს ყველა მოვალეობასა და უფლებას, რომელიც კი ენიჭება სამღვდელოებას, სამღვდელო ხარისხის სამგვარი უფლება-მოსილების თანახმად. ეს ყოველივე კეთდება ძირითადად მისი საეპისკოპოსოს ფარგლებში, როგორიცაა ეს დადგენილი საღმრთო წერილის, ღმრთიური კანონებისა და საეპისკოპოსოს ქვემდებარე წმიდა სინოდის მიერ. ვერც ერთი სხვა, თავად პატრიარქიც კი ვერ ჩაერევა აღნიშნულ საეპისკოპოსო მიდამოებში, თუ არ დაეკითხა ადგილობრივი ეკლესიის წმიდა სინოდს, რომლის წინაშე ეპისკოპოსი აგებს პასუხს. ამ უფლებებით ეპისკოპოსი სარგებლობს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ამავე უფლების ძალით, ჩამოშორება, ადგილის გამოცვლა თუ გადადგომა შეიძლება განხორციელდეს მისი თანხმობით ან შესაბამისი უფლებებით აღჭურვილი საეკლესიო ორგანოს მიერ სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად.

ბ) მღვდელი იხვეჭს ყველა უფლება-მოვალეობას, რაც მას აკისრია თავისი წოდების შესაბამისად, მისთვის განსაზღვრული სამრევლოს ფარგლებში. სამრევლოს მღვდელი ანგარიშვალდებულია, უპირველეს ყოვლისა, თავისი ეპისკოპოსისა და, აგრეთვე ადგილობრივი წმიდა სინოდის წინაშე. მღვდლის მოვალეობები ძირითადად იგივეა, რაც ეპისკოპოსისა, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ შემდეგი:

1) მღვდელი არ მიმართავს ხელთდასხმას, და, კანონიკურად არც დადგინებას (გარდა იღუმენისა, რომლებსაც შეუძლიათ მონაზვნის აღკვეცა.). 2) მღვდელი თავს არ იდებს კურთხევას წმიდა ტაძრებისა, ენკენიას (განახლებას), და არ აკურთხებს ოდიკს. 3) მღვდელს უფლება არა აქვს აღკვეცოს მონაზვნები, მღვდელი მორწმუნეთა აღსარებასაც არ ისმენს თავისი მღვდელმთავრის საგანგებო ნებართვის გარეშე.

გ) დიაკონი არის თანაშემწე ეპისკოპოსისა და, შესაბამად, იმ მღვდლისა და ეკლესიისა, რომლებსაც ემსახურება (I მსოფლ. კრების მე-18 კანონი).

7. ტიტულები და სეკლესიო წოდებები („ოფიკია“ – „ὀφφίκια" – "officia")

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დიაკონი, მღვდელი და ეპისკოპოსი ესაა მღვდლობის ხარისხები. მაგრამ მღვდლობის ხარისხების გარდა არსებობს გარკვეული საეკლესიო წოდებები ანუ ოფიციები (ან ოფიკიები,) რომლებიც

ეკლესიამ შეიმუშავა საეკლესიო ორგანიზმის დაუბრკოლებელი, უკეთესი და უფრო ნაყოფიერი ფუნქციონირებისათვის.

ეს საეკლესიო წოდებები, ანუ სამსახურები, თუ ოფიცია მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მღვდლობის სამი ხარისხისაგან. მაგ. არქიმანდრიტს აქვს მღვდლის (ანუ ხუცესის) ხარისხი, ეს არ არის საგანგებო სამღვდელო ხარისხი. იგივე ითქმის მიტროპოლიტსა და პატრიარქზე, რაც არის ტიტულები და არა მღვდლობის ხარისხები, ეპისკოპოსზე მაღალი. ამა თუ იმ ოფიციუმის მინიჭებით ესა თუ ის სასულიერო პირი იხვეჭს საყდრის პირველობას („პროტოკათედრიას") იმავე ხარისხის სხვა დანარჩენ სასულიერო პირებს შორის. ანუ, იგი პირველია თანაბართა შორის.

საეკლესიო წოდებები შეიძლება განვასხვავოთ, როგორც უმაღლესი და უმდაბლესი. უმდაბლესი წოდებები ენიჭება მღვდელს, დიაკონს და ეკლესიის მსახურებს. მაღალი წოდებები კი — ეპისკოპოსებს.

I. უმდაბლესი წოდებები
(ანუ მსახურება-მორჩილებანი ანუ კლირიკატუმები)

ეს წოდებები მომდინარეობს ბიზანტიური ხანიდან და იყოფა მარჯვენა და მარცხენა დასის ხუთეულებად (პენტადებად), მაგალითად:

პირველი ხუთეული

მარჯვენა დასი	*მარცხენა დასი*
დიდი იკონომოსი	პროტოპაპასი
დიდი საკელარიოსი	დეუტერეონი (ქვემდებარე, მეორე)
დიდი სკევოფილაქსი (საგანძურთა მცველი)	ეკლესიათა მთავარი (არქონტი)
ხარტოფილაქტი ([საქმანი] ქალალდ. მცველი)	ეგზარხოსი
საკელიონი	კატეხეტი (კათაკმეველ. მოძღვარი)

მეორე ხუთეული

მარჯვენა დასი	*მარცხენა დასი*
პროტონოტარიოსი (პირველი ნოტარიუსი)	პერიოდევტი
კანსტრინსიოსი	ორი ეკდიკოსი
რეფერენდარიოსი	ვუტისტისი
ლოგოთეტი	ორი დომესტიკოსი
იპომნემატოგრაფოსი (მოგონებათა აღმნუსხველი)	ორი ლაოსინტაქტი

მესამე ხუთეული

მარჯვენა დასი	*მარცხენა დასი*
პროტეკდიკოსი	ორი პრიმიკირიოსი
იერომნიმონი	პროტოფსალტი (უფროსი მგალობელი)
იპო/ეპი/გონატოსი	პროქსიმოსი
იპომიმნისკოსი (შემხსენებელი)	დესპოტატოსი
დიდასკალოსი (მასწავლებელი)	თეოროსები

და ა.შ.[6]

დიაკონის ხარისხს საგანგებოდ ენიჭებოდა მთავარდიაკონის (არქიდიაკონის) წოდება ანუ ტიტული. არქიდიაკონი არის ეპისკოპოსის პირადი დიაკონი. ეპისკოპოსთან მისი მჭიდრო კავშირის გამო იგი ბევრ შემთხვევაში იხვეჭდა დიდ ძალაუფლებას სხვა დიაკენებსა და თავად მღვდლებს შორისაც კი.

მღვდლის ხარისხს ენიჭებოდა ძირითადად შემდეგი წოდებები (ტიტულები):

ა) იკონომოსი ესაა უძველესი წოდება. იკონომოსს ეკისრება სამიტროპოლიო საკუთრების, ან სამონასტრო საკუთრების განმგებლობა, მიტროპოლიტის ან იღუმენის წინააღმდეგ აღძრული ცილისწამების თავიდან ასაცილებლად. იკონომოსის დანიშნულება მნიშვნელოვანია და ამიტომ ეპისკოპოსისათვის დაუშვებელია უგულისყურობა თავის საეპისკოპოსოში იკონომოსის დანიშვნის მიმართ (VII მსოფიო კრების მე-11 კანონი).

ბ) საკელარიოსი. ეკისრება სამონასტრო ადმინისტრაციაზე ზედამხედველობა, ასევე ზედამხედველობა სამონასტრო კუთვნილ ნაგებობებსა და წმიდა ნაწილებზე. საკელარიოსი თვალყურს ადევნებს ასევე მონაზონთა ცხოვრებას და მოღვაწეობას და განუწესებს დამნაშავეებს სასჯელს ეპისკოპოსის თანხმობით.

გ) სკევოფილაქსი ეწოდება წმიდა ნაწილთა გამგებელსაც და მათ მცველსაც, რადგან იგი იცავს და განაგებს საკულტო ნივთებს, წიგნებს, შესამოსელს და სხვა საეკლესიო ნივთებს. იგი მეთვალყურეობს ასევე წესრიგს ეკლესიაში დიდ დღესასწაულებზე.

დ) ხარტოფილაქსი. ქარტოფილაქსის სამსახური მრავალფეროვანია. ძირითადად იგი არის ეპისკოპოსის პირადი მდივანი, რომელიც წერილობით ადგენს, ხელს აწერს და ბეჭდით ადასტურებს სხვადასხვა დოკუმენტებსა

---

[6] საეკლესიო წოდებების შესახებ იხ. Ράλλη Ποτλῆ. ტ V გვ. 534 – 538 შდრ. აგრეთვე J. Zhishman, Die Synoden und die Episkopalämter in der morgenländische Kirche, Wien 1867 გვ. 98 ... Darrouzès, Recherches sur les officia de Eglise byzantine, Paris 1970.

და ასლებს. ხარტოფილაქსის შუამდგომლობით ეწყობა ეპისკოპოსთან სამღვდელო კანდიდატთა შეხვედრები. მასვე ეკისრება ქორწინების, განქორწინების და სხვა საკითხების გადაწყვეტა.

ე) საკელიონი, ან საკელიოსი. ევალება ზედამხედველობა დედათა მონასტრებისა და ასევე, საეპისკოპოსოს საპატიმროებისა (საკელების), სადაც დაპატიმრებული არიან ეპისკოპოსის განკარგულებით გაგზავნილი პირები. საკელიოსი ზედამხედველობს და ამოწმებს ასევე საეპისკოპოსოს სამღვდელოების ყოფაქცევას.

ვ) პროტეკდიკოსი. ევალება მდიდართა და ამა ქვეყნის ძლიერთაგან შევიწროებულთა მფარველობა, თანადგომა ყოველთა, ვინც ეკლესიისაგან ითხოვს შველას. მასვე მართებს, დაიცვას ისინი, ვისაც უსამართლოდ ემუქრება თავისუფლების აღკვეთა. დასასრულ, პროტეკდიკოსის მოვალეობაა, დაიცვას მართალ ნი ეკლესიისა სასამართლოს წინაშე.

შენიშვნა: ზემოხსენებულ ექვს მოხელეს, რომლებიც ემსახურებოდნენ კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს, ეწოდა საგანგებო სახელი ექსოკატაკილოსები ანუ ექსოკატაკილოსი მთავარები. ეს გაუგებარი ზედწოდება ახასიათებდა ამ მთავრებს მხოლოდ 1054 – 1453 წლებში. კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ და განსაკუთრებით რენესანსის ხანაში ეს პარადოქსული სახელწოდება იზიდავდა მკვლევართა ყურადღებას. მრავალი სხვადასხვაგვარი განმარტება გამოითქვა მის შესახებ.

ამჟამად ყველაზე დამაჯერებელია შემდეგი განმარტება: პირველად წერილობით გამოჩნდა სიტყვა „ექსოკატაკილოსები". იგი განისაზღვრა ბიზანტიური იმპერიის კარისკაცთა მიერ და წარმოაჩენს ამ მოხელეებს, უფრო, როგორც სამეფო წარმომადგენლებს, მოღვაწეთ სამეფო კარის გარეთ (ბერძნ. „ექსო"), „კატაკილონებში" – ე.ი. დიდი ეკლესიის, ანუ, აია სოფიას ნაგებობებში. შესაბამისად, შემუშავდა და დამკვიდრდა საეკლესიო წრეებში ცნება „ექსოკატაკილოსი". იგი აღნიშნავდა ამ მთავრებს, როგორც საპატრიარქოს მოხელეებს, მოღვაწეთ სამეფო პალატის გარეთ („ექსო"), საპატრიარქო შენობაში, „კელონ"-ში, ანუ საპატრიარქოში. შესაბამისად, „ექსო-კატა-კელოსები"-დან მომდინარეობს ექსოკატაკოლოსები. აღნიშნული ორი განმარტების კომბინირება წარმოაჩენს ყველაზე უკეთეს, ყველაზე ზუსტ განმარტებას ზემოაღნიშნულ მოხელეთა თანამდებობის, სტატუსისა და დანიშნულების წარმოსაჩენად.[7]

აღნიშნული წოდების გარდა დღეს ფრიად გავრცელებულია ტიტული არქიმანდრიტი – „ბაგის," (ბერძნ. „მანდრა") ძინამძღვარი. ეს ტიტული

[7] უფრო დაწვრილებით იხ. Παν, Μπούμη, Οἱ ἐζωκατάκοιλοι ή ἐχωκατάκηλοι ἄρχοντες, (προέλευση καί νομοκανονική σημασία τῆς διφυούς προσωνομίας), Ἀθήναι, 1969.

გავრცელდა ასევე „საერო“ უქორწინებელ სასულიერო პირებზე. არქიმანდრიტების, ანუ დაუქორწინებელი მღვდლებისათვის განკუთვნილია წოდება პროტოსინკელოსები. ეპისკოპოსის შემდეგ პროტოსინკელოსს უმაღლესი ადგილი ეთმობა დანარჩენ მღვდლებს შორის. დღეს მას აკისრია ის მოვალეობები, რაც ბიზანტიურ ხანაში ხარტოფილაქტს.

სამღვდელო ხარისხს განეკუთვნება სამღვდელმთავრო ეპიტროპოსის (=„ზედამხედველის“...) წოდება. იგი ბევრ შემთხვევაში ენაცვლება პროტოსინკელოსს, როცა მას უწოდებენ მთავარ სამღვდელმთავრო ეპიტროპოსს. მათი მოვალეობაა ეპისკოპოსის თანაშემწეობა ზედამხედველობის დროს და შუამავლობენ საეკლესიო გამგეობასთან მორწმუნეთა ურთიერთობის გაიოლების მიზნით. საეპისკოპოსო ზედამხედველები, მეურვეები არიან ეპისკოპოსის წარმომადგენლები შესაბამისი საეპისკოპოსოს ერთ-ერთ სექტორზე.

არსებობს ასევე *პროტოპრესვიტერის* წოდებაც, როგორც საპატიო ტიტული.

II. უმაღლესი საეკლესიო წოდებები.

ეს წოდებები ენიჭება ეპისკოპოსის ხარისხს. ყველა ეპისკოპოსი თანაბარია ერთმანეთის მიმართ. არ არსებობს არსებითი განსხვავება დიდი და სახელოვანი ქალაქის ეპისკოპოსსა და მცირე, უმნიშვნელო ქალაქის ეპისკოპოსს შორის. მაგრამ დროთა განმავლობაში საეკლესიო ორგანიზაციაში გავრცელდა გარკვეული განმასხვავებელი, ტიტულები, როგორიცაა მიტროპოლიტი, ეგზარხოსი, მთავარეპისკოპოსი, პატრიარქი, მსოფლიო პატრიარქი და სხვ. ეს ტიტულები, რომლებიც ენიჭება ეპისკოპოსებს, გამოხატავენ მათ ურთიერთობას განსაზღვრული ადმინისტრაციული ძალაუფლების თვალსაზრისით. ამრიგად, მაშინ, როდესაც პირველი სამი საუკუნის განმავლობაში არ არსებულა არავითარი ადმინისტრაციული განსხვავება, არც რაიმე საგანგებო წოდება – ტიტული, მე-4 საუკუნიდან დაწყებული, საეკლესიო ადმინისტრაციული ორგანიზაცია უკვე ითხოვდა გარკვეულ ადმინისტრაციულ წოდებების – ტიტულების შემოღებას. სამიტროპოლიტო სისტემის გავრცელების შედეგად შემუშავდა ტიტული მიტროპოლიტისა, ანუ ეპარქიის საეპარქიო მიტროპოლიის ეპისკოპოსისა, რომელიცაა ამ ეპარქიის ეპისკოპოსთა კორპუსის ადმინისტრაციული მეთაური. ბიზანტიის იმპერიის თითო ეპარქია მოიცავდა მრავალ საეპისკოპოსოს. ეპარქიის ცენტრი იყო დედაქალაქი, ანუ, როგორც მას მაშინ ეწოდებოდა, მიტროპოლისი. ამავე ქალაქში იყო პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრიც. დედაქალაქის ეპისკოპოსმა, რადგან ახლოს იყო ეპარქიის პოლიტიკურ გამგებელთან, შეიძინა განსაკუთრებული ძალა და ავტორიტეტი სხვა

ეპისკოპოსებს შორის. ასე განვითარდა მიტროპოლიტობის წოდება (სამიტროპოლიტო ინსტიტუტი).

მიტროპოლიტის წოდებაზე მეტყველებენ I მსოფლიო კრების მე-4 და მე-6 კან. IV მსოფლიო კრების მე-19, VII მსოფლიო კრების მე-11, ანტიოქიის მე-9, მე-11, მე-16 და მე-19, სარდიკიის მე-9 და მოციქულთა 34-ე კანონები. აღნიშნული კანონების თანახმად ეპარქიის ეპისკოპოსებს მიტროპოლიტის აზრის დაუკითხავად არ მართებთ ჩაერიონ ზოგადად ეკლესიის საქმეებში, ისინი უნდა მოქმედებდნენ მხოლოდ თავიანთი საეპისკოპოსოს ფარგლებში. მიტროპოლიტსაც არა აქვს უფლება ეპარქიის ეპისკოოსთა აზრის დაუკითხავად განაგოს მათი საეპარქიო საქმეები. მიტროპოლიტი ზრუნავს დაქვრივებული საეპისკოპოსოებისათვის და მას ევალება წმიდათა კანონთა თანახმად დააკომპლექტოს შეავსოს და მართოს თავისი ეპარქიის ყველა საეპისკოპოსო. მას საეპარქიო სინოდისადმი მორჩილებაც მართებს, და არა აქვს უფლება, ეწვიოს თავისი საეპისკოპოსოს ეპარქიებს ადგილობრივ მღვდელმთავართა ნებართვის გარეშე.

რომაელთა ხელისუფლების ადმინისტრაციული გრადაციის შესაბამისად, მიტროპოლიტის შემდგომი საეკლესიო ადმინისტრაციული საფეხური უჭირავს ეგზარხოსს. ისინი იყვნენ იმ ქალაქის ეპისკოპოსები, რომლებიც რომაული სახელმწიფოს ადმინისტრაციულ დედაქალაქად იყო მიჩნეული. ცნობილია, რომ მთელი რომაული ხელისუფლება დაყოფილი იყო ოთხ ეპარქიად და მათ ექვემდებარებოდა 14 დიოკეზი,[§] ამ უკანასკნელთ კი – 116 ეპარქია. საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ საპატრიარქო ეგზარხოსები, რომლებიც ინიშნებოდნენ პატრიარქის წარმომადგენლებად, ანუ ადგილის შემთავსებლებად (ლათ. ვიკარიუსები – vicarii). მათ პატრიარქები ადგენდნენ განსაზღვრული ვადით, განსაზღვრული დანიშნულების აღსასრულებლად.

ეგზარხოსზე უმაღლესი წოდება არის პატრიარქის წოდება. საეკლესიო ადმინისტრაციის საპატრიარქო ორგანიზაცია განვითარდა იმ საყდართა (ტახტთა) ავტორიტეტის მოსახვეჭად, რომლებიც IV საუკუნიდან პატივდებული იყვნენ პირველობის კანონიკური უპირატესობით, ან მათი მოციქულებრიობის, ან პოლიტიკური მნიშვნელოვნების, ან ორივე ხსენებული მიზეზის გამო. ასეთი საპატრიარქო ტახტები, ანუ საყდრები II მსოფლიო კრებამდე იყო: რომი, ალექსანდრია, ანტიოქია და იერუსალიმი (I მსოფლიო კრების მე-6 და მე-7 კანონები). II მსოფლიო კრების მე-3 კანონმა სცნო კონსტანტინეპოლის ტახტის უპირატესობაც, მაგრამ ქალაქის პოლიტიკური

[§] διοίκησις, ბერძნული სიტყვის ლათინურენოვანი ვარიანტი – diocesa, დღეს, საეკლესიო დოკუმენტაციაში ინგლ. diocese წარმოადგენს სამღვდელმთავრო ეპარქიის განმგებელის ტიტულის ყველაზე სწორ ეკვივალენტს (რედაქცია).

მნიშვნელობების გამო, ნაცვლად იმისა, რომ მიეკუთვნებინა მისთვის ისტორიულ წყებაში მეხუთე ადგილი, პატივი დასდო მას პროტოკათედრიის (პირველსაყდრობის) მეორე ადგილით, უშუალოდ რომის ტახტის შემდეგ, „წარჩინებულებაᲘ პატივისაᲘ", „ვინაᲘთგან ახალი ჰრომი არს იგი". ამ ხუთ ტახტს მიენიჭა მიტროპოლიებზე ზეაღმატებული ხელმწიფება ანუ უფლებამოსილება, და მათ შეადგინეს უმაღლესი საეკლესიო ადმინისტრაციული განმგებლობა — საპატრიარქო პენტარქია (ხუთთა მთავრობა). დღეს საპატრიარქო ტიტული ენიჭებათ არა მარტო ზემოაღნიშნულ „ძველ" საპატრიარქო საყდართ, არამედ რუსეთის, სერბეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის ავტოკეფალური ეკლესიების ადმინისტრაციულ მეთაურებს. კვიპროსისა და საბერძნეთის ავტოკეფალურმა ეკლესიებმა შეინარჩუნეს მთავარეპისკოპოსის ტიტული.

ტიტული „პატრიარქი" ისევე, როგორც „მთავარეპისკოპოსი" და „მიტროპოლიტი", არ წარმოადგენს საფუძველს სამღვდელო (იერატიკული) ძალაუფლების განსხვავებისათვის; ამ წოდებებისათვის ნიშანდობლივია საეპისკოპოსო ძალაუფლება, გარდამოვლენილი სულიწმიდით ყველა ეპისკოპოსზე კანონიკური საიდუმლო ხელთდასხმით — ქიროტონიით.

მაგრამ რომის ეპისკოპოსმა მიისაკუთრა მთელი სავსება იერატიკული ძალაუფლებისა, დასავლეთში, და ბევრს ეცადა, ეს ძალაუფლება გაევრცელებინა ეკლესიის სხვა ეპისკოპოსებზეც. განსაკუთრებით იმ დროს, როცა რომაული ხელისუფლების დედაქალაქი გადმოიტანეს ბიზანტიონში და მარტო რომის ეპისკოპოსს შემორჩა მთელი დასავლეთის სამყარო, იგი ეცადა მთელი ძალაუფლება და დიდება ერთპიროვნულად ჩაეგდო ხელთ. და მართლაც, პაპების ამ სწრაფვამ თანდათან მოიცვა მთელი დასავლეთი. განზრახვა, რაც მათ სურდათ აღმოსავლეთის სამყაროზეც განევრცოთ. და ეს გახდა ეკლესიათა განყოფის ერთ-ერთი მიზეზი. პაპისტური ტენდენციის ამგვარმა გრადაციამ მწვერვალს მიაღწია ვატიკანის პირველ საეკლესიო კრებაზე (1870), რომელმაც პაპი გამოაცხადა ეკლესიის წიაღში არსებული ყველანაირი ძალაუფლების წყაროდ, როგორც უცდომელი, თავად მსოფლიო კრებებსაც კი აღმატებული ავტორიტეტი.

თავი მეხუთე

საეკლესიო მმართველობის ფორმა

„ეკლესია — კრებითი სახელი“ (გრიგოლ ღმრთისმეტყველი)

ტერმინი „მმართველობის ფორმა“ მიეკუთვნება უპირველეს ყოვლისა პოლიტიკას ან პოლიტიკურ ცხოვრებას. მმართველობის ფორმას უწოდებენ იმ კანონთა ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ უშუალო სახელმწიფო აღმასრულებელი ორგანოების მუშაობას, ასევე მათი არჩევის წესებს, მათ შორის ურთიერთკავშირებს და მათი ძალმოსილების სფეროებს. სხვაგვარად, მმართველობითი ფორმა — ეს არის უზენაესი პოლიტიკური ნების, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირებისა და განხორციელების სისტემა. შესაბამისად, იმ ხერხით, რომლითაც ყალიბდება და ხორციელდება სახელმწიფოს განზრახვა, შესაძლებელია მისი მმართველობითი ფორმების ურთიერთგანსხვავება, დიფერენციაცია და გამორჩევა. ასე რომ, სახელმწიფოს მმართველობითი ფორმის ტიპი განისაზღვრება ხელისუფლების უზენაესი ორგანოს მიხედვით. ესე იგი, იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ეკლესიის მმართველობითი ფორმა, მისი ტიპი, უნდა განვიხილოთ, თუ რას წარმოადგენს და როგორ იქმნება მისი უზენაესი, ანუ ხელისუფალი ორგანო.

1. საეკლესიო კრებათა (სინოდური) სისტემა

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ საეკლესიო სივრცეში არსებობს მმართველობის ფორმის რთული განსაზღვება, რადგანაც ეკლესიის სხეული არ წესრიგდება მხოლოდ ადამიანური ფაქტორით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ღმერთის მიერ. მაგრამ თუ ვიგულისხმებთ იმ უზენაეს ორგანოს, რომელიც გამოხატავს ეკლესიის ნებას და ხელისუფლებას, ასეთად შეიძლება წარმოვიდგინოთ საეკლესიო მმართველობის ფორმა, როგორც სინოდური, რადგანაც საეკლესიო კრება — სინოდი არის გამომხატველი უზენაესი ნებისა და ხელისუფლებისა.

ზოგადად მიღებულია, რომ საეკლესიო მმართველობის ფორმა არის დემოკრატიული. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იერარქიები, რომლებიც შეადგენენ სინოდს და ამგვარად გამოხატავენ ეკლესიის ნებას, ამა სოფლიდან, ერიდან იძენენ ხელისუფლებას, — ვინაიდან მათი ხელისუფლება არ გამომდინარეობს რომელიმე სახელმწიფო თუ საერო მმართველობიდან, — არამედ თვით ღმერთისგან, რომლიც არის თავი ეკლესიისა. მართმადიდებელი ეკლესიის დემოკრატიული მმართველობის ფორმაზე, ჩვეულებისამებრ, ლაპარაკობენ იმის გამო, რომ იგი დასავლეთის ეკლესიის ერთმმართველური ფორმისაგან განასხვაონ.

წყარო, საიდანაც დასაბამს იღებს საეკლესიო ხელისუფლება და საეკლესიო წყობა, არის ნება ღმრთისა, ეკლესიის დამაარსებლისა. ეს ნება გამოიხატება საეკლესიო იერარქიის მეშვეობით, რომელიც იკრიბება სულიწმიდის დამოძღვრებისა და მისი მფარველობის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საეკლესიო მმართველობის ფორმა დადგენილია ღმერთის მიერ და რომ იგი იერარქიულია.

და მართლაც, როგორც წინა თავების მიხედვით დადასტურდა, მთელი ისტორია ჩვენი ეკლესიისა ნათლად ცხადყოფს, რომ მისი სხეულის იერარქიული სტრუქტურა უზენაესია, ზეგარდამო დადგენილი. ხოლო სამღვდელოების ერიდან არჩევა არ ნიშნავს იმას, რომ ამომრჩეველი ერი რაიმე ხელისუფლებას ანიჭებს ხელთდასხმულ პირს. მსგავსად იმისა, როგორც ამას პროტესტანტების უმეტესობა მიიჩნევს. მღვდლები ხდებიან უფლის წარმომადგენლები ქიროტონიის კანონიკური საიდუმლოს ძალით, ტვირთულობენ და ახორციელებენ პირველი მღვდელმთავრის, ქრისტეს, სამგზის საქმეს,[1] და რადგანაც თავი ეკლესიისა არის ქრისტე. ცხადია, რომ ყოველივე, რაც კი აღსრულდება ეკლესიის წიაღში, ქრისტესგან წარმოიქმნება. განსაკუთრებით, ძველი ეკლესიის სინოდურ სისტემაში მოქმედებდა მმართველობის ფორმა, რომელიც შეესაბამებოდა ეკლესიის არსსა და ბუნებას, და უპირველეს ყოვლისა, ეკლესიას, როგორც სულიერ სხეულს. მმართველობის ეს სინოდური ფორმა, ათანხმებს ეკლესიის ადამიანურ და ღმრთიურ ფაქტორებს, აყენებს პირველს მეორის მორჩილებაში. ამგვარად, არა ერთი ადამიანის ნება, ანუ ერთმმართველისა, არა ერის ნება შეადგენს საეკლესიო ხელისუფლების წყაროს, არამედ ნება იერარქიის კორპუსისა, სხეულისა, რომელიც სულიწმიდის მეშვეობით გამოხატავს საკუთარი და მთელი ეკლესიის ღმრთაებრივი მეთაურის ნებას. რაკი ის არის თავი მთელი სამღვდელოებისა და მთელი ერისა.

ამგვარად, სინოდური სისტემა არის ეკლესიის მსახურება, მოქმედება, რომლის მეშვეობითაც გამოიკვეთება მისი სულიერი ხასიათი; რომლის მეშვეობითაც მტკიცეა სასოება მორწმუნეთა, რომ ჭეშმარიტი მმართველი ეკლესიისა არის ქრისტე. იერარქია არის იარაღი, ორგანო, რომლითაც მიიღწევა ეკლესიის პასუხისმგებლური მმართველობა. უდაოა, სინოდი ნერგავს და ახორციელებს ქრისტეს ნებას სულიწმიდის წინამძღოლობით და შთაგონებით, როგორც უფლებამოსილი უფლის მიერ ჭეშმარიტად და ეჭვმიუტანელად. ასე რომ, ეკლესია ყალიბდება არა მორწმუნეთა, არამედ ძირითადად და უპირველეს ყოვლისა უფლის ნებით. იერარქია კი მოწოდებულია ამ ნების განმარტებისა და განხორციელებისათვის.

---

[1] შდრ. Κων. Μουρατίδου, Μαθήματα Καν. Δικαίου, ἐν Ἀθήναις 1964, σελ. 154.

ეკლესიის სინოდურ-იერარქიული სისტემის ეს ასპექტი განმტკიცებულია სულთმოფენობის მოვლენით. როდესაც სულიწმიდა გარდამოევლინება „კრებულსა ყოველსა ერთაბამად," თავმოყრილ უფლის მოწაფეებს. სულიწმიდა თავად ადასტურებს სამოციქულო კრების დადგენილებას, გადაწყვეტილებას, „რამეთუ ჯერ-უჩნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა" (საქმე მოც. 15,24-29).

ჭეშმარიტად საფუძველი და საწყისი სინოდური სისტემისა არის ერთიანობა თანასწორი წევრებისა, რომლებიც აყალიბებენ სინოდს. ე. ი სინოდი ძალმოსილია, მიიღოს ესა თუ ის გადაწყვეტილება ერთსულოვნების ან უმრავლესობის პრინციპით, რის შემდეგაც აუცილებელია, თანხმობით მოწონებულ იქნას ეს დადგენილებები ეკლესიის სავსების, ანუ ეკლესიის სინდისის მიერ, ესე იგი, მხოლოდ და მხოლოდ სულიწმიდის წინამძღოლობით და ქრისტეს ნებასთან თანხმობით. მღვდლისა და ერის ერთობლივი მოქმედება გვაერთებს ჩვენ მართლმადიდებელი ეკლესიის ჭეშმარიტ სულისკვეთებასა და მის მართვის ფორმასთან.

2. საეკლესიო კრებათა სახეობები

ეკლესიის სინოდური მართვის ფორმასთან შეთანხმებითაა ჩამოყალიბებული საეკლესიო სხეულის მართვა-გამგეობის მთელი სისტემა. სინოდი ხელმძღვანელობს როგორც ერთ ადგილობრივ ეკლესიას, ასევე ეკლესიასაც საერთოდ.

შევამჩნევდით, რომ საეკლესიო კრებების კატეგორიები ყალიბდება თანდათანობით შემდეგი წესით: ა) იერარქიის მონაწილეობის თვალსაზრისით თუ შევხედავთ საკითხს, არსებობს როგორც საყოველთაო, ასევე ცალკეული კრებები. საყოველთაო კრებების სახეობას მიაკუთვნებენ მსოფლიო კრებებს ეკლესიათა გაყოფამდე, ასევე საერთო-მართლმადიდებლურ და საერთო-კათოლიკურ კრებებს გაყოფის შემდეგ. დანარჩენს მიეკუთვნებიან ყველა სხვა. ასეა, მაგალითად ადგილობრივი, სამიტროპოლიო და ა. შ. ბ) შეკრებისა და დროის ხანგრძლივობის თვალსაზრისით გამოყოფენ გრძელვადიან და პერიოდულ კრებებს. გრძელვადიანი კრებები იკრიბება სისტემატურად მთელი წლის განმავლობაში, პერიოდული კი — დროის გარკვეულ მონაკვეთში. პერიოდულ კრებებს შორის გამოყოფენ ასევე რიგით კრებებს და რიგგარეშე, საგანგებო კრებებს.

3. მსოფლიო საეკლესიო კრებები

მსოფლიო საეკლესიო კრება ეწოდება რიგგარეშე კრებას ეკლესიის მოქმედი ეპარქიების განმგებელი ყველა ეპისკოპოსისა ერთბამად, რათა ერთად განიხილონ ეკლესიის საერთო საკითხები და დადგენილება გამოიტანონ მათ შესახებ. მსოფლიო კრება არის ეკლესიის უზენაესი საკანონმდებლო, მართლმსაჯულებრივი და სამართლებრივი ორგანო.

კრებას შეიძლება ეწოდოს „მსოფლიო“ მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მართებულად განმარტავს ეკლესიის სწავლებას, არ ეწინააღმდეგება მოზეიმე ეკლესიის სავსების რწმენას, ასევე – მებრძოლი ეკლესიის სავსებას, არამედ ეთანხმება და ყველანაირად გამოხატავს მათ.

ანალიზი: როგორც ცნობილია, ეკლესია მოიცავს ჭეშმარიტებას. ეს ეჭვგარეშეა. ამას გვასწავლის მოციქული პავლე, როდესაც იგი ეკლესიას უწოდებს „ღმრთის მოღუაწებას“ (I ტიმ. 3,15). რადგანაც ეკლესია არის სხეული ქრისტესი (ეფეს. 5,23, კოლ. 1,18) და ეკლესიის ამ სხეულს აქვს თავი – თვით ქრისტე, ხოლო ქრისტე არის ღმერთი და უცდომელი, ცხადია – ეკლესია, *როგორც მთლიანობა*, ერთიანია უცდომელობასთან, თავადაც უცდომელია.

პავლე მოციქულის ეპისტოლის ორი მუხლი გამოხატავს ამ ჭეშმარიტებას. ერთია: „არამედ ჭეშმარიტ ვიყვნეთ სიყუარულსა ზედა და აღვაორძინებდეთ მისა მიმართ ყოველსა, რომელ არს თავ მისა ქრისტე; *რომლისაგან ყოველი* გუამი შენაწევრებულ და შემტკიცებულ არს ყოვლითა შეახლებითა უხუებისადთა შეწევნისაებრ საზომისა თითოეულისა ასოჲსა; სიორძილსა მას გუამისასა ჰყოფდით აღსაშენებელად თავისა თქუენისა სიყუარულით“ (ეფეს. 4,15-16). მეორეგან მოციქული განმარტავს: „*ყოველი* გუამი, სხეულთაგან და ნაწევართა შექმნული და შეერთებული, ორძის სიორძილსა მას ღმრთისასა“ (კოლ. 2,19).

ამგვარად დავასკვნით, რომ დღეს დედამიწაზე, მთელ მსოფლიოში, უცდომელი კანონმდებელი, დამრიგებელი და მსაჯული არის ეკლესია, ღმერთ-კაცებრი სხეული ერთიანი, წმიდა, კათოლიკე (საყოველთაო) და სამოციქულო ეკლესიისა. ამრიგად, როდესაც ღაღადებს ეკლესია, როგორც ერთიანი, იგი ღაღადებს უცდომელად.

აქ უდაოდ წამოიჭრება შემდეგი ყურადსაღები კითხვა: „როდის ღაღადებს ეკლესია, როგორც ერთიანი, შერთული?“ პასუხი ნათელია, სადა და მარტივი: „უცთომელია ეკლესია მაშინ, როდესაც იგი მსოფლიო კრების მიერ ღაღადებს“. ეს პასუხი მართალია, გარკვეულია და სადა, მაგრამ საკითხის გააზრება და, უფრო მეტიც, – უცდომელობის მიღწევა არც თუ ისე იოლია. არადა, როგორ გამოხატავს მსოფლიო კრება (ე. ი. ესა თუ ის კრება აღიარებული, როგორც მსოფლიო) ეკლესიის ერთობას ქრისტესთან, და რატომ არის იგი მთელი ეკლესიის წარმომადგენელი – ეს ძირითადი თემა შემდეგნაირად უნდა განივრცოს:

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ მსოფლიო კრებას შეადგენს ეკლესიის ყველა მოქმედი მღვდელმთავარი, ვინც განაგებს მოქმედი საეპისკოპოსოს სავსებას. ისინი თავისი ეპარქიების ცოცხალი (მომქმედი) ქრისტიანების წარმომადგენლები არიან და ამგვარად, ყველანი ერთად წარმოადგენენ ამქვეყნიური, ხილული, მებრძოლი ეკლესიის ერთიანობას.

მაგრამ მღვდელმთავრებს მსოფლიო კრების შედგენისა და მთელი ეკლესიის წარმომადგენლობის განსახორციელებლად ევალებათ, წარმოადგინონ არა მარტო ცოცხალი ქრისტიანები, არამედ გარდაცვლილნიც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ ევალებათ, იყვნენ ზეციური, მოზეიმე ეკლესიის წარმომადგენლებიც. ეს უდაოდ ხორციელდება მაშინ, როდესაც ეპისკოპოსები მიცვალებულთა აზრს განასახიერებენ. უფრო მეტიც, როდესაც ეპისკოოსები ეთანხმებიან მათ აზრს, როდესაც ეთანხმებიან მოზეიმე, უხილავი ეკლესიის აზრს, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მოზეიმე ეკლესიის აზრი ხელახლა გამოიხატება მსოფლიო კრების მიერ.

ამრიგად, მსოფლიო კრების ესა თუ ის აზრი, რაკი წარმოადგენს მთელი ეკლესიის აზრს, საჭიროა, იგი ეთანხმებოდეს წინამორბედ მსოფლიო კრებათა გადაწყვეტილებებს. მას არ შეუძლია განასახიერებდეს უთანხმოებას, რადგან იგი ისევ და ისევ ისწრაფვის, სურს წარმოადგინოს მთელი ეკლესია — მოზეიმეცა და მებრძოლიც.

აქ შეგვიძლია, კვლავაც ხაზგასმით აღვნიშნოთ: ყოველი შემდგომი მსოფლიო კრება ვალდებულია, თანახმა იყოს წინა კრებასთან: მოზეიმე ეკლესია წასულია ამქვეყნიური ცხოვრებიდან და რაც კი ნათქვამი აქვს, თქვა და არ შეუცვლია აზრი. მებრძოლი ეკლესია, ე. ი. ყოველი ახალი მსოფლიო კრება, ვალდებულია შეეთავსოს წინა მსოფლიო კრებებს და თანხმობა განუცხადოს მათ.

ამასთან ერთად შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომ კრება, იმისათვის, რომ იყოს მსოფლიო, და აქედან გმომდინარე, უცდომელი, უნდა აღასრულოს ორი პირობა: ა) უნდა იყოს კათოლიკე სიღრმისეული (ანუ შვეული, ანუ „დროისმიერი") შინაარსით. ბ) უნდა იყოს კათოლიკე სიბრტყისეული (ანუ თარაზული ანუ „ადგილობრივი") შინაარსით. პირველი ნიშნავს, რომ მსოფლიო კრება უნდა იყოს წარმომადგენელი ყველა იმ ქრისტიანით, რომელნიც ცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ წინა საუკუნეებში ეკლესიის წიაღში, წარმოადგინოს ისინი, როგორ თვითონ ისინი წარმოადგენდნენ წინა მსოფლიო კრებათა გადაწყვეტილებებს.

მეორე ნიშნავს, რომ მსოფლიო კრებამ თავისი სახელით უნდა განასახიეროს, წარმოადგინოს დედამიწის ზურგზე მცხოვრები თანამედროვე სავსება ეკლესიისა. ამიტომაც ვამბობთ: „ზედაპირიდან მომდინარე — თარაზულად — ადგილობრივად".

მაგრამ ეს არაა საკმარისი. მსოფლიო კრება, როგორც ასეთი, უნდა აღიარებულ იქნას მებრძოლი ეკლესიის სავსების მხრიდანაც. მისი გადაწყვეტილებანი მიიღება როგორც უცდომელი, (თუნდაც უსიტყვოდ), დედამიწაზე არსებული ყველა მებრძოლი ეკლესიის მიერ[2]. და, რა თქმა უნდა, შედეგი ამგვარი თანხმობისა იქნება ყველაზე საიმედო და უეჭველი.

ცხადია, იმის შემდეგ, რაც მსოფლიო კრება შემუშავებულ გადაწყვეტილებებს დაამტკიცებს, ეკლესიის თვითშეგნება, ეკლესიის სავსება, მას შემდეგ, რაც მის მიერ საყოველთაო მოწონებასა და აღიარებას დაიმსახურებს. ასე რომ მსოფლიო კრება გვევლინება, როგორც შეუცდომელი კანონმდებელი და ჭეშმარიტი მსაჯული.

4. მსოფლიო კრების მოწვევისა და აღიარების პირობები

აქვე ზოგადად შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ მსოფლიო კრების მოწვევისათვის არ არსებობს კანონები და წესები. მსოფლიო კრება წარმოადგენს ღმერთკაცებრივ ორგანიზმს, ეკლესიას, იგი კანონმდებელია, იგი ადგენს კანონებს და, ნაწილობრივ, მოქმედებაში მოჰყავს ეკლესიის წევრები (ადგილობრივი ეკლესიები, სამღვდელოება, მორწმუნენი). თავად ეკლესია არ ექვემდებარება კანონს, რადგანაც იგი არის წმიდა, უცოდველი და უცდომელი („რამეთუ მართალსა სჯულ არა უც" I ტიმ. 1,9). მას არ ძალუძს შემოსაზღვროს თავისი თავი, იგი თავისუფალია და ყოველგვარ კანონს აღემატება.

შენიშვნა: ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ ყოველი ადგილობრივი კრება (ეკლესია) და ყოველი ეპისკოპოსი აღემატება ეკლესიის კანონებს. გაუგებარია, რის საფუძველზე აღიარებენ ისინი ამას.

საკუთრივ მეცნიერულ-თეორიული, ეპისტემოლოგიური მოსაზრების თვალსაზრისით შეიძლება აღინიშნოს, რომ საეკლესიო კრების, როგორც მსოფლიოს კრების კვალიფიკაციისა და აღიარებისათვის, საჭიროა წარმოვადგინოთ ზოგიერთი შინაგანი და გარეგანი ხასიათის აუცილებელი პირობა.

---

[2] ურიგო არ იქნებოდა აქ ზედმიწევნითი სიზუსტით დაგვემოწმებინა ორი ცნობილი ბერძენი ღმრთისმეტყველის აზრი: ა) პროფ. ა. ალივიზატოსი წერდა: „მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ადმინისტრაციის ცნობიერების ორგანული, ზეაღმატებული საფეხური არის მსოფლიო საეკლესიო კრება, ანუ საეკლესიო ცნობიერების, სინდისის ნამდვილ გამოხატულებას ხელეწიფება გამოიტანოს გადამწყვეტი დადგენილებები, მსოფლიო უფლებამოსილებით ისე, რომ თავად არ წარმოადგენდეს მსოფლიო კრებას ზეაღმატებულ რაიმე საწყისს" ('Α. 'Αλιβιζάτος, 'Η συνείδησις τῆς 'Εκκλησίας, ბიულეტენში: 'Επιστημονική 'Επετηρίς Θεολογικῆς Σχολῆς τοῦ Πανεπιστημίου 'Αθηνῶν, τομ. (Θ΄) 1953-1954, σελ. 58-59). ბ) აკადემიკოსი იოანე კარმირისი აღნიშნავდა: „საეკლესიო კრების მსოფლიო ხასიათი არ გულისხმობს მასში ქრისტიანული მსოფლიოს ყველა ეპისკოპოსის მონაწილეობას, არამედ თანხმობას დამსწრე და არადამსწრე ეპისკოპოსებსა და ეკლესიის ყველა წარმომადგენლებისა, ასევე – თანხმობას ადრე მიღებულისა და დადგენილისა და ეკლესიის სხვა ყოველი ეპისკოპოსთა, ვით მართლმკვეთელობას სიტყვისა ჭეშმარიტებისასა" 'Ιω. Καρμίρης, ('Ορθοδόξος 'Εκκλησιολογία, Δογματικής τμήμα Ε΄, 'Αθήναι 1973, σελ. 674).

I. გარეგანი ხასიათის პირობები:

1) აუცილებელია მონაწილეობდეს ყველა მართლმადიდებელი ეკლესია და, თუ ეს შესაძლებელია, ყველა მოქმედი მღვდელმთავარი, რომელნიც განაგებენ მოქმედ საეპისკოპოსოებს მათ სავსებასთან ერთად, მათი თანხლებით. თუ მათ არ ძალუძთ პირადად წარდგომა, უფლება აქვთ, გამოგზავნონ წარმომადგენლობა ან ეპისტოლეთი, წერილობით ამცნონ კრებას საკუთარი აზრი დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით. შესაძლებელია, კრებაზე არ ჩამოვიდნენ ადგილობრივ ეკლესიათა ეპისკოპოსები, მაგრამ ისინი მოწვეულნი უნდა იყვნენ. აღსანიშნავია, რომ ეს წარმოდგენილი პირობები საჭიროა, როგორც წინაპირობა, მაგრამ ისინი არ შეადგენენ აუცილებელ პირობებს კრების მსოფლიო ხასიათის აღიარებისათვის. ასე, მეორე მსოფლიო კრება თავდაპირველად იყო მოწვეული, როგორც აღმოსავლეთის ეკლესიათა კრება, მაგრამ აღიარებული იქნა მსოფლიოდ, რადგანაც მასზე სულიწმიდით უდაოდ იქნა ფორმულირებული და ჩამოყალიბებული, სარწმუნოებრივი ჭეშმარიტება წმიდა სამების მესამე პირის შესახებ.

2) კრებაზე მონაწილე ეპისკოპოსთა რაოდენობა მსოფლიო კრების ძირითად და დამახასიათებელ ნიშანს არ წარმოადგენს. ზოგიერთი ადგილობრივი კრება მრავალრიცხოვანებით აღემატებოდა ზოგიერთ მსოფლიო კრებას.

3) კრების მსოფლიო ავტორიტეტის აღიარებისათვის საჭიროა, მისი გადაწყვეტილებანი მოწონებული იქნას ყველა ეკლესიის მიერ, მიუხედავად იმისა, მონაწილეობს თუ არა მათი წარმომადგენლობა.

II. შინაგანი ხასიათის, არსებითი პირობები:

1) ყველა ის საკითხი, რომელიც კრებამ უნდა განიხილოს, საჭიროა, საყოველთაო ხასიათისა იყოს. ე. ი. უპირველეს ყოვლისა იყოს სარწმუნოებრივი და შემდეგ უკვე ზოგადი საეკლესიო ხასიათისა.

2) საჭიროა, კრების მიერ მიღებული დადგენილებანი უნდა გამოიხატოს „როგორც ცალკეული და ამასთანავე, როგორც დასაბამიდანვე, მუდამ, ყველასათვის, ყველგან, სანდო“, ანუ, როგორც მთელი ეკლესიის ტრადიცია (ვიკენტი ლირინოსელის განსაზღვრება). აბსოლუტური ჰორიზონტალურობის [ყველგან (ადგილის თვალსაზრისით)] და ვერტიკალურობის [ყოველთვის (დროის თვალსაზრისით)] პრინციპების ურთიერთშეთანხმება — სინოდისა მორწმუნეთა მიმართ, რაც ცოცხალია ეკლესიის წიაღში, წარმოადგენს სულიწმიდით შთაგონებული მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებათა ავტორიტეტულ ფორმულირებას. ამ თვალსაზრისით მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წმიდა წერილსა და წინა მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებებს.

ზემოთაღნიშნულის თანახმად მსოფლიო კრების უმაღლესი ავტორიტეტული უფლება-მოვალეობანი შემდეგია:

1) სულიწმიდით, წმიდა წერილისა და სამოციქულო გადმოცემის საფუძველზე აყალიბებს ეკლესიის დოგმატურ სწავლებას და გამოხატავს მას სიმბოლოებით და ცნებებით (კანონებით).

2) განიხილავს და ძალმოსილებით ამტკიცებს (აკანონებს) ჭეშმარიტ საეკლესიო სწავლებას და განასხვავებს მას ცრუსწავლებისაგან, რომელსაც იგი განაგდებს.

3) შეიმუშავებს (ადგენს) და ამტკიცებს (აკანონებს) საეკლესიო წესრიგსა და საყოფაცხოვრებო კანონებს, რომელნიც შემუშავებულია მის მიერ ან წინამორბედი ადგილობრივი კრებისა და ეკლესიის მამების მიერ.

4) განსაზღვრავს ეკლესიის მართვის საკითხებს საერთოდ, და კერძოდ, წყვეტს ადგილობრივ ეკლესიათა პრობლემებს.

5) ჯეროვნად და დროულად ამუშავებს და აგვარებს მნიშვნელოვან და გაჭიანურებულ კერძო საკითხებს, რომლებიც ეპისკოპოსთა გადაყვანას, გადადგომას და ა. შ. საკითხებს მიემართებიან, გარდაიქმნება უმაღლეს საეკლესიო სასამართლოდ და განიხილავს „რიგით პირველ და უკანასკნელ საქმეებს".

6) ეკლესიაში იგი ასევე ითავსებს უზენაესი სარეგიზო სასამართლოს პოზიციას.

7) მსოფლიო საეკლესიო კრება განსაზღვრავს (ადგენს) საეკლესიო იერარქიის წოდებებს და უფლებამოსილებებს.

შენიშვნა: ეს უზენაესი საეკლესიო ორგანო არ უნდა იყოს დაკავებული მეორეხარისხოვანი პრობლემებით, რომელნიც შესაძლებელია გადაჭრილ იქნას ადგილობრივი კრებით ან ეკლესიათა შორის წერილების ურთიერთგაცვლის შედეგად.

III. მსოფლიო კრების მოწვევა

პასუხი კითხვაზე, თუ ვის აქვს მსოფლიო კრების მოწვევის უფლება, განსაკუთრებით ჩვენ დროს, — გარკვეულ სიძნელეებს უკავშირდება. ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებში კრებას იწვევდა ბიზანტიის იმპერატორი, თუმცა კი ეს ეჭვს იწვევს, რადგანაც იმპერატორის ფორმალური მოწვევის მიღმა მოქმედებდნენ საეკლესიო ფაქტორები. იმპერატორის თაოსნობით მსოფლიო კრების მოწვევა არ წარმოადგენდა მისი, როგორც მეფის უფლებას. იმპერატორი იყო გარკვეული თვალსაზრისით იმ საეკლესიო იერარქიის ნების აღმასრულებელი, რომელიც ითვალისწინებდა გარკვეულ საეკლესიო საკითხთა მოგვარების აუცილებლობას. იმპერატორი, როგორც ეკლესიის განსაკუთრებით ოფიციალური წევრი, ეკლესიის ერთობისა და იმპერიის შიდა წესრიგის შენარჩუნებით უშუალოდ დაინტერესებულ პირებს ნებას რთავდა და იღებდა სახსრებს კრების მოწვევისათვის.

ჩვენ დროს მსოფლიო კრების მოწვევა, შესაძლებელია, განხორციელდეს პატრიარქებისა და საკუთრივ ავტოკეფალურ ეკლესიათა წინამძღვრების თანხმობით, რადგანაც ისინი განასახიერებენ ეპისკოპოსთა დასისა და საერთოდ საეკლესიო ავსების სინდისს (ცნობიერებას).

ქრისტიანობის პირველი საუკუნეებიდან იმპერატორსა და მის წარმომადგენლობას აქვს უფლება მსოფლიო კრების *თავმჯდომარეობისა*, მაგრამ ისინი მხოლოდ კრების „წესრიგს განასახიერებენ", კრების მწყობრი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობას (საპატიო თავჯდომარეობას). ჭეშმარიტი თავმჯდომარეობა კი კანონით ერგებოდა პირველობის წოდებით პატივდებულს — პატრიარქს. მაშასადამე, კანონიკური თვალსაზრისით მსოფლიო კრების თავმჯდომარეობა განეკუთვნება რიგით პირველ მღვდელმთავარს, ან პატრიარქს — პირველობის პატივით გამორჩეულს.

4. მსოფლიო კრების დადგენილებები

მხოლოდ მსოფლიო კრების დადგენილებებია ჭეშმარიტად ძალმოსილებით აღჭურვილნი ყველა ცალკეული ეკლესიის მიმართ, როგორც სულიწმიდით ზეშთაგონებული ხმა კათოლიკე ეკლესიისა. საეკლესიო კრების ცალკეულ სხდომებზე შემუშავებული საქმეები, წარმოთქმული სიტყვები, მისალოცი მიმართვები, კითხვები და პასუხები კანონიკურად მოკლებულნი არიან უზენაეს ავტორიტეტსა და ძალმოსილებას. მათ მიმართავენ მხოლოდ შესაბამის დადგენილებათა უკეთესი აღქმისა და ანალიზისათვის და ასევე — ისტორიისათვის.

მსოფლიო კრების დადგენილებანი უცდომელია და მოიცავენ უზენაეს ძალმოსილებას, რადგანაც გამოხატავენ ქრისტიანული ეკლესიის უცდომელობას „რომელ არს ეკლესიაჲ ღმრთისა ცხოველისაჲ, სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ" (I ტიმ. 3,15). მათ ავტორიტეტს მსოფლიო კრებები „იხვეჭენ თვით ღმრთაებრივი სამართლით" და არ საჭიროებენ საკუთარ დადგენილებათა დამოწმებას ნებისმიერი საეკლესიო ხელისუფალის ან სახელმწიფო მმართველის მიერ: ის, რომ იმპერატორები ხელს აწერდნენ მსოფლიო კრებათა დადგენილებებს, არ ნიშნავს, რომ ამით ისინი თავმდებლობდნენ შესაბამის დადგენილებათა ჭეშმარიტების დასტურს. ეს, უბრალოდ, ნიშნავს, რომ ისინიც სცნობდნენ საეკლესიო კრებას და მის დადგენილებებს, როგორც ჭეშმარიტებას სახელმწიფოს ყველა მოქალაქისათვის და ამასთანავე სახელმწიფო კანონებად განიხილავდნენ მათ.

რომის პაპის ცნობილ მოთხოვნას, რომ მსოფლიო კრებების გადაწყვეტილებები მის მიერ იყოს პირადად დამტკიცებულნი, იმისათვის, რომ მათ მიეცეს მსოფლიო ძალმოსილება, ვერავითარ საფუძველს ვერ პოულობს წმიდა წერილსა და წმიდა გადმოცემაში. ის ფაქტი, რომ, ქრისტიანობის

პირველ საუკუნეებში მსოფლიო კრებათა დადგენილებებს ხელს აწერდნენ პაპებიც, რაც იქიდან გამომდინარეობს, რომ პაპები ამ კრების მსვლელობაში პირადად არ მონაწილეობდნენ. მათი ხელმოწერა დასტურყოფდა ამ დადგენილებათა მოწონებას და აღიარებას იმ ეკლესიის მიერ, რომელსაც ისინი წარმოადგენდნენ.

ცხადია, დღეს იმისთვის, რომ მსოფლიო კრებათა დადგენილებებს მიეცეს საყოველთაო ძალმოსილება და ქმედითი უნარი, საჭიროა ისინი გამოქვეყნდეს ბეჭდვითი სიტყვის მეშვეობით, განცხადდეს საჯაროდ რადიომაუწყებლობით ან ეკლესიის სავსებისადმი მიმართული ცირკულარებით. ამგვარად შესაძლებელი იქნება დადგენილებათა გაცნობა და, შესაბამისად, მათი მოწონება, რაკი ისინი კათოლიკე ეკლესიის აზრს გამოთქვამენ.

5. გაფართოებული ადგილობრივი და საეპარქიო კრებები

ა) გაფართოებული ადგილობრივი საეკლესიო კრება ცალკეულ კრებათგან განსხვავებით გაფართოებული ადგილობრივი კრება მეტად მნიშვნელოვანია და უპირატესი. გაფართოებულ ადგილობრივ სინოდს უწოდებენ საეკლესიო კრებას, რომელზეც მოწვეულია არა ერთი მიტროპოლიისა ან ავტოკეფალური ეკლესიის მოქმედი ეპისკოპოსები, არამედ ორი, სამი ან მეტი მიტროპოლიისა თუ ავტოკეფალური ეკლესიისა. ცხადია, მრავალგზის შესაძლებელია განსხვავებული საპატრიარქო წრის ეკლესიათა ეპისკოპოსების თანამონაწილეობა. ბევრ შემთხვევაში, რასაკვირველია, შეიძლება, ასეთ კრებაზე თანამონაწილე ეპისკოპოსები სხვადასხვა საპატრიარქოებს მიეკუთვნებოდნენ.

გაფართოებული ადგილობრივი კრება, თავისი მნიშვნელობით, უშუალოდ მოსდევს მსოფლიო კრებას. კანონით, ამ კრებაზე თავმჯდომარეა საპატიო პირველობით გამორჩეული ეპისკოპოსი. კრება წყვეტს საკითხებს, რომლებიც აინტერესებს ამა თუ იმ ეკლესიას. საკითხები ამ შემთხვევაში მხოლოდ დოგმატური ხასიათისა შეიძლება იყოს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი შეიძლება მიემართებოდეს საეკლესიო წყობას, ზნეობასა და მსახურებას.

კრებების დადგენილებები გამოაქვს თანადამსწრე იერარქების უმრავლესობას და ამ დადგენილებათა მოქმედების არე ვრცელდება ეპარქიებზე, რომლებიც ამ კრებებზე მონაწილეთა მიერ არიან წარმოდგენილნი. სრულიად შესაძლებელია, ასეთი დადგენილებები სხვა ეკლესიებისათვისაც მისაღები გახდნენ. ასევე შესაძლებელია ამგვარ დადგენილებათა მსოფლიო კრებით დაკანონება და ასე მათთვის მსოფლიო ძალმოსილების მინიჭება. მაგრამ იმ ადგილობრივი კრებების დადგენილები, რომლებიც დამტკიცებული არ არის ამა თუ იმ მსოფლიო კრების მიერ, ვერ ჩაითვლება უცდომელად. მაშასადამე, შესაძლებელი ხდება მათი გასწორება ანდა ხელახლა განხილვა. მაგალითად, ადგილობრივ კრებათა დადგენილებები დაამტკიცა V-VI მსოფლიო კრებამ (კანონი მე-2).

ბ) ეპარქიული ანუ სამიტროპოლიტო კრება (ერთი ეთნოსი – სახელმწიფოს ფარგლებში).

ადგილობრივ კრებას თავისი მნიშვნელობით მოსდევს საეპარქიო კრება. ეკლესიის სინოდური სისტემის თანახმად, ყოველთვის, საჭიროების მიხედვით, როდესაც დადგება აუცილებლობა, მიიღონ ზომები ამა თუ იმ ეპარქიის საჭირბოროტო, მწვავე, გადაუდებელი საკითხების თაობაზე, იკრიბებოდნენ მთელი ეპარქიის ეპისკოპოსები მათ გადასაწყვეტად. ე. ი. ეპარქიული ან სამიტროპოლიტო კრება ეწოდება კრებას ერთი ოლქისა თუ მიტროპოლიის ეპისკოპოსებისა, რომელნიც იკრიბებიან ადგილობრივი მიტროპოლიტის თავმჯდომარეობით (მისი ხელმძღვანელობით). ეს კრებები იყო მოწვეული მიტროპოლიტის მიერ მიტროპოლიის ცენტრში ან და სხვა ადგილას, მაგრამ აუცილებლად მიტროპოლიის ფარგლებში. მიტროპოლიტის მოწვევისა და მისი თანდასწრების გარეშე კანონიკურად შეუძლებელია კრების მოწვევა და სხდომის ჩატარება. ეპარქიულ კრებაზე უნდა გამოცხადდეს ამ ეპარქიის ყველა ეპისკოპოსი. ხოლო ყოველი მღვდელმთავარი, რომელიც კი უმიზეზოდ აცდენს კრებას, პასუხისმგებელია კანონის წინაშე. ყველა, ვინც კრებაზე მონაწილეობს, მიროპოლიტის ჩათვლით, თანაბარი უფლებებით სარგებლობს. ეპარქიული კრების გადაწყვეტილებანიც ასევე ხმის უმრავლესობით მიიღება. მიტროპოლიტი ვალდებულია, დაემორჩილოს ეპარქიული კრების გადაწყვეტილებებს, და მოვალეა, აღასრულოს ისინი, იმ შემთხვევაშიც, თუ იგი პირადად საწინააღმდეგო აზრისაა.

ეპარქიული კრების მოწვევა განსაზღვრულია წელიწადში ორჯერ. მაგრამ V-VI მსოფლიო კრების მე-8 კანონის თანახმად ეპარქიის (ერთი ეთნოსის) ეპისკოპოსები იკრიბებიან, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ. ეპარქიური კრებების კომპეტენცია სარწმუნოებასა და დისციპლინასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, ასევე ყოველივე, რაც სხვადასხვა პიროვნებებსა თუ ვითარებებს უკავშირდება, ვრცელდება ეპარქიათა ეპისკოპოსებზე. სადღეისოდ ეპარქიულ და სამიტროპოლიტო კრებებს ენაცვლება ავტოკეფალურ ეკლესიათა წმიდა სინოდები.

6. საპატრიარქო და „ენდიმუსა“ (ჩამოსულ მღვდელმთავართაგან მოწვეული), საჯარო კრებები

1) *საპატრიარქო კრება.* V საუკუნიდან, ე.ი. იმ დროს, როდესაც ჩამოყალიბდა ხუთი საპატრიარქო ტახტი, შეიქმნა ასევე საპატრიარქო კრებათა ინსტიტუტები. საპატრიარქო ეწოდება კრებებს, რომელიც შესაბამისი საპატრიარქო წრის ეპისკოპოსთაგანაა შედგენილი. როგორც გამონაკლისი, ხანდახან მოწვეულ იყვნენ სხვა საპატრიარქოთა მღვდელმთავრები, რომელნიც იმ დროს კრების მოთავე პატრიარქთან მოქმედებდნენ. საპატრიარქო კრება

წარმოადგენს საპატრიარქოს უზენაეს საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, მართლმსაჯულებრივ საეკლესიო ორგანოს. საპატრიარქო კრებები, ჩვეულებრივ, საპატრიარქოს რეზიდენციებში იყო მოწვეულნი.

საპატრიარქო კრება უფლებამოსილია, განიხილოს შემდეგი საკითხები:

1) პატრიარქისა და სხვა ეპისკოპოსების არჩევნები. 2) ეპისკოპოსის დაწინაურება (მაგ. მიტროპოლიტის წოდების მინიჭება). 3) ეპისკოპოსთა შორის მშვიდობის დამყარება (შერიგება). 4) ახალი ეპარქიის დაარსება. 5) საეპისკოპოსო რეზიდენციის სხვა ქალაქში გადატანისათვის უფლების გაცემა. 6) ეპიკოპოსების გადაყვანა (გადადგილება). 7) პატრიარქის იმ გადაწყვეტილებათა შემოწმება, რომელნიც უზენაეს კანონებს ეწინააღმდეგება და ა. შ.

გარდა ამისა, საპატრიარქო კრება საყოველთაო ზედამხედველობით აკონტროლებს მთელი საპატრიარქოს ფარგლებში სარწმუნოებისა და დისციპლინის საკითხებს. სარწმუნოების საკითხებთან დაკავშირებით მისი კომპეტენცია ვრცელდება მსოფლიო კრებათა დადგენილებების განმარტებებზე; იგი უფლებამოსილია ასევე, გააშუქოს საღმრთისმეტყველო საკითხები. ხოლო დისციპლინის საკითხთან დაკავშირებით საპატრიარქო კრება უფლებამოსილია, გასცეს კანონიკური განკარგულებები, რომელნიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ მსოფლიო კრებათა დადგენილებებსა და ეკლესიის სამართლებრივ დადგენილ წესებს.

2) „ენდიმუსა“ — ჩამოსულ მღვდელმთავართაგან მოწვეულთა საეკლესიო კრება[3]. ეს კრება გახანგრძლივებული კრებების სახეობას მიეკუთვნება. მიუხედავად ამისა, იგი არ წარმოგვიდგება როგორც ასეთი, არამედ თავდაპირველად იყო პერიოდული, და საგანგებო სახეც კი ჰქონდა. ეს კრება IV ს-დან ძირითადად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში მოქმედებდა; იმ მიზნით, რომ მოეცვა და მოეწესრიგებინა კონსტანტინეპოლის ეკლესიის წიაღში წარმოჭრილი საკითხები. აღნიშნული კრება თავდაპირველად აუცილებელი იყო იმის გამო, რომ კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსს არ ჰქონდა ქვეშევრდომი საეპისკოპოსოები, და ამდენად, ვერც მოიწვევდა სინოდზე თავის ეპისკოპოსებს. მაგრამ შემდგომშიც, IV მსოფლიო კრების (451 წ.) მომდევნო ხანებშიც, როდესაც კონსტანტინოპოლის ტახტმა ვრცელი ადმინისტრაციული უფლებამოსილება მოიპოვა, „ენდიმუსა“ კრებას მოქმედება არ შეუწყვეტია. რა თქმა უნდა, პატრიარქს შეეძლო მოეწვია საპატრიარქო კრება, მაგრამ მისი მოწვევა მნიშვნელოვან ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამასთანავე დიდ დროსაც მოითხოვდა. ასე რომ, პატრიარქი გადაუდებელ საკითხთა გადაჭრისას გარკვეულ სიძნელეებს აწყდებოდა და იძულებული იყო,

[3] როდესაც პატრიარქი იძულებული იყო, გარკვეული გადაუდებელი საკითხები მოეგვარებინა, მმართავდა აზრისათვის იმყამად კონსტანტინოპოლში ჩამოსულ მღვდელმთავრებს (რედ.).

კონსტანტინოპოლში დროებით ჩასულ მღვდელმთავართა აზრისათვის მიემართა. ამის გამო კრებას ეწოდებოდა ჩამოსულთაგან მოწვეული — „ენდიმუსა", და ამითვე აიხსნებოდა, თუ რატომაც იყო კრება საგანგებო და აქ სხვა საპატრიარქო ტახტის მღვდელმთავრებს შეეძლო მიეღოთ მონაწილეობა.

მაგრამ XII საუკუნიდან ბიზანტიის სახელმწიფოში შექმნილ განსაკუთრებულ ვითარებათა გამო, რომელთა მიზეზი იყო ჯვაროსნული ლაშქრობებიც, „ენდიმუსა" კრება აღარ წარმოადგენდა ერთ გახანგრძლივებულ კრებით ორგანოს. დღეს ასეთ კრებებში ძირითადად მონაწილეობენ არა მარტო ჩამოსული მღვდელმთავრები, არამედ ასევე საპატრიარქოს თანამდებობის პირები, სამღვდელოება, თუმცა მათი ხმის უფლება უბრალოდ სიმბოლურია.

„ენდიმუსა" საეკლესიო კრების ადათი განსაკუთრებულ აღმავლობას იწყებს XVII საუკუნიდან, როდესაც კონსტანტინეპოლის მომიჯნავე, ე. ი. ირაკლიის, კვიზიკის, ნიკომიდიის, ნიკეის, ქალკედონის, დერკის, კესარიის, ეფესოსა და ასევე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიდამოებში მყოფ სხვა გამოჩენილ ტახტთა მღვდელმთავრებმა დიდი გავლენა მოიპოვეს. მათ ეწოდებოდათ „ძერები" („მოძღვარნი," „უხუცესები"). მათი ძალმოსილება იმდენად გავლენიანი იყო, რომ საპატრიარქოს ბეჭედიც კი დაიყო ოთხ სექციად, რომელთაგან ერთი განეკუთვნებოდა პატრიარქს, დანარჩენი — მოძღვრებს (უხუცესებს).

ამგვარი ვითარება გრძელდებოდა 1860 წლამდე, როდესაც გამოქვეყნდა რომაული იმპერიის საგვარეულოს „საყოველთაო წესები", რომელთა თანახმადაც საპატრარქო კრების შემადგენლობა განისაზღვრებოდა პატრიარქისა და თორმეტი მღვდელმთავრისგან. მათ ამ თანამდებობაზე იწვევდნენ მონაცვლეობით, ორი წლის ვადით.

„ენდემუსას", ან უფრო სწორედ, საპატრიარქო კრებების ამ სახეობას შეესაბამება მართლმადიდებლურ ავტოკეფალურ ეკლესიათა ხანგრძლივი, გრძელვადიანი კრებები. ეს კრებები შეიძლება დახასიათდეს როგორც მმართველობითი სინოდები, რადგანაც ისინი შეადგენენ ცალკეულ ეკლესიათა მმართველობრივ კრებით ორგანოებს.

შენიშვნა: 1. პერიოდულად, სხვადასხვა დროს საეკლესიო წრეებში ტარდება კრება ეგრეთწოდებული „არისტინდინ" — „საუკეთესოთაგან" შეკრებილი. იგი შედგება ზოგიერთი — იგულისხმება საუკეთესო, — იერარქიის გამორჩეულ წევრთაგან, რომელნიც კანონით შერჩეული არიან სახელმწიფოს მიერ. ამ კრების დანიშნულებაა ახალ მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა არჩევა ან ჩაშლილი საქმეების მოგვარება.

2. ბერძნულ საეკლესიო-საღმრთისმეტყველო ფილოლოგიაში გვხვდება ასევე დასახელება „იპერტელის" (=ზეაღმატებით სრულყოფილი) კრება. კანონიკურად ეს დასახელება, რა თქმა უნდა, შინაარსს მოკლებულია. დასახელება „სრულყოფილი კრება" მხოლოდ კანონიკური სამართლის

სფეროში გვხვდება და ასე ეწოდება კრებას, რომელსაც მიტროპოლიის წარმომადგენელი ეპისკოპოსი, ე. ი. ეპარქიური კრების თავჯდომარე ესწრება.

7. ადგილობრივი საეკლესიო ორგანოთა უფლებამოსილების წარმმართველი, ზოგადი დებულებები

1) უმთავრესი დებულება, რომლის საფუძველსაც უნდა ექვემდებარებოდეს საეკლესიო ორგანოთა ხელისუფლება, ესაა: ყოველგვარი განდიდებისაგან, ამპარტავნებისაგან, ქედმაღლობისაგან განრიდება, რაკი ჭეშმარიტი ხელისუფლება მხოლოდ ეკლესიის თავს, ქრისტეს ეკუთვნის.

2) პოლიტიკური ხელისუფლებისაგან განსხვავებით, საეკლესიო სფეროში არ არსებობს მკვეთრი განსხვავება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის. ერთი და იგივე პირები ასრულებენ ცერემონიურ, დიდაქტიკურ და ადმინისტრაციულ (საკანონმდებლო-სასამართლო) მოვალეობებს, უფლის სამმაგი ღირსების შესაბამისად.

3) საეკლესიო ორგანოთა ხელისუფლება არ გამომდინარეობს საერო ან რომელიმე სხვა საწყისისაგან, არამედ უფლისაგან.

4) მთავარი საეკლესიო ორგანოები არის კრებითი, კოლეგიალური ორგანოები; ყოველივე, რაც მეტყველებს ეკლესიის სასარგებლოდ და გამოხატავენ ეკლესიის სინოდურ ხასიათს.

5) ყველა საეკლესიო კრებითი ორგანოსათვის ძალმოსილია უმრავლესობის პრინციპი, რადგანაც ყოველი მონაწილე თანასწორუფლებიანია (შდრ. I მსოფლიო კრების მე-6 კან.).

6) ეკლესიის კრებითი ორგანოებისა და მათი მსოფლიო კრებების დადგენილებათა თაობაზე საბოლოო აზრის გამოთქმის უფლება აქვს ასევე ეკლესიის მთელ სავსებას, სამღვედლოებასა და ერს, რომელიც საეკლესიო ცნობიერებას განასახიერებს.

7) ყოველი მმართველი საეკლესიო ორგანო შეუფერხებლად და კანონიერად მოქმედებს მხოლოდ თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში (შდრ. ანტიოქიის 22-ე კან. და სხვ.).[4]

8) ორი თანაბარუფლებიანი საეკლესიო განმგებლობა ვერ იარსებებს ერთსა და იმავე დროსა და ერთსა და იმავე ადგილას. მაგ. ორი ეპისკოპოსი ერთ საეპისკოპოსოში, ორი მიტროპოლიტი ერთ ეპარქიაში (შდრ. I მსოფლიო კრების მე-8 და IV მსოფლიო კრების მე-12 კან.).

9) არც ერთ საეკლესიო განმგებელ ორგანოს არ შეიძლება ძალით, კანონიკური პროცესისა და პროცედურების გარეშე ჩამოერთვას მისი კუთვნილი უფლებამოსილებები (შდრ. III მსოფლიო კრების მე-8 და V-VI მსოფლიო კრების 25-ე კან.).

---

[4] შდრ. Ἱερωνύμου Κοτσώνη, Σημειώσεις Καν. Δικαίου, τομ. Α΄, σελ. 147.

10) ყოველი საეკლესიო ორგანოს უფლებამოსილებათა სფერო ზემდგომი განმგებელი ორგანოს მიერ უნდა განისაზღვროს (შდრ. IV მსოფლიო კრების მე-12 და V-VI მსოფლიო კრების 25-ე კან.).

11) საეკლესიო სხეულისათვის მისი განკარგულების ყოველი ობიექტი მისი კომპეტენტურობისა და უფლებამოსილების ფარგლებში უნდა იყოს მოქცეულ და კანონიკურ საფუძველს უნდა ემყარებოდეს (შდრ. ანტიოქიის მე-7 და მე-13 კან.).

12) უცხო უფლებამოსილების საზღვრებში სხვა საეკლესიო განმგებელ ორგანოს შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ იმის ნებართვით ან განკარგულებით (შდრ. მოციქულთა 33-ე, IV მსოფლიო კრების მე-13 და VII მსოფლიო კრების მე-10 კან.).

13) მმართველი საეკლესიო ორგანოს გადაწვეტილებები არ შეიცვლება, თუ არა განსაზღვრული, კანონიკური, შეჩერების ან გაუქმების გზით (შდრ. მოციქულთა 37-ე, ანტიოქიის მე-12, სარდიკის მე-14 კან.).

14) მმართველი ორგანო ძალმოსილია, იმოქმედოს ან პირადად, ან საკუთარ რწმუნებულთა მეშვეობით (შდრ. ანკერიის მე-13 და ანტიოქიის მე-10 კან.).

ზემოთ წარმოდგენილი დებულებები შემდგომში დაგვეხმარება იმისათვის, რომ უკეთ აღვიქვათ საგანი. სწორედ მართლმადიდებელი ეკლესია, რაკი იგი ზოგადად მისდევს აღნიშნულ დებულებებს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, ამის გამო არ ხელუყვია და არ დაუმახინჯებია მას საეკლესიო სხეულის არსი და ბუნება და მისი მართვის ფორმა სამოციქულო ეპოქიდან დღემდე. მართალია, საეკლესიო სხეული ვითარდება, დროდადრო წარმოიქმნება ახალი საეკლესიო სორგანიზაციო ელემენტები (მაგ. პატრიარქი, მიტროპოლიტი, და ა.შ.), მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი არსი არ შელახულა, მისი სულიერება შეუცვლელია.

თუმცა იმავეს ვერ ვიტყოდით დასავლეთის — რომაულ-კათოლიკურ ეკლესიაზე, რადგანაც მის წიაღში აღმოცენებულმა ახალმა ელემენტებმა არსობრივად შეცვალეს საეკლესიო სხეულისა და მართვის ფორმის სამოციქულო და კანონიკური საფუძვლები, მისი საწყისები, და ხელყვეს მისი სულიერი ხასიათი. პაპის პირველობის დებულების წინ წამოწევით და პაპის უცოდველობის დებულების დანერგვით არასწორად განისაზღვრა უზენაესი ხელისუფლების არსი და შეირყვნა ეკლესიის სინოდური ხასიათი. ამგვარად, განმგებლობის სისტემა აქ გახდა ერთთმმართველური, მსოფლიო კრება კი პაპის ავტორიტეტის ორგანოდ იქცა, — იმ შინაარსით, რომ რომაულ-კათოლიკური ეკლესიის თაოსნობით მოწვეული კრების მსოფლიო ხასიათი დამოკიდებულია მასზე მიღებულ დადგენილებათა პაპის მიერ მოწონებასა და აღიარებაზე.

შენიშვნა: აქ შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ ეს ზოგადი პრინციპები, რომელთა გათვალისწინების საფუძველზე განისაზღვრება ადგილობრივი საეკლესიო ორგანოთა უფლებამოსილება, ასევე შეადგენენ ერთი მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მეორე მართლმადიდებელი ეკლესიის აღიარების წინაპირობებს.

თავი მეექვსე

საეკლესიო მართლმსაჯულება

1. ზოგადი განმარტება საეკლესიო მართლმსაჯულებისათვის

ეკლესიას, რასაკვირველია, მოსდგამს ღმრთაებრივი წარმომავლობა, მაგრამ იგი ასევე ადამიანთა ერთობაცაა. და რაკი ადამიანთა ყველანაირ საზოგადოებას უთანხმოებანი და სხვადასხვაგვარი გადახრები ახასიათებს, ასევე შესაძლებელია ეკლესიაშიც წარმოიქმნას მსგავსი ადამიანური სირთულეები, პრობლემები, შეცოდებები. ამიტომაცაა, რომ ეკლესიასაც უწევს ჩარევა სამართლის, უთანხმოებებისა და შემჩნეულ გადახრათა გადასაჭრელად. ჩარევის ეს უფლება თვით უფლის მიერაა მოწოდებული. რაჟამსაც მან წარმოსთქვა: „ხოლო უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მივედ და ამხილე მას, ... ხოლო უკუეთუ არა ისმინოს, მიიყვანე შენ თანა ერთი, ანუ ორი სხუაჲ, რაჲთა პირითა ორისა და სამისა მოწამისაჲთა დაემტკიცოს ყოველი სიტუაჲ... ხოლო უკუეთუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა“ (მათე 18,15). სახარების ეს მონაკვეთი ოქროს წესია სამართლის წარმოებისა და მართლმსაჯულების აღმშენელობისათვის.

ეკლესიას, რომელიც აღმსარებლობის საკითხთა, ასევე მორწმუნეთა და განსაკუთრებით კი თავის მსახურთა მთელი ცხოვრების ზედამხედველია, აქვს ჩარევის უფლება ყოველთვის, როცა კი საეკლესიო კეთილსინდისიერებისა და წესრიგის დაცვის აუცილებლობა იჩენს თავს. ეკლესიის ამგვარი ჩარევა უზენაესი კანონების საფუძვლად დადგენილი სასჯელისამებრ არ არის სისხლის სამართლის ხასიათისა, ე. ი. შურისმგებელი ან დამსჯელი, არამედ იგი სიმართლის გზიდან აცდენილთა განკურნებისა და აღზრდისათვის სიყვარულის საფუძვლადაა დადებული. და რაკი ცოდვით დაცემულებიც იმეცნებენ საკუთარ შეცდომებსა და გულწრფელად ინანიებენ, ეკლესიაც მოთმინებით ეპყრობა ადამიანურ უძლურებასა და ავლენს შემწყნარებლობას. ამის მაგალითია პავლე მოციქულის სიტყვები: „სიმდაბლე თქუენი ცხად იყავნ ყოველთა კაცთა“ (ფილ. 4,5) და „ჯერ-არს ეპისკოპოსისაჲ, რაჲთა უბრალო იყოს, ... მყუდრო, ულალველ“ (I ტიმ. 3,2-3). ამრიგად, ეკლესია ან აარიდებს, ან მიანიჭებს შეცდომილს სასჯელს. ამის გამო კანონიკურ სამართლის ამ ნაწილსაც უნდა ეწოდოს არა დამსჯელი, არამედ უფრო ზუსტად, — აღმზრდელობითი და გამოსასწორებელი.

საეკლესიო სამართლისა და მისი მართლმსაჯულებრივი ფორმები საერო სასამართლოს სტრუქტურებთან შედარებით უფრო მარტივადაა აგებული. საეკლესიო მართლმსაჯულების ეს უბრალოება და ამავე დროს მისი სრულყოფილება იმითაც აიხსნება, რომ იგი სიყვარულზეა დაფუძნებული, და მხოლოდ საკანონმდებლო წესრიგით არაა შემოსაზღვრული.

ასევე სახელმწიფო სასამართლო ხელისუფლებისაგან განსხვავებით, საეკლესიო სამსჯავრო უფლებამოსილებით აღჭურვილი ორი სტრუქ-ტურისაგან შედგება: ესაა სასამართლოს შიდა და გარესამართლებრივი უფლებამოსილება („ხელმწიფება"). ე. ი. არის საიდუმლო ანუ სულიერი (საღმრთო) სამსჯავრო და ასევე – ეპისკოპოსის სულიერი უფლებამოსილება. არსებობს კიდევ გარე ანუ საკრებულო სასამართლო, რომელიც მოქმედებს როგორც გარკვეული მართლმსაჯულებრივი ტიპების საფუძველი. ეს უკანასკნელი ტექნიკური ტერმინი, ვიწრო გაგებით, საფუძვლად ედება საეკლესიო მართლმსაჯულების ჩამოყალიბებას.

2. საეკლესიო მართლმსაჯულების წარმოების ორგანოები

მათეს სახარების 18,18 თანახმად სასამართლო ხელისუფლება მოციქულებს თვით უფლისაგან მიენიჭა. იხ. ანანიასა და საპფირას მაგალითი (საქმე მოც. 5,1-11). შემდგომ ეს ხელისუფლება მოციქულთა მემკვიდრეებს – ეპისკოპოსებს გადაეცა. ეპისკოპოსთა ძალმოსილების თაობაზე მეტყველებენ I მსოფლიო კრების მე-5, II მსოფლ. კრების მე-6, III მსოფლ. კრების 1-ლი და მე-3 კან. ეკლესიის კანონთა თანახმად (II მსოფლ კრების მე-6, IV მსოფლ. კრების მე-9, კართაგენის მე-15 და 104 კან.). საეკლესიო სასამართლო განარჩევს ყოველი მორწმუნის (სამღვდელოება-მრევლი) სარწმუნოებრივ შეცოდებას, ასევე ყველანაირ უთანხმოებას სამღვდელო პირებსა თუ მონაზვნებს შორის. და რაკი არსებობს განსხვავება სამღვდელოებასა და სამრევლოს შორის, ხალხის კეთილი ნების საფუძველზე გადაწყდება, საერო თუ საეკლესიო სასამართლოს მიენიჭოს უპირატესობა.

ეპისკოპოსი და საერთოდ ყოველი საეკლესიო მართლმსაჯულებრივი ორგანო განიხილავს მხოლოდ იმ სამღვდელო პირთა და მორწმუნეთა შეცოდებებს, რომელნიც მათი უფლებამოსილების გარემოს მიეკუთვნებიან, მაგრამ გარკვეულ შემთხვევათა გამო ეპისკოპოსს ან საეკლესიო ორგანოს შეუძლია უცხო (სხვა ეპარქიის) სამღვდელო პირების გასამართლებაც. მას ეს უფლება იმ დროს ენიჭება, როდესაც უცხო სამღვდელო პირი ამ ეპისკოპოსის ეპარქიაში მოქმედებს შესაბამისი ნებართვის გარეშე. ე. ი. ეპისკოპოსს შეუძლია ასეთების დასჯა, რაკი მათ დარღვევა დაუშვეს. თავისთავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ეპისკოპოსი ძალმოსილია, მის ეპარქიაში უნებართვოდ მოქმედი სამღვდელო პირები თავიანთ მღვდელმთავრის ეპარქიას გადაუგზავნოს. შესაბამისად, ყოველი საეკლესიო მართლმსაჯუ-ლებრივი ორგანოს უფლებამოსილება განისაზღვრება იმ ადგილის მიხედვით, სადაც ჩადენილი იყო დარღვევები, ან იმ ადგილის მიხედვით, რომელსაც დამნაშავე მიეკუთვნება. იმ შემთხვევაში, თუ საეკლესიო ორგანოს უფლებამო-სილებისათვის ნაირგვარი უთანხმოებანი აღმოცენდება, მაშინ ყოველგვარ საეჭვო

საკითხს უზენაესი საეკლესიო ორგანო (მაგ. სინოდი) აწესრიგებს. საეკლესიო სამართლის წარმოება დაიყოფა ეპარქიების მიხედვით საეპისკოპოსო, სამიტროპოლიტო და საპატრიარქო სასამართლოებად (სამსჯავროებად).

I. საეპისკოპოსო სამსაჯავრო საეკლესიო მართლმსაჯულების წარმოების პირველ სფეხურს წარმოადგენს ეპისკოპოსი. ზემოთ აღინიშნა, რომ ეპისკოპოსი სულიერი ძალმოსილებით აწარმოებს სამართალს თავის ქვეშევრდომ სამღვდელო პირების იმ შეცოდებებისათვის, რომლებიც ზოგადად სინდისიდან აღიძვრებიან და საზოგადოების დიდ შეურაცხყოფას არ გამოიწვევენ. ამ დროს მიმართავენ შეგონებებს, რჩევა-დარიგებებს და მკაცრ საყვედურებსაც. ეპისკოპოსის ეს სამართლებრივი მოქმედება ყოველგვარი სასამართლო ფორმალური პროცედურების გარეშე ხორციელდება და არავითარ საერო ზედამხედველობას არ საჭიროებს. ხოლო თუ წარმოიშვება მნიშვნელოვანი დარღვევები, რომელთაც საზოგადოებრივი გამოხმაურება მოჰყვება, მაშინ საქმეში მკაცრად ჩაერევა საეპისკოპოსო სასამართლო.

საეპისკოპოსო სასამართლო ყოველ ეპარქიაში მოქმედებს. მას შეადგენს ადგილობრივი მთავარეპისკოპოსი, როგორც თავმჯდომარე და ეპარქიის ორი ან ოთხი მაღალი ღირსების მღვდელი. როდესაც სასამართლოს ესწრება ეპისკოპისი, დანარჩენ სამღვდელო პირთა ხმა მხოლოდ პირობითი მნიშვნელობისაა. ხოლო როდესაც ეპისკოპოსი არ ესწრება სასამართლოს, ყოველი წევრის ხმას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. საეპისკოპოსო სასამართლო ძალმოსილია, გაასამართლოს ყველა მღვდელი (მღვდელი, დეკანოზი, დიაკონი და სხვა უფრო დაბალი წოდების მოწესენი) ან მონაზონი, რომელთაც დანაშაული ამა თუ იმ ეპარქიის ფარგლებში ჩაიდინეს ან თავად მიეკუთვნებიან ამ ეპარქიას. საეპისკოპოსო სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს შემდეგი სასჯელი: შეგონება, ხელფასის დაკავება, მოვალეობის აღსრულების დროებითი შეჩერება (დაყენება), დაკავება ფიზიკურად, ხარისხის აყრა და ა.შ. იმ მძიმე ცოდვების შემთხვევაში, რომელნიც ხარისხის სამუდამო აყრასა ან თანამდებობიდან გადაყენებას განაპირობებენ, საეპისკოპოსო სასამართლოს „მხილება ვერ ძალუძს“ და იგი საქმეს სამიტროპოლიტო სასამართლოს, ან, სადღეისოდ, პირველი ინსტანციის, უმაღლეს სინოდურ სასამართლოს გადასცემს.

II. სამიტროპოლიტო სამსჯავრო კომპლექტდება საეპარქიო ან სამიტროპოლიო სინოდის გარკვეული ეპისკოპოსებისაგან. იგი პირველ ინსტანციაზე განიხილავს უთანხმოებებს ეპისკოპოსთა შორის, ან იმ ეპისკოპოსთა საქმეებს, რომლებსაც ბრალად ედებათ გარკვეული შეცოდება. მეორე ინსტანციაში სასამართლო გასაჩივრების შედეგად განიხილავს მათ, ვისაც განაჩენი გამოეტანათ საეპისკოპოსო სასამართლოზე, ანუ მღვდლებსა თუ სხვა სასულიერო პირებს, ასევე — მონაზვნებსაც.

თუკი საეპარქიო სინოდზე წამოიჭრება მნიშვნელოვანი უთანხმოებანი, მიტროპოლიტი-თავმჯდომარე იწვევს „უფროს კრებას“ (ანტიოქიის მე-12 კან.), ანუ გაფართოებულ სინოდს. ანტიოქიის მე-12 და მე-14 კანონების თანახმად იგი შედგება სხვა, მეზობელი ეპარქიის („მახლობელისა სამთავროსა“, — ანტიოქიის მე-14 კან.) ეპისკოპოსებისაგან. დღეს სამიტროპოლიტო სამსჯავროებს შეესაბამებიან სინოდური სამსჯავროები.

III. საპატრიარქო სამსჯავრო. საპატრიარქო სასამართლო შეესაბამება საპატრიარქო საეკლესიო კრებას, სინოდს. იგი შედგება საპატრიარქოს სინოდის ან პერიფერიის ეპისკოპოსებისაგან და წარმოადგენს უმაღლეს მართლმსაჯულების ხელისუფლებას მთელს საპატრიარქო პერიფერიაზე. საპატრიარქო სამსჯავრო წარმოადგენს პირველი, მეორე და მესამე საფეხურის ანუ ინსტანციის სასამართლოს. და ამგვარად, იგი განიხილავს სამიტროპოლიტო სასამართლოს გასაჩივრებებს და პირველი ინსტანციის უფლებით განიხილავს მიტროპოლიტთა წინააღმდეგ გამოტანილ განაჩენს (შდრ. IV მსოფლიო კრების მე-9 და მე-17 კან. და კონსტანტინეპოლის 394 წ. კანონი). დღეს ახლად დაფუძნებულ საპატრიარქოებში საეკლესიო მართლმსაჯულება მთლიანად დაკომპლექტებულია მათში მოქმედი საკონსტიტუციო წესდების საფუძველზე [იხ. კიტროსის მიტროპოლიტი ბარნაბა, მართლმადიდებელ საპატრიარქოთა განმგებლობის ძირითადი დადგენილებები (ადათები)].[1]

IV. უზენაესი საეკლესიო სამსჯავრო არის მსოფლიო საეკლესიო კრება. მხოლოდ მას ხელეწიფება, შეცვალოს ნებისმიერი საეკლესიო სამსჯავროს ნებისმიერი დადგენილება. ხოლო მსოფლიო კრების (სამსჯავროს) დადგენილება არ ექვემდებარება არავითარ გასაჩივრებას, რადგანაც მისი დადგენილებები არის საბოლოო.

3. სასულიერო პირთა შეცოდებები

აქ, უპირველეს ყოვლისა, ყურადსაღებია შემდეგი: იმისათვის, რომ ესა თუ ის სასულიერო პირი, ან მონაზონი წარდგენილ იქნას სასამართლოს წინაშე, *მისდამი წამოყენებული ბრალდებები დასაბუთებული უნდა იყოს.* დაუსაბუთებელი ბრალდებები და ეჭვები ვერ დაედება საფუძვლად ამა თუ იმ სასულიერო პირის ბრალდებას. „გარემოდან გამომდინარე“ დადებითი დასტური, ანუ კეთილი სახელი ძალმოსილია ეჭვმიტანილი სასულიერო პირების მიმართ. და პირიქით, მხოლოდ ცუდი რეპუტაციის საფუძველზე ვერ განვიკითხავთ ვერც ერთ სასულიერო პირს. მას კონკრეტული შეცოდება, კონკრეტული ცოდვა უნდა ჰქონდეს ჩადენილი.

---

[1] Μητροπολίτου Κίτρους Βαρνάβα, Οἱ βασικοί θεσμοί διοικήσεως τῶν ὀρθοδόξων πατριαρχείων, Ἀθήναι 1972.

შეცოდებები, რომლებიც ძალმოსილებას ანიჭებს ამა თუ იმ საეკლესიო პირის საეკლესიო სასამართლოს წინაშე წარდგინებისათვის, ესაა: ა) არ დაცვა *იმ წინაპირობებისა*, რომლებიც მოეთხოვება მღვდლობის მაღალ მოწოდებას, ბ) მათი დარღვევა ხელთდასხმის შემდეგ, გ) სასულიერო პირთა უფლება-მოვალეობების არასწორად შესრულება და დ) შეუფერებელი და შეუგნებელი მოთხოვნა-პრეტენზიები თავიანთი უფლებების მიმართ.

მაგრამ ამ ზოგადი შეცოდების გარდა არსებობს კიდევ სხვა, უფრო კონკრეტული შეცოდებები, როგორიცაა:

*1) **სიმონია.*** ასე ეწოდება ამას სიმონ მოგვის გამო, რაკი იგი მოციქულთაგან ითხოვდა, ფულით მიეღო საღმრთო მადლი (საქმე მოც. 8,18).

ეკლესიის კანონების თანახმად (VI მსოფლიო კრების 23-ე კან., IV მსოფლიო კრების მე-2 კან. და სხვ.), განკვეთით ისჯება ის, ვინც ქრთამით მიიღო საღმრთო მადლი და ისიც, ვინც გასცა იგი. თუკი ამას ეძიებს საერო პირი, იგი შეჩვენებულ იქნება. ამავე სასჯელს (ანუ, განკანონებას, ანუ განპატიჟებას) ექვემდებარებიან ისინიც, რომლებიც შუამდგომლობენ საღმრთო მადლის ფულით მოხვეჭისათვის.

2) როდესაც ღმრთისმსახურებას ჩაატარებს ესა თუ ის „განკვეთას ან დაყენების" სასჯელს დაქვემდებარებული სასულიერო პირი. განკვეთილ ან დაყენებულ სასულიერო პირს არ შეუძლია ჩაატაროს ღვთისმსახურება. ხოლო თუ იგი მიუხედავად ამისა მაინც ჩაატარებს მას, ისიც და ისინიც, ვინც მას ხელი შეუწყო, მკაცრად ისჯებიან.

3) საკუთარი სამრევლოს გარეთ ღმრთისმსახურება. ამ შეცოდებას დაუშვებენ: ა) იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის ეპისკოპოსი ან მღვდელი ნებართვის გარეშე შემოიჭრება სხვა ეპისკოპოსის საეპისკოპოსო მიდამოებსა ან სამრევლოში და აღასრულებს მსახურებას; ბ) როდესაც ეპისკოპოსი ან მღვდელი იღებს სხვა საეპისკოპოსოს ან სამრევლოს მორწმუნეებს და მათთვის აღასრულებს მსახურებას (მაგ. ხელთდასხმას, ან აკურთხებს ქორწინებას) ადგილობრივი მწყემსმთავრის ინფორმირებისა და ნებართვის გარეშე.

შენიშვნა: აღსარების, საღმრთო ევქარისტიის და ზეთისცხების საიდუმლოთათვის არ მოქმედებს შეზღუდვა, ოღონდ იმ პირობით, რომ ეს „უცხო" მორწმუნეები მიმართავენ ამას საკუთარი ნებით და არა სასულიერო პირის უშუალო მოწოდებისა თუ იძულების გამო.

4) საკუთარი სამრევლოსა თუ საეპისკოპოსოს მიტოვება. აკრძალულია, ეპისკოპოსმა დატოვოს თავისი საეპისკოპო ან მღვდელმა თავისი სამრევლო. მხოლოდ გამოუვალი აუცილებლობისა და ზეგარდამო მოქმედი მიზეზების გამო დაშვებულია, მათ დატოვონ მინდობილი სამწყსო, და ისიც პასუხისმგებლობით აღჭურვლი საკუთარი ეპისკოპოსის ან წმიდა სინოდის ნებართვით.

5) განაწესის (ტიპიკონის) მიმართ უგულისყური დამოკიდებულება. სასულიერო პირებს ევალებათ, სარწმუნოდ აღასრულონ საეკლესიო განაწესი და ეკლესიის დადგენილებანი; როგორც საღმრთო მსახურებების, ასევე – სხვადასხვა წმიდა ნივთების გამოყენებასთან დაკავშირებით.

6) სამწყსო მოვალეობების მიმართ უდიერი დამოკიდებულება. სამრევლო უფლებებს წარმოადგენს: ა) საიდუმლოთა და სხვა წმიდა რიტუალთა აღსრულება; ბ) ქადაგება, საერთოდ, კატეხეტიკა და სწავლება, და კონკრეტულად – ნუგეშინისცემა; გ) ეკლესიის განმგებლობა.

7) აღსარების საიდუმლოს საჯაროდ განცხადება. აღსარების საიდუმლოს საჯაროდ გაუთქმელობას იცავს სახელმწიფოს კანონებიც. მაგალითად, სასულიერო პირი არ არის ვალდებული, განუცხადოს სასამართლოს არაფერი იქიდან, რაც მან აღსარებაში მოისმინა. ხოლო თუ იგი გამამჟღავნებს რაიმეს, ისჯება სახელმწიფო მართლმსაჯულებით დაინტერესებული პირების მოთხოვნის კვალად.

8) საეკლესიო საკუთრების გამოყენება პირადი მიზნებისათვის. ყოველივე ის, რაც ეკუთვნის ეკლესიას, აკრძალულია, სასულიერო პირმა გამოიყენოს საკუთარი სარგებლისათვის. ამის დარღვევას ძირითადად მოსდევს სანქცია არა თუ მხოლოდ საეკლესიო განმგებლობისაგან, არამედ სახელმწიფოსგანაც (შდრ. მოციქულთა 72-ე და 73-ე კან.).

9) წმიდა კანონთა და საეკლესიო წეს-ჩვეულებათა მითვისება (უზურპაცია).

10) საეკლესიო განმგებლობის მისაკუთრება. სასულიერო პირს ეკრძალება გაითავისოს უფლება-მოვალეობები, რომლებიც განეკუთვნება საეკლესიო წოდებათა მასზე მაღალ საფეხურს.

11) ფრაქციული დაჯგუფებები და შეთქმულებები („თანამოფიცარობა”), ანუ შეთქმულებით დაპირისპირება საკუთარი საეკლესიო განმგებლობის წინააღმდეგ (მოციქულთა 31-ე, IV მსოფლ. კრების მე-18 და V-VI მსოფლ. კრების 34-ე კან.).

12) თანამლოცველობა სხვა სარწმუნოების, სხვა აღმსარებლობის ან სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან. თანამლოცველობა აღსრულდება ან მართლმადიდებელი სასულიერო პირების უცხოაღმსარებელთა ამა თუ იმ თავყრილობაზე, ან სხვა აღმსარებლობის პირთა სახლში ან სხვა აღმსარებლობის პირთა მართლმადიდებელ ეკლესიასა თუ მართლმადიდებლის სახლში მოწვევის შედეგად (შდრ. მოციქულთა მე-10, 45-ე და 64-ე კან.).

13) მწვალებელთა ღვთისმსახურების შეწყვარება. სასულიერო პირები, რომლებიც იწყნარებენ და უფლებამოსილად სცნობენ მწვალებლების საიდუმლოს (მაგ. ნათლისღებას ან საღმრთო ევქარისტიას), განიკვეთებიან წმიდათა მოციქულთა 45-ე და 46-ე კანონების თანახმად.

4. *საეკლესიო მართლმსაჯულება (პროცესი)*

მართლმსაჯულების, ანუ სამართლის წარმოება ეწოდება იმ დადგენილებათა ერთობლიობას, რომლებიც აწესრიგებენ სასამართლოზე მართლმსაჯულების წესებს. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ საეკლესიო მართლმსაჯულება თავიდანვე იყო უბრალო, სადა და ელემენტარული, რადგან საეკლესიო სამართალს საფუძვლად უდევს სიყვარულის მცნება. ამის გამო მკაცრი და პედანტური არ არის პროცედურული წესები, არამედ, ესაა უბრალოდ სამსჯავროზე წარდგენილთა განსჯის კანონიკური პროცედურა. მისი მიზანია, დაიცვას ბრალდებული შემთხვევითი თვითგანკითხვისა და უსამართლოებისგანაც, ხოლო საეკლესიო ორგანო — შემთხვევით აღმოცენებული ეჭვებისაგან, მაგ. რომ იგი, სდევნის ამა თუ იმ საეკლესიო მოსაზრებით თავის სასულიერო პირს. მთელი საეკლესიო მართლმსაჯულების წარმოება იყოფა შემდეგ სტადიებად: სასამართლოს წინარე, ძირითადი პროცედურა და სასამართლო დადგენილებების აღსრულება.

5. *სასამართლოს წინასწარი სამართლწარმოება*

I. საქმის გახსნა, დასაწყისი

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საეკლესიო სამსჯავროს არ ახასიათებს სიძველის ცნება დანაშაულის ჩადენიდან გარკვეული დროის გასვლასთან დაკავშირებით.[2] მართლმსაჯულების დასაწყისი აღინიშნება: 1) იმ უწყების სახით, რომელსაც უგზავნის შეცდომილ სასულიერო პირს მეორე სასულიერო ან საერო პირი, 2) საეკლესიო შეცოდების ჩამდენი სასულიერო პირის პირადი განაცხადის, ანუ აღსარების სახით, 3) იმ ეპისკოპოსის პირადი თაოსნობით, რომელიც იწვევს შეცდომილ სასულიერო პირს თავის გასამართლებლად.

ყველანაირი წარდგინების ყოველგვარი მაუწყებელი წერილობითი საბუთი საეკლესიო სასამართლოს წინაშე პროცესის დაწყებისათვის ეგზავნება ბრალდებულს ან სამღვდელო პირთა ან საეკლესიო განმგებლობის მაუწყებლის მიერ. თუკი ბრალდებული არ არის სახლში და მასთან ერთად მაცხოვრებელნი თუ ნათესავნი უარს აცხადებენ, გადასცენ წარსადგენი უწყება, ანუ ბრალდების მაუწყებელი ბარათი, ორი მოწმის თანდასწრებით მას მიაკრავენ ბრალდებულის სახლის კარს. როდესაც ბრალდებულის გამოცხადების ვადა უცნობია, მაშინ წარსადგენი უწყების შინაარსი ორჯერ საჯაროდ იქნება ნაუწყები ეკლესიის მასობრივი ინფორმაციის ორგანოს მეშვეობით.

II. საჩივრები, ბრალმდებელის განაცხადი — ბრალმდებლები. მოწმეები.

ბრალმდებელი გადასცემს ბრალდების განაცხადს შესაბამის საეკლესიო კომპეტენციას. ანონიმური განაცხადები ყურად არ მიიღება. ყოველი განაცხადი

[2] შდრ. Ἱερωνύμου Κοτσώνη, Σημειώσεις Καν. Δικαίου, τόμ. Β΄. σελ. 157.

უნდა იყოს ხელმოწერილი და დათარიღებული (რიცხვი, თვე, წელი). ბრალდებები უნდა იყოს დასაბუთებული. უსაფუძვლო მითქმა-მოთქმის, ხმების გავრცელება ვერ გამოდგება სასულიერო პირის სასჯელის საფუძვლად (შდრ. I ტიმ. 5,19 და თეოფილეს მე-6 კანონი). ქრისტიანობის გავრცელების პირველ წლებში ბრალმდებელს ბრალდების განაცხადის შემოტანასთან ერთად მართებდა წერილობით დადასტურებინა, რომ: თუ საქმით იგი ვერ წარმოაჩენდა იმას, რასაც განაცხადით აუწყებდა, კანონიკური განმგებლობისგან მიიღებდა ბრალდებულისადმი განკუთვნილის ტოლფას სასჯელს (II მსოფლიო კრების მე-6 კანონი). კართაგენის მე-19-ე კანონის მიხედვით ეპიტიმია (განპატიჟება, განკანონება) განეკუთვნება მას, ვინც ჯერ შემოიტანა საჩივარი განაცხადი, შემდეგ კი გამოიტანა და უარყო იგი. სასულიერო პირთა წინააღმდეგ ვერ გამოიტანენ საჩივარს, არამედ გამორიცხულიცაა: 1) მათგან, ვინც არ მიემართება ეკლესიას კანონიკური ურთიერთობით (II მსოფლ. კრების მე-6 კანონი), 2) მწვალებლები, სქიზმით დაპირისპირებულები და ეკლესიიდან გამოყოფილნი, 3) წარმართები, განსხვავებული ღმრთისმ-სახურების წარმომადგენლები და იუდეველები (კართაგების 128-ე კან.), 4) მათგან, რომელნიც არიან მსჯავრდებულნი. 5) ვინც დაკარგა სამოქალაქო უფლება, 6) საერთოდ, ცილდაწამებული პირები და ისინი, ვინც მისდევს არასაპატიო საქმიანობას, როგორიცაა ასევე ორთაბრძოლაში მონაწილენი, მხეცებთან ასპარეზში მონაწილენი და ა. შ. (კართაგენის 129-ე. კან.). 7) ვინც პირველად მიმართავს სამოქალაქო პირებს ან საერო სასამართლოს და არა შესაბამის საეკლესიო ორგანოს (II მსოფლ. კრების მე-6 კანონი). ისინი გამორიცხულნი არიან არა მხოლოდ, როგორც ბრალმდებლები, არამედ, როგორც მოწმეებიც. 8) ცხადია, ბრალმდებლებადაც და მოწმეებადაც გამორიცხულია არასრულწლოვანებიც, ისევე, როგორც სულიერად ავადმყოფები (გარდა იმათი, ვინც სასამართლოზე განხილული კანონიკური შეცოდების შედეგად დაზარალდა). 9) გამორიცხულია ასევე სისხლით ახლო ნათესავები ან ბრალმდებლისა ან ბრალდებულის ახლობლები, 10) აღმსარებელი სასულიერო პირები, ადვოკატები, ექიმები, მეანები და ისინი, ვინც მოვალენი არიან დაიცვან პროფესიული საიდუმლოება. სხვა მხრივ, ბრალდებულის გამართლებას (გასამართლებელ სიტყვას, საბუთს) არა აქვს დამასაბუთებელი ძალმოსილება.

III. გამოძიება (დაკითხვა)

განცხადების შემოტანის შემდეგ, ან იმთავითვე ამა თუ იმ ეპისკოპოსის მიერ ამა თუ იმ სასულიერო პირისადმი წამოყენებული საჩივრის შედეგად, წარმოებს გამოძიება. გამოძიებას ეპისკოპოსი ავალებს რომელიმე განათლებულ სასულიერო პირს. თუკი ბრალდებული მღვდელმთავარია, წმიდა სინოდი გამოსაძიებლად კვლავაც მღვდელმთავარს ადგენს. როდესაც ბრალდება

წმიდა სინოდის თავმჯდომარისა და წევრების საწინააღმდეგოდ მოქცევა, კენჭისყრით პირველად შედგება ხუთწევრიანი კომიტეტი — არა სინოდის შემადგენელი მღვდელმთავრებისაგან, რომლებიც დაადგენენ ბრალდების სიმძიმის ხარისხსა და განსაზღვრავენ გამომძიებლის მოქმედებას. გამომძიებელი მიმდევრობით იძახებს ბრალდებისა და დაცვის მოწმეებს, რომლებსაც აირჩევენ დაინტერესებული პირები და რასაც არ აბრკოლებს კანონი. უკანასკნელად გამოიკითხავენ ბრალდებულს. გამოკითხვა ყოველთვის წარმოებს აგრეთვე ერთი მდივნის თანდასწრებით. როცა ბრალდებული მღვდელმთავარია, ყოველ ნაირი აზრთა სხვადასხვაობა მოწესრიგდება ადგილობრივი ეპისკოპოსისა ან წმიდა სინოდის თაოსნობით. როცა დასრულ-დება საქმის წინასწარი შესწავლის, წინასწარი გამოკითხვის პროცედურა, გამომძიებელი წერილობით ადგენს დასკვნას და ერთიანი ოქმის ანუ „საქმის“ სახით წარმოუდგენს შესაბამის საეკლესიო სამსჯავროს.

წინასწარი საქმეთა წარმოების აღნიშნულ საფეხურზე ადგილობრივ ეპისკოპოსს ან წმიდა სინოდს შეუძლია დროებით დააყენოს მსახურებისგან ბრალდებული სასულიერო პირი: 1) თუკი ბრალდებულის შეცოდებისთვის საერთო სისხლის სამართლის მიერ დადგენილია წინასწარი პატიმრობა და 2) თუკი ბრალდებულის შეცოდება შეურაცხყოფს საზოგადოებას, მაშინ იგი ისჯება განკვეთით.

6. ძირითადი სამართლწარმოება

უპირველეს ყოვლისა, დადგინდება საქმის გარჩევის დღე. დადგენილი ვადისთვის კომპეტენციის შესაბამისად საქმის განსახილველად იწვევენ სამსჯავროს წინაშე ბრალდებულ სასულიერო პირს. არავისთვის არ გამოაქვთ განაჩენი დაუსწრებლად და გასამართლებელი სიტყვის გარეშე. თუკი ბრალდებული არ წარდგება სასამართლოს წინაშე, პროცედურა გადაიდება და ბრალდებულს იწვევენ ხელახლა. ეს შეიძლება განმეორდეს სამჯერ. თუკი მესამე მოწვევის შემდეგაც არ გამოჩნდა ბრალდებული, მაშინ მისი საქმე განიხილება და გამოიტანება „დაუსწრებლად“ (მოციქულთა 74-ე კანონი და სხვ.). იგულისხმება, რომ პირადად ბრალდებულის დასწრებაც აუცილებელია. ასევე, კანონით სავალდებულოა, დაესწრონ მღვდელმთავრები, როგორც მოსამართლეები, მათი დაუსწრებლობა დასაბუთებული ახსნა-განმარტებების გარეშე ექვემდებარება მათთვის განკუთვნილ შესაბამის სასჯელს „განპატიჟებას“. იგივე ხდება მოწმეების მიმართაც.

ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს, რომ სინოდური სასამართლოდან გამორიცხონ ის მოსამართლეები, რომლებიც მიკერძოებასა ან მტრულ დამოკიდებულებაში არიან ეჭვმიტანილთან. ბრალდებულს მოსამართლის შეცვლა შეუძლია მოითხოვოს იმ შემთხვევაში, თუკი მოსამართლე არის

დაზარალებულის ნათესავი, მით უმეტეს თუკი თავად იგი არის დაზარალებული. იგივე შეიძლება მოხდეს, თუკი მოსამართლე უკვე მოწვეული იყო, როგორც მოწმე. დასასრულ, სინოდური სასამართლოდან გამოირიცხება ეპისკოპოსი, რომელმაც ბრალდებულ სასულიერო პირს *პირველ საფეხურზე* (ინსტანციაზე) საქმის სასამართლო განხილვის დროს საეპისკოპოსო სასამართლოზე გამოუტანა ბრალდებულს განაჩენი. თავისთავად ცხადია, რომ მოსამართლე ეპისკოპოსის შეცვლის მოთხოვნა არ შეიძლება წამოყენებულ იქნას საეპისკოპოსო სამსჯავროზე. სინოდური სამსჯავროდან ასევე ვერ მოითხოვენ, რომ გამორიცხოს იმდენი წევრი, რომ ვერ შედგეს სასამართლო. დანარჩენი ნამდვილი და სათადარიგო წევრებისაგან გამონაკლისი დაიშვება ან უარიყოფა იმ ორგანოს მიერ, რომელსაც განეკუთვნება შესაცვლელი მოსამართლე; მაგრამ ეს წარმოებს იმ წევრთა გამოკლებით, რომლებიც მოითხოვენ, რომ გამორიცხოს მოსამართლე. არის ასევე შემთხვევა თვითგამორიცხვისა, ანუ შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის მოსამართლე გრძნობებისადმი ადვილად აყოლის გამო მოითხოვს თავისი თავის გამორიცხვას სასამართლოს შემადგენლობისაგან.

საეკლესიო სასამართლოში პროცესი, ჩვეულებრივ, მიმდინარეობს „ჩაკეტილი კარის მიღმა". მაგრამ მთელი პროცედურისთვის წარმოებს დაწვრილებითი ოქმები, რომლებსაც ხელს აწერს სასამართლოს თავმჯდომარე და მდივანი. ბრალდებული, ჩვეულებრივ, წარდგება ერთ სასულიერო პირთან — დამცველთან ერთად, ან მოითხოვს ერთ სასულიერო პირს — დამცველს სასამართლოს თავმჯდომარესაგან. კითხვაზე — რამდენად მართებს ამა თუ იმ საეკლესიო სამსჯავროს, განაჩენი გამოუტანოს იმ შეცოდებას, რომლისგან მომდინარე სასჯელი არ თანხვდება აღნიშნული სამსჯავროს უფლებამოსილებას, ჩვეულებრივ გაიცემა ასეთი პასუხი: რამდენადაც აღნიშნული სამსჯავრო აუცილებლობით განიხილავს ამა თუ იმ საქმეს და დაასკვნის, რომ გათვალისწინებული სასჯელი აღემატება მის უფლებამოსილებას, საჭიროა უპირველეს ყოვლისა გადაეგზავნოს მთელი საქმე უმაღლესი სასამართლოს შესაბამის საქმეთწარმოებას და იგი გადაწყვეტს შესაბამისად.[3]

სასამართლო პროცედურის დასრულება

სასამართლო პროცესი დასრულდება ან პროცედურაში მონაწილეთა დადგენილების კვალად, ან ზოგადად გამოტანილი განაჩენით. განაჩენი გამოიტანება სამსჯავროზე დამსწრე წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით, რამდენადაც მოსამართლეები ხმათა თანაბარი რაოდენობით გამოირჩევიან. ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში უპირატესია ბრალმდებლის სასარგებლოდ გაცემული ხმა. რამდენადაც სამსჯავროს წევრებია ეპისკოპოსი

[3] Μελετίου Σακελλαροπούλου, Ἐκκλησιαστικόν Δίκαιον, σελ. 401.

და მღვდლები, „ხუცესები“ ანუ დეკანოზები (საეპისკოპოსო სამსჯავრო), ანუ ხარისხით არა თანაბარნი. განაჩენი გამოაქვს მხოლოდ ეპისკოპოსს.

განაჩენი დადგინდება წერილობით და მას ხელს აწერენ მოსამართლეები, ვინც პროცესში მიიღო მონაწილეობა. დადგენილებისათვის მოხმობილ უნდა იყოს წმიდა კანონებიც, რომლებსაც ეყრდნობოდა სასამართლო განაჩენის გამოტანის დროს.

განაჩენი ეუწყება ბრალდებულს „დასაბუთებისათვის“, რათა გარკვეული ვადისთვის, ბრალდებულს შეეძლოს გასაჩივროს განაჩენი. მხოლოდ მსოფლიო კრების განაჩენებია საბოლოო და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

7. სასულიერო პირთა სასჯელი (=„განკანონება“)

სასჯელი, ანუ „განპატიჟებანი“, „განკითხვანი“ ან „განკანონებანი“, რომლებსაც ექვემდებარებიან სასულიერო პირები ზემოთჩამოთვლილი შეცოდებების გამო, ესაა:

1) მეთვალყურეობის დაწესება ხორციელდება ძირითადად ეპისკოპოსის მიერ. ესაა ყველაზე მსუბუქი სასჯელთა შორის. მაგრამ ამასთანავე ეს სასჯელი, თუკი მას ითვალისწინებს კეთილსინდისიერი სასულიერო პირი, — მნიშვნელოვანია.

2) საყვედური — ცხადდება საეკლესიო სასამართლოს წინაშე; შესაბამისად, იგი საჯარო სასჯელადაა მიჩნეული. თუკი საყვედურის შედეგად მოჰყვება შეცდომილი სასულიერო პირის გამოსწორება, მას აღარ განუცხადდება სხვა სასჯელი. მაგრამ სასულიერო პირის უგულისყურობის შემთხვევაში გათვალისწინებულია უმეტესი სასჯელი. იგი აღინუსხება სასჯელთა შორის კატალოგში, ისევე, როგორც სასულიერო პირის პირად საქმეში.

3) წოდებისა თუ თანამდებობის ჩამორთმევა — „დაცხრომა“ წოდება-თანამდებობისაგან. ამ სასჯელით დადგენილი განაჩენის შედეგად სასულიერო პირს ჩამოერთმევა ის ღირსება თუ თანამდებობა, რაც ჰქონდა მინიჭებული (დეკანაზობა, იკონომოსობა, არქიმანდრიტის წოდება და ა. შ.). როცა ღირსება არაა მინიჭებული საეკლესიო დადგინებით, არამედ ეს არის უბრალოდ ადმინისტაციული თანამდებობა, სასულიერო პირს იგი ჩამოერთმევა ყოველ-გვარი საეკლესიო პროცედურის გარეშე და ეს მას სასჯელად ეთვლება.

4) უპირატესობის უფლების ჩამორთმევა. სასულიერო პირები ერთსა და იმავე წოდებით ერთი მეორეს მისდევს უპირატესობის წესით. შესაბამისად, ამა თუ იმ შეცოდებისთვის დასჯილმა სასულიერო პირმა შეიძლება დაკარგოს უპირატესობის, ანუ პირველობის რიგი, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქიროტონიის პირველობა. და იგი შეიძლება მოთავსდეს უკანასკნელ რიგში თანაბარი ხარისხის სასულიერო პირთა შორის.

5) აკრძალვა უფრო მაღალ საფეხურზე ამაღლებისა. მაგ. ბასილი დიდის 69-ე კანონის თანახმად „წიგნის მკითხველი“ (მედავითნე), რომელმაც დაიჭირა ხორციელი ურთიერთობა თავის დანიშნულთან („დაწინდებულსა თუსსა“), არ აღმაღლდება

უფრო მაღალ სასულიერო წოდებად. ეს სასჯელი განსაზღვრულია დაბალი ხარისხის სასულიერო პირებისათვის (მედავითნე, იპოდიაკონი) და არ მიმართება სასულიერო პირებს, რომელთაც მიღებული აქვთ კანონიკური ქიროტონია.

6) ფულადი ჯარიმები („საპატიჟო“). VII მსოფლიო კრების მე-6 კანონი წარმოადგენს გარკვეულ საფუძველს სასულიერო პირისადმი ფულადი თუ მატერიალური ჯარიმებისადმი. ფულადი ჯარიმა ვერ გადააჭარბებს განსაზღვრულ ზღვარს. ბევრ შემთხვევაში იგი კომბინირებულია სხვა საეკლესიო სასჯელთან.

7) დაქვეითება („გარდადგინება“). ამ სასჯელს დაქვემდებარებული სასულიერო პირი ვალდებულია, შეასრულოს მოვალეობა იმ წოდებისა, რომელსაც განაჩენის გამოტანამდე აღასრულებდა. თუმცა ეს სასჯელი, როგორც ჩანს, არაა გაზიარებული IV მსოფლიო კრების 29-ე კანონით. რაკი იგი კონკრეტულად აცხადებს: „ხოლო გარდაიდგინეს... და შემდგომად ეპისკოპოსობისა ხუცადვე ყოფაჲ ებრძანა, რაჲთა ჯერ-უჩნდეს წმიდასა კრებასა. სავარაუდოა, ერთი რამ, რაც დაშვებულია V-VI მსოფლიო კრების მე-20 კანონით, ესაა შესაძლებლობა, აღასრულებდეს უფრო დაბალი წოდების მოვალეობებს, მაგრამ არა უმაღლესი წოდებიდან „გარდადგინებით“, ან სასულიერო პირის უფრო დაბალ წოდებად დაქვეითებით.

8) დაყენება. ანუ „დაცადება“ — არის სხვადასხვა ხასიათისა და სხვადასხვა სახისა: სასჯელს დაქვემდებარებული სასულიერო პირი არაა დაყენებული თავისი სასულიერო ხარისხიდან, მაგრამ კარგავს უფლებას, აღასრულოს ღმრთის-მსახურება და მისი ხარისხისათვის განკუთვნილი ყველა მოვალეობა. დაყენების სასჯელი შეიძლება გამოტანილ იქნას სამსჯავროს გარეშეც, როცა საქმე მორწმუნეთა შეურაცხყოფას უკავშირდება. დაყენება არის სამი სახის: ა) დაყენება მხოლოდ განსაზღვრული სახის ღმრთისმსახურებისაგან, ბ) დაყენება ყველანაირი ღმრთისმსახურებისაგან გარკვეული დროით, ძველ ხარისხად კვლავ აღდგენის უფლებით ან მის გარეშე და გ) დაყენება მთელი ცხოვრების მანძილზე. დაყენების ძალმოსილება არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ საეპისკოპოსოს საზღვრებით, რომელსაც განეკუთვნება სასულიერო პირი, არამედ — ძირითადად მთელი ეკლესიის მასშტაბით. დაყენების სასჯელს დაქვემდებარებული სასულიერო პირის მიერ ღმრთისმსახურების აღსრულება არავითარ შემთხვევაში არ დაიყვანება მისი უფლებამოსილების გაუქმებამდე, მაგრამ მისი დაუმორჩილებლობა უფრო მძიმე განაჩენს გამოიწვევს.

9) ფიზიკურად გადაადგილების შეზღუდვა — სხვადასხვაგვარია შემთხვევებისა და ვითარების შესაბამისად. მაგალითად, დაოჯახებული მღვდლისთვის გათვალისწინებულია შეზღუდვა სახლის ფარგლებში, დაუოჯახებლისთვის — განმარტოება თავის მონასტერსა ან საგანგებოდ ამისთვის განკუთვნილ ადგილას.

10) გადაყვანის სასჯელით ეპისკოპოსი ან მღვდელი ისჯება ერთი საეპისკოპოსოსა თუ სამრევლოდან მეორე — უფრო მცირე და უმნიშვნელოზე

გადაყვანით. თუმცა ეს სასჯელი, როგორც ჩანს, არ ეთანხმება წმიდა კანონებს. რადგან გადაყვანით ეკლესიის სავსება ითრგუნება.

11) ტახტისაგან ჩამოშორება („დაცხრომა მღვდლობისაგან") განწესებულია ეპისკოპოსისათვის. ამ სასჯელით მსჯავრდებულ ეპისკოპოსს აღეკვეთება საეპისკოპოსოს პერიფერია და მოქმედი იერარქის წოდება და ენიჭება წოდება „ყოფილი". ცხადია, მას კვლავაც ექნება ეპისკოპოსის ხარისხი, მაგრამ ვერ აღასრულებს ვერავითარ ღმრთისმსახურებას ადგილობრივი ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე.

12) უზიარებლობა, ანუ საეკლესიო ზიარების აღკვეთა. ამ სასჯელს დაქვემდებარებული ეპისკოპოსებისათვის გამორიცხულია ევქარისტიული, ანუ ზიარებით ურთიერთობა სხვა ეპიკოპოსებთან. ამის გამო დასჯილი ეპიკოპოსი არ მიიღება არც საეპარქიო თუ უფრო ზოგადი სახის საეკლესიო კრებებზე. შეცდომილი ეპიკოპოსის მონანიებისთანავე სასჯელი იხსნება.

13) განკვეთა, „განდევნა ხარისხისაგან" ამ სასჯელით სასულიერო პირთა წოდებიდან საერო წოდებაზე დაიყვანება. მღვდლობისაგან განკვეთის სავჯელს ექვემდებარება ნებისმიერი წოდების სასულიერო პირი. განკვეთილი სასულიერო პირი ვერ აღასრულებს ვერავითარ სამღვდელმსახურო საქმეს. განკვეთილი სასულიერო პირის მიერ მღვდელმსახურების აღსრულება, გარდა იმისა, რომ სასულიერო თვალსაზრისით იგი ექვემდებარება დამატებით დამსჯელობით ფორმებს, ჩვეულებრივ, იგი სამოქალაქო დამსჯელ ზომებთანაცაა დაკავშირებული, რამდენადაც დამნაშავის მიმართ მოქმედებს ხელისუფლების მითვისების კანონი.

განკვეთის სასჯელს უკავშირდება „წარხოცვის" ანუ მღვდლად ყოფნა-არყოფნის საკითხი. კანონის მრავალ მცოდნეს მიაჩნია, რომ მღვდლობა არ არის წარუხოცველი ხასიათისა, და, შესაბამისად, განკვეთა წარხოცავს მღვდლობის ნიჭსაც (მადლს). სხვების აზრით კი, რაკი მღვდლობის მადლს ანიჭებს ღმერთი, ადამიანს არ ძალუძს მისი წარხოცვა, შესაბამისად, იგი წარუხოცველია. მართლმადიდებელ ეკლესიას არ გამოუტანია ოფიციალურად აზრი ამ საკითხის თაობაზე. მაგრამ შეიძლება აქ დავიმოწმოთ უფლის სიტყვები: „რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა" (მათე 18,18). მაშასადამე, თუკი ეკლესია უკრძალავს ამა თუ იმ სასულიერო პირს ღმრთისმსახურებას, იგი მას „შეჰკრავს" ეკლესიის წევრთა მიმართ და წინაშე უფლისა და მღვდელი მოკლებულია ნიჭსა და უნარს, რათა გადასცეს საღმრთო მადლი მორწმუნეებს.

ამრიგად, განკვეთა, თუ შეიძლება ასე ითქვას, არის მღვდლობის მადლის მოქმედების წარხოცვა. მაშასადამე, განკვეთა უმოქმედოს ხდის ღმრთიურ მადლს. ამის გამო საიდუმლონიც, რომელთაც აღასრულებს განკვეთილი სასულიერო პირი, ძალმოსილებას მოკლებულია და ითვლება აღუსრულებლად.

და რაკი განკვეთა არის სწორედ მღვდლობის მადლის წარხოცვა და არა მისი განყენება, მოკლება, ამიტომ ახალმა სასამართლომ კვლავაც თუ გაამართლა განკვეთილი სასულიერო პირი, იგი ახალი ხელთდების გარეშე უბრუნდება სამღვდელო წოდებას.

შენიშვნა: ზემოთხსენებულის გარდა არსებობს კიდევ დიდი დაყენების, ანუ შეჩვენების, ანათემის სასჯელი, ასევე, საეკლესიო წესისაგების გარეშე დაკრძალვის სასჯელი. მაგრამ ვინაიდან ეს სასჯელი აღნიშნულია ამა თუ იმ პირის მიმართ ეკლესიის სხეულიდან მოკვეთის ბეჭდით, ვიტყვით, რომ ეს არის სასჯელი, ესაა ეკლესიის დასტურმყოფელი ქმედებანი. ამ სასჯელთა შესახებ ქვემოთ ვიტყვით სიტყვას.

8. სასჯელის სისრულეში მოყვანა

I. დადგენილებათა ძალმოსილება („ხელმწიფება“)

სასამართლო დადგენილება ძალმოსილია გამოქვეყნებისთანავე. მხოლოდ ორ შემთხვევაში გადაიდება მისი აღსრულება: 1) როდესაც მსჯავდებული მიმართავს გასაჩივრების კანონიკურ წესს, ანუ, როდესაც იგი ასაჩივრებს სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს ამავე სასამართლოს წინაშე ამა თუ იმ პროცედურული დარღვევების გამო და 2) როცა მიმართავენ გასაჩივრების უფლებას ანუ, როცა, მსჯავრდებულის აზრით, გამოტანილი სასჯელი ჯეროვანზე უფრო მკაცრია და იგი აგზავნის ზემოხსენებულ დადგენილებას უშუალოდ ზემდგომ საეკლესიო სასამართლოს. თუკი მსჯავრდებული მიიჩნევს, რომ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი ჯეროვანზე უფრო მკაცრია მას შემოაქვს მის წინააღმდეგ გამოტანილი დადგენილება ზემდგომ საეკლესიო სასამართლოზე. სასამართლო ვალდებულია, განიხილოს და ხელახლა შეისწავლოს მთელი საქმე. IV მსოფლიო საეკლესიო კრების მე-9 კანონის თანახმად, ნებისმიერ სასულიერო პირს აქვს უფლება, გაასაჩივროს ესა თუ ის დადგენილება უფრო ზემდგომი საეკლესიო სასამარ-თლოს, მაგრამ არა სამოქალაქოს, წინაშე.

სასჯელი, რომელსაც ადგენს ეკლესია, ძალმოსილია სახელმწიფოს თანხმობის გარეშეც, ანუ იმსახურებს თუ არა სახელმწიფოს მოწონებას განკვეთის სასჯელი, სასჯელი მაინც ძალმოსილია და საეკლესიო წესითაა განკვეთილი. სახელმწიფოს თანხმობას ჯერი ენიჭება, როდესაც სასულიერო პირი არ ემორჩილება საეკლესიო სასამართლოს. მაშინ შეიძლება ჩაერიოს სახელმწიფო და თავისი სახელმწიფო ორგანოებით სისრულეში მოიყვანოს იგი. ცხადია, სასჯელის ძალმოსილება და აღსრულება ეკლესიის სავსებაზეცაა დამოკიდებული — თუკი ეკლესიის წევრებს აქვს განვითარებული რელიგიური და საეკლესიო აზროვნების წესი და აქვს იმის ძალაც, რომ აიძულონ მსჯავრგამოტანილი სასულიერო პირი დაექვემდებაროს სასამართლოს დადგენილებას სახელმწიფოს ჩარევის გარეშე.

II. ვადა სასჯელის დასაწყისისა და დასასრულისათვის

ვადები, მინიჭებული გასაჩივრების შესატანად, ისევე, როგორც თავად შემოტანილი გასაჩივრება, აყოვნებენ გამოტანილი სასჯელის აღსრულებას — გარდა ისეთისა, რომელიც ადგენს ამა თუ იმ საეკლესიო წესის შესრულებისაგან დაყენებას. იგივეა უზიარებლობის სასჯელთან დაკავშირებითაც, რაკი იგი უნდა მოიხადოს ამ დამნაშავემ იქამდე, ვიდრე გამოქვეყნდება უმაღლესი საეკლესიო სასამართლოს დადგენილება (I მსოფლიო კრების მე-5 და სარდიკიას მე-14 კანონები). სასჯელის დასაწყისი ვადა შეიძლება გადაიდოს კიდეც დამნაშავის მძიმე ავადმყოფობის გამო. საეკლესიო სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელის დასასრული დაიყვანება შემდეგზე:

1) თავისთავადი, ანუ, როცა მთავრდება დადგენილი სასჯელის ვადა.

2) ბუნებრივი, მსჯავრდებულის სიკვდილისთანავე. გამონაკლისი დაშვებულია დიდი დაყენების სასჯელისათვის, რომელიც სიკვდილის შემდეგაც გრძელდება.

3) შესაბამისი სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელის გადასინჯვის და შეცვლის შემდეგ.

4) თუკი მომდევნო ხანის კანონიკური განკარგულება ან ოქმი ხასიათდება, როგორც უკან გამოხმობილი (წყვეტს დამსჯელობით ძალმოსილებას).

5) შეწყალების მინიჭების შედეგად. ესე იგი შეწყალების მინიჭებისათვის დამნაშავე სასულიერო პირის დარღვევა უნდა იყოს ისეთი, რომლის შედეგად განკანონება არ აბრკოლებდეს მას მღვდლობისაგან.

თუკი შეწყალება ენიჭება ეპისკოპოსს, რომელსაც მსჯავრი გამოუტანეს ფორმალურად და სახელმწიფოსაგან, მაშინ შეწყალების მინიჭებისათვის მას ესაჭიროება სახელმწიფოსგანაც ფორმალური თანხმობა. ეს თანხმობა არ ნიშნავს, რომ დამნაშავეს შეწყალება ენიჭება სახელმწიფოსაგან, მაგრამ იგი ეკლესიისა და სახელმწიფოსგან გამომდინარეობს (მაგ. ხელფასის გაცემა და ა.შ.). შეწყალების მინიჭებისათვის აუცილებელი წინაპირობაა დასჯილის გულახდილი სინანული და მისი წერილობითი პირობა, რომ იგი აღარ გაიმეორებს იმ საქმეს, რის გამოც დაისაჯა (შდრ. I მსოფლიო კრების მე-8 კან.). შეწყალების მინიჭებისათვის პასუხისმგებლობით აღჭურვილი ორგანო არის ის, რომელმაც გამოუტანა დამნაშავეს განაჩენი, ან ის, რომელმაც მოუხსნა იგი (მაგ. სიკვდილის შემდეგ), ან დამნაშავე სასულიერო პირზე იერარქიულად ზემდგომი ორგანო (შდრ. მოციქულთა 32-ე კან.). ზემოხსენებული მიზეზის გამო სასჯელის მოხსნა მიმდინარეობს ყველანაირი საგანგებო პროცედურის გარეშე.

შენიშვნა: საეკლესიო მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ ყველა საგანგებო საკითხსა და პრობლემას განიხილავს კანონიკური ანუ საეკლესიო სამართლის საგანგებო თავი.

თავი მეშვიდე

საეკლესიო საკუთრება („საჭმარი“)

1. საეკლესიო ნივთები („საქონელი“)

თავისი საქმის კეთილად და შედეგიანად აღსრულებისათვის ეკლესიას სჭირდება გარკვეული ადგილები, ნივთები (=სახმარი საქონელი) და ზოგადად, გარკვეული ნივთები. ესენი წარმოადგენენ „საეკლესიო ქონებას“ (ანტიოქიის 25-ე კანონი), ანუ „საეკლესიო ნივთებს“ („სახმარს“ წმიდათა მოციქულთა 38-ე კანონი და სხვ.). შესაბამისად მიზნისა, რისთვისაცაა განკუთვნილი და რასაც ემსახურება აღნიშნული ნივთები, განირჩევა საღმრთისმსახურო (საღმრთო, საღმრთისმსახურო დანიშნულების და სხვა საეკლესიო ნივთები.

I) საღმრთისმსახურო ეწოდება იმ ნივთებს, რომლებსაც იყენებენ მხოლოდდამხოლოდ ღმრთისმსახურების დროს. საღმრთისმსახურო ნივთები დაიყოფა: 1) ეპისკოპოსის მიერ საგანგებო მსახურებით და წმიდა ზეთით ნაკურთხი ნაგებობანი, ასევე წმიდა ნივთები (მაგ. წმიდა ტრაპეზი და ოდიკი). და 2) მღვდლის მიერ ნაკურთხი ნივთები, წმიდა ტაძარში მათი შემოტანითა და განთავსებით განწმენდილი ნივთები (ასეთია, მაგ. საღმრთისმსახურო ნივთები, ლიტურგიკული წიგნები, შესამოსელი და სხვ.).

ნაკურთხი ნივთები, რომელთა შორის არის მატერიალური ფასეულობანი ან ხელოვნების ნიმუშებიც, წარმოადგენენ საეკლესიო საკუთრების ამა თუ იმ სახეობას, მაგრამ იმის გამო, რომ და ასევე იმ მიზნის გამო, რასაც ემსახურებიან, მათ მიიჩნევენ საღმთისმსახურო საგნებად და ისინი გაყიდვას არ ექვემდებარებიან. ასევე, არ შეიძლება მათი გადაკეთებაც.

II) საეკლესიო სახმარი ნივთები ეწოდება ყველა სახის საეკლესიო „საჭმარს“ საქონელს, ნივთს, მოძრავსა (მაგ. ავეჯი) და უძრავს (მაგ. სახლები, მიწის ნაკვეთები), რომლებიც განკუთვნილია ეკლესიის მიზანთა აღსრულებისათვის, ანუ ღმრთისმსახურების ხარჯთა შედგენისა და დაფარვისათვის, სასულიერო პირთა სარჩენად, საღმრთისმსახურო სახმარ ნივთთა საყიდლად და ღმრთისმსახურების ჰუმანური საქმის აღსრულებისათვის. მათ ეწოდებათ აგრეთვე წმიდა, ნაკურთხი, იმიტომ, რომ საეკლესიო მიზნისათვის არიან განკუთვნილნი. მათ ასევე ეწოდებათ საუფლოც, რაკი ისინი უფლისთვის არიან შეწირულნი (მოციქულთა მე-40 და ანკერიის მე-15 კანონები). ესენი არსებითად წარმოადგენენ საეკლესიო საკუთრებას ჩვეულებრივი, საერო გაგებით. ისინი შეიძლება გასხვისებულ იქნეს.

2. საღმრთისმსახურო ადგილები

I. საეკლესიო ნაგებობები — წმიდა ეკლესიები, საიდუმლოებათა და ღმრთისმსახურებათა კანონით, — აუცილებლობით განპირობებული

შემთხვევის გარდა, — აიგებიან საგანგებო ნაკურთხ ადგილას. დიდ საკრებულო ეკლესიას ტაძარი ან „კათოლიკონი“ ეწოდება, ასე უწოდებს მას V-VI მსოფლიო საეკლესიო კრების 59-ე კანონი.

ეკლესიათა შორის განასხვავებენ:

1) *სამრევლო ეკლესიებს.* ესენი წარმოადგენენ სამრევლო ცხოვრების ცენტრს და განეკუთვნებიან სამრევლოს (საეკლესიო საზოგადოებას).

2) *სამონასტრო ეკლესიებს.* ისინი მიეკუთვნებიან ერთ მონასტერს, რომლის ცენტრშიც არიან ჩვეულებრივ აგებულნი, და წარმოადგენენ ე. წ. „კათოლიკონს“.

3) *ქტიტორულს ანუ კერძოს, მესაკუთრისას ანუ კოლეგიალურს.* ისინი მიეკუთვნებიან მორწმუნეს, რომელმაც ააგო ეკლესია და გამოყენებულია იგი, როგორც თავად მორწმუნის „სალოცავი სახლი“. ამ ეკლესიაში შეიძლება, აღესრულებოდეს მესაკუთრისთვის განკუთვნილი წირვები. მესაკუთრე მოვალეა, შეინახოს ეკლესია საკუთარი ხარჯებით. როცა ასეთი ეკლესია აღარ იქნება გამოყენებული მესაკუთრეთა რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის და გახდება საჯარო მსახურების ადგილი, მესაკუთრეს ემუქრება საფრთხე, დაკარგოს თავისი ქტიტორული უფლებები.

4) *ჰუმანურ, აღმზრდელობით და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებთან (საავადმყოფოებთან, სკოლებთან და სხვ.), ასევე იურიდიულ პირთა დაწესებულებებთან არსებული ეკლესიებს* განაგებენ ე. წ. *იურიდიული პირებიდან* მიმდინარე ადგილობრივი ეპისკოპოსის „მაღალი ზედამხედველობის საფუძველზე“.

5) *ეკლესიები სასაფლაოების ტერიტორიაზე.* ეს ეკლესიები ვერ მიიჩნევა, ვერც სამრევლო, ვერც კერძო მესაკუთრულ ეკლესიებად, არამედ, არსებითად, როგორც დანამატი ქალაქის ყველა სამრევლო ეკლესიისა, რომლის მახლობლადაც მდებარეობენ ისინი. იგულისხმება, რომ ეპისკოპოსი ქიროტონიით ვერ აკურთხევს სამრევლო მღვდელს მხოლოდ სასაფლაოს ეკლესიისათვის, რადგან ცოცხალთა გარდა მისი ქიროტონია, შესაბამისად, „მიძინებულთათვისაც“ ვრცელდება. მოსახლეთა მოთხოვნილებების შედარებით ადვილად დაკმაყოფილების მიზნით ზოგიერთ სასაფლაოზე მღვდელი დადგენილია სასაფლაოს მახლობელი სამრევლოებიდან.[1]

6) *ეკლესიის მიმდებარე სალოცავები.* ზემოთ ჩვენ დავახასიათეთ სასაფლაოების ეკლესიები, როგორც სამრევლო ტაძრების მიმდებარენი. მაგრამ ამათ გარდა ქალაქებში არსებობს სხვა მცირე ეკლესიები, რომლებიც წარმოადგენენ ძირითადი სამრევლო ეკლესიის მიმდებარე სამლოცველოთა გარკვეულ სახეობას. ისინი გამოიყენება დამხმარე მიზნებით სამრევლოს

---

[1] შდრ. Μελετίου Σακελλαροπούλου, Ἐκκλησ. Δίκαιον, σελ. 378.

გარკვეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, უმეტესწილად — კერძო პირის მიერ დაკვეთილი წირვების აღსასრულებლად.

7) *ეკვდერი*. ესაა მცირე ეკლესიები, რომლებსაც აგებენ რელიგიური მოშურნეობით. მრავალი მორწმუნე ქრისტიანი აგებდა მათ თავის მინდვრებზე, ქალაქებისა და სოფლებს გარეთ ან მაღალ მთებში.

8) დასასრულ, არსებობს *მეტოქიონის ეკლესიები*. ისინი აგებულია მეტოქიონებში, ანუ ამა თუ იმ მონასტრის საკუთრების იმ ფარგლებში, რომლებიც დიდადაა მონასტრისაგან დაშორებული.

II. ეკლესიის კურთხევა ანუ განახლება (ენკენია)

ეკლესიის ასაგებად აუცილებელია წარდგინება მოთხოვნისა დაინტერესებული მოსახლეობის ან დაინტერესებული პირისაგან შესაბამის საეკლესიო და სამოქალაქო გამგებლისადმი, ხოლო პასუხისმგებელი პირი, ვინც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და გასცეს ნებართვა, — ესაა ადგილობრივი ეპისკოპოსი.

როცა აღმშენებლობა დასრულდება, აღასრულებენ ტაძრის კურთხევას, ანუ საკურთხევლის დაგებას, ანუ განახლებას. მას აღასრულებს ეპისკოპოსი (შდრ. კართაგენის მე-6 კან.), როცა გარკვეული წესით დაასვენებს წმინდანთა ნაწილებს ნაკურთხი ეკლესიის წმიდა ტრაპეზზე. ეს წესი მომდინარეობს ძველი ადათიდან, რომლის მიხედვითაც ეკლესიებს აგებდნენ მოწამეთა საფლავების ზემოდან. ეკლესიის კურთხევა წმიდა ნაწილების გარეშე — არის ცოდვა, და განდგომილი ეპისკოპოსი ისჯება VII მსოფლიო კრების მე-7 კანონის შესაბამისად.

ამგვარი კურთხევის შედეგად ეკლესია შეიწირება ღმრთისადმი, და ხდება ღმრთის ტაძარი. თუკი არსებობს ჩვეულება, რომ მომავალ ეკლესიას მიენიჭოს ამა თუ იმ წმინდანის სახელი, ეს ხდება წმინდანის პატივსაცემად, და არ ნიშნავს, რომ ეკლესია წმინდანს ეძღვნება. ეს ჩვევა დამკვიდრდა იმის შედეგადაც, რომ ეკლესიები შენდებოდა წმინდანთა საფლავების ზემოდან და ამ წმინდათა სახელებიც ეწოდებოდათ.

საღმრთო ლიტურგია შეიძლება ჩატარდეს უკურთხებელ ეკლესიაშიც, თუკი არსებობს ნაკურთხი ოდიკი. ოდიკი იკურთხება ამა თუ იმ ეკლესიის კურთხევის დროს. ნაკურთხი ოდიკი საჭიროა აუცილებლობის შემთხვევაში, რათა აღსრულდეს საღმრთო ლიტურგია იქაც, სადაც არ არსებობს ნაკურთხი ეკლესია (მაგ. სამხედრო ბანაკებში, ხომალდზე და სხვ.). ოდიკს ხმარობენ ნაკურთხ ეკლესიაშიც. ეს ხდება იმ ძველი წესის თანახმად, რომელიც წარმოიშვა ხატმბრძოლობის ხანაში, წმიდა ნაწილთა გარეშე ეკლესიის კურთხევის ძველი ჩვეულებიდან.

წმიდა ტრაპეზზე ერთსა და იმავე დღეს შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი საღმრთო ლიტურგია, რათა ორჯერ აღსრულებით ორად არ

აღიქმებოდეს ერთი და ერთადერთი სიკვდილი იესო ქრისტესი („პიდალიონი" გვ. 50). თუკი აუცილებლობა ითხოვს, რათა ჩატარდეს ორი წირვა, მეორე აღსრულდება სხვა წმიდა ტრაპეზზე — ეს მაშინ, როდესაც ეკლესიას აქვს ერთმანეთისაგან გამოყოფილი ორი ან სამი განშტოება-სალოცავი. ვინაიდან ეკლესია ორ-ან სამგვამოვანია. თუ არ არსებობს განცალკევებული სალოცავი, მაშინ დაიდგმება ნაკურთხი მაგიდა და მასზე თავსდება ნაკურთხი ოდიკი.

რადგან ეკლესია კურთხევით უფლის სახლი ხდება, დაუშვებელია მისი დაზიანება თუ შებილწვა. ასევე დაუშვებელია, ვინმე დარჩეს წმიდა ტაძარში საჭმელად და ღამის გასათევად (V-VI მსოფლიო კრების 74-ე კან.). მკრეხელობად და წაბილწვად ითვლება ტაძართა გარდაქმნა სავაჭრო სახლებად. და თუ ყოველთა კანონთა მიუხედავად და რაიმე მიზეზით წაიბილწა ესა თუ ის ეკლესია (მაგ. თუ მოხდა მკვლელობა, ან თუ იქ ილოცა წარ-მართმა, ან თუ მასში შემოვიდა ცხოველი და ა.შ.), არაა აუცილებელი ეკლესია ხელახლა იკურთხოს, რადგან მისი სიწმინდეები არ კარგავენ თავიანთ სიწმინდეს. („პიდალიონი" გვ. 115).

ნაკურთხი ეკლესიების სიწმინდე ანიჭებს მათ ასევე *თავშესაფარის* უფლებასაც. ამ უფლების თანახმად, თუ ეკლესიაში ვინმე ბოროტმოქმედი ან მოვალე შემოვა, იგი იძენს თავშესაფარს: ვერავინ ვერ შეძლებს, ძალით მოსწყვიტოს, მოაშოროს იგი ეკლესიას, რაკი, ვინც მიმართა ეკლესიას ნიშნავს, რომ მან ღმრთის მფარველობა იდვა თავს. ამ მიზეზის გამო ის, ვინც ეკლესიიდან გარეთ ძალით გამოიყვანს, ძალით ჩამოაშორებს თავშესაფრის მაძიებელს, ითვლება *სიწმინდის შემრყვნელად*. ცხადია, ეკლესიაში თავშესაფრის მოძიება არ ნიშნავს, რომ დამნაშავე დაუსჯელი დარჩება. ის მხოლოდ იცავს მას მომენტის აფექტით გამოწვეული ბრმა შურისძიებისაგან.

III. წმიდა ეკლესიათა კარმიდამო (მონასტრები, სასაფლაოები)

საკუთრივ ეკლესიების გარდა წმიდა ადგილად მიიჩნევა ზოგადად მათი მიმდებარე კარმიდამო. ამიტომაცაა აკრძალული, ეკლესიის ირგვლივ მისადგომები გადაიქცეს ყიდვა-გაყიდვის და თავშესაქცევ „განსაცხრომელ" ადგილებად (ყავახანები, დისკოტეკები და ა.შ.) — შდრ. ასევე V-VI მსოფლიო კრების 66-ე კანონი. კიდევ უფრო მეტად, წმიდა ადგილებად ითვლება მონასტრები და სასაფლაოები. შესაბამისად, დაუშვებელია, მონასტრები გადაიქცეს საერო გასართობ ცენტრად და სამონასტრო კარმიდამოში ხდებოდეს უწესო და უხამსი საქმეები. მონასტრის დაარსების საქმეს აღასრულებს ეპისკოპოსი, რომელიც აღმართავს („აფუძნებს") ჯვარს მონასტრის სამრეკველში.

სასაფლაოები, საკარო თავშეყრის წმიდა ადგილებია, ვინაიდან ისინი: ქრისტიანული სიმბოლოთი — ჯვრითაა კურთხეული და იცავენ მიძინებულ წმინდათა (მონათლულ ქრისტიანთა) სხეულთ, მოწიწებისა და პატივისცემის

ადგილად უნდა იყოს მიჩნეული. ზოგიერთ ქვეყნებში სასფლაოებს უწოდებენ „მშვიდობის ეზო-სადგომს“ და „ღმერთის საკარმიდამო ნაკვეთს“.

საერთოდ, წმიდა ადგილი შეიძლება ეწოდოს მთელ რეგიონს (ნახევარკუნძული, კუნძული და ა.შ.), სადაც ვლინდება ღმრთივ მოვლენილი სასწაულები (შდრ. პალესტინის წმიდა ადგილები, წმიდა მთა, კუნძულები: ტინოსი, პატმოსი და ა.შ.)

3. ნაკურთხი, წმიდა ნივთები

საღმრთო მსახურების აღსასრულებლად, და საერთოდ, მთელი ღმრთისმსახურებისათვის აუცილებელია ესა თუ ის ნაკურთხი ნივთი. წმიდა ნივთები ისეთივე პატივითაა შემოსილი, როგორითაც წმიდა ადგილები.

საღმრთო მსახურებისთვის განსაზღვრული ნივთები (ბარძიმ-ფეშხუმი, სამღვდელო შესამოსელი, ლიტურგიკული წიგნები და სხვ.), უნდა იყოს იმ სახისა, როგორიც მათ შესაბამისმა განმგებლობამ განუწესა.

წმიდა ხატებისთვის და საღმრთო სიმბოლოთათვისაც ქრისტიანულმა ხელოვნებამ და მსახურებამ წმიდა გარდამოცემის საფუძველზე შეიმუშავა და მრავალსაუკუნოვანი ღმრთისმსახურებით იკურთხა მათი განსაზღვრული ტიპი. მოდერნისტული ხატებით სარგებლობა შეუფერებელი და დაუშვებელია.

წმიდა ნაწილებთან დაკავშირებით: საგანგებო ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი მათი წარმომავლობა, რათა ისინი ნამდვილად და კანონიკურად იყვნენ აღიარებულნი ჭეშმარიტად წმიდა (მოწამეთა და ღირსთა) წმიდა ნაწილებად.

ნივთები, რომლებიც შემოტანილია ეკლესიაში უსისხლო მსხვერპლშეწირვის (ევქარისტიის) და, საერთოდ, ღმრთისმსახურების აღსასრულებლად, შერაცხულია წმიდა ნივთებად. სხვა რაიმე მიზნით მათი გამოყენება სიწმინდის შერყვნად და მკრეხელობად შეირაცხება. ხოლო პირი, ვინც ამას ჩაიდენს, ჩაითვლება ღმრთის შემაგინებლად. მოციქულთა 72-ე და 73-ე კანონების თანახმად თუკი ვინმე „მიიხვეჭს“ (ანუ წამოიღებს) ეკლესიიდან სანთელს (ე.ი. „ცვილს“) ან ზეთს, ან ჭურჭელს, ან „განწმედილთა ნაკურთხ ტილოთა“ და მათ გამოიყენებს პირადი მიზნებისათვის, უზიარებელი იქნება. სიწმიდეთა მძარცველად არ ითვლება ის, ვინც იპარავს ტაძრიდან კერძო პირის ნივთებს (მაგ. მივიწყებულ ქოლგას), რაკი ისინი ღმერთისადმი არ არის შეწირული და ამიტომ, არაა წმიდა ნივთები; მაგრამ მათი მომპარავი ისჯება. სიწმიდეთა მძარცველად ჩაითვლება ის, ვინც იპარავს ღმერთისათვის შეწირულ ნივთებს, თუნდაც მოპარვის ჟამს იგი (საეკლესიო განძი) არ იყოს ეკლესიაში, არამედ იყოს სხვაგან, ცალკე. სიწმიდეთა მძარცველად არ ითვლება ის, ვინც იპარავს ხატებს, ჯვრებს და სხვ. კერძო პირთა სახლებიდან, რადგან ეს ნივთები არ ყოფილა განკუთვნილი ეკლესიისათვის საღმრთო სამსახურებლად.

4. საეკლესიო საკუთრება — მოჩვენებითი ანტინომია (წინააღმდეგობა)

აქ თავიდანვე იბადება კითხვა — როგორ უწევს ეკლესიას, სასულიერო დაწესებულებას, მატერიალური ნივთიერი საკუთრების მფლობელობა? ბევრ შემთხვევაში ამ, საეკლესიო დაწესებულების ზოგიერთი განაყოფი ეკონომიკურ ორგანოდაც კი გარდაიქმნება. და ეს ხდება მაშინ, როცა ღმერთი, დამაარსებელი ეკლესიისა მიმართავს თავის მოწაფეთ: „ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვერცხლსა, ნუცა რვალსა სარტყელთა თქუენთა" (მათე 10,9). უფლის სიტყვები, როგორც ეკლესიის მიმდევრობისათვის აუცილებელი მიზანი, შეიძლება წარმოგვიდგეს, როგორც მნიშვნელოვანი ანტითეზა და წინააღმდეგობა იმის მიმართ, რომ ეკლესიას უფლება აქვს განაგებდეს ნივთიერ საკუთრებას. მაგრამ თუ უკეთ და უფრო ღრმად გამოვიკვლევთ და ჩავწვდებით საკითხის არსს, ეს მოჩვენებითი წინააღმდეგობა მოიხსენება. სახარების ზემოთწარმოდგენილი ადგილი არ ნიშნავს იმას, რომ ეკლესიას უნდა აკლდეს აუცილებელი ნივთიერი საშუალებები; არამედ ეს ნიშნავს, რომ არ უნდა მძლავრობდეს ეკლესიასა და მის მკვიდრებზე ვერცხლის მოყვარებისა და მიმხვეჭელობის ვნება, რაც არის კერპთაყვანისცემის სახე (კოლ. 3,5): „ვერ ჴელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონადსა" (მათე 6,24). არადა, სახრების მუშაკთაც სჭირდებათ ნივთიერი სიკეთე სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ამას შეესაბამისება ზემოთმოტანილი მათე 10,9 ადგილის შინაარსი; იგი აშკარაა მომდევნო მონაკვეთიდანაც, უფალი რომ დასძენს: „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა" (მათე 10,10). შდრ. აგრეთვე: „არა შეუკრა პირი ჴარსა მლეწველსა" (I კორ. 9,9), და თუ უფრო ღრმად გვსურს ვიკვლიოთ, დავიმოწმებდით უფლის მცნებებს მისთა მოწაფეთა მიმართ — არ იზრუნონ საჭმელისათვის და სხვა მატერიალური აუცილებლობისათვის, გონებაში აღიბეჭდონ, რომ მორწმუნეები იზრუნებენ ღმრთის მოციქულთა საკვებისა და სხვა მატერიალური აუცილებლობისათვის. მაგრამ ამისდა მიუხედავად თავად უფალიც ამქვეყნიური სიცოცხლისთვის სარგებლობდა „ნაყოფთაგან მათთა", მსმენელთაგან (ლუკა 8.3) და საერთო ხაზინიდან, რომელსაც თან დაატარებენ ათორმეტთა მოწაფეთა წრეში (შდრ. იოანე 12,6). მაშასადამე, ადვილი წარმოსადგენია, რომ საეკლესიო საკუთრება განკითხვის საგნად იქცევა არა საეკლესიო დანიშნულებად მისი გამოყენების გამო, არამედ მაშინ, როდესაც იგი ხდება საეკლესიო საკუთრების მფლობელთა, საკუთრივ — საეკლესიო პირთა მცდელობათა და მოქმედებათა წარმმართველი მიზანი. აღნიშნულ შემთხვევებშია, რომ გაყალბებას განიცდის ეკლესიის დანიშნულების არსი და მაღალი მიზანი, რაც არის ადამიანთა ცხოვნება.

5. საეკლესიო საკუთრების წარმომავლობა

ჩვენ დავინახეთ, რომ ამქვეყნად მოვლინების ჟამს იესო და მისი მოწაფეები ინახავდნენ საერთო ხაზინას, რომელსაც შეადგენდა მაცხოვრისა და მოციქულთა ქადაგებისაგან შემოსული შემოწირულობა. ეს შემოწირულობა გათვალისწინებული იყო სასიცოცხლო მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. მომდევნო ხანაში შეძლებულ ქრისტიანებს იმისაგან, რაც კი ჰქონდათ, კაცთმოყვარების მიზნით შეჰქონდა შემოწირული ეკლესიისათვის სამღვდელოებისა და სხვა ხელმოკლე ქრისტიანების სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, მათ შესანახავად. ეს იყო ნივთიერ სიკეთეთა შეძენის ძირათადი წყარო დაახლოებით მანამდე, სანამ შეწყდა დევნა. მაგრამ მას შემდეგ, რაც დევნა შეწყდა, ეკლესიამ შეიძინა უფრო დიდი, საერო-სამოქალაქო თავისუფლება და საგანგებო უპირატესობანი, რაც მას ეხმარებოდა, შეეძინა მეტი ნივთიერი საშუალებები. საეკლესიო საკუთრების წარმომავლობისა და შეძენის სახე შემდეგნაირად შეიძლება იყოს გააზრებული და სისტემად ჩამოყალიბებული:

1) შემოსავლის ნებაყოფლობითი წვლილი. ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი შემოსავალი (ნაყოფის შემოწირვა, მეათედი ნაწილი და სხვ.)

2) შემოწირულობა სიკვდილის შემდეგ. აქედან მომდინარეობს:

ა) ანდერძით განწესებული, დატოვებული მემკვიდრეობა. ამა თუ იმ პიროვნებას შეუძლია დაუტოვოს თავისი საკუთრება მემკვიდრეობად ამა თუ იმ ეკლესიას.

ბ) მემკვიდრეობა „განუწესებლად". ეს მოქმედებდა განსაკუთრებით ბიზანტიურ ხანაში, როცა ესა თუ ის პირი კვდებოდა ანდერძისა და კანონიერი მემკვიდრეს გარეშე, და მაშინ მის საკუთრებას მემკვიდრეობით იძენდა ეკლესია. დღეს ეს წესი ძალმოსილია მხოლოდ მონასტრებისათვის.

გ) საკუთრების მემკვიდრეობითი წილი სარწმუნოებრივი მიზნებისათვის (ლეგატა — „ანდერძობა", „დამტევებლობა".) ეს ზუსტად არაა ეკლესიის საკუთრების შესაბამისი, მაგრამ ეკლესიას აქვს ამ მემკვიდრეობით წილზე უზენაესი ზედამხედველობისა და განმგებლობის უფლება.

3) „სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება": ა) ძღვენი (ჩუქება). ეს წესი განსხვავდება ნებაყოფლობითი წვლილისაგან. ნებაყოფლობითი წვლილის წესით ესა თუ ის პირი გასცემს გარკვეულ თანხას ყოველგვარი ფორმალობის გარეშე. მაგრამ რაიმე სახლის ან უძრავი ქონების ძღვენის (ჩუქების) სახით გადაცემისათვის საჭიროა გარკვეული იურიდიული ფორმალობები (მფლობელობის განსაზღვრა, ხელშეკრულების ხელმოწერა და ა. შ.). ბ) სხვადასხვა ობიექტების ყიდვა-გაყიდვა. გ) ობიექტთა გაცვლა უფრო დიდი სარგებლის მოსახვეჭად. დ) სიძველის გამო ჩამოწერის გზით მიღების წესით. ეს მოქმედებს ამა თუ იმ ნივთის შეძენისათვის „ხანგრძლივი ვადით სარგებლობისათვის" მისი მოხმარებისა თუ ექსპლოტაციისათვის გარკვეული დროით.

4) სავალდებულო შემოწირულობის კურთხევით დაკანონება. საეკლესიო საკუთრების შეძენის ეს წესი, როგორიცაა, მაგ. საიდუმლოებათა ან სხვა, აუცილებელ საეკლესიო რიტუალთა შესრულებისათვის სავალდებულო წვლილის კურთხევით დადგენა მრევლისათვის, რაც ბევრ შემთხვევაში საზიანოა ეკლესიის სამრევლო საქმიანობისათვის. ეკლესიის წევრთათვის სავალდებულო შესატანი იწვევს უკმაყოფილებას, რამაც დამლუპველი შედეგი შეიძლება მოიტანოს თავად მრევლისათვის და გაამლიერეს ეკლესიის მტრები.

6. საეკლესიო საკუთრების („საჭმართა“, „ქონების“) მფლობელი

თუ ვინ არის საეკლესიო საკუთრების ძირითადი მფლობელი, გარკვეულ გაუგებრობებს იწვევს კანონის მცოდნეთა შორის. ეს შეიმჩნეოდა უკვე ბიზანტიური ხანიდან, როცა პირველად იჩინა თავი აღნიშნულმა საკითხმა. ზოგიერთები აღნიშნავენ, რომ საეკლესიო საკუთრება ეკუთვნის ქრისტეს, სხვები ამტკიცებენ, რომ საეკლესიო საკუთრების მფლობელია ეკლესია, სხვების აზრით — ეკლესიის წევრები, სხვების აზრით — ეპისკოპოსი. მართალია, ეპისკოპოსი განაგებს საეკლესიო ქონებას, მაგრამ, ვერ იქნება მათი მესაკუთრე, რადგან საღმრთო კანონები აშკარად განასხვავებენ ეპისკოპოსის პირად საკუთრებას ეკლესიის საკუთრებისაგან (მოციქულთა მე-40, IV მსოფლიო კრების 22-ე და ანტიოქიის 24-ე კანონები).

კანონთა სხვა მცოდნეები ამბობენ, რომ საეკლესიო საკუთრების მფლობელი არის სახელმწიფო. მაგრამ მათ მოსაზრებას არა აქვს კანონიერი საყრდენი. სახელმწიფოს, ცხადია, აქვს გარკვეული კანონიერი კომპეტენცია სხვადასხვა სახის საკუთრების მიმართ, რამდენადაც ისინი სახელმწიფოს ფარგლებშია მოქცეული. მაგრამ ამ ფაქტიდან არ გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს აქვს უფლება საეკლესიო საკუთრებაზე; მსგავსად იმისა, როგორც არა აქვს სახელმწიფოს არავითარი უფლება კერძო პირის საკუთრებაზე. ყოველივე ამის გამო ბევრი ასკვნის, რომ საეკლესიო საკუთრების მფლობელებია სხვადასხვა ეკლესიები და საეკლესიო ორგანიზაციები თუ დაწესებულებები. ამასვე ადასტურებს იუსტინიანეს ბიზანტიური კანონმდებლობა ნეარონი (=ნოველა 131). იგი განსაზღვრავს შემდეგს: როცა ესა თუ ის პირი მემკვიდრეობად დატოვებს საკუთრების წილს, იქნება ეს საერთოდ შეწირული ღმერთისადმი, ან ეკლესიისათვის, — ეს წილი სახმარ საკუთრებად გადაეცემა ეკლესიას, რომელიც მდებარეობს მემკვიდრეობის გამგებლის სამკვიდრებელ მიდამოებში და რომელსაც განეკუთვნებოდა მემკვიდრეობის განმგებელი.

ზემოთ წარმოდგენილი ყველა მოსაზრება არც მთლად სწორია, არც მთლად მცდარი, მაგრამ ისინი უპირველეს ყოვლისა სანდო და კანონიკურად უფრო გამართულ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს. ამასთანავე

გათვალისწინებულია, რომ საეკლესიო საკუთრება არ განეწესება პრინციპით „მოსაზრებებისდა მიხედვით", ანუ, არ ექვემდებარება იმათ განკარგულებას, ვინც მის მესაკუთრედ მიიჩნევა. იგი განეწესება იმ მიზანის მიხედვით, როგორც განსაზღვრა ეკლესიის წმიდა დამფუძნებელმა და თავად ეკლესიამ.

შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ გარკვეულ წერილობით და კანონიკურ მოწმობებს (I კორ. 10,26, საქმე მოც. 17,24, მოციქულთა 38-ე და მე-40, VII მსოფლიო კრების მე-12 კან. და სხვ.), საეკლესიო საკუთრების მფლობელად, ძირითადი და აბსოლუტური გაგებით, შეიძლება ვაღიაროთ ღმერთი; ცხადია, არა კანონიკური გაგებით, რადგან ღმერთი არ ექვემდებარება კანონსა და სამართალს. ღმერთს არა ჰყავს სხვა მისი მსგავსი არსება, რომ მასთან კანონის შესაბამისად დაიჭიროს ურთიერთობა, ის ურთიერთობები, რომლებისგანაც მომდინარეობს მოვალეობები და უფლებები.

თუმცა იურიდიული გაგებით არც ეკლესია, როგორც თავისი მთლიანობით ერთიანი სხეული, არ ითვლება საელესიო საკუთრების მფლობელად, რადგანაც არც მასზე ვრცელდება იურიდიული მიმართებები. იურიდიული მიმართება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ადგილობრივი ეკლესიებისათვის, მიტროპოლიებისათვის, საეპისკოპოსოებისათვის, სამრევლოებისათვის და სხვ. რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ იურიდიულ პირებს. მაგრამ რაკი აბსოლუტური გაგებით მფლობელი და გამგებელი ვერ იქნება ვერც ერთი ადგილობრივი ეკლესია თუ სამრევლო, არამედ — მხოლოდ შეფარდებითი იურიდიული გაგებით, უფრო სწორი იქნებოდა მსჯელობა საეკლესიო მესაკუთრეზე, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მის განმგებლებზე, იმაზე, ვინც არის ეკლესიის წარმომადგენელი. ამის ერთი, ფრიად მნიშვნელოვანი შედეგი ისაა, რომ ზემოთდასახელებული ორგანოები, დაწესებულებები ვალდებულნი არიან ეკლესიის წმიდა კანონთა შესაბამისად განაგებდნენ საეკლესიო საკუთრებას: პატივისცემით, მიუთვისებლად, გაუფლანგველად და ეკლესიისათვის უცხო მიზნებისათვის გამოუყენებლად, არამედ, პირიქით — იზრუნონ, რათა განაწესონ იგი, „ვითარცა ზედამხედველობასა ქუეშე ღმრთისასა" (მოციქულთა 38-ე კანონი).

7. საეკლესიო საკუთრების განმგებელნი

საეკლესიო საკუთრების განმგებლები, ზემოთქმულისდა შესაბამისად, არიან საეკლესიო ორგანოები და წევრები (შდრ. აგრეთვე II მსოფლიო კრების მე-12 და მოციქულთა 38-ე კანონები). თავდაპირველად ესენი იყვნენ წმიდა მოციქულები (საქმე მოც. 2,44-45 და 5,1-11). ხოლო შემდეგ, რაკი მოციქულები ვეღარ ტოვებდნენ თავიანთ მაღალ დანიშნულებასა და ფრიად მნიშვნელოვან საქმეს — სახარების ქადაგებას, არჩეულ იქნა შვიდი დიაკონი, რომლებსაც დაეკისრა მორწმუნეთათვის მოწყალების გაცემის

და მისი სამართლიანად დანაწილების საქმე. მოციქულთა სიკვდილის შემდეგ განმგებლობა თავს იდეს ეპისკოპოსებმა, რომლებიც დახმარებას იღებდნენ თავიანთი სამღვდელოებისაგან. ეპისკოპოსებს მართებდა, კეთილგანწყობით და ღმრთის შიშით ემართათ საეკლესიო შემოსავალი ეკლესიის მოთხოვნილებებისა და მიზნის შესაბამისად. წმიდათა მოციქულთა 41-ე, ანტიოქიის 24-ე და 25-ე კანონების მიხედვით ეპისკოპოსი მოვალე იყო, ედევნებინა თვალი საეკლესიო საკუთრების განმგებლობაზე, ვინაიდან ამგვარად შეეძლო მას, წარმატებით ემართა საეკლესიო შემოწირულობათა განაწილების საქმე.

თუ ეპისკოპოსი თავს იდებს ღმერთის სახელით პასუხისმგებლობას თითოეული მორწმუნის სულისათვის, ეჭვგარეშეა, მას შეუძლია ჩაიბაროს პასუხისმგებლობა ნივთიერ საგნებზე, რაც ბევრად უფრო მცირედ ღირებულია. წმიდათა მოციქულთა 41-ე კანონი განსაზღვრავს: „ვბრძანებთ, რათა ეპისკოპოსს აქუნდეს ველმწიფებაჲ საჴმართა ზედა ეკლესიათა, რამეთუ უკეთუ მისდა რწმუნებულ არიან პატიოსანნი სულნი კაცთანი, რაოდენ უფროჲს საჴმართათვის ჯერ-არს ამისი ქმნაჲ“... ხოლო ანტიოქიის 24-ე კანონი აღნიშნავს: „საქონელთა ეკლესიათა კეთილად ცვაჲ და მარხვაჲ უჴმს ეკლესიასა ყოველთა მოსწრაფებითა და სჳნდისითა და უქცეველითა სარწმუნოებითა ყოველთა ზედამხედველისა და მსაჯულისა ღმრთისაჲთა, რომელთა განგებაჲ ჯერ-არს ბჭობითა და ველმწიფებითა ეპისკოპოსისაჲთა, რომლისადა ყოველი ერი და სულნი მუნ შეკრებულთანი რწმუნებულ იყვნენ“. ეპისკოპოსი, როგორც ცენტრალური ორგანო, ითვლება ყოველ ცალ-კეულთა „პირთა და საქმეთა“ საუკეთესო მცოდნედ; ასევე — ზოგადად მორწმუნეთა მატერიალური მოთხოვნილებებისაც, და ამგვარად, მას შეუძლია, თავი დააღწიოს სახმართა უმიზნო, მიკერძოებით, არათანაბარ და უსამართლო განაწილებას.

მაგრამ თუ საეკლესიო საკუთრების პირველ და ძირითად საფეხურზე მართვა-განმგებლობისათვის პასუხისმგებელია ეპისკოპოსი იმ ეპარქიისა, სადაც თავმოყრილია ზემოხსენებული საკუთრება, კანონები მას მაინც არ აძლევენ უფლებას, რათა იგი აბსოლუტურად და კატეგორიულად განაგებდეს საეკლესიო საკუთრებას. უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია ის, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ცხოვრობს კრებითი და სინოდური წესით. ამგვარად, მართლმადიდებელი ეკლესია განცალკევებულ ადგილს არ მიუჩენს ეპისკოპოსს. „არამედ განაწესებს მას ერთობლივი, კრებით პასუხისმგებლობის უფლებით; რაც ეპისკოპოსებს აქვთ ეკლესიის წიაღში ეკლესიის წევრთა და მისი საკუთრებისათვის — სახმარი ნივთებისათვის. ამას ასახავს კართაგენის

[2] ქართულ ენაზე „სჯულის კანონში“ ამ ნომრით შესაბამისი ტექსტი არ არის დადასტურებული და თავად ტექსტიც ოდნავ განსხვავებულია (მთარგმნელი).

26-ე და 33-ე[2] კანონები; პირველი მათგანი განსაზღვრავს: „რადთა არავისგან განიყიდოს საქონელი საეკლესიოდ, გარნა თუ იყოს რადმე საქონელი ესეეითარი, რომლისა შემოსავალი არარად აქუნდეს და ჭირი ფრიადი უჴმდეს პყრობასა მისსა, ესე ეუწყენ მიტროპოლიტსა სამთავროდსასა და *განსაზღვრებულისა თანა რიცხუსა ეპისკოპოსთადსა* განიზრახენ, მან, თუ რად ჯერ-არს მისთჳს ქმნად... ... ხოლო უკუეთუ... ვერ ეძლოს ეპისკოპოპსსა მისსა პირველ მრევლისა ჟამისა ქმნად განზრახვისად, შეზობელთაღა თუ თჳსთა მიუწოდოს მოწამედ... რადთა ეუწყოს კრებასა ყოველსა ეკლესიისა მისისა შემთხუეული განსაცდელი. რომლისად არა თუ ინებოს ქმნად, თანამდებ სასჯელისა იქმნეს“... ზემოხსენებულ კანონთაგან მეორედან (=კართაგენის 33-ე) მოგვაქვს შემდეგი წინადადება: „ხუცესნი ეკლესიისადა შეწირულსა საჴმარსა ნუ გაჰყიდიან და ...არცა ეპისკოპოსსა ულირს... განსყიდად სოფელთა ეკლესიისათად თჳნიერ კრებისა და თანაჯერჩინებისა მისისა ანუ თჳსთა ხუცესთადსა“. ეკლესიის წიაღში არ არსებობს არავითარი უკონტროლო განმგებლობა (ძალაუფლება), არავითარი აბსოლუტიზმის თუ განუკითხაობის რეჟიმი.

მაგრამ საეკლესიო საკუთრების განკარგულებასთან დაკავშირებით კოლექტიური პასუხისმგებლობა არ იზღუდება და არც შემოიფარგლება მხოლოდ ეპისკოპოსებით. უკვე მოციქულთა 51-ე კანონი ადასტურებს საჭიროების შემთხვევაში სამღვდელოებასა და დიაკვნებისათვის საეკლესიო თანხების განკარგულების თაობაზე. ასევე კართაგენის 33-ე კანონის თანახმად აშკარაა, რომ არ მართებთ ეპისკოპოსებს „განსყიდად სოფელთა ეკლესიისათად ან ეკლესიის საკუთრება საეპისკოპოსის სამღვდელოების უმეცრად“. ეს ნიშნავს, რომ ეპისკოპოსის სამღვდელოებასაც აკისრია პასუხისმგებლობა საეკლესიო საკუთრებისათვის. ცხადყოფს ამას V-VI მსოფლიო კრების 35-ე კანონი, მაგრამ უფრო დიდი პასუხისმგებლობა სამღვდელოების მიმართ ირკვევა ანტიოქიის 25-ე კანონიდან გამომდინარე რაკი როცა ეპისკოპოსს ან მასთან ერთად სამღვდელოებას ბრალს სდებენ, რომ ისინი არ განაგებენ სათანადოდ საეკლესიო საკუთრებას ანდა, ითავსებენ მას, ისინი პასუხს აგებენ წმიდა სინოდის წინაშე და თანამდებნი არიან შესაბამისი სასჯელისა.[3] ცხადია, სამღვდელოების პასუხისმგებლობა და ეპისკოპოსთა პასუხისმგებლობა არაა ერთიდაიგივე, მაგრამ „ხუცესთა“ ანუ სამღვდელოების დანიშნულების მნიშვნელობა არაა ნაკლები, ვინაიდან სამღვდელოების მეშვეობით ეკლესიას სურს უზრუნველყოს საეკლესიო საკუთრებით უმწიკვლოდ სარგებლობა. ამის გამო დროის განმავლობაში საეკლესიო ნივთთა გამოყენებასთან დაკავშირებით შეიმჩნეოდა გარკვეული გაუგებრობები და ყალიბდებოდა

[3] „მისდამი განკუთვნილი პატივის შესაბამისად“, დაურთავს თეოდორე ბალსამონი (Ράλλη-Ποτλῆ, τομ. Γ΄, σελ. 169).

გარკვეული საჩივრები ეპისკოპოსის მიმართ. და ეპისკოპოსის მიერ შემუშავებული შესაბამისი კანონებით უპირველეს და უმთავრეს, კანონით დადასტურებულ სასულიერო პირს — იკონომსს (=„ეზოსმოძღვარს", „იკონომოსს") დაევალა: „ყოველსა ეკლესიასა, რომელსა ეპისკოპოსი აქუნდეს, მას ეზოიმოძღუარიცა ჰყვეს დასისაგან მოყუასთა თჳსთაჲსა, რომელი განაგებდეს საეკლესიოთა საქმეთა კითხვითა ეპისკოპოსისა თჳსაჲთა, რაჲთა არა უმოწმო იყვნენ განსაგებელ ნი ეკლესიისანი და ამის გამო განიბნეოდინ საჴმარნი საეკლესიონი" (IV მსოფლიო კრების 26-ე კანონი). ხოლო თუ ვინმე ეპისკოპოსი უგულისყუროდ მოეკიდება და არ დაადგენს იკონომოსს თავის საეპისკოპოში, მაშინ VII მსოფლიო კრების მე-11 კანონის თანახმად იერარქიულად აღმატებულ მიტროპოლიტებსა და მსოფლიო პატრიარქს ენიჭებათ უფლება დაადგინონ იკონომოსი აღნიშნული ეპარქიისათვის.

სასულიერო პირს, იკონომოსს, ვინც ჩაიბარებს პასუხისმგებელი განმგებლის უფლებებს, მართებს განაგოს საეკლესიო საკუთრება არა საკუთარი ნებისაებრ, არამედ საკუთარი ეპისკოპოსის აზრის შესაბამისად და მას აბარებს იგი ანგარიშს. მომდევნო ეპოქაში, როცა განვითარდა საეპისკოპოსოზე უფრო ვრცელი საეკლესიო ერთეულები (სამრევლოები და მონასტრები), აღარ იყო საკმარისი უფლებამოსილება საეპისკოპოსოს განმგებლობით. ამის გამო აღნიშნული უფლებამოსილება დანაწევრდა და იგი გადმოვიდა ზემოთ დასახელებულ საეკლესიო ერთეულთა განკარგულებაში.

ამრიგად, საეკლესიო საკუთრების მართვა დაიყო მრავალზე და შემდეგნაირად:

1) საკუთრებაზე, რომელიც განეკუთვნება საეპისკოპოსოს, პასუხის-მგებელია ეპისკოპოსი და დადგენილი იკონომოსი (ღვეისთვის არსებობენ სამიტროპოლიტო საბჭოებიც).

2) სამრევლო ტაძრების საკუთრებაზე პასუხს აგებს სამრევლო მღვდელი და საეკლესიო სამრევლო საბჭო (ან საბჭოები).

3) მონასტრების საკუთრებაზე პასუხს აგებს წინამძღვარი და დადგენილი იკონომოსი (ბიზანტიის ხანა), ან წინამძღვარი და მონასტრის სამონასტრო საბჭო (ღღეს).

ყველა ზემოთდასახელებული საბჭო, დადგენილი საეკლესიო საკუთრების მართვა — განმგებლობისათვის ექვემდებარება ეპისკოპოსის კონტროლს. როცა ვამბობთ, „კონტროლი", ვგულისხმობთ ხარჯთაღრიცხვების, ანგარიშების და სხვადასხვა რიგგარეშე საეკლესიო ხარჯების გასავალთა ანგარიშების შემოწმებას. ეპისკოპოსის აზრი მიიჩნევა, როგორც აუცილებელი. იმისათვის, რომ ეპისკოპოსის ნების გარეშე ან ეკლესიისათვის სარგებლის გარეშე გაყიდული საკუთრება კვლავ ეკლესიას დაუბრუნდეს (ანკურიის მე-15 კანონი).

8. საეკლესიო საკუთრებისთვის განსაზღვრული მიზანი და მისი განუსხვისებელი ხასიათი

I) საეკლესიო საკუთრების მიზანი და ობიექტი. საეკლესიო საკუთრებასთან დაკავშირებული კანონებია: მოციქულთა მე-4, 38-ე, 41-ე, 59-ე, 72-ე და 73-ე; ანტიოქიის 24-ე და 25-ე; კართაგენის 26-ე და 32-ე[4]; თეოფილე ალექსანდრიელის მე-10 და მე-11; VII მსოფლიო კრების მე-12 კანონები. თავიდანვე საეკლესიო საკუთრების მოხმარებისა და განკარგულებისათვის ასეთი მიზნები იყო განსაზღვრული:

ა) აუცილებელ ნივთიერ საშუალებათა უზრუნველყოფა საღმრთო ლიტურგიის და, უფრო ზოგადად, ღმრთისმსახურებისათვის.

ბ) ღმრთისმსახურთა (ეპისკოპოსის, სხვა სამღვდელო პირთა და ეკლესიის დანარჩენ მსახურთა) საჭირო ნივთებით უზრუნველყოფა. ეპისკოპოსი მოვალეა იზრუნოს, რათა უზრუნველყოს საჭირო ნივთებით სასულიერო პირები, უპირველეს ყოვლისა ისინი, ვინც ხელმოკლეა (მოციქულთა 59-ე კანონი). ამ კანონის თანახმად „დაეცადენ მღდელობისაგან" ის ეპისოპოსი თუ მღვდელი „ხუცესი", ვინც არ აწვდის აუცილებელ ნივთიერ საშუალებას „საჭირო საჴმარს" ხელმოკლე „ნაკლულოვნებათა შინა" სასულიერო პირს. და იყო კიდეც დრო, როცა ეპისკოპოსს ევალებოდა თავისი საკუთრება თავისი სასულიერო პირებისათვის და არა ნათესავებისათვის გადაეცა.

გ) სასულიერო პირთა განათლება. სამღვდელოების განათლების საკითხი ურთიერთკავშირშია წინა თემასთან — სასულიერო პირის ნივთიერ უზრუნველყოფასთან. ორივე ამ საკითხს კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასულიერო პირთა მიერ თავიანთი დანიშნულების წარმატებით აღსრულებისათვის. განათლებულ სასულიერო პირს შესწევს ძალა უკეთესად და ღმად გაანათლოს მორწმუნეთა შეგნება. „განათლებული სასულიერო პირი" — მუდამ იგულისხმება ღმრთისმორწმუნე და თანმიმდევრული ორიენტაციით გამორჩეული სასულიერო პირი, რომელიც წარმოადგენს სრულყოფილ ქრისტიანულ პიროვნებას და არა ისეთს, რომელსაც უბრალოდ აქვს დიპლომი ან მშრალი ცოდნის დიდი არსენალითაა აღჭურვილი. ანუ, ვგულისხმობთ, დახვეწილ სასულიერო პირს და არა უბრალოდ — ცოდნამიღებულს, განსწავლულს. შდრ. II ტიმ. 3,16-17.

დ) წმიდა ადგილთა დაცვა ზოგადად და, უფრო ზუსტად, — წმიდა ტაძრების დაცვა (შენახვა). ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი ყურადღებაა საჭირო ქრისტიანულ ტაძრების აუცილებელი მშვენიერების მინიჭებისათვის — რათა მიენიჭოთ მათ სისადავეს, ჯეროვანებასა და სათანადო სამკაულს შერწყმული სიდიადე.

---

[4] „სჯულის კანონში" პარალელური ნუმერაცია არ ჩანს და შესაბამის კანონთა ზოგადი ტექსტებიც ოდნავ განსხვავებულია (შდრ. ზემოთ თარგმანის ფრაგმენტები) (მთარგმ.).

ე) შეძენა, დაცვა და აღდგენა წმიდა სახმარი ნივთებისა, რომლებიც აუცილებელია ღმრთისმსახურებისათვის და მრევლის წინაშე ღმრთისმსახურთა წარდგომისათვის. ამ შემთხვევაშიც საჭიროა ყურადღება, რათა არ დაიხარჯოს ზომაზე მეტი თანხები, ზომაზე მეტი შემკობისათვის და ამაო განდიდების წარმოსაჩენად. ეს ზედმეტი თანხები შეიძლება მოხმარდეს ეკლესიას შემდეგი მნიშვნელოვანი მიზნისათვის:

ვ) ეკლესიის სამრევლო დანიშნულების აღსასრულებლად. ეკლესია წარმოადგენს მოწყალების, ფილანთროპულ ცენტრსაც. ფილანთროპია ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ბევრ ეკლესიაში ჯეროვნად იყო ორგანიზებული. ქრისტიანული სამმო ითვალისწინებდა ქვრივთა, ობოლთა და, საერთოდ ღატაკთა დახმარებას (თეოფილე ალექსანდრიელის მე-11 კანონი); ასევე — სტუმართა მიღებას, ავადმყოფებზე, მოხუცებზე ზრუნვას, ასევე — ტყვეთა განთავისუფლებასაც.

ზ) დასასრულ, — ქადაგების მისიონერული მსახურების აღსრულება იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ არაა საკმარისად გავრცელებული სახარება. ესაა ქრისტეს ეკლესიის მუდმივი მოვალეობა.

პრინციპები, რომლებიც გათვალისწინებულია საეკლესიო საკუთრებით სარგებლობისათვის:

1) „შიშითა ღმრთისადთა და ყოვლითა კრძალულებითა“ და „კეთილითა სუნდისითა და უქცეველთა სარწმუნოებითა“. (მოციქულთა 41-ე და ანტიოქიის 24-ე კანონები)]. 2) შეგნებულად და ზომიერად მართვა-განგება საეკლესიო საკუთრებისა ზედმეტი თავის განდიდებისა და თავმომწონეობის გარეშე, არამედ ნამდვილად აუცილებლობის მიზნით. 3) გაცემა — გამჭრიახად და ყურადღებით, რათა თვალში არ მოვხვდეთ მოწყალების მიმღებს; 4) სამართლიანად გაცემა ნამდვილად გაჭირვებულთათვის. 5) საკუთრების გაცემა უნდა წარმოებდეს სადიდებელად ღმერთისა და ეკლესიის მიზანთა გათვალისწინებით, ანუ ადამიანის ცხოვნებისათვის — მისთვისაც, ვინც იღებს და მისთვისაც ვინც გასცემს.

II. საეკლესიო საკუთრების განუსხვისებლობა

წმიდა კანონების მიხედვით (IV მსოფლიო კრების 24-ე; V-VI მსოფლიო კრების 49-ე; VII მსოფლიო კრების მე-11, მე-12 და მე-13; კართაგენის 26-ე, 29-ე, 32-ე და 33-ე; მოციქულთა 38-ე; ანკერიის მე-15; ანტიოქიის 24-ე; კირილე ალექსანდრიელის მე-2 კანონები) და ბიზანტიელი იმპერატორების დადგენილებებით აკრძალულია სარგებლობის მომხვეჭი საეკლესიო ნაგებობებისა და ყოველგვარი განსხვისება ან გაყიდვა. დღეს აკრძალულია საეკლესიო საკუთრების არა მარტო რეალიზაცია, არამედ ნებისმიერი სახის გარიგება (შეთანხმება, მოლაპარაკება), რაც კი არ არგებს საეკლესიო საკუთრებას.

საეკლესიო საკუთრების (მოძრავისა თუ უძრავის) რეალიზაცია დაშვებულია მხოლოდ გარკვეულ, ლოგიკურად გამართლებულ შემთხვევაში, ანუ, საკუთრივ: ა) თუკი აუცილებელია აშენდეს ახალი ნაგებობა ან აღდგენილ იქნას რომელიმე დანგრეული. ბ) თუკი საყიდელია საჭირო სახმარი ნივთი (საგანი, თუ ობიექტი), აუცილებელი საეკლესიო დაწესებულებისათვის. გ) თუკი გადაუდებლად საჭიროა მხარდაჭერა ეკლესიისა, რომელიც მატერიალურად მეტად მძიმე მდგომარეობაშია. დ) თუკი ერის არსებობას ემუქრება გარეშე მტერი. ე) თუკი აუცილებელია ღარიბთა ან ავადმყოფთა დახმარება. ვ) თუკი საჭიროა ტყვეთა ან მონათა გამოსყიდვა, თუ გათავისუფლება. ზ) თუკი საეკლესიო ნაგებობას მართებს ვალი საერო დაწესებულების მიმართ და არ არსებობს სხვა საშუალება დაიფაროს იგი. თ) თუკი აშკარაა და პატივმოყვარეობით არ არის გამოწვეული სარგებელი ეკლესიისათვის, რომელიც აწარმოებს თავისი საკუთრების ამგვარ რეალიზაციას. ი) თუკი უძრავი საკუთრება შემოუსავლიანია (კართაგენის 26-ე კანონი), ან იგი მოშორებულია საეკლესიო ნაგებობებს და შეიძლება გაიძარცვოს ან განადგურდეს. კ) თუკი საერო დაწესებულებას სჭირდება ესათუის საეკლესიო ნაგებობა, რომელიც დასაშვებია გაიცვალოს სხვაზე, მის ტოლფასზე. VII მსოფლიო კრების მე-12 კანონის თანახმად რაკი ამა თუ იმ, მოძრავი თუ უძრავი საეკლესიო ნივთის გაყიდვა ხორციელდება აუცილებელი ფორმულირებული დადგენილებების გარეშე, მყიდველი საბოლოოდ ვერ მიიღებს შენაძენს, თუმცა ამავე დროს მას არ მოეკითხება უკან თუ დაიბრუნა შენარჩუნებისათვის გაწეული ხარჯი. მიზანშეწონილად და ფრიად სასარგებლოდ ითვლება საკუთრების სხვადასხვა საგანთა რეალიზაცია თუ გაცვლა საეკლესიო დაწესებულებეს შორის. რამდენადაც ამგვარად ეკლესიის საგნები კვლავაც ნაკურთხ საგნებად ითვლება.[5]

შენიშვნა: ყოველივე საგანგებო, რაც კი უკავშირდება სხვადასხვა ადგილობრივ ეკლესიათა საკუთრების მართვასა თუ გამგებლობას, მიემართება და განიხილება კანონიკური სამართლის საგანგებო ნაწილში.

დანართი: ზემოთ ჩამოყალიბებულის მიხედვით წარმოვადგენთ საეკლესიო საკუთრების გამოყენებასთან დაკავშირებულ სამ კანონს:

1) წმიდა მოციქულთა 38-ე კანონი: „ყოველთავე საჴმართა საეკლესიოთაჲ ეპისკოპოსსა აქუნდინ ზრუნვაჲ და განაგებდინ მათ, ვითარცა ზედამზედველობასა ქუეშე ღმრთისასა. ხოლო არა უღირს მას, რაჲთა მირაჲმეიხუეჭოს მათგანი, ანუ ნათესავთა თჳსთა მიანიჭნეს საფასენი ღმრთისანი. ხოლო უკეთუ გლახაკ იყვნენ იგინი, იღუწიდეს, ვითარცა გლახაკთა,

[5] შდრ. Μελετίου Σακελλοροπούλου, დასახ. ნაშრ. σελ. 355.

არამედ ნუმცა მიზეზთა ამით განილევიან მათ ზედა საჴმარნი ეკლესიისანი".

2) კართაგენის 32-ე კანონი[6]: „კუალად ესეცა სათნო-გჳჩნდა, რაჲთა ეპისკოპოსნი, ხუცესნი და დიაკონნი და ყოველნივე მოყუასნი (=ყოველი სასულიერო პირი), რომელთა არარაჲ აქუნდეს, უკეთუ წარემატნენ ჟამსა ეპისკოპოსობისასა ანუ მღვდლობისა მათისასა და აგარაკნი რაჲმე ანუ ვითარნიცა სოფელნი სახელსა თჳსსა ზედა მოიყიდნენ, რაჲთა ვითარცა საკუთართა საპატრონოთა თჳსთაჲ აქუნდეს ჴელმწიფებაჲ განგებისა მათისაჲ, აქუნდინ ეგრეთ, არა თუ სადმე საეკლესიოდ განკუთვნვაჲ მათი სათნო-ეჩინოს მათ პირველ. და თუ უკეთუ ნათესავთა ვიეთმე თჳსთა სახლეულთაჲ ენებოს სამკჳდრებლად დატჳევებაჲ მათი წესითა მონაცვლეობისაჲთა, ქმნან, რაითაცა ენებოს გამორჩევასა მათსა. ხოლო უკეთუ შემდგომად პირველისა მის გამორჩევისა კუალად-იქცენ უკულმართ და სხუაჲ განჩინებაჲ განაჩინონ მათთჳს და მიჰხუეჭენ ეკლესიასა, რომელი-იგი განეკუთნნეს მისდა, ვითარცა გამოუცდელნი, უღირსად საეკლესიოიჲსა პატივისად შერაცხილ იქმნენ.

3) VII მსოფლიო კრების მე-12 კანონი: „ვინცა ვინ ეპისკოპოსი თუ წინამძღუარი მონასტრისაჲ იპოოს საქონელთა საეპისკოპოსოჲსა ანუ მონასტრისათა მიმცემელად ჴელსა მთავრისასა ანუ სხჳსა პირისასა მიმართ განმცემელად, დაუმტკიცებელ იყავნ განცემაჲ იგი კანონისამებრ წმიდათა მოციქულთაჲსა, რომელი იტყჳს: ყოველთავე საეკლესიო საქონელთაჲ ეპისკოპოსსა აქუნდინ ზრუნვაჲ და განაგებდინ მათ, ვითარცა ზედამ-ხედველობასა ქუეშე ღმრთისასა. ხოლო არა უღირს მას მოხუეჭაჲ რაჲსამე მათგან ანუ ნათესავთა თჳისთა მიცემაჲ საფასეთა ღმრთისათაჲ. გარნა უკუეთუ გლახაკ იყვნენ იგინი, იღუწიდენ მათ, ვითარცა გლახაკთა, არამედ ნუმცა მიზეზთა მათითა განისყიდვიან ეკლესიისანი. ხოლო უკეთუ მიზეზობდეს ზღვეულებისა რაჲსმე შემთხუევასა (=ზარალს თუ იმიზეზებენ) და ვითარცა არა სყიდით განსცემს აგარაკსა ეკლესიისა, ნუცა ეგრეთ მისცემს მას მთავარსა მის ადგილისასა (=ნურც გაყიდვით, ნურც ადგილობრივ მთავარს მისცემს [ეკლესიის] კუთვნილ ნაკვეთს), არამედ მოყუასთა (=სასულიერო პირებს, სამღვდელოებას) მისცეს იგი, ან მუშაკთა (=მიწათმოქმედებს). ხოლო უკუეთუ მანქანებაჲ ბოროტი იჴუმიოს და მუშაკისაგან ანუ მოყუსისა იყიდოს მთავარმან აგარაკი იგი, ეგრეცა დაუმტკიცებელ იყავნ (=ძალმოსილი არ იყოს) სყიდაჲ იგი და კუალად ეგენინ (=ისევ დაუბრუნდეს, აღუდგეს...) საეპისკოპოსაევე, გინა მონასტერსა განსყიდული იგი აგარაკი და ეპისკოპოსი ანუ წინამძღუარი ამის მოქმედი [illegible] ეპისკოპოსი უკუე საეპისკოპოსოჲთ და წინამძღუარი — [illegible] ვითარცა განმაბნეველნი (განმფლანგველნი) ბოროტად, რომელი [illegible] ბნეს მათ".

---

[6] 32-ე კანონი ბერძნულ ტექსტში უფრო მოკ[illegible]არგმნელი).

თავი მერვე

ეკლესიისა და სხვა სტრუქტურების ურთიერთდამოკიდებულება

1. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა

წინა თავებში, სახელდობრ იქ, სადაც ეკლესიის მართლმსაჯულებასა და საეკლესიო ქონებას ვეხებოდით, აღნიშნულია, რომ მებრძოლ ეკლესიას მრავალჯერ დაუმყარებია ურთიერთობა სხვადასხვა სრუქტურებთან, განსაკუთრებით სახელმწიფოსთან. ეს ბუნებრივი მოვლენაა, რადგანაც ეს დაწესებულებები ერთსა და იმავე დროსა და სივრცეში არსებობენ და მოძრაობენ, ან საერთო წევრები ჰყავთ.

გარეშე სტრუქტურებთან ურთიერთობები ზოგჯერ ეკლესიის სასარგებლოდ მთავრდებოდა, ზოგჯერ კი, ერთი შეხედვით მაინც — მის საზიანოდაც. ვამბობთ ერთი შეხედვითო რადგან ხშირად შესაძლებელია, ის ნიშნები და ელემენტები, რომლებსაც ჩვენ ადამიანური თვალსაზრისით ეკლესიისათვის საზიანოდ მივიჩნიეთ, სწორედ იმ ფაქტორებს შეადგენდნენ, რომლებიც ეკლესიის სამოძღვრო საქმეთა განახლებისათვისაა საჭირო (იხ. რომ. 8,28 „რამეთუ ღმრთისმოყუარეთა ყოველივე განემარჯუების კეთილად“).

I. ეკლესიისა და სახელმწიფოს შექმნა, ჩამოყალიბება

სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენს ადამიანთა ორგანიზებულ თანაარსებობას, უძველესი სისტემაა. ღმერთმა ადამიანი საზოგადოებრივ არსებად შექმნა. ცოდვით დაცემის შემდეგ, როდესაც ადამიანები მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ, მათი ურთიერთობანი დაუწერელი კანონებით განისაზღვრებოდა. დროთა განმავლობაში კი ადამიანებმა დააარსეს სახელმწიფოები, რომელნიც წერილობით განსაზღვრავდნენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს. ასე იქმნებოდა პირველი კანონმდებლობები. სახელმწიფოები ცდილობდნენ და ცდილობენ, მიაღწიონ საკუთარ მოქალაქე-წევრთა მართვის გონივრულ, სრულყოფილ სისტემას.

ეკლესია აღმოცენდა და განვითარდა რომაული თვითმპყრობელი სახელმწიფოს წიაღში. ეკლესია ღმრთაებრივი წარმომავლობისაა, ღმრთაებრივი დაწესებულება. ხოლო მისი წევრები ერთი სხეულის ასონი არიან. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ეკლესია ორგანიზებული სახელმწიფოს გარემოში იყო მოქცეული. და იგი არც ცდილა, არიდებოდა სახელმწიფოსთან ურთიერთობებს, არამედ მრავალჯერ სახელმწიფოს მეშვეობით არკვევდა და ავითარებდა საკუთარ სამოციქულო და სამოძღვრო საქმეებს. ეკლესია ერიდებოდა მხოლოდ, ერთი მხრივ ურთიერთაღრევას, მეორე მხრივ — ურთიერთდაპირისპირებას სახელმწიფოსთან, უფლის მცნების თანახმად:

„მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა“ (მარკ. 12,17). პავლე მოციქულის შეგონების მიხედვით, საჭიროა — „ყოველ ნი ჴელმწიფებასა მას უმთავრესისასა დაემორჩილენ, რამეთუ არა არს ჴელ-მწიფებაჲ გარნა ღმრთისაგან, და რომელნი — იგი არიან ჴელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან“ (რომ. 13,1).

აქედან გამომდინარე, ვასკვნით, რომ ეკლესია არ ანიჭებს უპირატესობას ამა თუ იმ პოლიტიკურ სისტემას, რადგანაც თავისუფალია, შეასრულოს თავისი დანიშნულება. ეს მიემართება ეკლესიას, როგორც ერთობლიობას, და არა პირადად მის წევრებს, რომლებსაც შეუძლიათ, უპირატესობა მიანიჭონ და ამოირჩიონ ესა თუ ის სისტემა, პარტია ან პიროვნება; საკ-მარისია, მათ შეიმუშავონ კანონმდებლობა და განაგებდნენ სახელმწიფოს ისე, რომ არ დაუპირისპირდნენ საღმრთო სჯულს. როდესაც ეკლესია და მისი წევრები ღმრთის ნებისადმი დაპირისპირებულ სახელმწიფო კანონს წააწყდებიან, მათ მართებთ მორჩილება უფლის კანონისადმი, რაკი: „მორჩი-ლებაჲ ჯერ-არს ღმრთისაჲ უფროჲს, ვიდრე კაცთაჲ“ (საქმე მოც. 5,29).

ეკლესია გამუდმებით იღვწის ადამიანთა სრულყოფისათვის, შესაბამისად, მისი წევრებისა და ერის მთავართა მეშვეობით მიიღწევა კანონმდებლობის სრულყოფაცა და ჭეშმარიტი საზოგადოებრივი პროგრესიც.

II. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა ბიზანტიაში

ქრისტიანობის პირველი სამი საუკუნის განმავლობაში სახელმწიფო ეკლესიას უბრალო საზოგადოებადაც კი არ სცნობდა. მეტიც, იგი სასტიკად იდევნებოდა რომის იმპერატორების მიერ. მაგრამ კონსტანტინე დიდის ეპოქიდან, ანუ 313 წლიდან და შემდგომ, როდესაც გამოქვეყნდა მილანის ედიქტი რელიგიათა შემწყნარებლობის თაობაზე, ეკლესიამ დაიწყო სახელმწიფოსთან ურთიერთობების ჩამოყალიბება. ეს ურთიერთობები განსაკუთრებით განვითარდა 380 წელს, როდესაც თეოდოსი პირველმა ქრისტიანობა სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად გამოცხადა.

ვინაიდან სახელმწიფო ხედავდა, რომ ეკლესიასთან ერთობა მასაც წარმატებას უქადდა, მან ენერგიული ზომები მიიღო ეკლესიის სასარგებლოდ. ქრისტიანობის მეშვეობით მან შეიძინა უმნიშვნელოვანესი გამაერთიანებელი ძალა — ზნეობრიობა. სახელმწიფო ცდილობდა, განყოფისაგან და მწვალებლობისაგან დაეცვა ეკლესია. ასევე ეკლესია მადლიერებით იწყნარებდა, ან უსიტყვო მორჩილებით ითმენდა მისი გავლენის სფეროში სახელმწიფოს შემოჭრას, რადგან სახელმწიფო იცავდა მას ყოველგვარი ბოროტი ზრახვისა ან ხელყოფისაგან. სახელმწიფოს მხრივ, ეკლესიის მიმართ დამცველობითი პოზიციის დაკავება არ უნდა მივიჩნიოთ საეკლესიო ხელისუფლების დაკნინებად. არამედ, უპირველეს ყოვლისა — ეკლესიისადმი

სახელმწიფოს მსახურებად. სახელმწიფოს ინტერესი იმითაც ვლინდება, რომ ეკლესიის კანონებს სახელმწიფო უფლებებით მოსავს და მას სახელმწიფოს კანონად აცხადებს. ასე, იუსტინიანე 131-ე „ნეარონის" (Novella) a. 1. განყოფილებაში („სამეფო") აღნიშნავს: „ამრიგად, ჩვენ დავადგინეთ, რომ კანონის ძალა მიენიჭოს წმიდა საეკლესიო სჯულის კანონებს, დადასტურებულთ წმიდა შვიდი საეკლესიო კრების მიერ... ზემოხსენებული წმიდა სინოდთა დოგმებსაც ვიწყნარებთ, როგორც საღმრთო წერილს, ხოლო საეკლესიო *სჯულს ვიცავთ, როგორც (სახელმწიფო) კანონებს*".[1] მეტიც; ეკლესიის კანონები სახელმწიფოს კანონებზე უპირატესად მიიჩნევა. ასე, სხვადასხვა „ნეარონებში" აღნიშნულია: „ზოგჯერ იტყვი, რომ სჯულის კანონები მოიცავენ სახელმწიფო კანონებს, ზოგჯერ იტყვი, რომ სახელმწიფო კანონები მისდევენ სჯულის კანონებს" და „სჯულის კანონების საწინააღმდეგო პრაგმატული ფორმულირებები მოკლებულია ძალმოსილებას".[2] დიდი ბიზანტიელი კანონთა მცოდნე მათე ბლასტარისი (ანბანური კონსტიტუცია, K, თ. მე-5) დასძენს: „ამრიგად, საეკლესიო კანონები სახელმწიფოს კანონებზე მეტი უფლებამოსილებით უნდა გამოირჩეოდეს. სახელმწიფოს კანონები ხომ მხოლოდდამხოლოდ მეფეთა მიერ არის შედგენილნი, შემდგომში კი მიიჩნიეს, რომ ისინი ვარგისია, ხოლო წმიდა მამათა აზრით, მოწადინებითა და კენჭისყრით შემუშავებული წმიდა კანონები იმდროინდელ მეფეეთა თანამონაწილეობით, მათი მხარდაჭერით დაიწერა".[3]

III. ორი დაწესებულების (ეკლესიისა და სახელმწიფოს) ერთიანობისა და განსხვავების ნიშნები

ზოგიერთი ნიშანი, რომელიც საერთო აქვს ეკლესიასა და სახელმწიფოს, ან ურთიერთგანსხვავებული, და წარმოადგენს წინაპირობებს მათ შორის კეთილი ურთიერთობების დასამყარებლად, არის შემდეგი:

ა) საეკლესიო კანონებს არ ადგენს ეკლესიის წევრთა ნება, არამედ უფალი. ეკლესიის კანონები მიზნად ისახავენ, შეათავსონ თავის წევრთა ნება ღმრთის ნებასთან და ამით მიაღწიონ მის სრულყოფას. ეს კანონები არ არის დროებითი და გარდამავალი. სახელმწიფოს კანონები, პირიქით, მის წევრთა ნებით არიან განპირობებულნი, და აღიქმებიან, როგორც მთლიანობა, ან ცალ-ცალკე, განკერძოებულად. ამ კანონების მიზანია, დაუმორჩილონ ყოველი ინდივიდის ნება ერთიან ნებას. სახელმწიფოს კანონები მრავალჯერ იცვლებოდა ვითარებათა შესაბამისად ან პიროვნებათა მიერ.

---

[1] იხ. Ράλλη - Ποτλῆ, τόμ. Α΄ σελ. 36-37.

[2] იხ. Ράλλη - Ποτλῆ, τόμ. Α΄ σελ. 36.

[3] იხ. Ράλλη - Ποτλῆ, τόμ. ΣΤ΄ σελ. 317.

ბ) ეკლესია თავისი კანონების საქმეში დანერგვით არავის აიძულებს; იგი არც განაგებს ნივთიერ საშულებებს თავისი კანონების დანერგვისათვის, არამედ ცდილობს, სულიერი რესურსებით (ღმრთის სიტყვითა და წმიდა საიდუმლოებებით) თავისუფლად, თავისი ნებით შეცვალოს ადამიანი. სახელმწიფო კი პირიქით, ყველანაირად ცდილობს, აიძულოს პიროვნება, რათა იგი მის კანონს დაუმორჩილოს.

მაგრამ თუ ეს ორი დაწესებულება განსხვავდება ურთიერთისაგან საშულებებით და თავიანთი მოქმედების წესით, მიზნის თვალსაზრისით, ისინი თანხმობით არიან ურთიერთდაკავშირებულ ნი და მრავალი განმეორებით თანხვდებიან კიდეც ურთიერთს. სახელდობრ იმით, რომ ზნეობრივად და სულიერად სრულყოფენ ადამიანთა ურთიერთობებს და მათ შინაგან განწყობას, ეკლესია ეხმარება კიდეც ადამიანებს, რათა ისინი ნებით აღასრულებდნენ სახელმწიფოს კანონებს, სწორედ სახელმწიფოს მიზანთა წარმატებისათვის. ასევე სახელმწიფოც, თავისი მართალი კანონებით ხელს უწყობს ადამიანთა მშვიდობიან თანაცხოვრებას, მათი დანიშნულების აღსრულებასა და მათი წარმატებას. ამგვარად, ეს ორი დაწესებულება, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ეხმარება ადამიანს თავისი დანიშნულების აღსრულებაში. ადამიანის სრულყოფა კი არის საკუთარი ნების უფლის ნებასთან გაიგივება, რის მეშვეობითაც იგი წარმატებით აღწევს თავის განწმენდას „მსგავსებისამებრ" უფლისა, სრულ და ჭეშმარიტ წინსვლას (საწადელ ნეტარებას). ამრიგად, ამ ორი დაწესებულების — ეკლესიისა და სახელმწიფოს ნამდვილი მიზანი საბოლოოდ შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს.

IV. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის სისტემები

იმისათვის, რომ აღასრულონ თავიანთი მიზნები, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის იქმნება სხვადასხვაგვარი ურთიერთობები, რომლებიც საბოლოოდ შეიძლება დაგვირგვინდნენ თანხმობითა და თანამშრომლობით, ან შეიძლება წარმოიშვას უთანხმება და კონფლიქტები. ამგვარად ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ყალიბდება ურთიერთობათა სხვადასხვაგვარი სისტემები. ძირითადად ისინი იყოფა სამ სახეობად, როგორიცაა: ქვეშევრდომობის, ანუ სუბორდინაციული დამოკიდებულება, პარალელური დამოკიდებულებისა და ურთიერთდამოკიდებულების კოორდინაციული სისტემები.

1). ქვეშევრდომობის სუბორდინაციული დამოკიდებულება (ანუ ერთის დამორჩილება მეორისადმი)

ამ სახეობის სისტემებს განეკუთვნება: ა) იეროკრატიული სისტემა ანუ პაპოკესარიზმი (ან პაპოცეზარიზმი) და ბ) პოლიტოკრატული სისტემა, ანუ კესაროპაპიზმი (ცეზაროპაპიზმი).

ა) იეროკრატიული სისტემა. (სასულიერო პირთა განმგებლობის სისტემა). იგი განვითარდა ნეტარი ავგუსტინეს იდეებისაგან, რომლებიც წარმოდგენილია მის თხზულებაში — „უფლის სახელმწიფოსათვის" (De civitate Dei). ამ სისტემის მიხედვით, იეროკრატიული უფლებამოსილება, ანუ (სასულიერო პირთა) ხელისუფლება განიხილება, როგორც უფლის წარმომადგენლობა დედამიწაზე, როგორც პრინციპი და სათავე ყოველივე ამა სოფლის ხელისუფლებისა. ამ იდეების საფუძველზე დაიცვა პაპმა თავისი უფლება, თავად დაედგინა ამა სოფლის ხელისუფალნი, თავისი კონტროლისთვის დაექვემდებარებინა სახელმწიფოთა კანონებიც, იმისდა მიხედვით, ეთანხმებიან ისინი, თუ წინ აღუდგებიან უფლის ნებას. ამგვარი სისტემა ძირითადად დასავლეთის ეკლესიაში იყო გაბატონებული, და მას ზოგიერთი მისი წარმომადგენელი იცავდა კიდეც, და ამტკიცებდა, რომ სწორედ იძულებით უნდა აეღო ეკლესიას უპირატესობა სახელმწიფოზე, ადამიანთა ხსნისა და ცხოვნებისათვის. ამ თეორიას ეფუძნებოდნენ ჯვაროსნებიც, ინკვიზიციაც, და მანვე გამოიწვია პაპის საყდრის უხეში ჩარევა დასვლეთის სამყაროს პოლიტიკურ მოვლენათა მსვლელობაში.

ბ) პოლიტოკრატიული (ეკლესიაზე სახელმწიფო დიქტატის, პრეტენზიის მქონე) ხელისუფლება პაპისტური აზროვნების წესისა და იეროკრატიისადმი რეაქციის სახით ჩამოყალიბდა. ესაა მისდამი დიამეტრულად საპირისპირო სისტემა, — სახელმწიფოსადმი დაქვემდებარება ეკლესიის. ამ სისტემის დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ პოლიტოკრატიული ხელისუფლება ისწრაფვის როგორც სახელმწიფო (პოლიტიკური), ასევე საეკლესიო (იერატიკული) ძალაუფლების მოპოვებისათვის. ამ სისტემის მიხედვით ხელისუფლების უზენაესი ორგანიზაცია არის სახელმწიფო, და ყოველი სხვა დაწესებულება, სხვა ორგანიზაცია მას უნდა ექვემდებარებოდეს. ამ სისტემას განეკუთვნება შემდეგი კერძო შემთხვევები: *1) კესაროპაპიზმი (ან ცეზაროპაპიზმი).* ამ სისტემის მიხედვით სახელმწიფოს მეთაური ამასთანავე არის უმაღლესი საეკლესიო მმართველი. *2) სახელმწიფოებრიობის ანუ ტერიტორიულობის* ქვესისტემა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო მართავს ეკლესიას თავისი სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით. ეს სისტემა ჩამოყალიბდა განსაკუთრებით პროტესტანტულ ქვეყნებში. *3)კათოლიკე სახლმწიფოთა აბსოლუტური განმგებლობა, ანუ აბსოლუტიზმი,* რელიგიური იძულების წესით ყველა საეკლესიო საკითხი ექვემდებარება სახელმწიფოს.

2) პარალელიზმის (თანაბარუფლებიანობის ან სრულიგამიჯვნის) სისტემები

პარალელიზმის სისტემებს ის თავისებურება ახასიათებთ, რომ ერთი ხელისუფლება აშკარად განსხვავდება მეორისაგან და პარალელურად განიხილება. მას განეკუთვნება შემდეგი სისტემები:

ა) თანაბარუფლებიანობის სისტემა. ამ სისტემის მიხედვით ორი დაწესებულება — სახელმწიფო და ეკლესია ვლინდება, როგორც ურთიერთ ეკვივალენტური. არც სახელმწიფო განაგებს ან ზედამხედველობით აკონტროლებს ეკლესიას, და არც ეკლესია მიმართავს სახელმწიფოს მიმართ მმართველობისა თუ ზედამხედველობოს პრაქტიკას. ორივე დაწესებულების უფლებამოსილების საზღვრები დგინდება შეთანხმებით, რომელსაც ისინი აფორმებენ ურთიერთს შორის (კონკორდატი).

ბ) სრული გამიჯვნის სისტემა. ამ სისტემის მიხედვით სახელმწიფო რელიგიას მიიჩნევს წმინდა პირად საქმედ, ხოლო ეკლესიას — კერძო სამართლის იურიდიულ პირად, რომლის წევრები მიიჩნევიან კანონიერად დადგენილი გარკვეული სხეულის-„კორპუსის" წევრებად. ამ სისტემის მიხედვით იგულისხმება, რომ: 1) სახელმწიფო იმყოფება ზნეობისა და კულტურის სათანადო სიმაღლეზე და 2) ეკლესია იმყოფება საეკლესიო წესრიგისა და დისციპლინარული დამორჩილების მაღალ დონეზე. ამ სისტემის მიხედვით სახელმწიფოს განწყობა ეკლესიის მიმართ მერყეობს კეთილგანწყობილ ნეიტრალიტეტსა და აშკარად მტრულ პოზიციას შორის.

3) კოორდინაციის (შეთანხმების, ურთიერთთანამშრომლობის) სისტემები

ა) „კანონით ხელისუფალი (განმგებელი) სახელმწიფოს" სისტემა.

სისტემათა ზემოხსენებულ ორ სახეობასა თუ კატეგორიას — პარალელიზმსა და სუბორდინაციას შორის, არსებობს ურთიერთობათა სხვა სისტემაც — „კანონით ხელისუფალი (განმგებელი) სახელმწიფოს" სისტემა. ამ სისტემის მიხედვით, ეკლესია სახელმწიფოსგან განსხვავებულია და სარგებლობს საკუთარი მფარველობით და სახელმწიფოსაგან განსხვავებული პრივილეგიებით, როგორც ოფიციალური, ანუ უპირატესი უფლებით აღჭურვილი რელიგია. რადგან ერთის ცნობიერება, ჩვეულებრივ და უმეტესწილად, იდენტიფიცირებულია მეორის ცნობიერებასთან. მაგრამ მსგავსი მოვლენა ხშირად მთავრდება იმით, რომ ეკლესია აღმოჩნდება ხოლმე სახელმწიფოს მეურვეობას დაქვემდებარებული, ვინაიდან მეტწილად ამ ორი დაწესებულების ურთიერთობა წესრიგდება ცალმხრივად, სახელმწიფოს მიერ. ამგვარად, აღნიშნული სისტემა პარალელიზმის სისტემიდან შეიძლება გადაიზარდოს სუბორდინაციის სისტემად, ეკლესიის საზიანოდ. ანუ არსებობს საფრთხე, რომ ეს სისტემა პოლიტოკრატიად გარდაიქმნას.

აღნიშნული სისტემის მიხედვით, სახელმწიფო თეორიულად მოვალეა, საეკლესიო საკითხებზე კანონმდებლობის გამომუშავების შემთხვევებში „თანხმობის აზრს" დაეკითხოს ეკლესიას. თუმცა პრაქტიკულად, რაკი

სახელმწიფოს ხელეწიფება კანონმდებლობა, „თანხმობის აზრის გათვალისწინების“ ფორმულირება გარდაიქმნება ხოლმე უბრალოდ, „აზრის გათვალისწინებად“. უფრო მეტიც: ეს არ ზღუდავს სახელმწიფოს კანონმდებლობას, კიდევაც რომ არსებობდეს საეკლესიო განმგებლობის საწინააღმდეგო აზრი. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკანონმდებლო უფლებამოსილება არ იზღუდება მხოლოდ სახელმწიფო კანონმდებლობით, არამედ იგი მიემართება ეკლესიასაც, და წარმოადგენს მისი სულიერი უფლებამოსილების უცვლელ ელემენტს. ეკლესიისა და სახელმწიფოს საერთო კომპეტენციას, მათ ერთობლივ უფლებამოსილებას ეკუთვნის მრავალი ადმინისტრაციული, განმგებლობითი და სასამართლო საკითხი, როგორიცაა, მაგ. საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრების დადგენა, საეკლესიო საკუთრების, განსაკუთრებულ დღესასწაულთა შემოღების და სხვა საკითხები. როდესაც „კანონით ხელისუფალი (განმგებელი) სახელმწიფო“ ნამდვილად შეიმუშავებს ეკლესიის „ერთობლივ თანხმობას“, მაშინ მივაღწევთ კოორდინაციის საუკეთესო სისტემას.

ბ) კოორდინაციის, ანუ თანამშრომლობის სისტემა

ამ სისტემის მიხედვით, სახელმწიფო მეგობრულადაა განწყობილი ეკლესიის მიმართ, რადგან აღიარებს მის სულიერებას და სასულიერო საშუალებებს, რომელთაც იგი მიმართავს თავისი მიზნის განხორციელებისათვის. იგი ასევე სცნობს, რომ ეკლესია თანადგომით შემწეობას უწევს და თავისი წვლილი შემოაქვს სახელმწიფოს მიზანთა განხორციელებისათვის, და ამის გამო სახელმწიფოს ულირს, დაიცვას და გააძლიეროს ეკლესია თავისი დანიშნულების აღსასრულებლად. ეკლესიის ორგანოებსაც, რა თქმა უნდა, მართებთ, გულწრფელად იღვაწონ ამ მიზნის მისაღწევად და სხვა მიზნებისაკენ არ გადაიხარონ.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა არსებულ სისტემებს შორის, ეკლესიისა და სახელმწიფოს მიზანთა განხორციელებისათვის ყველაზე პროდუქტიულია თანამშრომლობა-კორდინაციის სისტემა. ეს სისტემა, თუმცა იგი თეორიულად საუკეთესოდ გამოიყურება, მასში მაინც ზუსტად არ არის განსაზღვრული მისი განხორციელების საშუალებები და სრულიად არ არის მიღწეული საქმეში მისი გამოყენება.

კორდინაციის სისტემის განხორციელებისა და საქმეში მისი დანერგვის საფუძველი და ფორმა არის *შემდეგი:*

1) კონსტიტუციურადაც მხარდაჭერილი იქნას სახელმწიფოს მიერ ყველა ცნება-ტერმინი და წმიდა კანონები, დადგენილი და მიღებული წმიდა მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ; რამდენადაც ისინი საღმრთო

წერილთან ერთად უცილობლად წარმოადგენენ წმიდა გარდამოცემას, ეკლესიის უცთომელ სწავლებას. ეს უცილობელი ტექსტები საფუძვლად ედება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის *ურთიერთგაგებას* იქ, სადაც ურთიერთს თანხვდება კომპენტეციები.

2) ყოველივე ამას შედეგად მოსდევს: ა) ეკლესია (სამღვდელო პირნი და ერი) კანონიკურად და *კონსტიტუციურად* მოვალეა, დაიცვას და საქმეში დანერგოს ცნება-კანონები, უცილობელი წმიდა გარდამოცემა. ბ) სახელმწიფო ვალდებულია, გააკონტროლოს, არის თუ არა „ურყევად დაცული" ეკლესიის მიერ „წმიდა კანონები და წმიდა გარდამოცემა", ცხადია, თუ სახელმწიფოს არ სურს, რომ დარღვეულ იქნას საკონსტიტუციო წყობა. გ) თუ ამას ოფიციალურად არ მისდევს სახელმწიფო, კონსტიტუციის შესაბამისად სიფხიზლე მართებს მორწმუნე ერს, რომელიც წარმოადგენს კიდეც მართლმადიდებლობის დამცველს.

3) იმისათვის, რომ საბერძნეთის რესპუბლიკამ თავს იდვას ეს ვალდებულება, ან, თუნდაც, უფლებამოსილება, რაკი მას სურს, წარმოადგენდეს ეკლესიისა და სახელმწიფოს სავსებას, მან არ უნდა უგულვებელყოს ან ზერელედ მოეკიდოს წმიდა კანონებს. ეს კი ნიშნავს, რომ წმიდა კანონები უნდა ითვალისწინებდნენ სახელმწიფოს ზოგიერთი კანონის კონსტიტუციურად შემუშავებასაც, ისე, რომ ისინი არ დაუპირისპირდნენ მათ. რადგან საწინააღმდეგო შემთხვევაში, ნაცვლად იმისა, რომ შეეწიონ ეკლესიის წევრებს (სამღვდელო პირებსა და ერს), ურყევად დაიცვან წმიდა კანონები (წმიდა გარდამოცემა), ისინი უბიძგებენ მათ დარღვევისაკენ; რაც კანონსაც ეწინააღმდეგება და ამასთანავე ანტიკონსტიტუციურია.

4) სახელმწიფოს კანონთა და საეკლესიო ადათთა ჭეშმარიტი შეთანხმებისათვის აუცილებელია წმიდა კანონთა უცილობელი ცოდნა და განმარტება, ის, რაც შეიძლება მიღწეულ იყოს მეცნიერული მეთოდებით ადგილობრივ ეკლესიასთან თანამშრომლობით. იმიტომ, რომ ეს ყოველივე უნდა მისდევდეს მართლმადიდებლურ ეკლესიოლოგიას — სრულიად ეკლესიის ყველაზე უცილობელ გამომხატველს, და, ამის შესაბამისად — ეკლესიის წმიდა კანონთა ყველაზე კომპეტენტურ კომენტატორს.

2. *ეკლესიის ურთიერთობები მის წევრებთან და სხვა რელიგიათა და განსხვავებულ აღმსარებლობათა წარმომადგენლებთან*

დღეს ეს საკითხი უმნიშვნელოვანესია იმ სწრაფი სოციალური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების გამო, რომელიც აისახება სხვა აღმსარებლობისა და სხვა რელიგიების კონტაქტებით მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის წევრებთან. განსხვავებულ რელიგიათა და სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთა შორის სხვაობა ასეთია: ერთნი არ ეკუთვნიან ქრისტიანობას, არამედ სხვა რელიგიას აღიარებენ, ან სრულიად რელიგიის გარეშე არიან, მეორენი კი, მართალია, ქრისტინები არიან, მაგრამ განუდგენ მართლმადიდებელ სარწმუნოებას, ვინაიდან ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, აუცილებელია, შესაბამისი ქვეთავიც მიეძღვნას, და შეძლებისდაგვარად გამოკვლეულ იქნას, მტკიცე საფუძვლზე დამყარებით.

I. ურთიერთობათა განსაზღვრების ზოგადი საფუძვლები

ზოგადად დაუშვებელია ნებისმიერი ურთიერთობა სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებთან, თუ იგი გულისხმობს გულგრილ დამოკიდებულებას ჭეშმარიტების მიმართ და კერძო სარგებლობით არის მოტივირებული. მაგრამ ეს ურთიერთობა გამართლებულია, როცა იგი დაფუძნებულია ჭეშმარიტ სიყვარულზე და ითვალისწინებს მათდამი შემწეობას. თუკი ამგვარი ურთიერთობა მომდინარეობს და შთაგონებულია ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულით ცდომილის მიმართ, ეს არათუ ნებადართულია, არამედ საჭიროც. შდრ. უფლის სიტყვები, როდესაც იგი იხსენიებს კეთილ მწყემს, რომელმაც მიატოვა 99 ცხვარი და ერთი დაკარგული მოიძია (მათე 18,12). მართლმადიდებელ მღვდელმთავართა მიერ ეკლესიის ცდომილ წევრთა სწორ გზაზე დაბრუნების მოვალეობაზე მეტყველებს კართაგენის საეკლესიო კრების 121-ე და 123-ე კანონები. 121-ე კანონი განსაზღვრავს: ეპისკოპოსი, რომელიც არ იღვწის ცდომილთა მოქცევისათვის, ისჯება – მის საეპისკოპოსოს ჩამოერთმევა ის მიდამოები, სადაც არიან მწვალებლები. ეს სამწყსო („მიმოგარენი ადგილნი“) მიეცემა სხვა ეპისკოპოსს, რომელიც იღვწის მწვალებელთა მოქცევისათვის (სხვა ძირითადი კანონები, რომლებიც მიემართება მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობას სხვა აღმსარებლობისა და რელიგიების წარმომადგენლებთან, არის შემდეგი: მოციქულთა მე-10, 45-ე და 46-ე და ლაოდიკიის 31-ე, 32-ე, 33-ე, 37-ე და 39-ე კანონები).

II. უფრო კონკრეტულად განსხვავებულ სარწმუნოებათა წარმომადგენლებთან ურთიერთობისათვის

ძირითადი მცნება, რომელსაც უნდა ითვალისწინებდნენ მართლმადიდებელი ეკლესიის წევრები წარმართებთან ურთიერთობისას, ესაა უფლის სიტყვა:

„წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი“ (მათე 28,18) უფალმა ასევე განაცხადა, რომ „სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელ ნი არა არიან ამის ეზოჲსაგანნი; იგინიცა ჯერ-არიან მოყვანებად ჩემდა“, რათა ყოველი კაცობრიობა იყოს „ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“ (იოანე 10,16). შესაბამისად, მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთა მიმართ არ არის მტრული, — ეკლესია არც დაუშავებს, ვინმე მტრად იგულოს, — არამედ ესაა პოზიცია სიყვარულის, მოთმინებით დაცადებისა მოვალეობის გრძნობით. ესენიც არიან „მოყვასნი“ (შდრ. ლუკა 10,29-37). სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლები შეიძლება მივამსგავსოთ ველურ ზეთისხილის ხეს; ქრისტიანებს ევალებათ მათი გარდაქმნა ეკლესიის სხეულის ნაწილად, კეთილ ზეთისხილის ხედ (შდრ. რომ. 11,17-26). ეკლესია ვალდებულია, განაგრძოს მოციქულთა საქმე და შესაბამისი სამისიო დაწესებულებათა მეშვეობით იქდაგოს უფლის სასუფევლის სახარება.

III. უფრო კონკრეტულად სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებთან და ბოროტად მადიდებლებთან (მწვალებლებთან) ურთიერთობის შესახებ

სიყვარული, რომლითაც უნდა იყოს გამსჭვალული მართლმადიდებელთა ურთიერთობა განსხვავებული სარწმუნოების წარმომადგენლებთან, კიდევ უფრო მეტად უნდა მართავდეს მართლმადიდებელთა ურთიერთობას სხვა აღმსარებლობის ქრისტიანებთან. გზამკვლევი და მოქმედების წარმართველი უნდა იყოს ჭეშმარიტი სიყვარული, ანუ სიყვარული ჭეშმარიტებით, თანახმად ეფესელთა მიმართ პავლე მოციქულის ეპისტოლისა: „ჭეშმარიტ ვიყვნეთ სიყვარულსა ზედა“ (4,15).

მართლმადიდებელთა ურთიერთობები მწვალებლებთან განსაზღვრულია, რამდენადაც წინასწარ განისაზღვრა ამ უკანასკნელთა პოზიცია მართლმადიდებლური სწავლებისა და ეკლესიის მიმართ — ანუ, მას შემდეგ, რაც პასუხისმგებლობით აღჭურვილ საეკლესიო ორგანოთა მიერ წინასწარ განისაზღვრა, თუ ვინ არიან ნამდვილად მწვალებლები. ამის გამო, რასაკვირველია, შეუძლებელიცაა, რომ ცალკეულმა ქრისტიანმა თავისით დაადგინოს, მწვალებელია თუ არა მეორე ქრისტიანი [შდრ. I-II („პირველად და მეორედ შეკრებილთა“) მე-13 კან.]. II მსოფლიო კრების მე-6 კანონი ადგენს: „ხოლო მწვალებელად უწესთ ძუელვე სადვე განყრილთა ეკლესიისაგან და შემდგომად ამისსა ჩუენ მიერ შეჩუენებულთაც“. მწვალებლები არიან „რტონი“, რომელნიც „გარდასტყდეს“ ეკლესიის კეთილი ზეთისხილისაგან და რომლებიც ისევ უნდა „დაემყნენ მათ ზედა და თანაზიარ ძირისა და სიპოხისა ზეთისხილისა იქმნენ“ (რომ. 11,17-24). მართლმადიდებელთა ურთიერთობა არამართლმადიდებლებთან ორგვარია:

ა) ურთიერთობა ღმრთისმსახურების დროს და ბ) ღმრთისმსახურების გარეშე ურთიერთობა.

ა) ურთიერთობა ღმერთისმსახურების დროს

აკრიბიით იკრძალება ყველანაირი ზიარება (ურთიერთობა, ურთიერთ-მიმართება) მწვალებელთან ღმრთისმსახურების დროს. ამ საკითხის მიმართ პრინციპული პოზიციით გამოირჩევა მოციქულთა 45-ე კანონი, რომელიც შევსებულია მოციქულთა 46-ე კანონით. და რაკი ამ კანონების მიხედვით მწვალებელთა უბრალო თანამლოცველობაც კი იკრძალება, ამას უფრო მეტიც მოსდევს — აკრძალულია „ზიარება" მწვალებლებთან საიდუმლოთა აღსრულების დროს, რადგანაც საღმრთო მადლი მხოლოდ ეკლესიის წიაღში ისადგურებს. შესაბამისად, მწვალებელთა საიდუმლონი, შეუძლებელია, „თავისთავად" აღიარებულ იქნან მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. საიდუმლო ზიარების წინაპირობაა მართმადიდებლური სარწმუნოება. მწვალებელი მღვდელი ვერ მონათლავს მართლმადიდებელ მორწმუნეს. უფრო მეტიც, — არამართლმადიდებელი ქრისტიანი ვერ გახდება მიმქმელი მართლმადიდებლისა, და ვერც მართლმადიდებელი - არამართლმადიდებლისა. მწვალებელთა საღმრთო ლიტურგიას არ ესწრებიან მართლმადიდებლები, თუ არა მხოლოდ უბრალო დამსწრედ. ცხადია, ისინი არც ეზიარებიან მათ ლიტურგიაზე. ასევე არც არამართლმადიდებლები ესწრებიან მართლმადი-დებელთა ლიტურგიას. არამართლმადიდებელთა მღვდლობა არაა ძალმოსილი. მართლმადიდებელი ვერ დაასხამს ხელთ მწვალებელს და პირიქით.

იგივე წესები ძალმოსილი იყო ადრე ქორწინების საიდუმლოსათვის. მაგრამ დღეს გამონაკლისის სახით დაშვებულია იკონომია და მექორწინეებს აკურთხებს მართლმადიდებელი მღვდელი (შერეული ქორწინება). არამართლმადიდებელი არც შეიძლება დაესწროს, როგორც მოწმე (მეჯვარე) მართლმადიდებელთა ქორწინების ან შერეული ქორწინების დროს, რადგანაც მწვალებლებთან თანამლოცველობა აკრძალულია.

ბ) ღმრთისმსახურების გარეშე ურთიერთობა

მწვალებელთა ეკლესიებით სარგებლობა მართლმადიდებლური ღმრთისმსახურების შესასრულებლად დაუშვებელია. საეკლესიო ნაგებობით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ შენობით აღარ სარგებლობენ მწვალებლები, ან საგანგებო აუცილებლობის შემთხვევაში და პირიქით, იკონომიით ომის დროს დაშვებული იყო განსხვავებული აღმსარებლობის მიმდევართათვის ღმრთისმსახურება მართლმადიდებლურ ტაძარში. ასევე დაიშვება მართლმადიდებელ ღმრთისმეტყველთა მონაწილეობა სხდომებზე სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებთან საღმრთისმეტყველო და სხვა საკითხებში აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის. მაგრამ ამგვარი

მონაწილეობა არ ნიშნავს იმას, რომ ორმხრივი დათმობა იყოს დაშვებული სარწმუნოების დოგმებთან დაკავშირებით; იმისათვის, რომ დათმობის საფუძველზე გამოიძებნოს მართალი სწავლების რაიმე ფორმულირება, რადგან ჭეშმარიტებიდან გადახვევა იკონომიითაც კი დაუშვებელია.

მწვალებლებთან ინფორმაციული წერილებისა და საყოველთაო ეპისტოლეების გაცვლა-გამოცვლა დასაშვებია, მაგრამ არ შეიძლება მათთან სადღესასწაულო წერილების გაცვლა-გამოცვლა (ლაოდიკიის 37-ე კან.).

ასევე შეიძლება მართლმადიდებელი მეცნიერები დაესწრონ მწვალებლებთან ერთად სამეცნიერო კონფერენციებს სამეცნიერო, აღმზრდელობით და სოციალურ საკითხებზე.

შენიშვნა: 1. ზემოხსენებული დებულებები მიემართება სხვადასხვა სახის განხეთქილებით (სქიზმით) დაპირისპირებულებსაც, ოღონდ უფრო შერბილებული სახით. 2. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზოგადად მართლმადიდებელთა და მწვალებელთა შორის ურთიერთობასთან დაკავშირებით უნდა დავასკვნათ, რომ მწვალებელთა მიერ აღსრულებული საიდუმლონი არარსებულად მიიჩნევა. თუ ესა თუ ის სამღვდელო პირი ქადაგებს მოძღვრებს, რომლებიც შემდგომში გაიკიცხა და რომელთათვისაც ეს სასულიერო პირი შემდგომში განიკვეთა, მისი მსახურება ძალმოსილად ითვლება, რადგან იგი მათ აღასრულებდა ეკლესიის მიერ განკვეთამდე.

IV. დაპირისპირება (პროტესტი)

ყოველივე იმასთან დაკავშირებით. რაც ზემოთ ითქვა, საღმრთო წერილის — II იოან. 10-11 საფუძველზე („რომელი მოვიდეს თქუენდა და ესე მოძღურებაჲ არა მოაქუნდეს, ნუ შეიწყნარებთ მას სახელითა თქუენითა და „გიხაროდენ“ ნუ ეტყჳთ მას. რამეთუ რომელმან ჰრქუას მას „გიხაროდენ“, ეზიარების საქმეთა მისთა ბოროტთა“), შესაძლოა, ვინმემ დასვას საპროტესტო კითხვა: როგორ შეიძლება თათბირი და კონტაქტები მწვალებლებთან, როდესაც უბრალო მისალმებაც კი აკრძალულია?

მაგრამ ამგვარი პროტესტი საფუძველს მოკლებულია. რადგან, თუკი ზემოთაღნიშნულ მონაკვეთს სანდოდ, საღმრთო წერილისა და წმიდა კანონთა სულისკვეთებით გავიაზრებთ, განმარტება იქნება ასეთი: როდესაც ვამბობთ: „ნუ ეტყჳი მას „გიხაროდენ“, ამით მწვალებლისადმი უბრალო მისალმების სიტყვას კი არ ვკრძალავთ (მაგ. „დილა მშვიდობისა“ ან „ნახვამდის“...), არამედ ნუ ვეტყვით მას „გიხაროდენ“. ამგვარი პოზიცია დაცვა აუცილებელია ქრისტიანისათვის, რადგან სიხარული, ჭეშმარიტი სიხარული ქრისტიანისათვის დაკავშირებულია ჭეშმარიტებისაგან, ჭეშმარიტებისგანაა გამომდინარე. ის, რომ სიხარულს დიდი კავშირი აქვს ჭეშმარიტებასთან, უფლის სიტყვასთან, ჩანს უფლის შემდეგი ნათქვამიდანაც: „ამას ვიტყჳ სოფელსა

შინა, რაჲთა აქუნდეს მათ სიხარული ჩემი სავსებით“ (იოანე 17,13), და მართლაც, ვისაც თან ახლავს ჭეშმარიტება, თან ახლავს სიხარულიც — ნამდვილი სიხარული და მხიარულება. იოანე დამასკელი ამის შესახებ წერს შემდეგს, ფრიად საყურადღებოს: „ვის ეძღვნება დღესასწაული და ზეიმი? ვის ეძღვნება სიხარული, მხიარულება? ამ დროს ხომ სულით, გონებითა და ბაგით ვაღიარებთ ღმერთს, სამ გვამოვანსა და არსებით განუყოფელს... ჩვენია მთელი ამ დღესასწაულის აღტაცება და სიხარული. ჩვენთვის აღასრულა ქრისტემ დღესასწაულნი. არ არის სიხარული ურწმუნოთათვის“.[4] ის, ვისთვისაც არ არსებობს ჭეშმარიტება, არ არსებობს სიხარული, მას არ ძალუძს, ეწიოს ნამდვილ სიხარულს, სადღესასწაულო მხიარულებას. ამიტომაც ამბობს მახარებელი იოანე, — ნუ ეტყვით მას „გიხაროდენ“. რადგან მართლმადიდებელი თუ ეტყვის მწვალებელს — „გიხაროდენ“, მისი სურვილი, დალოცვა იქნება ფუჭი (ცარიელი) სიტყვა, რაკი ეს განუხორციელებელია. და არათუ ამაოდ თქმული, არამედ - საცდურიც, მოტყუება. რადგან მე თუ ვუწყი, რომ დალოცვა განუხორციელებელია, მაშასადამე, მე ვცდილობ მოვადუნო, „მივაძინო“ მწვალებელი თავის ცდუნებაში, მოვატყუო, ვაცდუნო იგი ე.ი. მეც იმას ვაკეთებ, რასაც იგი სხვების მიმართ. ისევე, როგორც მწვალებლები „იკეთებენ ქრისტიანთა ნიღაბს, რომ მოატყუონ უმანკოთა სულნი“,[5] ასევეა მართლმადიდებელიც.

ხოლო გულწრფელად თუ ვეტყვით მწვალებელს და არა მოჩვენებით — „გიხაროდეს“, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანი ცნობს, რომ მწვალებლის სარწმუნოებაშიც არის სიხარული, და ჭეშმარიტებაც კი,[6] და *უარესიც* — თითქოს მხოლოდ და უპირატესად მწვალებლის სარწმუნოება მოიცავს სიხარულსა და ჭეშმარიტებას, და არა ჩვენი. ორივე ერთად — შუძლებლია. და ამრიგად, ვლინდება, რომ მართლმადიდებელი მწვალებლის მიმართ „გიხაროდენ“-ის თქმით შეიწყნარებს და აღიარებს განსხვავებული აღმსარებლობის სარწმუნოებას. უფრო მეტიც — იგი ამით მწვალებელს ხელს უწყობს, რათა გაძლიერდეს მწვალებლურ სარწმუნოებაში, მიიჩნიოს, რომ იგი სწორია, დაადგრეს მასზე და სხვებსაც გადასცეს იგი.

ყოველივე ამის შემდეგ ცხადია, რომ მართლმადიდებელი „გიხაროდენ“ მისალმებით მწვალებლისა თუ წარმართის მიმართ, თანაეზიარება და თანახმაა („ეზიარება“) მის ცდომილ სარწმუნოებას, მის შემცდარ საქმეთ, ანუ ბოროტებას. ამისათვის იოანე მოციქული კრძალავს „გიხაროდენ“-ით

---

[4] Ἰω. Δαμασκηνοῦ, Λόγος εἰς τήν Μεταμόρφωσιν, (იოანე დამასკელის სიტყვა ფერისცვალებისათვის) PG 96, 545.

[5] Ἰω. Χρυσοστόμου, Ὁμιλίαη΄ εἰς τοὺς Εβραίους (იოანე ოქროპირი, ქადაგება მე-8 ებრაელების მიმართ) P.G. 63,73.

მისალმებას: — რომელიც ეტყვის მას „ეიხაროდეს“, თანაზიარია მისთა ბოროტთა საქმეთა.

ამავე შინაარსს მოიცავს (და ამ თვალსაზრისით ცდილობს, დაიცვას ქრისტიანენი) ლაოდიკიის 37-ე კანონი, რომელიც სხვა მხრივ უაღრესად მკაცრ, ან, სულ მცირე, — გაუგებარ კანონად შეიძლება იყოს მიჩნეული. კონკრეტულად, კანონი გვაუწყებს: „ვითარმედ არა ჯერ-არს ჰურიათა თუ მწვალებელთაგან წარმოცემულთა სადღესასწაულოთა რათმე ძღუენთა მიღებაჲ, არცა თანადღესასწაულობაჲ მათ თანა“. აღნიშნული კანონის შინაარსს ადასტურებს ამავე კრების 38-ე კანონი, რომელიც ადგენს: „ვითარმედ არა ჯერ-არს ჰურიათაგან მიღებაჲ უცომოდსაჲ, ანუ თანაზიარებაჲ უღმრთოებათა მათთაჲ“, ასევე მომდევნო კანონი (39-ე), რომელიც ადგენს: „ვითარმედ არა ჯერ-არს დღესასწაულობაჲ წარმართთა თანა და ზიარებაჲ ღმრთისმბრძოლებისა მათისაჲ“.

ამგვარად, ასეთია შინაარსი იოანეს ეპისტოლისა („ეიხაროდენს“ ნუ ეტყვითო მწვალებელთ.) და ზემოთაღნიშნულ კანონებისა ეს არაა უბრალოდ მისალმების აკრძალვა. სხვა კანონებიც, როგორიცაა მოციქულთა მე-10 და 45-ე და ლაოდიკიის 33-ე, კრძალავენ მხოლოდ „თანამლოცველ-ყოფას“ მწვალებელთან, ანუ, „ეიხაროდენ“ მისალმებას და არა უბრალოდ საუბარსა თუ სალამს. სწორედ ამას აღნიშნავს ბიზანტიელი კანონის მცოდნე ბალსამონი კანონის გამომცემელნი წინააღმდეგნი არ არიან („არ ვაბრკოლებთ“), საუბრისა ურთიერთობისა „დაცადებულთან“ ანუ განკვეთილთან მართლმადიდებლობისაგან გადახვევის გამო.[7]

---

[6] იკუმენიოსი (ტრიკელი ეპისკოპოსი) წერს: „ვის ვუსურვებთ გახარებას — ჩვენი აღმსარებლობის, ჩვენი სარწმუნოების ადამიანს? ურწმუნოებსაც იმასვე ვუსურვებდით, რასაც ჩვენიანებს, ამით ვცნობდით, რომ ჩვენი სარწმუნოებისა და აღმსარებლობისანი არიან ისინიც“ (იოანეს მე-2 ეპისტოლის განმარტება P. G. 119,696).

[7] Ράλλη - Ποτλῆ, τόμ. Β΄, σελ. 14.

თავი მეცხრე

მებრძოლ და მოზეიმე ეკლესიათა ურთიერთკავშირი

1. პატივისმიგება მიცვალებულთა მიმართ (უკანასკნელი წესის მიგება და დაკრძალვა; საფლავები)

ადამიანები ძველი დროიდანვე დიდი მოწიწებით მიმართავდნენ და დიდ პატივს მიაგებდნენ მიცვალებულებს, რაც მრავალი წეს-ჩვეულებებით მტკიცდება. ეს წესი ქრისტიანებმაც გაითავისეს. ამას შეეწია სახარების სწავლებაც, რადგანაც მის მიხედვით ადამიანის სხეული ღმრთის ტაძრადაა აღიარებული (I კორ. 3,16), მიძინებულთა სხეულებს სულთან ერთად, სულიერი სხეულით მკვდრეთით აღდგომა და ცათა სასუფევლის დამკვიდრება ხვდებათ წილად. ამიტომაც ეკლესია წინასწარ ლოცვითა და პატივისგებით წარგზავნის თავის მიცვალებულთ, რომელთაც, — რაკი ისინი საბოლოოდ კი არ კვდებიან, არამედ ხრწნადი სამყაროდან უხრწნელისაკენ გადაინაცვლებენ, უწოდებენ „გადანაცვლებულთ“, ანუ „გარდაცვლილთ“. ამას წინ უძღვის გარკვეული წესი მიცვალებულთა მიმართ პატივის მიგებისა — უპირველეს ყოვლისა საეკლესიო წესის შესრულება. აქ ეკლესია ლოცვითა და გალობით, სამგლოვიარო მსახურებით, მისი ცხოვრების უკანასკნელ სამყოფელში წარგზავნის მიძინებულს, ხრწნად სხეულს, ხოლო საიქიო ცხოვრებაში — მის უკვდავ სულს.

სამგლოვიარო საღმრთო მსახურება ოთხი სახისაა:

ა) მღვდლებისათვის; ბ) მონაზონთათვის; გ) საერო პირთათვის და დ) ჩვილი ბაშვებისათვის. ეს განსხვავება ყოველთვის არ არის დაცული. მაგალითად, ყველა შემთხვევაში ბრწყინვალე შვიდეულში ყველა მიცვალებულისათვის იგალობება ერთიდაიგივე განგება — სააღდგომო. სამგლოვიარო ღმრთიმსახურებას აღასრულებს ეპისკოპოსი ან ხუცესი, მღვდელი. ძველ ეკლესიაში გარდა ამ ღმრთისმსახურებისა, მიცვალებულთა სახელებს იწერდნენ საგანგებო დიპტიქონებში (მოსახსენიებელ წიგნებში), და ეს წიგნები ეკლესიასთან კანონიკურად თანაზიარ ქრისტიანეთა სახელების ნუსხებს წარმოადგენდნენ. სამგლოვიარო ღმრთისმსახურების შემდგომ მიცვალებულს გარკვეულ ადგილას — სასაფლაოზე კრძალავდნენ.

მიცვალებულთა მიმართ პატივისგების ნიშანია ასევე ის ფაქტი, რომ ეკლესია კრძალავს საფლავების გახსნას, რათა არ გაიძარცვონ ისინი. საფლავების მძარცველებად მიიჩნევენ მათ, ვინც საფლავს მიუახლოვდება მიცვალებულის სამკაულების გასაქურდავად. საფლავის ძარცვად ასევე მიიჩნევა გვამების გადაადგილება შესაბამისი პასუხისმგებელი პირების

ნებრთვის გარეშე. საფლავის ძარცვა მკაცრად ისჯება ბასილი დიდის 66-ე და გრიგოლ ნოსელის მე-7 კანონების თანახმად.

ამასთანავე მიცვალებულთა მიმართ კრძალვის და რწმენის სიმბოლოდ, ნიშნად იმისა, რომ კაცს მკვდრეთით აღდგომისადმი სასოება ასულდგმულებს, მოქმედებს ადათი — რწმენისა, და მიცვალებულებს, მიწაში კრძალავენ, და არა წვავენ. სწორედ ამის შედეგად აღმოჩნდა წმიდა ნაწილები იმათი, ვინც წმიდანად და სასწაულმოქმედად გამოგვიჩნდა.

2. საეკლესიო-სამგლოვიარო წესის მიგების მოკლება, ანუ გამოსვლა (მებრძოლი) ეკლესიიდან

საეკლესიო წესის აგებისა და დაკრძალვის პატივი, ბუნებრივია, ეძლევა იმათ, ვინც ეკლესიასთან თანაზიარნი გარდაიცვალნენ. შესაბამისად, წარმართები, მოუნათლავი ჩვილები, მწვალებლები ან განდგომილები, რომელნიც არ შეერთებიან ეკლესიას, ვერ იმსახურებენ ამ დიდ პატივს. ამგვარადვე ისინიც, ვინც განუდგნენ ეკლესიას და მისგან მოკვეთილ იქნენ და ასეთებადვე გარდაიცვალნენ, კარგავენ ამ პატივს. საეკლესიო-სამგლოვიარო წესისაგების (მადლის) დაკარგვა არსებითად ნიშნავს, რომ შეირყა და დაირღვა კავშირი ეკლესიასთან მათი, ვინც დაკარგა მადლი. ეს მოვლენა ბევრ შემთხვევაში განსაზღვრავს გარდაცვლილთა მიმართებას მოზეიმე ეკლესიისადმი. ბევრ შემთხვევაში, არაა კატეგორიულად ნათქვამი ამის თაობაზე, რადგან არც ვუწყით, არც მიცვალებულთა ადგილი, არც საბოლოო სამსჯავრო ღმრთისა, რომელიც, ბუნებრივია, არაა დაკავშირებული ადამიანთა შემთხვევით და მცდარ ნაზრევთან.

ეკლესიიდან განშორებულ და საეკლესიო წესის აგების მადლს მოკლებულთა რიცხვს მიეკუთვნებიან: ა) უსასონი, სასოწარკვეთილნი, რომლებმაც სიცოცხლე გაუმართლებელი თვითმკვლელობით დაასრულეს. ბ) ისინი, ვინც ორთაბრძოლაში — დუელში ან საკუთარი თავისადმი მიყენებული ჭრილობებით დაიღუპნენ. გ) სარწმუნოებისაგან განდგომილნი, რომელთაც არ სწამთ მკვდრეთით აღდგომისა. დ) მწვალებლები (ლაოდიკიის მე-6 და მე-9 კანონები). ე) სქიზმით განდგომილნი. ვ) გარე-კიდეშეკრებილნი და ზ) ეკლესიიდან განკვეთილნი და შეჩვენებულნი, რომელნიც დაადგნენ ცდომილ აზრებს და მოუნანიებლებმა დატოვეს ეს ქვეყანა.

ზემოთჩამოთვლილ შემთხვევათა შორის გამოვყოთ:

I. თვითმკვლელობა

ძველ ეკლესიაში არსებობდა ასეთი კანონი: რომელთაც მოიკლეს თავი, იკრძალებოდნენ საერთო სასაფლაოს გარეთ და მათი ხელი სხეულს იყო დაშორებული. უმეტესწილად ისინი იკრძალებოდნენ სახელის აღუნიშვნელად,

ეპიტაფიის (საფლავზედა წარწერის) გარეშე. ამის მსგავსი იყო სხვა სახელმწიფოთა პოზიციაც, და მათ, ვინც „სრულ ცნობაზე“ ყოფნისას აღმართა თავის თავზე ხელი, ეკლესია არ ანიჭებდა ღმრთისმსახურების მადლს, ანუ, სამგლოვიარო წესს, წესის აგებას, პანაშვიდსა და წირვაზე მოხსენიებას.

ის, ვინც თვითმკვლეობით დაასრულა სიცოცხლე, ცხადყოფს, რომ დაკარგა რწმენა და სასოება უფლის მიმართ და ურწმუნოებასა და უსასოებას აჰყვა. ესენი, რასაკვირველია, განეკუთვნებიან იმ შემთხვევებს, როცა თვითმკვლელობის განმზრახველს აქვს შეგნება, გონზეა და ფსიქიური სნეულებით არაა შეპყრობილი. მაშასადამე, წინაპირობა იმისათვის, რომ სრული პასუხისმგებლობით მოეკითხოს თვითმკვლელს, ესაა ნების, და კიდევ უფრო მეტიც – თავისუფალი ნების არსებობა. ამ საკითხს ნათელს ჰფენს ტიმოთე ალექსანდრიელის მე-14 კანონი, – პასუხი შეკითხვაზე, რომელიც გვამცნებს: „განხილვაჲ უჴმს მღდელსა, უკუეთუ ჭეშმარიტად უცნობო იყო რაჟამს ქმნა მან საქმე იგი,... უჴმს მღდელსა ფრიადითა გამოწულილვითა გამოძიებაჲ ამისი, რაჲთა არა სასჯელსა შთავარდეს“. ამ კანონის მიხედვით დგინდება, რომ მღვდელი მოვალეა, განსაზღვროს, შეიძლება თუ არა თვითმკვლელს აეგოს საეკლესიო წესი. ამ წესის აღსრულებისათვის აუცილებელი პირობაა, რომ თვითმკვლელს გონება ნამდვილად ჰქონდეს დაზიანებული, და არა ის, რომ ასე ამბობს ჭირისუფალი, ან ასე სურს მის ნათესავებს. ამიტომაც საბერძნეთის ეკლესიის წმიდა სინოდი 196/27-3-1900 დადგენილებით განსაზღვრავს, რომ ზემოაღნიშნული შემთხვევისათვის საჭიროა ცნობა ორი მეცნიერ-ექიმისაგან.

საეკლესიო წესიის აუგებლობით არ ისჯება ის, ვინც თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ ცოცხალი დარჩა და თუნდაც მცირედი სინანული გამოხატა თავისი საქციელისათვის. წესის აუგებლობის მიზანი არ არის თვითმკვლელის დასჯა, არამედ მას მიმართავენ, როგორც მაგალითს ეკლესიის დანარჩენი წევრებისათვის; რათა მათ ამის საფუძველზე აღიქვან აღნიშნული ცოდვის სიმძიმე.

იგივე კანონები მოქმედებს მათზეც, რომლებიც დუელში არიან მოკლულნი, ან დაიხოცნენ მოუნანიებლად დუელის დროს მიყენებული ჭრილობებისაგან.

II. განდგომა

განდგომა არის ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფა და სხვა სარწმუნოების მიღება ან ათეიზმის აღიარება.

ამ ქვეთავში განდგომას ჩვენ არ განვიხილავთ, როგორც რაღაც უბრალო შეცოდებას; იმას, რაც გულწრფელად მოინანია განდგომილმა, არამედ, როგორც მუდმივ მდგომარეობას, რომელიც გრძელდება განდგომილის სიკვდილამდე

და აღბეჭდილია საეკლესიო განყენებით (განკვეთით), ან განდგომილის წერილობითი განაცხადით, რომ იგი არ მიიღებს საეკლესიო წესს.

III. მწვალებლობა (ერესი)

მწვალებლობა არის გადახვევა ეკლესიის მართალი სწავლებისაგან, რომელსაც მოიცავს საღმრთო წერილი და საეკლესიო კრების მიერ ფორმულირებული მსოფლიო წმიდა გარდამოცემა. მწვალებლობა არის საკუთარ ცდომილებაზე დადგრომა, ან სხვა, ეკლესიის მიერ დაგმობილ მწვალებლურ აღმსარებლობაზე გადასვლა. აუცილებელი არ არის, გამოიყოს ესა თუ ის დოგმა („სჯული"), როგორც უთუოდ ფუნდამენტური; შეუძლებელიცაა და არასწორი, დახარისხდეს დოგმები, როგორც ფუნდამენტური და არაფუნდამენტური.

იმისთვის, რომ ესა თუ ის აღმსარებლობა, კვალიფიცირებულ იქნას, როგორც მწვალებლობა, აუცილებელია: ა) მცდარი აღმსარებლობის წარმოჩენა ან განცხადება, გინდა წერილობით, გინდა სიტყვიერად, გინდა საქმით, ანდა სარწმუნოების ამა თუ იმ არსებითი ელემენტის მიზანდასახული უგულებელყოფა („გარდაქცევა"). უბრალო აზრები, რომლებსაც იწვევენ, ვთქვათ, ახალგაზრდული მშფოთვარება, ან ეჭვები, არ წარმოადგენენ მწვალებლობის დამადასტურებელ კანონიკურ შეცოდებას. ბ) მწვალებელს შეგნებული უნდა ჰქონდეს განსხვავება საკუთარ სიბრძნისმეტყველებასა და საეკლესიო სწავლებას შორის. ამის გამო, შეცდომილის განკითხვამდე საჭიროა მისი გამოკითხვა, რათა ცხადი გახდეს, რწმენითაა მისი მოსაზრებები განპირობებული, თუ უმეცრებით. გ) მწვალებელი დაჟინებით დადგრომილ უნდა იყოს თავის აზრზე, თავგამოდებით უნდა იცავდეს მას და არ ემორჩილებოდეს პასუხისმგებლობით აღჭურვილ საეკლესიო მთავრობას. და, დასასრულ, დ) ამა თუ იმ სიბრძნისმეტყველების („სიცრუისმეტყველების") მწვალებლობად კვალიფიცირებისათვის კომპეტენტურია ეკლესია, რომელიც საღმრთო წერილისა და პასუხისმგებლობით აღჭურვილი საეკლესიო გადმოცემის საფუძველზე იკვლევს შესაბამის საკითხს.

მწვალებლები განიკანონებიან დიდი დაცადებით („განჰყრა", V-VI მსოფლიო კრების მე-7 კან.) ან განკვეთით („შეჩუენებით") (III მსოფლიო კრების მე-7 კან. და V-VI მსოფლიო კრების 1-ლი კან.)

IV. განყოფა (სქიზმა)

სქიზმა ეწოდება ორგანიზებულ უარყოფას ეკლესიის კანონიკური წყობისა და მმართველობისადმი მორჩილებისა და ეკლესიისგან მის წევრთა ერთი ნაწილის გამოყოფას საკუთარი რელიგიური საზოგადოებრიობის დაარსებით. განყოფის დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ იგი, ჩვეულებრივ, ყალიბდება

ერთი ან ერთზე მეტი ეპისკოპოსისაგან, სამღვდელო და საერო პირებთან ერთად. იგულისხმება, რომ განყოფის ღრმა ძირი მომდინარეობს ადამიანთა ეგოიზმისა და თავმომწონებისაგან. წმიდა იოანე ოქროპირის მიხედვითაც, სულიწმიდის გმობის შემდეგ (მათე 12,31) სხვა არც ერთი ცოდვა არაა ესოდენ მძიმე, როგორც გამოყოფა ეკლესიისაგან. რადგან რომელნიც განყოფენ ეკლესიას, ანაწევრებენ ქრისტეს სხეულს [შდრ. I-II („პირველად და მეორედ კონსტანტინოპოლს შინა შეკრებილთა") მე-13, მე-14 და მე-15 კან.]. განყოფილთა საეკლესიო საზოგადოება, ჩვეულებრივ, მწვალებლურ ბრძნობასაც აღწევს. უმაღლესი რიგის მოსაზრებათა შესაბამისად ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისაგან დაშორებული საკუთარი რელიგიური საზოგადოების ჩამოყალიბება, ანუ სქიზმა ისჯება, ან, უფრო ზუსტად, აღიბეჭდება შეჩვენების (ანათემის) ბეჭდით.

V. /გარე/კიდეშესაკრებელობა

/გარე/კიდეშესაკრებელობა სქიზმასთან მსგავსებას წარმოადგენს. [გარე]კიდეშესაკრებელობა ეწოდება დაუმორჩილებლობას ერთი ან მეტი სამღვდელო სასულიერო პირისა (მღვდელი ან ეპისკოპოსიცკი), რომლებიც ეურჩებიან თავიანთ ეპიკოპოსს ან მთავარეპისკოპოსს, არ სცნობენ და არ იხსენიებენ მას და აღასრულებენ ღმრთისმსახურებას საკუთარ ტაძარში. ეს ხდება, მაგალითად, მაშინ, როდესაც ესა თუ ის სამღვდელო პირი განპატიჟებულია დაცადებით (=დაყენებულია) ან განკვეთილია და არ ემორჩილება საეკლესიო სამსჯავროს დადგენილებას, არამედ აგრძელებს მღვდლობას და ადგენს თავის საკუთარ საკურთხეველს (ბასილი დიდის 1-ლი, კართაგენის 11-ე კან.). ცხადია, თავისი ეპისკოპოსისაგან ამა თუ იმ მღვდლის განშორებისათვის, როგორც /გარე/კიდეშეკრებილობის კვალიფიკაციისათვის, მღვდელს (=ძვ. „ხუცესს")ერიც უნდა ახლდეს თან. /გარე/კიდეშეკრებილობის მოქმედებისათვის მრვდელს არ ხელეწიფება არავითარი თავის დაცვა, თუნდაც რომ, მისი აზრით, მისი ეპისკოპოსი ქადაგებდეს მწვალებლურ აზრებს. მღვდელი ვერ გამართლდება, რადგან მას, როგორც უფრო დაბალი ღირსების წარმომადგენელს, არ ძალუძს მიისაკუთროს მასზე უმაღლესის უფლებამოსილება, მაგ. უფლებამოსილება სინოდისა, — და განიკითხოს და განსაჯოს ეპისკოპოსი. ერთადერთი, რაც მას შეუძლია და მართებს კიდეც, ესაა კანონიკურად და პასუხისმგებლობის საფუძველზე განაცხადოს, რომ მისი ეპისკოპოსი კანონებს არღვევს და მწვალებელია, მაგრამ პასუხისმგებლობით აღჭურვილი საეკლესიო სამსჯავროს დადგენილებამდე მღვდელს არ აქვს უფლება, მიიჩნიოს თავისი ეპისკოპოსი დამნაშავედ, და არ დაემორჩილოს მას (შდრ. I-II მე-12, მე-13 და მე-14 კან.).

VI. განკანონება — დაყენება (დაცადება) — შეჩვენება

არსებობს დაყენების (დაცადების) ორი სახე — მცირე და დიდი. მცირე დაყენება (უზიარებლობა) — ეს არის საღმრთო ზიარებისაგან დროებითი დაყენება (დროებითი უზიარებლობა), ხოლო დიდი დაცადება, ანუ შეჩვენება (ანათემა) არის საეკლესიო ზიარებისაგან განყოფილის სრული დაყენება (დაცადება) და საეკლესიო სამსჯავროს, ანუ სინოდის დადგენილებით — ეკლესიის წევრობის ჩამორთმევა. სასჯელის ანუ განკანონების ეს წესი შეეფერება მხოლოდ მძიმე ცოდვილთ (განდგომილთ, მწვალებელთ და ა.შ).

ანათემა — „გადადება" თავიდან აღნიშნავდა საგანს ან პიროვნებას, რომელიც გამოეყოფოდა სხვებს და განეკუთვნებოდა უფალს, როგორც შეწირული (სალოცავი). მაგრამ შემდგომში ცალკე გამოყოფილის, გადადებულის იდეამ მიიღო უარყოფითი შინაარსობრივი ელფერი: „ანათემა" — მოკვეთილი, მოშორებული, ცალკე დაყენებული, დაწყევლილი...

პირველი — დადებითი, კეთილი შინაარსისაგან დარჩა მარტო სიტყვის ფორმა — „*ანათემა*".

ანათემა, წყევლის შინაარსით გვხვდება ახალ აღთქმაში და კიდევ უფრო ხშირად — წმიდა კანონებში, ჩვეულებრივ, ფორმით — „შეჩვენებულ იყოს".

დიდი დაყენება, ანუ ანათემა, შეჩვენება მიიჩნევა ბეჭდად მებრძოლი ეკლესიიდან ერთ-ერთი მისი წევრის თავისი ნებით გამოსვლისა, და იგი სულიერი სიკვდილის ტოლფასია. რადგანაც მას, ვინც განეშორება ეკლესიას, აღარ აქვს განმაღმრთობელი წმიდა სიხარულის წილი; სულიერად იგი კვდება. ამის გამო ანათემით სასჯელს (პატიჟს) მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში მიმართავენ. ანათემას აქვს ოფიციალური ხასიათი. ამიტომაც იგი საჯაროდ განცხადდება და არა კერძოდ. ეს იმისთვის ხდება, რომ ცოდვილმა მძაფრად შეიგრძნოს თავისი დაცემა და შეინანიოს; და ამასთანავე მორწმუნეებიც დაცულ იქნენ ყველანაირი საფრთხისაგან, რაც, შესაძლოა, განკვეთილისაგან შეემთხვეთ. განკვეთილი დაყენებულია არა მარტო ეკლესიისაგან, რომელსაც იგი ეკუთვნოდა, არამედ ყველა სხვა ეკლესიისგანაც. განაცხადი შეჩვენების თაობაზე საჯაროდ იკითხება ყველა მართლმადიდებელ ეკლესიაში.

დიდი დაყენების სასჯელი შეიძლება მიეცეს ყოველ ქრისტიანს, მთავრობასაც და კერძო პირებსაც, გამონაკლისიარიან — გონებასუსტები და არასრულწლოვნები, რომელთაც არ აქვთ შეგნებული თავიანთი მოვალეობა.

ანათემა, თუკი იგი არ არის მოხსნილი, სიკვდილის შემდგომაც გრძელდება. ამის გამო მართლმადიდებელ ეკლესიას არ აქვს უფლება სამგლოვიარო მსახურება აღესრულოს ასეთ მიცვალებულს, მოიხსენიოს იგი, ან აღასრულონ ესა თუ ის შესანდობარი წესი. განპატიჟების დიდი სიმძიმისა და მისი შედეგების გამო ეკლესია მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შედეგად

განაწესებს შეჩვენების სასჯელს. ეკლესიის მრავალი მამაც, მათ შორის იოანე ოქროპირი, აშკარად წინააღმდეგი იყო ანათემისა (იხ. მისი სიტყვა „ცოცხალთა თუ მიცვალებულთა შეჩვენების წინააღმდეგ“ PG 48,946... და სხვ.). მიუხედავად ამისა, იყო პერიოდები, როდესაც ძალიან იოლად, დაინტერესებული პირის დაუსწრებლადაც კი აცხადებდნენ შეჩვენებას. ასე ხდებოდა, მაგალითად, იმისთვის, რომ აღმოეჩინათ საქონლის უცნობი მპარავები. და ამ საქმეს დადებითი შედეგებიც მოჰყოლოდა, რადგანაც შედეგებისადმი შიშით დამნაშავეები ცხადდებოდნენ და აბრუნებდნენ ნაქურდალს. მაგრამ ბოლო დროს, იმის გამო, რომ შეჩვენების სასჯელს სულიერი და საზოგადოებრივი შედეგები განსაკუთრებული სიმძიმით გამოირჩეოდნენ, უკანასკნელ ხანს საბერძნეთის ეკლესიის „საწესდებო ქარტიები“ (კანონები) სახელმწიფო განმგებლობის შეთანხმებასაც კი მოითხოვენ აღნიშნული სასჯელის კატეგორიულობასთან დაკავშირებით.

ანათემა შეიძლება გააუქმოს, მოხსნას იმავე საეკლესიო ორგანომ, რომელმაც განაწესა ეს სასჯელი, ან მისმა მემკვიდრემ, ან იერარქიულად უმაღლესმა ორგანომ. რასაკვირველია, კიდეც რომ არ მოიხსნას ანათემა საეკლესიო განმგებლობის მიერ, სრული დაჯერებულობით მაინც ვერ განვსაზღვრავთ შეჩვენებულის სულიერ მდგომარეობას. იგი გადაეცემა უფლის განგებას, რომელიც უკანასკნელ ჟამს საბოლოო განკითხვით განსაზღვრავს ადამიანის ხვედრს. საერთოდაც, უდიდესი ყურადღება სჭირდება, როგორც ანათემის დადგინებას, ასევე მის მოხსნას; რათა საეკლესიო ქმედება წინააღმდეგობით არ დაუპირისპირდეს უფლის ნებას.

3. მოსახსენებლები

საპირისპიროდ იმისა, ვინც მოსწყდა ეკლესიას და მოაკლდა სიკვდილის შემდგომ საეკლესიო პატივის მიგებას, ეკლესია ცხოვრებიდან წასულ თავის წევრებთან მოსახსენებლების მეშვეობით სიკვდილის შემდგომაც ინარჩუნებს თანაზიარობას.

ეკლესია მოიხსენიებს თავის მიცვალებულ წევრებს, უპირველეს ყოვლისა, ყველა წირვაზე და მოუკლებლად ლოცულობს უფლის წინაშე მათთვის, სწორედ ამ მიზნისათვის შემუშავდა მოსახსენებლები, დიპტიქონები. მაგრამ ზემოაღნიშნულთა გარდა დაწესებულია საგანგებო დღეები, როდესაც საღმრთო ლიტურგიის შემდეგ აღევლინება საგანგებო ლოცვები — მოხსენიებანი დაძინებულთათვის. ეს დღეებია: ქრისტიანის მიცვალებიდან მესამე, მეცხრე, და მეორმოცე დღეები და წლის თავი. „მოციქულთა განწესებანი“ მოსახსენიებელი ღმრთისმსახურების გარდა განკუთვნილია გლახაკთათვის, ისინი მოწმობენ მოწყალებაზეც, რომელიც გაიცემა წლისთავის მოსახსენებელზე. გარდა მორწმუნის პიროვნული მოსახსენებლებისა ეკლესიამ

დააწესა გარკვეული დღეები ყოველთა მიცვალებულთათვის, მამათა და ძმათათვის, როდესაც აღესრულება ერთობლივი მოსახსენებელი. ეს დღეებია ყოველწლიურად: ხორციელის შაბათი — მინიშნება უფლის მეორედ მოსვლაზე, ყველიერის შაბათი, დიდმარხვის I შაბათი და სულთმოფენობის შაბათი — სულიწმიდის გარდამოსვლის მოსახსენებლად, რომელიც ანიჭებს ცხოველსმყოფელ საღმრთო მადლს ცოცხალთაც და მკვდართაც. მოსახსენებლები შეიძლება აღსრულდეს შვიდეულის ნებისმიერ დღეს [მსოფლიო პატრიარქის საყოველთაო („მრგულივმოსავლელი") ეპისტოლე, 1807/1819]. ოღონდ დიდმარხვაში მოსახსენებლები აღსრულდება შაბათს ან კვირას. რადგან სხვა დღეებში არ აღესრულება სრული წირვები, არამედ — პირველშეწირულები. კანონიკის მიხედვით კვირა დღეს მოსახსენებლები არაა დაშვებული, რადგანაც კვირა არის სასიხარულო დღე, იგი გვახსენებს უფლის აღდგომას. მაგრამ რაკი სამსახურის გამო მორწმუნეებს უჭირთ სხვა დღეებში მოსახსენებლებზე დასწრება, ისინი კვირაობითაც აღსრულდებიან, ოღონდ გამოტოვებულია „ნეტარ არიან"-ის (ფსალ. 118) გალობა. მოსახსენებლები არ აღსრულდება ასევე ზატიკის შვიდეულში, ლაზარეს შაბათს და სამეუფო დღესასწაულებზე.

შენიშვნა: აქვე შეიძლება გავითვალისწინოთ შემდეგი წინააღმდეგობა ანუ „აპორია": რას არგებს მოხსენიება იმას, ვინც მოუმზადებელი, მოუნანიებელი წავიდა? რანაირად ვიყოთ დარწმუნებულნი, ან, თუნდაც რა იმედი უნდა გვქონდეს, რომ იგი ცხოვნდება, და მიეტევება ცოდვები? „სატანჯველში არ არსებობს სინანული", — ასე ამბობენ.

შეიძლება არ ვიყოთ დარწმუნებულნი, მაგრამ სასოება მართებულია და იმედი უნდა გვქონდეს კიდეც.

ცხადია, თავად გარდაცვლილისაგან მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას, ანდა მის სულიერ წინსვლას არ უნდა მოველოდეთ, მაგრამ ჩვენ ვერც იმ შემწეობას გამოვრიცხავთ, რომელსაც მიცვალებულს სთავაზობენ სხვა მორწმუნეები, ეკლესია. აქვე გვმართებს მოვიხსენიოთ წმ. პეტრე ალექსანდრიელის მე-11 კანონის სიტყვები: „ვინაადგან უკუე... გარდასრულ არს დევნულებაჲ, კმა არს მათთვის, რომელნი უკუე... მრავალთა... თითოფერთა ჭირთა მოთმინე იქმნნეს, ხოლო უკუანასკნელ განცემულ იქმნნეს უძლურებისაგან ჴორცთაჲსა, დაღათუ პირველითგანვე არა შეწყნარებულ იქმნეს სიდიდისათჳს სიმძიმესა მათდა შემთხუეულისა დაცემისასა. რამეთუ არა თჳთ აღრჩევით მიდრკეს უღმრთოებისა მიმართ, არამედ უძლურებისაგან ჴორცთაჲსა განცემულ იქმნნეს... და ეგერა... ვიეთმე მათგანთა გლოვასა შინა შეეძინენ მათ დღეთა ზედა სინანულისა მათისა მოსაჴსენებელად წადიერებით მოქცევისა მათისა..."[1] „ხოლო თანაგრძნობა და თანალმობიერება მათ, რომელნი იგლოვენ და სულთქუმით დასტირიან ეშმაკის ბოროტი

მანქანებით ღვაწლის ასპარეზზე მოწყვეტილთა, მამათა, ძმათა, შვილთა, არაფრით არ ვნებს არავის. ვინაიდან ვუწყით, რომ სხვათა სარწმუნოებით მიიღეს სიკეთე უფლისაგან, მისატევებელად ცოდვათა, სიმრთელისათვის ჴორცისა და აღდგომად მკვდრეთით. და მრავალთა მათთა შრომათა მომხსენებელნი, რომელთაც მიეგოთ სახელითა ქრისტესითა,... თანამლოცველ და თანამვე-დრებელ ვიქმნენით მოწყალებისათვის და სხვათა ჯეროვანთა სიკეთეთათვის".

წმიდა ნიკოდიმოს მთაწმიდელი ამ კანონის განმარტებაში გვაუწყებს: „ამიტომაცაა, დავსძენ, რომ ხამს თანალმობიერებით და თანადგომით შევეწიოთ მვედრებელთა მათთათვის (=ხორციელი უძლურების გამო ვინც ვერ გაუძლო დევნას...), ძმათა თუ შვილთა, ვევედრებოდეთ უნდა ღმერთსა, მამასა ჩვენსა... რათა საღმრთო წერილიდანაც შევიძინოთ რამ გაკვეთილი, ვინაიდან სარწმუნოებითა და ვედრებითა სხვათათვის მრავალთა იწვნიეს წყალობა უფლისა: ზოგმა — (იობის მეგობრებმა მისი ლოცვებით) — მიტევება მიიღო ცოდვათაგან, სხვებმა სიმრთელე ხორცისა — (განრღვეულმა მისი ცხედარის მტვირთველთა სარწმუნოებისამებრ), — სხვებმა აღდგომა მკვდრეთით — (ლაზარემ, იაიროსის ასულმა და ქვრივის ძემ), თვისთა მშობელთა და ნათესავთა ვედრებით."[2]

ხოლო ბიზანტიური ხანის კანონთა მცოდნემ, თეოდორე ბალსამონმა ანტიოქიის პატრიარქმა პეტრე ალექსანდრიელის ზემოთ დამოწმებული კანონის განმარტებაში, „სხვათა ჯეროვანთა სიკეთეთა, („მოვალეობათა")" გამონათქვამისათვის შენიშნა შემდეგი:[3] „და არათუ ოდენ ცოდვათა მიტევებას ვევედრებით..., არამედ ლოცვათ აღვავლენთ მათი შეწყალებისათვის, სხვათა ჯეროვანთა სავალდებულო საქმეებითურთ, რომელიცაა: მარხვა, მოწყალება, სინანული"[4].

ამრიგად, ლოცვებსა და სათნოების საქმეებსაც ძალუძთ, არგონ ცოცხალთა და მიცვალებულთ: „ფრიად შემძლებელ არს ლოცვაჲ მართლისაჲ შეწევნად" (იაკ. 5,16). შესაბამისად, კვლავაც უნდა დავძინოთ, რომ ანალოგიურად „დევნის დროს დაცემულთათვის" ვედრებისა, ჩვენც შეგვიძლია აღვასრულოთ მოსახსენებელი უბედურებითა და მოუმზადებლად წასულთა ჩვენთა ძმათვის. და უფრო მეტიც, რადგან ამას გვთხოვენ ჩვენ მათი სახლის, ოჯახის წევრები (მშობლები, ძმები, შვილები), მორწმუნე ქრისტიანები.

---

[1] ამის შემდგომ დედანში დამოწმებული ტექსტი მკვეთრად განსხვავდება „დიდი სჯულის კანონში" დამოწმებული ქართული თარგმანისაგან. შემდგომი მონაკვეთის თარგმანი შედარებულია სლავურთან „правила..." (მთარგმნელი).

[2] „Πηδάλιον" σελ. 571

[3] დამოწმებულია სლავურ თარგმანთან შეპირისპირებით (მთარგმნელი).

[4] Ράλλη - Ποτλῆ, τομ. Δ΄, σελ. 37

4. წმიდანობის პატივი. წმიდანთა აღიარება

ეკლესია არა მხოლოდ იხსენიებს სამარადისო ცხოვრებად წარგზავნილ ყოველ თავის წევრს, არამედ იგი საგანგებო პატივსაც მიაგებს მათ, ვინც წმიდა, საგანგებო ღვაწლით, სათნოებით გამოიარა ამქვეყნიური ცხოვრება, დიდი მსახურება გაუწია ეკლესიას, ხშირად — თავისი მოწამეობრივი სიკვდილითაც კი. თავდაპირველად „წმიდანი" ეწოდებოდა ყოველ მონათლულ ქრისტიანს, ეკლესიის წევრს (ებრ. 6,10, რომ. 1,7, I კორ. 1,2). მაგრამ მოგვიანებით (IV საუკუნიდან) შემოისაზღვრა სიტყვა „წმიდანის" მნიშვნელობამ, საგანგებო შინაარსი შეიძინა და იგი მხოლოდ გარკვეულ პიროვნებებზე გავრცელდა. პირველები, რომელთაც მიიღეს წოდება „წმიდანი" ამ სიტყვის საგანგებო მნიშვნელობით — იყვნენ მოციქულები და მოწამეები. ადრიდანვე განსაკუთრებული ადგილი და პატივი მიაგო ეკლესიამ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელს, რაც ვლინდება კიდეც ამ წოდებების მიხედვით. გარდა ამისა, დედა-ღმრთისმშობელს განეკუთვნა უამრავი სხვა სახელწოდებაც, როგორიცაა: „მარადის ქალწული", „მეგალოხარი" (=დიდი მადლი), „უვრცელესი", „ლიკოფილუსა" (=ტკბილად ამბორისმყოფელი, მოალერსე), „ტრიხერუსა" (=სამხელიანი), „ელეუსა" (=მწყალობელი), „ღრიღორუსა" (=მოსწრაფე), „იატრისა" (=მკურნალი), „ღორღოეპიკოოს" (=მსწრაფშემსმენელი), „ოდიგიტრია" (=გზამკვლევი), „აკათისტე" (=დაუჯდომელი), „ზესთამბრძოლი", „პანტანასა" (პანტოკრატორ — ყოველთა დედოფალი) და სხვ.

შენიშვნა: განსაკუთრებული პატივი ჩვენმა ეკლესიამ მიაგო ასევე ანგელოზებს, რომლებიც მსახურებენ და ადიდებენ უფალს; რომელთაც ადამიანებთან მიაქვთ უფლის მცნებები და იცავენ ადამიანებს ეშმაკთა მზაკვრობისაგან და საერთოდ, ყოველგვარი ბოროტებისაგან. განსაკუთრებული პატივი მიეგო ასევე ძველი აღთქმის კანონმდებელ მოსეს, მამათმთავრებს, წინასწარმეტყველებს და სხვ.

თავდაპირველად ამა თუ იმ წმიდანის აღიარება ხდებოდა ეკლესიის ამა თუ იმ ოფიციალური სამრევლო ჩარევის გარეშე. წმიდანებს თავისთავად აღიარებდა ეკლესიის სინდისი, ანუ მისი სავსება. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის ეპისკოპოსი ნაჩქარევად მიმართავდა წმიდანად აღიარებას ეკლესიის ერთიანი სინდისის წინასწარი დასტურის გარეშე, შეიძლება ეს მოქმედება გაუქმებულ ყოფილიყო და ამაოდ შერაცხილი.[5] თავდაპირველად წმიდანის აღიარება იყო შეზღუდული და ადგილობრივი ხასიათისა. მაგრამ შემდგომში ეორტოლოგიონის (— მარტვიროლოგია, აგიოლოგია, სვინაქსარები,

[5] Ἱερωνύμου Κοτσώνη, Σημειώσεις Καν. Δικαίου, τόμ. Β΄, σελ. 66.

დიპტიქონები) შედგენასთან ერთად წმიდანის აღიარებამ მიიღო უფრო ზოგადი ხასიათი. ამას ხელს უწყობდა წმიდანის, როგორც სასწაულთმოქმედის სახელი.

შენიშვნა: რასაკვირველია, უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ პირის წმიდანად აღიარება, მისი გამოცხადება წმიდანად, ამ პიროვნების მიმართ უფლისმიერ საგანგებო წყალობას მოწმობს. ეს არის ღმერთთან ამ პიროვნებათა ურთიერთობა, ან, უფრო სწორედ, ესაა შედეგი იმისა, რომ ღმერთი სცნობს მათ. შდრ. გალ. 4,9: „ხოლო აწ იცანთ ღმერთი, უფროჲსცა გიცნნა თქუენ ღმერთმან." ის, რომ ღმერთი სცნობს, აღიარებს ამა თუ იმ პიროვნებას წმიდანად, შედეგად თან ახლავს სასწაული. და სასწაული, კვალად, არის მიზეზი, წინაპირობა იმისა, რომ ადამიანს წმიდანად სცნობს ღმერთი. და მას აღიარებენ ეკლესიის წევრები, ეკლესია. შესაბამისად, ისმის კითხვა: იქნებ თავდაპირველად ესა თუ ის პიროვნება ღმერთმა უნდა სცნოს, რათა იგი წმიდანად ვაღიაროთ?

მოგვიანებით, უფრო ზუსტად XIV ს-დან წმიდანად აღიარებას მიეცა ოფიციალური, სინოდურ ოქმებში აღნუსხული დოკუმენტების ხასიათი. ასე იქნა კანონიზებული გრიგორი პალამა, წმ. გერასიმე კეფალონიელი და სხვანი. მაგრამ ისინი უკვე საეკლესიო სინდისის მიერ იყვნენ წმიდანებად აღიარებულნი და მხოლოდ მათი გამოცხადება მოხდა სინოდური წესით. შესაბამისად, საპატრიარქოს ოქმებს აქვთ ფორმალურ-აღმასრულებელი ხასიათი. არსებითი სიტყვა ეკუთვნის ეკლესიის სავსებას, მის სინდისს. იგი ანიჭებს პატივს წმიდანებს. ამის გამო ერს, ქრისტიანებს ენიჭებათ წმიდანთა სახელები. ისინი პატივს მიაგებენ წმიდანებს, ცდილობენ, მიჰბაძონ მათ, განმტკიცდნენ მათი მფარველობით.

მსოფლიო საპატრიარქომ 24 მარტს, 1931 წ. პატრიარქ ფოტიოს II-ის დადგენილებით ჩამოაყალიბა ეკლესიისათვის წმიდანად აღიარებისათვის გარკვეული ზოგადი პრინციპი. კონკრეტულად აღნიშნულია: „პატრიარქის ეპისტოლე, 24 მარტი 1931.

ჩვენი გარდამოცემის შესაბამისად ღმრთივ განდიდებულ პიროვნებათათვის ეკლესიის წმიდანების დასში მათ მისათვალავად ვაყალიბებთ შემდეგ ზოგად *პრინციპებს:*

1) წმინდანად გამოცხადებისათვის მონაცემების განხილვა და კონტროლი წარმოებს სინოდური წესით, რომელიც შედგება შესაბამისი ეკლესიის ყველა მიტროპოლიტის, მთავარეპისკოპოსის, ეპისკოპოსის და ოფიციალური თანამდებობების აღმასრულებელი სასულიერო პირისაგან.

2) წმიდანად შერაცხვისათვის საკითხის განხილვა ზედმეტია მათთვის, ვისაც ეკლესიის მწყემსთა და სამწყსოსგან შედგენილმა საერთო სავსებამ უკვე დიდი ხანია მიაგო წმიდანობის პატივი და თაყვანს სცემს. ამ წმიდა პიროვნებებს, რომელთაც დღემდე ვადიდებთ, როგორც განწმედილთ და

უფლისმიერ განდიდებულთ, ეკლესიისგან მიღებული აქვთ ფორმალური აღიარება.

3) აღიარებისათვის შედგება შესაბამისი საეკლესიო ოქმი...

4) აღიარების ოქმს საზეიმოდ ხელს აწერენ ეკლესიაში, შესაფერისი საეკლესიო მსახურების აღსრულებით: სინოდი წევრთა სრული შემადგენლობით შემოდის ტაძარში, სადაც შუაში დაბრძანებულია სახარება, და გალობენ ტროპარებს: „კურთხეულ ხარ ქრისტე, ღმერთო ჩვენო...“ და „ოდეს შთაჰვედ...“ შემდეგ ოქმი იქნება წაკითხულ და მას ხელს მოაწერს სინოდის ყველა წევრი, რომელთაც წარუდგენენ წმიდანად აღიარების ოქმს, და მაშინვე იგალობება ტროპარები: „წმიდანო მოწამენო, რომელთა კეთილად იღვაწეთ...“, „ტანჯვანი მოწამეთანი, რომელთაც შენთჳს დაითმინეს...“, „ყოველთა მოწამეთა შენთა სისხლი, ვითარცა პორფირი და ბისონი ჰმოსია ეკლესიასა...“

5) დროულად, აღიარებულ წმიდანთა პატივის მისაგებად, იქმნება ხატი და სათანადო განგება ეკლესიაში აღსასრულებლად, მართლმადიდებელ ეკლესიებში მიღებული ჰიმნოლოგიისა და განგებათათვის შემუშავებული საეკლესიო ტრადიციის ფარგლებში.

6) ასევე აუცილებელია, გაიხსნას საფლავი, ამოყვანილ იქნას წმიდა ნაწილები (თუკი ისინი შემოინახა) და მათ ეცხოს წმიდა მირონი. საფლავის გახსნას, ჩვეულებრივ, თან ახლავს ღამისთევა და სადღესასწაულო ლიტურგიები“[6]

დღეს ეკლესიის ეორტოლოგიონში (სადღესასწაულოში) წმიდათა განწესების საქმე მსოფლიო საპატრიარქოს მიერ საგანგებოდ დავალებული აქვს დერკეს მიტროპოლიტ კონსტანტინესთვის[7] და ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:“

1) „მწყემსთა და სამწყსოს ერთობლივი სინდისი სცნობს და დასტურით აღიარებს ჭეშმარიტ წმინდანებს ისევე, როგორც ეს ხდებოდა ძველად განუყოფელი ეკლესიის მიერ.

2) ცნობად აწვდის დედა ეკლესიისათვის დაქვემდებარებულ ეპისკოპოსს (ან ანალოგიურად აღიარებულ საეკლესიო განმგებლობას) იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ეკლესიის სამღვდელოებას და ერს ურყევად სწამს სიწმიდე პირისა, რომელიც უნდა მიეთვალოს წმიდათა დასს.

---

[6] იხ. ჟურნალი „Ὀρθοδοξία,“, τομ. ΣΤ΄ (1931), σελ. 284-285.

[7] მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდანთა აღიარებისათვის მსოფლიო საპატრიარქოს მიერ იხ. ბიულეტენი: „Ἐπιστημονική Παρουσία Ἑστίας Θεολόγων Χάλκης“, τομ. Α΄, Ἀθῆναι 1987, σελ. 231.

3) წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე გაფორმებულ უნდა იქნას კანონიკის კომიტეტის ანგარიში.

4) გათვალისწინებულ უნდა იქნას მწყემსთა შეკრების, ანუ წმიდა სინოდის დადგენილება, რომელიც არ მოითხოვს არავითარ სხვა პროცედურას, თუ არა მხოლოდ აღიარებისათვის კოდექსის დადასტურებას."

რომაულ-კათოლიკური ეკლესია მიმართავს წმიდანად გამოცხადების (ანუ წმიდანად შერაცხვის, ანუ კანონიზაციის – canonisatio) პრაქტიკას – პაპის მიერ ამა თუ იმ პიროვნების წმიდანად გამოცხადებას, რომელსაც თან ახლავს უფრო მეტად იურიდიული, ვიდრე კანონიკური პროცედურა. მასში მონაწილეობს promotor fidei (= რწმენის წინ წამომწეველი), ან, რომელსაც სხვაგვარად ეწოდება advocatus diaboli (=დამცველი წმიდანისა ეშმაკის წინაშე); მას ევალება, ნათელი მოჰფინოს წმიდანად გამოსაცხადებელი კანდიდატურის ცხოვრებიდან გარკვეულ მომენტებს. ის, ვინც აპროტესტებს თავისი მოსაზრებებიდან გამომდინარე, და უარყოფს წმიდანებს, უპირატესად – ღმერთის კაცთ, ამ შემთხვევაში სცნობენ მხოლოდ ყველა ქრისტიანისათვის საერთოდ მისაღებ აზრს.

5. წმიდანებისადმი პატივის მიგება – წმიდა ნაწილები – ხატები

წმიდანის ცნობას და აღიარებას შედეგად თან ახლავს მისდამი პატივის მიგება, ზოგადად, ასევე – მისი წმიდა ნაწილებისადმი და ხატებისადმი ეკლესიის წევრთა მიერ.

წმიდანებს პატივს მიაგებენ, ვით ჭურჭელთ სულიწმიდის ღმრთიური მადლისა. ზებუნებრივი ქმედებანი, მათ მიერ აღსრულებული „ძალ ნი" ანუ სასწაულები – შედეგია საღმრთო ძალისა, რომელიც წმიდათა შორის სუფევს. შესაბამისად, წმიდანი თავად არ არის წყარო ზებუნებრივი საქმეებისა, რომელთაც იგი იქმს, არამედ არის იარაღი, საშუალება, რითაც ვლინდება საღმრთო მადლი. ამას ემყარება პატივიც, რომელიც მიეგება წმიდა ნაწილებს, სხვადასხვა ნივთებს, რომელთაც ისინი ხმარობდნენ, და ასევე – მათ წმიდა ხატებს. შდრ. საქმე მოც. 19,11-12: „ხოლო ძალთა არა მცირედთა იქმოდა ღმერთი ჴელითა პავლესითა, ვიდრეცა უძლურთაცა ზედა მიაქუნდა ოფლისა მისისაგან ვარშამაგებითა და ოლარებითა, და განეყენებოდა მათ სენი იგი, და სულები არაწმიდაჲ განვიდოდა". თაყვანს ვცემთ წმიდათა ხატებსაც, რადგან ჩვენი კრძალულებითა და მოწიწებით პატივს მივაგებთ ხატზე გამოსახულ პირს. პატივი, რომელსაც მივაგებთ ხატს, ამაღლდება მასზე გამოსახულ პირველსახისადმი, – აღნიშნავს VII მსოფლიო კრების დოგმატური განჩინება („სჯული").

წმიდანთა მიმართ პატივის მიგების მიზანია;

1) მორწმუნეთა განწმენდა, 2) სნეულთა განკურნება, 3) ეშმაკთა განდევნა, 4) მოგონება წმიდათა ღვაწლისა და მისი მოხსენიება, 5) ვედრება წმიდათა მიერ მეოხებისა უფლის წინაშე მორწმუნეთათვის.

საგანგებო პატივის გამო თითოეულ წმიდანს განეკუთვნება ხსენების დღე, რომელიცაა მისი მოწამეობის ან სიკვდილის დღე, და მას ეწოდება წმიდანის „შობის დღე". ამ დღეს პირველ საუკუნეებში ქრისტიანები ზეიმობდნენ შეკრებებით, სადაც აღასრულებდნენ წმიდა განგებებს (აკოლუთიებს) — მწუხრს, ცისკარს, ჟამის წირვას, ღამისთევას, პარაკლისს, — საგანგებო საგალობლებითა და საკითხავებით, და იქადაგებოდა სახოტბო სიტყვები.

საღმრთო განგებათა პატივი წმიდანთა დღესასწაულებისათვის — აღიარებულია ღანგრას მე-20 კანონის თანახმად: „უკუეთუ ვინმე განლაღებული ცნობაჲ მიზეზად იჴუმიოს და კრებანი მოწამეთანი სძაგდენ, ანუ მათ შინა ქმნილ ნი ჟამისწირვანი და საჴსენებელ ნი მათნი, შეჩვენებულ იყავნ". ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წმიდანებს — ხატებს, წმიდა ნაწილებსა თუ სიმბოლოებს, — მორწმუნეთაგან მართებთ პატივის მიგება და არა მსახურება. წმიდანებს ასევე არ შეეფერება მათი ღვაწლის შეუსაბამო და გადაჭარბებული ხოტბა ან ფსევდომარტიროლოგიონების („ნატყუარ წამებათა"), კითხვა, რომლებიც წაკითხვის დროს იწვევენ ურწმუნოებას, ირონიას, ღიმილს. მათ განიკითხავს V-VI მსოფლიო კრების 63-ე კანონი.

6. წმიდა ლიტანიები და მომლოცველობანი

ლიტანია [ლიტია — მრჩობლი (ორმაგად გაძლიერებული) ვედრება] არის კდემითა და ვედრებით გარეშემოვლა ერთი ან მეტი საეკლესიო საზოგადოებისათვის კუთვნილი შეწირული ნივთით (ხატებით, წმიდა ნაწილებით და სხვ.) გარკვეული მიზნისათვის. ლიტანიები არის რიგითი და რიგგარეშე.

რიგითი ლიტანიები, ჩვეულებრივ, აღესრულება წმიდანის ხსენების ან დიდი საუფლო დღესასწაულების დროს (შდრ. გარდამოხსნისა და ბრწყინვალე აღდგომის ხატის გარეშემოტარება). მათი მიზანია, უპირველეს ყოვლისა, პატივის მიგება პიროვნებისადმი, რომლის ხსენების დღესასწაულიც აღესრულება, და ამასთანავე, — სარგებელი და განწმენდა მორწმუნეებისა, განწმენდა იმ ადგილისა, სადაც აღესრულება ლიტანია. ხატებით ლიტანიობა აღესრულება ასევე მართლმადიდებლობის დღესასწაულზე, როდესაც ვზეიმობთ ხატების თაყვანისცემის აღდგენას.

რიგგარეშე ლიტანიები ითვალისწინებენ საგანგებო მიზანს და აღესრულებიან საგანგებო მოვლენებთან დაკავშირებით, მაგ. გვალვის დროს,

ეპიდემიების პერიოდში, წმიდანთა ნაწილების გადმოსვენების დროს და ა.შ. რიგგარეშე ლიტანიები უნდა აღესრულებოდეს პასუხისმგებლობის თავსმდებელი ადგილობრივი ეპისკოპოსის ნებართვით. მათ აღსრულებას უნდა ესწრებოდეს ადგილობრივი ეპისკოპოსი ან მისი წარმომადგენელი, და ყოველთვის აუცილებლად უნდა ესწრებოდეს რომელიმე სამღვდელო პირი.

წმიდა ხატები, წმიდა ნაწილები და, საერთოდ, საღმრთო სიმბოლოები არ უნდა იყოს მოთავსებული შეუფერებელ ადგილას, და ისინი არც უნდა ეპყრას ხელთ სახელგატეხილ პიროვნებებს. ლიტანიების დროს აკრძალულია უწესრიგობა და ყოველგვარი შეუფერებლი მოქმედება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქრისტიანი უნდა გაურბოდეს ლიტანიებში მონაწილეობას (შდრ. ღანგრას მე-20 კან.).

წმიდა მომლოცველობანი არის კერძო პირთა ან ჯგუფის მოგზაურობა წმიდა ადგილებში რელიგიური მიზნებისათვის. წმიდა მომლოცველობანი არის ქრისტიანთა უძველესი ადათ-ჩვეულება. მომლოცველთა ჯგუფს აუცილებლად უნდა ახლდეს სამღვდელო პირი, რათა დაცულ იქნას შესაფერისი სულიერი ატმოსფერო და სრულყოფილად განხორციელდეს მომლოცველობის მიზანი.

7. აღთქმანი

აღთქმანი, ანუ „შეფუცვაᲐ“, „ფიცით დაპირება“ — ესაა, თუ შეიძლება ითქვას, დაპირებები, რომლებსაც მორწმუნე თავისი ნებით, ძალდაუტანებლად აღუთქვამს უფალს ან ამა თუ იმ წმიდანს. მორწმუნე არ არის ვალდებული, რათა თავს იდვას აღთქმა. პირიქით, მას არც შეჰფერის ზერელე, დაუფიქრებელი დაპირებები. ზირაქის სიბრძნეც ამას აღნიშნავს, რომ ვიდრე დაᲐპირებდე აღთქმას, შეამზადე თავი და ნუ იქნები მსგავსი კაცისა, რომელიც განსცდის უფალს (18,23). ბასილი დიდის 28-ე კანონი განსაზღვრავს: „ღირს-ყვენ იგინი (=ქრისტიანები) სწავლად, რაᲐთა ლოცვასა უსწავლელთასა და აღთქუმათა მათთა განეყენნენ.“

მაგრამ თუკი აღთქმას თავს იდებს კაცი, ვალდებულია, იგი აღასრულოს, და, რაც შეიძლება, უფრო სწრაფად, რადგან კაცს ემუქრება საფრთხე, რომ იგი ვერ შეასრულებს აღთქმულს. გონივრულობას მოკლებულია და სასაცილო („საცინელ“) ისეთი აღთქმა, რომელიც სულერთია, აღსრულდება თუ არა (ბასილი დიდის 28-ე კან.), ან, თუ აღთქმა უპირისპირდება უფლის ნებას, იგი არ უნდა აღსრულდეს (ბასილი დიდის 29-ე კან.).

გონივრული აღთქმის შეუსრულებლობას შეიძლება ხელი შეუწყოს მნიშვნელოვანმა მიზეზებმა, მაგალითად, უძლურებამ. აღთქმის გახსნის უფლება აქვს მღვდელს, რომელსაც ხელეწიფება „შეკვრა და გახსნა“. მაგრამ მანამდე მან ზედმიწევნით და ღმრთის შიშით უნდა შეისწავლოს შესაბამისი შემთხვევა (შდრ. ბასილი დიდის მე-10 კანონი).

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინაიტყვაობა 5
ავტორისგან 6

შესავალი ნაწილი

თავი პირველი

განსაზღვრებები და ტერმინოლოგია

1. რა არის სამართალი 7
2. კანონიკური (საეკლესიო) სამართლის განსაზღვრება — „კანონის“ „სჯულის“ ცნება 10
3. წმიდა კანონთა ავტორიტეტი (ავთენტურობა) 12
4. დოგმატურ ცნებათა და საღმრთო კანონთა განსხვავება (დოგმატიკისა და კანონიკური სამართლის ურთიერთმიმართება) 17
5. განსხვავება წმიდა კანონთა და კანონისტიკის დადგენილებებს შორის . 21
6. წმიდა კანონთა მიზანი და სულისკვეთება 24

თავი მეორე

წყაროები და ნაშრომთა კრებულები კანონიკური სამართლისათვის

1. კანონიკური სამართლის ძირითადი წყაროები 28
2. საღმრთო წერილი 29
3. საღმრთო სჯული 31
I. მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონები 32
II. ადგილობრივ საეკლესიო კრებათა კანონები 33
III. ეკლესიის მამათა კანონები 35
4. კანონიკური სამართლის მეორადი წყაროები 36
5. საეკლესიო წეს-ჩვეულებები 38
6. კანონიკური სამართლის კრებულები 39
7. სხვა აღმსარებლობათა კანონიკური სამართლის წყაროები და კრებულები 40

თავი მესამე

საეკლესიო კანონებით ხელმძღვანელობა
(აკრიბია და იკონომია — სიზუსტე და შეწყალება)

1. აკრიბია (სიზუსტე) 42
2. იკონომია (შეწყალება) 44
3 იკონომიის (შეწყალების) მინიჭების ორგანო 46
4. იკონომიის (შეწყალების) პრინციპები 48
5. იკონომიის დაშვების ხერხები (სახეობები) 51

თავი მეოთხე

წმიდათა კანონთა განმარტება

1. საეკლესიო ადათთა (დადგენილებათა) გააზრება (წმიდათა კანონთა ავტორიტეტი (გავლენიანობა), ძალმოსილება და განახლება) 55
2. წმიდა კანონთა განმმარტებანი (კომენტარი) და განმარტების (კომენტირების) წინაპირობები 59
3. წმიდათა კანონთა განმარტების (და ურთიერთკოორდინაციის) პრინციპები 62
4. განმარტების სახეობები 65

თავი მეხუთე

კანონიკური სამართალი და ეკლესია

1. კანონიკური სამართლისა და ეკლესიის ურთიერთობა 68
2. კანონიკური სამართალი და თავისუფლება 70
3. ეკლესიის დაარსება, განსაზღვრება და თავისებურებები 73
4. ეკლესიის განვითარება და ორგანიზაცია – კანონიკური სამართლის ჩამოყალიბება 77

ზოგადი ნაწილი

თავი პირველი

ეკლესიის წიაღში შემოსვლა (თარგმანი ლევან ბუკიასი)

1. კათაკმეველთა დამოძღვრება, მიმქმელი, კატექეტიკა (თარგმანი ლევან ბუკიასი) 80
2. ნათლისღების საიდუმლო 81
. წინაპირობები ნათლისღების კანონიკური შესრულებისათვის . . . 82
. ნათლობის საგანგებო შემთხვევები 83
. სახელდება 84
3. ნათლისღების შედეგები 85
3. მირონცხების საიდუმლო 86
4. მართლმადიდებელ ეკლესიაში მოსულ მწვალებელთა, სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთა და სქიზმით განყოფილთა მიღების წესი . . . 87
5. ეკლესიის წიაღში შემოსვლის შედეგები 90

. უფლებები: 91
. უფლება-მოვალეობები: 91

თავი მეორე

მყოფობა და წარმატებულობა ეკლესიის წიაღში

1. სინანულის საიდუმლო (წმიდა აღსარება) 92
. წმიდა აღსარების კანონიკური აღსრულების წინაპირობები . . . 93
. აღსარების კანონიკური აღსრულების შედეგები 94
2. საეკლესიო სასჯელთა (ეპიტიმიების) საკითხი 95
3. ზეთის კურთხევის საიდუმლო 96
4. საღმრთო ევქარისტიის საიდუმლო 98
I. საღმრთო ევქარისტიის კანონიკური აღსრულების წინაპირობები . 98
. საღმრთო ლიტურგიაზე თანამონაწილეობის წინაპირობები . . . 99
5. წმიდა დღეები – ლიტურგიკული დრო 100
6. მარხვები 102

თავი მესამე

შინაური (ოჯახური = „სახლსა შინა“) ეკლესიის აღმშენებლობა

1. ქორწინების საიდულოება 103
2. წინაპირობები ქორწინებით შეუღლებისათვის 103
. დადებითი პირობები ქორწინებით შეუღლებისათვის 105
. ქორწინების აღსრულების უარყოფითი პირობები („დაბრკოლებები“) 107
3. ქორწინებით შუღლება (ქორწინების საიდუმლოს აღსრულება) . . 113
4. კანონიერი ქორწინებით შეუღლების შედეგები 114
5. ქორწინების გაუქმება (დაუმტკიცებლობა), განქორწინება 115
6. დამატებითი მონაცემები. ნათესაური კაცშირების გამოთვლა . . 119

თავი მეოთხე

ეკლესიის წევრები, ურთიერთგანსხვავება, ეკლესიის იერარქიული ორგანიზაცია

1. საერო პირები („ერისკაცები“). მათი წვლილი ეკლესიის მართვა-განმგეობაში 123
2. მონაზვნები და ბერები. მათი ადგილი ეკლესიის წიაღში . . . 125
3. წინაპირობები სამონასტრო წოდების მისაღწევად 127
4. სასულიერო პირები – მღვდელობის საიდუმლო 130

5. წინაპირობები და მონაკვეთები მღვდლობის კანონიკური და უფლებამოსილი წოდების მოსაპოვებლად 132
. წინაპირობები და მონაკვეთები ხელთდასხმისათვის კანდიდატის მიმართ . 132
. „გარეშეთ შორის“ კეთილი სახელი 132
. სხვა ზოგადი წინაპირობები ხელთდასხმის ძალმოსილებისათვის . 134
6. სამღვდელო ხარისხში ხელთდასხმიდან გამომდინარე შედეგები . . 135
. ზოგადი შედეგები (მღვდლობის მიმართ) 135
. ხელთდასხმულის ვალდებულებები 136
. მღვდელობაზე ხელთდასხმულის უფლებები 137
მ. უფლებები, რომლებიც ხელთდასხმულის მოვალეობებადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული 138
7. ტიტულები და სეკლესიო წოდებები („ოფიკია“ – „officia“) . 138
I. უმდაბლესი წოდებები (ანუ მსახურება-მორჩილებანი ანუ კლირიკატები).139
II. უმაღლესი საეკლესიო წოდებები 142

თავი მესუთე

საეკლესიო მმართველობის ფორმა

1. საეკლესიო კრებათა (სინოდური) სისტემა 145
2. საეკლესიო კრებათა სახეობები 147
3. მსოფლიო საეკლესიო კრებები 147
4. მსოფლიო კრების მოწვევისა და აღიარების პირობები 150
გარეგანი ხასიათის პირობები 151
შინაგანი ხასიათის, არსებითი პირობები 151
მსოფლიო კრების მოწვევა 152
4. მსოფლიო კრების დადგენილებები 153
5. გაფართოებული ადგილობრივი და საეპარქიო სინოდები 154
6. საპატრიარქო და „ენდიმუსა“ (ჩამოსულ მღვდელმთავართაგან მოწვეული), საჯარო კრებები 155
7. ადგილობრივი საეკლესიო ორგანოთა უფლებამოსილების წარმმართველი, ზოგადი დებულებები 158

თავი მეექვსე

საეკლესიო მართლმსაჯულება

1. ზოგადი განმარტება საეკლესიო მართლმსაჯულებისათვის . . . 160
2. საეკლესიო მართლმსაჯულების წარმოების ორგანოები 161

I. საეპისკოპოსო სამსჯავრო 162
II. სამიტროპოლიტო სამსჯავრო 162
III. საპატრიარქო სამსჯავრო 163
IV. უზენაესი საეკლესიო სამსჯავრო 163
3. სასულიერო პირთა შეცოდებები 163
4. საეკლესიო მართლმსაჯულების წარმოება (პროცედურა) . . . 166
5. სასამართლოს წინასწარი საქმეთწარმოება 166
6. ძირითადი საქმის წარმოება, პროცედურა 168
7. სასულიერო პირთა სასჯელი („განკანონება“) 170
8. სასჯელის სისრულეში მოყვანა 173
I. დადგენილებათა ძალმოსილება („ხელმწიფება”) 173
II. ვადა სასჯელის დასაწყისისა და დასასრულისათვის 174

თავი მეშვიდე

საეკლესიო საკუთრება („საწმარი“)

1. საეკლესიო ნივთები („საქონელი“) 175
2. საღმრთისმსახურო ადგილები 175
I. საეკლესიო ნაგებობები 175
II. ეკლესიის კურთხევა ანუ განახლება (ენკენია) 177
III. წმიდა ეკლესიათა კარმიდამო (მონასტრები, სასაფლაოები) . . 178
3. ნაკურთხი, წმიდა ნივთები 179
4. საეკლესიო საკუთრება — მოჩვენებითი ანტინომია (წინააღმდეგობა) 180
5. საეკლესიო საკუთრების წარმომავლობა 181
6. საეკლესიო საკუთრების („სახმართა“, „ქონების“) მფლობელი . 182
7. საეკლესიო საკუთრების განმგებელნი 183
8. საეკლესიო საკუთრებისთვის განსაზღვრული მიზანი და მისი განუსხვისებელი ხასიათი 187
I. საეკლესიო საკუთრების მიზანი და ობიექტი 187
II. საეკლესიო საკუთრების განუსხვისებლობა 188

თავი მერვე

ეკლესიისა და სხვა სტრუქტურების ურთიერთდამოკიდებულება

1. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა 191
I ეკლესიისა და სახელმწიფოს შექმნა, ჩამოყალიბება 191

II ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა ბიზანტიაში 192
III ორი დაწესებულების (ეკლესიისა და სახელმწიფოს) ერთიანობისა და განსხვავების ნიშნები 193
IV ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის სისტემები 194
1). ქვეშევრდომობის სუბორდინაციული დამოკიდებულება (ანუ ერთის დამორჩილება მეორისადმი) 194
2) პარალელიზმის (თანაბარუფლებიანობის ან სრული გამიჯვნის) სისტემები. 195
3) კოორდინაციის (შეთანხმების, ურთიერთთანამშრომლობის) სისტემები 196
2 ეკლესიის ურთიერთობები მის წევრებთან და სხვა რელიგიათა და განსხვავებულ აღმსარებლობათა წარმომადგენლებთან 199
I ურთიერთობათა განსაზღვრების ზოგადი საფუძვლები 199
II უფრო კონკრეტულად განსხვავებულ სარწმუნოებათა წარმომადგენლებთან ურთიერთობისათვის 199
III უფრო კონკრეტულად სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებთან და ბოროტად მადიდებლებთან (მწვალებლებთან) ურთიერთობის შესახებ 200
IV დაპირისპირება (პროტესტი) 202

თავი მეცხრე

მებრძოლ და მოზეიმე ეკლესიათა ურთიერთკავშირი

1. პატივისმიგება მიცვალებულთა მიმართ (უკანასკნელი წესის მიგება და დაკრძალვა; საფლავები) 205
2. საეკლესიო-სამგლოვიარო წესის მიგების მოკლება, ანუ გამოსვლა (მებრძოლი) ეკლესიიდან 206
. თვითმკვლელობა 206
. განდგომა 207
. მწვალებლობა (ერესი) 208
3. განყოფა (სქიზმა) 208
3. [გარე]კიდეშესაკრებელობა 209
3 . განკანონება – დაყენება (დაცადება) – შეჩვენება 210
3. მოსახსენებლები 211
4. წმინდანობის პატივი. წმიდათა აღიარება 214
5. წმიდანებისადმი პატივის მიგება – წმიდა ნაწილები – ხატები . . 217
6. წმიდა ლიტანიები და მომლოცველობანი 218
7. აღთქმანი 219

პანაიოტის ბუმისის ნაშრომებიდან უმნიშვნელოვანესია:

Οἱ ἐξωκατάκοιλοι ἤ ἐξωκατάκηλοι ἄρχοντες (Προέλευσις καί νομοκανονικ) σημασία τῆς διφυοῦς προσωνυμιας). „ექსოკატაკილოსები“ ანუ „ექსოკატაკილოსი მთავრები“ (ამ წოდების წარმომავლობა და მათი ნომოკანონიკური შინაარსი (სადოქტორო დისერტაცია), ათენი, 1969 წ.).

Το κύρος και ἡ ἰσχύς τῶν ἱερῶν κανόνων - Αὐθεντικότης και Λειτουργικότης τῶν ἱερῶν κανόνων. წმიდა კანონთა ავტორიტეტი და ძალმოსილება — წმიდა კანონთა ავთენტურობა და ქმედითი უნარი, ათენი 1975 წ.

Συνέπειαι τῆς ἄρσεως τῶν ἀναθεμάτων Ρώμης - Κωνσταντινουπολεως. რომი-კონსტანტინოპოლის ანათემათა მოხსნის შედეგები, ათენი 1976 წ.

Ἀχαί τοῦ ποιμαντικοῦ ἔργου του ἱερέως - κατευθυντήροι γραμμαί. მღვდელთა სამრევლო საქმის პრინციპები — საორიენტაციო ხაზი, ათენი 1978 წ.

Τα ἀναθέματα Ρώμης - Κωνσταντινουπολεως καὶ κανονικότης τῆς ἄρσεως αὐτῶν. რომი-კონსტანტინეპოლის ანათემები და მათი მოხსნის კანონიკურობა, ათენი 1980 წ.

Τὸ ἔγγαμον τῶν ἐπισκόπων - Συμφωνία Ἁγ. Γραφῆς καὶ Ἱ. Κανόνων. ეპისკოპოსთა ქორწინება — საღმრთო წერილისა და წმიდა კანონთა შეთანხმება, ათენი 1981 წ.

Ἡ προτεραιότης τῆς δογματικῆς συμφωνίας ἔναντι τῆς εὐχαριστιακῆς κοινωνίας (Intercommunio). დოგმატური შეთანხმების უპირატესობა ევქარისტიული თანაზიარობის მიმართ“, ათენი 1981 წ.

Τὰ πρεσβεία τιμῆς τῶν Θρόνων Ρώμης - Κωνσταντινουπόλεως. რომი-კონსტანტინეპოლის საყდართა საპატიო პირველობა, ათენი 1982 წ.

Περὶ τοῦ γάμου κληρικῶν - μοναχῶν ἀπὸ κανονικῆς πλευρᾶς. სამღვდელო პირთა და მონაზონთა ქორწინება კანონიკური ასპექტით, ათენი 1983 წ.

Θεώρηση καί προβλήματα τοῦ πολιτικοῦ. სამოქალაქო ქორწინების მიმოხილვა და პრობლემები, ათენი 1985 წ.

Οἱ κανόνες τῆς Εκκλησίας περί τοῦ κανόνος τῆς Ἁγ. Γραφῆς. ეკლესიის კანონები საღმრთო წერილის კანონთა თაობაზე, ათენი 1 ტ. 1986, II ტ, 1992 წ.

Καθήκοντα καί δικαιώματα τῶν ἐν τῇ διαχειρίσει τῆς ἐκκλησιαστικὴς περιουσίας (βάσει τῶ ἱ. κανόνων). ეპისკოპოსთა უფლებები და მოვალეობები საეკლესიო საკუთრების მიმართ (წმიდა კანონთა საფუძველზე), ათენი 1989 წ.

Ἐκκλησιολογικὴ ἑρμηνεία τῶν ἑπτὰ ἐπιστολῶν τῆς Ἀποκαλύψεως. გამოცხადების შვიდთა ეკლესიათა ეკლესიოლოგიური განმარტება, ათენი, 1993 წ.

Οἱ ἐπεμβάσεις τῆς Πολιτείας στὴν Ἐκκλησία. სახელმწიფოს ჩარევა საეკლესიო საკითხებში, ათენი 1995 წ.

Οἱ ἱεροί κανόνες, οἱ νόμοι καί οἱ Πατριαρχικές Πράξεις. წმიდა კანონები, სამოქალაქო კანონები და და საპატრიარქო ოქმები, ათენი, 2004 წ.

გთავაზობთ ქრისტიანული ლიტერატურის სერიით გამოცემულ შემდეგ წიგნებს:

წიგნი იობისა

სიბრძნე სოლომონისა

პანაიოტის ბუმისი – დაიბადა 1934 წ. ათენში. დაამთავრა ათენის (ღვთისმეტყველების ფაკულტეტი), გოტინგენისა (ღვთისმეტყველება-ფილოსოფიის) და ბიუნჭენის (ღვთისმეტყველება-სამართალი) უნივერსიტეტები კანონიკური სამართლის პროფილით. არის სრულიად საბერძნეთის ღვთისმეტყველთა „აეროთიანების“ ვიცე-თავმჯდომარე, ასევე, დოგმატურ და ნომოკანონიკურ საკითხებზე მუდმივი სინოდური კომიტეტისწევრი, საეკლესიო აღზრდის ზედამხედველობითი საბჭოსვიცე-თავმჯდომარე და საბერძნეთის უმაღლეს საეკლესიო სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე.

ამჟამად არის ათენის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი.